

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ონისიმე ცხომელიძის  
სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული  
იურისდიქციისა და *ne bis in idem* პრინციპის ურთიერთმიმართება *დე ფაქტო*  
ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის  
შემთხვევებში

**The Interplay between the Complementary Jurisdiction of the International Criminal Court  
and *ne bis in idem* principle in the context of Criminal Prosecutions by a *de facto*  
Government**

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი,  
დოქტორი, ქეთევან ხუციშვილი

თბილისი, საქართველო

2020 წ.

## აბსტრაქტი

### საკვანძო სიტყვები:

კომპლემენტარობა, ორმაგი დასჯის აკრძალვა, *დე ფაქტო* რეჟიმი, ICC, იურისდიქცია

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობას *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებაზე. ამავდროულად, კვლევის დროს ყურადღება გამახვილებულია რომის სტატუტის პერსპექტივიდან დანახული ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის ტრანსნაციონალურ მოქმედებაზე. საქართველოს, ლიბიის, უკრაინისა და პალესტინის სიტუაციებზე სასამართლოში მიმდინარე გამოძიებისა და წინასწარი მოკვლევის ეტაპებზე უკვე წარმოიშვა ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა როგორც სასამართლოს წინასასამართლო პალატის მოსამართლეებს, ისე - ფართოდ, დარგის სპეციალისტებს შორის. სადისერტაციო თემის ირგვლივ არსებული მწირი აკადემიური ლიტერატურის ფონზე, წინამდებარე ნაშრომს ენიჭება განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულება, რადგან სიღრმისეულად ანალიზებს სასამართლოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ თანამედროვე გამოწვევას და გვთავაზობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ სამართლებრივ დასაბუთებას. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანი არის არა მარტო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, არამედ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის საკმაოდ აქტუალური თემა.

კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რამდენად ფარავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქცია *დე ფაქტო* ხელისუფლების ისეთ მართლმსაჯულებას, რომელიც აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მინიმალურ სტანდარტს. ამავდროულად, ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს გადაწონის თუ არა ორმაგი დასჯის აკრძალვა, როგორც ბრალდებულის ფუნდამენტური უფლება, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ვალდებულებას.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, ქვეთავებად დაყოფილი ხუთი ძირითადი თავისა და დასკვნისგან. ნაშრომის პირველი თავი, საკვლევად შერჩეული

კონკრეტული საკითხის კონტექსტის წარმოსაჩენად, განიხილავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის ისტორიულ და სამართლებრივ საფუძვლებს. ნაშრომის მეორე თავი, სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ანალიზებს კომპლემენტარობის პრინციპის პრაქტიკულ გამოწვევებს. ნაშრომის მესამე თავში აქცენტი კეთდება ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის რომის სტატუტისეულ უნიკალურ მახასიათებლებზე. ნაშრომის მეოთხე თავში გაანალიზებულია *დე ფაქტო* ხელისუფლების მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლები და ზეგავლენა. ნაშრომის მეხუთე თავში გაანალიზებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს სიტუაციაზე მიმდინარე გამოძიება, მისი განვითარების პერსპექტივები და მოცემულ კონტექსტში *დე ფაქტო* ხელისუფლების როლი. დასკვნა, ნაშრომში ნაწარმოებ კვლევაზე დაფუძნებული მსჯელობის შედეგად, წარმოაჩენს, თუ რა შემთხვევებში გადაწონის ბრალდებულის უფლება, არ იყოს ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ გასამართლებული, სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესს არ მოხდეს მის ტერიტორიაზე მოქმედი *დე ფაქტო* რეჟიმების მიერ განხორციელებული ქმედებების საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმურ ქმედებად აღიარება.

ნაშრომში მოცემული დასკვნები გამომდინარეობს საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის ნორმების, საკვლევ საკითხთან დაკავშირებული აკადემიური ლიტერატურული წყაროების, *დე ფაქტო* ხელისუფლების სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების აღიარების საკითხთან მიმართებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, რეგიონალური თუ ეროვნული სასამართლოებისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკის შედარებითი ანალიზიდან.

განხორციელებულ კვლევას განსაკუთრებული სამეცნიერო და, ამავდროულად - პრაქტიკული, ღირებულება აქვს საერთაშორისო თუ ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოებისთვის, უფლებადამცველების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სტუდენტების, ადვოკატებისა და მკვლევარებისთვის, რომელთაც შეხება აქვთ არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებასთან.

დე ფაქტო რეჟიმის მართლმსაჯულების აღიარებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებამდე, ნაშრომი განსაზღვრავს, თუ რა დოზით არის შესაძლებელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასა და ბრალდებულის ორმაგი დასჯისგან დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა.

## Abstract

### Keywords:

**Complementarity, *ne bis in idem*, *de facto* regime, ICC, jurisdiction**

The present paper examines the possibility of extending the complementary jurisdiction of the ICC over criminal proceedings of a *de facto* government. Meanwhile, an emphasis is put on the transnational application of *ne bis in idem* principle from the perspective of the Rome Statute. Georgia, Libya, Ukraine and Palestine are among those situations when the ICC had to deal with the judicial system of *de facto* states during its preliminary examinations or investigations. Both the judges of the Pre-Trial Chamber and international law scholars have different opinions regarding this issue. There is only scarce literature regarding the topic and this dissertation has an added value as it analyses one of the contemporary challenges for the ICC and provides innovative legal solutions for the identified problem. The research topic is important not only for the ICC, but also for Georgia and the international community as a whole.

The research aims to clarify how the complementary jurisdiction of the ICC covers those criminal proceedings of a *de facto* government that meet the minimum standard of independence and impartiality. Meanwhile, the paper aims to clarify whether the prohibition of double jeopardy, as a fundamental human right of an accused, outweighs the obligation to respect state sovereignty and territorial integrity.

The paper consists of the introduction, five main chapters divided into subchapters and the conclusion. The first chapter of the Paper overviews historical and legal grounds for the creation of the ICC to advance the context of the research topic. The second chapter analyses practical challenges for the complementarity principle based on the relevant case-law of the ICC. The third chapter emphasizes the unique characteristics of the *ne bis in idem* principle under the Rome Statute. The fourth chapter examines the legal grounds and influence of criminal proceedings undertaken by a *de facto* government. The fifth chapter analyses ongoing investigation of the ICC regarding the situation in Georgia, its perspectives and the role of a *de facto* regime in this context. The conclusion, which is based on the outcomes of this

Research, highlights if a right of an accused to be protected from the double jeopardy outweighs the sovereign interest of a state not to legitimize actions undertaken by a *de facto* government from the perspective of the international court.

The conclusions are based on the analyses of relevant international customary and treaty rules, reviewed academic literature and the comparative study of the case-law of the ICJ, regional and national courts and international criminal tribunals regarding the recognition of criminal proceedings undertaken by *de facto* states.

This study has a unique scientific and practical value for international and national courts, human rights activists, international organizations, non-government organizations, students, lawyers and researchers who deal with the adjudication of non-state actors.

As the ICC has not developed a unified approach towards the issue of recognition of criminal proceedings of a *de facto* regime until now, the paper advances the scope within which the ICC can respect both sovereignty and territorial integrity of a state and protect an accused against double jeopardy.

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	i
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	viii
1. შესავალი .....	1
2. გზად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციისკენ.....	9
2.1 ფიზიკური პირის შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ინტერესების ბალანსი .....	10
2.2 პირველი ნაბიჯები სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ინსტიტუციონალიზაციისკენ .....	13
2.2.1 მეორე მსოფლიო ომის სამართლებრივი მემკვიდრეობის თუ შესახელმწიფოთა პოლიტიკური მოტივების კვალდაკვალ .....	17
2.2.2 ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების თანმდევი პროცესი .....	19
2.2.3 გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული <i>ad hoc</i> ტრიბუნალები როგორც ერთგვარი რეპეტიცია .....	21
2.3 რომის სტატუტით დადგენილი სამართლებრივი დღის წესრიგი .....	23
2.3.1 რომის სტატუტით გათვალისწინებული ძირითადი დანაშაულები .....	29
2.3.2 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემის ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანი.....	44
3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქცია როგორც რომის სტატუტის სისტემის ქვაკუთხედი .....	53
3.1 კომპლემენტარობის პრინციპიდან მომდინარე გამოწვევები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში .....	59
3.1.1 კომპლემენტარობა და საქმის დასაშვებობა - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა .....	59
3.1.2 მიკერძოებული მართლმსაჯულება - კოტ დ'ივუარის სიტუაცია.....	64
3.1.3 როგორ მოქმედებს კომპლემენტარობის პრინციპი როდესაც ბრალდებულები მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები არიან - კენიის საქმეები .....	66
3.1.4 კომპლემენტარობა როგორც ბრალდებულის უფლებების დაცვის მექანიზმი - ლიბიის საქმეები.....	70
4. <i>Ne bis in idem</i> ანუ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში.....	79
4.1 ორმაგი დასჯის აკრძალვის ისტორიული საფუძვლები და სახელმწიფოთა პრაქტიკა .....	81
4.2. ორმაგი დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით .....	85
4.3 ორმაგი დასჯის აკრძალვა გაეროს მიერ დაარსებულ <i>ad hoc</i> და სხვა ჰიბრიდული ტრიბუნალების პრაქტიკაში .....	92

4.4	ორმაგი დასჯის აკრძალვა რომის სტატუტის მიხედვით.....	96
5.	<i>დე ფაქტო</i> ხელისუფლება როგორც საერთაშორისო სამართლით შეზღუდული არასახელმწიფო აქტორი.....	104
5.1	ხალხთა თვითგამორკვევის უფლება <i>დე ფაქტო</i> რეჟიმის განვითარების სამართლებრივი ბარიერი თუ საერთაშორისოსამართლებრივი ლეგიტიმაციის საფუძველი.....	109
5.1.1	ადამიანის უფლებათა სამართალის მიხედვით არასახელმწიფო აქტორისთვის დაკისრებული ვალდებულებები .....	116
5.1.2	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით არასახელმწიფო აქტორისთვის დაკისრებული ვალდებულებები.....	120
5.2	არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების სამართლებრივი შეფასება .....	124
5.3	მართლმსაჯულება სამხედრო ოკუპაციის პირობებში.....	134
5.4	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ <i>დე ფაქტო</i> რეჟიმების შიდა სასამართლოების სამართლებრივი შეფასება.....	141
5.5	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრიზმიდან დანახული პალესტინის სახელმწიფოებრიობა .....	149
6.	საქართველოს სიტუაციის განხილვის ფარგლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და <i>დე ფაქტო</i> ხელისუფლების ურთიერთმიმართება.....	154
6.1	საქართველოს სიტუაციაზე სასამართლოს I წინასასამართლო პალატის მსჯელობა როგორც <i>დე ფაქტო</i> რეჟიმებთან მიმართებით სასამართლოს ორთოდოქსული მიდგომების განმტკიცება.....	155
6.2	მოსამართლე კოვჩის განსხვავებული მოსაზრება და არგუმენტაცია <i>დე ფაქტო</i> რეჟიმების მართლმსაჯულების შესახებ .....	160
7.	დასკვნა .....	167
	ბიბლიოგრაფია .....	175
	გამოყენებული სასამართლო საქმეების ნუსხა.....	191



## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

ავღანეთი	ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ა.შ.	ასე შემდეგ
ბანგლადეში	ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა
გაერთიანებული სამეფო	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
გვ.	გვერდი
ერაყი	ერაყის რესპუბლიკა
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ინდოეთი	ინდოეთის რესპუბლიკა
ირანი	ირანის ისლამური რესპუბლიკა
ისრაელი	ისრაელის სახელმწიფო
იტალია	იტალიის რესპუბლიკა
იუგოსლავია	იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა

იხ.	იხილეთ
კენია	კენიის რესპუბლიკა
მაგ.	მაგალითად
პალესტინა	პალესტინის სახელმწიფო
რუანდა	რუანდის რესპუბლიკა
რუსეთი	რუსეთის ფედერაცია
საბჭოთა კავშირი	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
საფრანგეთი	საფრანგეთის რესპუბლიკა
სერბეთი	სერბეთის რესპუბლიკა
სუდანი	სუდანის რესპუბლიკა
სხვ.	სხვა
უგანდა	უგანდის რესპუბლიკა
Art.	Article
CAT	UN Committee against Torture გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი
CEDAW	UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

CJEU	Court of Justice of the European Union	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
CUP	Cambridge University Press	კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა
DRC	Democratic Republic of the Congo	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ECHR	European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECtHR	European Court on Human Rights	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ed.	Edition	გამოცემა
EJIL	European Journal of International Law	საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი
et al.	et alia (and others)	და სხვები
GA	United Nations General Assembly	გაეროს გენერალური ასამბლეა
HRC	United Nations Human Rights Committee	გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

IACtHR	Inter-American Court of Human Rights	ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო
Ibid.	Ibidem	იქვე
ICC	International Criminal Court	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - ნაშრომში ასევე „სასამართლო“
ICCPR	International Covenant on Civil and Political Rights	სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
ICESCR	International Covenant on Economic, Social and Cultural Rights	ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
ICJ	International Court of Justice	მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო
ICL	International Criminal Law	საერთაშორისო სისხლის სამართალი
ICRC	International Committee of the Red Cross	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

ICTR	International Criminal Tribunal for Rwanda	რუნდისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი
ICTY	International Criminal Tribunal for the former Yugoslavia	ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი
IHL	International Humanitarian Law	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
ILC	International Law Commission	საერთაშორისო სამართლის კომისია
OUP	Oxford University Press	ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა
SC	United Nations Security Council	გაეროს უშიშროების საბჭო
UDHR	Universal Declaration of Human Rights	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
UN	United Nations	გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

VCLT

Vienna Convention on the  
Law of Treaties

ვენის კონვენცია  
სახელშეკრულებო  
სამართლის შესახებ

v.

versus

წინააღმდეგ

## 1. შესავალი

საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ჩნდება ახალი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია დარგის ცალკეული ნორმების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესთან.<sup>1</sup> ფიზიკური პირისთვის შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების (საერთაშორისო დონეზე გასამართლების) პარალელურად საჭიროა საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმების განმარტების დროს გამოირიცხოს საერთაშორისო საჯარო სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა სამართლის, სხვა ნორმებთან წინააღმდეგობა. ამგვარი წინააღმდეგობის ერთ-ერთი გამოვლინება შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ *დე ფაქტო* ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურების აღიარების საკითხი. *დე ფაქტო* ხელისუფლების, იგივე - *დე ფაქტო* რეჟიმის, ცნება არ არის განმარტებული საერთაშორისო ჩვეულებითი ან სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. თუმცა აკადემიურ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნული ცნებები ხშირად ურთიერთმონაცვლედ გამოიყენება და მოიცავს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილსა და იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე განგრძობადი დროის განმავლობაში ეფექტიანი კონტროლის მქონე ისეთ სეცესიონისტურ წარმონაქმნებს, რომელთა დამოუკიდებლობაც არ არის ფართოდ აღიარებული.<sup>2</sup> *დე ფაქტო* რეჟიმების თანამედროვე მაგალითებიდან ყურადსაღებია საქართველოს ორ რეგიონში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, არსებული წარმონაქმნები. წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ასევე საინტერესოა

---

<sup>1</sup> საერთაშორისო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სისტემისა და მისი ცალკეული დარგების ნორმების ფორმირებისა და ფუნქციონირების შესახებ იხ. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. იურისტების სამყარო, 2013, გვ. 5-35.

<sup>2</sup> წინამდებარე ნაშრომში *დე ფაქტო* რეჟიმისა და *დე ფაქტო* ხელისუფლების ცნებები ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატად ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება. აღნიშნული ცნებების ანალოგიური განმარტების შესახებ იხ. Bellal A. What Are 'Armed Non-State Actors'? A Legal and Semantic Approach in Hefez E. Kotlik M. and Ventura J. M. (eds.). International Humanitarian Law and Non-State Actors: Debates, Law and Practice. Springer, 2020, გვ. 38; Berg E. Riegel M. and Dobos B. Introduction: Secession and Recognition in the Twenty-first Century in Riegel M. and Dobos B. (eds.). Unrecognized States and Secession in the 21<sup>st</sup> Century. Springer, 2017, გვ. 1-5; Essen J. van. *De Facto* Regimes in International Law. Merkurios, 2012, 28, 74, 31-49, გვ. 31-34.

დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღის, ჩრდილოეთ კვიპროსის, ტაივანის, დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მაგალითებიც. ამასთან, საერთაშორისო სამართლის ჭრილში ასევე კომპლექსური განხილვის სამიზნეა პალესტინისა და კოსოვოს სპეციფიური შემთხვევები, რადგან დღემდე სადავოდ რჩება დამოუკიდებელი სახელმწიფოების რანგში გაეროში მათი გაწევრიანების საკითხი. მეორე მხრივ, პალესტინა უკვე გახდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი სახელმწიფო. თუმცა სასამართლოს იურისდიქციის პალესტინის ტერიტორიაზე გავრცელების საკითხი პრობლემურია და საჭიროებს საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით სახელმწიფოებრიობის ცნებისა და რომის სტატუტის მე-12(3) მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოს ცნების ურთიერთმიმართების დადგენას.<sup>3</sup>

წინამდებარე სადოქტორო კვლევის როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული რელევანტურობის განსაზღვრის ერთ-ერთი წინაპირობა არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და *დე ფაქტო* რეჟიმების ურთიერთმიმართების როგორც სისტემური, ისე ინდივიდუალური განხილვა. მეცნიერული ანალიზის შედეგად შესაძლოა იმ ზოგადი სტანდარტის გამოყოფა, რომლითაც გაირჩევა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასახელმწიფო აქტორის ურთიერთმიმართების სამართლებრივი ბუნება. ამავდროულად, სასამართლოსა და *დე ფაქტო* რეჟიმის, როგორც არასახელმწიფო აქტორის სპეციალური ტიპის, ურთიერთობა საჭიროებს ინდივიდუალურ, შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ რეალობაზე დაფუძნებულ ანალიზს. ფაქტობრივი ასპექტებიდან აღსანიშნავია *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების უნარი, ხოლო სამართლებრივი შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია ამ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტი. აქვე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის უფლებების დაცვის კუთხით, ნებისმიერ ვითარებაში, აუცილებელია ადამიანის უფლებათა სამართლით დაწესებული მინიმალური გარანტიების დაცვა. აღნიშნული გარანტიების დაცვა უნდა იწყებოდეს *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამართალწარმოების დროს და გრძელდებოდეს სისხლის

---

<sup>3</sup> ob. Prosecution Response to the Observations of Amici Curiae, Legal Representatives of Victims, and States, Situation in the State of Palestine (ICC-01/18), Pre-Trial Chamber I, ICC, 30 April 2020.



სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებული პროცედურების დროსაც. ერთ-ერთი ასეთი საკვანძო უფლება არის ერთი დანაშაულებრივი ქმედების გამო ორჯერ გასამართლების აკრძალვა.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არალიარებული არასახელმწიფო აქტორების სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე. ნაშრომი ამავდროულად მიზნად ისახავს დაადგინოს მოიცავს თუ არა რომის სტატუტით გათვალისწინებული *ne bis in idem*, იგივე ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი, *დე ფაქტო* რეჟიმის სასამართლოების მიერ განხორციელებულ პროცედურებს. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული საკითხი არ გამხდარა სამეცნიერო წრეებში ფართო დისკუსიის საგანი და მწირია ამ თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობაც. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია, მოცემულ საკამათო საკითხზე არსებობდეს არგუმენტირებული სამართლებრივი მოსაზრება. მსოფლიოს არაერთ წერტილში ვაწყდებით სიტუაციას, როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებას არ შესწევს სევერენტულ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად განხორციელების უნარი. ასეთ დროს იზრდება ლეგიტიმური ხელისუფლების ტერიტორიული კონტროლის მქონე სეცესიონისტური ძალების მხრიდან ერთგვარი ჩანაცვლების რისკები. დაურეგულირებელი ტერიტორიული კონფლიქტები ხშირად ათწლეულების მანძილზეც კი გრძელდება. ეს, თავის მხრივ, იწვევს სახელმწიფოს განვითარების შეფერხებას, აჩენს მნიშვნელოვან გამოწვევებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, აუარესებს კრიმინოგენურ მდგომარეობას და ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო დანაშაულების ჩასადენად. ეს, თავის მხრივ, იწვევს სახელმწიფოს განვითარების შეფერხებას, აჩენს მნიშვნელოვან გამოწვევებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, აუარესებს კრიმინოგენურ მდგომარეობას და ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო დანაშაულების ჩასადენად. აფხაზეთისა, საქართველო, და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო, დღევანდელი რეალობა, სამწუხაროდ, სწორედ ამგვარ ჩარჩოს ქმნის. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სისხლის სამართლის ჰრილში იურისდიქციული ვაკუუმისა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად არსებითად

მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტრატეგიის ზედმიწევნით განსაზღვრა ზემოთ ნახსენებ განგრძობად კონფლიქტებთან მიმართებით. მიმდინარე წინასწარი მოკვლევისა თუ სამომავლო გამოძიების ეტაპზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაძლოა არაერთხელ მოუწიოს *დე ფაქტო* რეჟიმების მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების შეფასება. საქართველოს, ლიბიის, პალესტინასა და უკრაინის სიტუაციების თაობაზე მიმდინარე გამოძიებისა თუ წინასწარ მოკვლევის კონტექსტში უკვე გამოიკვეთა მსგავსი საკითხები. ამ ეტაპამდე არც სამხრეთ ოსეთში, საქართველო, და არც უკრაინის სეპარატისტულ რეგიონებში ომის დანაშაულებში ეჭვმიტანილ პირებთან მიმართებით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ქრილში სამართალწარმოება არ განხორციელებულა; თუმცა, ვითარება, შესაძლოა, რადიკალურად შეიცვალოს იგივე რუსეთის ფედერაციისა თუ *დე ფაქტო* რეჟიმების შიდა პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილების შემთხვევაში.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანი არის არა მარტო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, არამედ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის საკმაოდ აქტუალური თემა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეთა შორის უკვე გამოითქვა აზრთა სხვადასხვაობა *დე ფაქტო* ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული შიდა პროცედურების სამართლებრივი შეფასების საკითხზე.<sup>4</sup>

ერთი შეხედვით, კომპლემენტარობის პრინციპის ქვეშ სასამართლო მოიაზრებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ეროვნულ დონეზე განხორციელებულ სამართალწარმოებას. აქ იგულისხმება შესაბამისი იურისდიქციის მქონე, ანუ სასამართლოს წესდების ხელშემკვრელი ან არახელშემკვრელი, და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სუვერენული სახელმწიფო, რომლის ეროვნულ სასამართლოებსაც ეფექტიანი სამართლებრივი პროცედურების განხორციელების

---

<sup>4</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia (ICC-01/15), Pre-Trial Chamber I, 27 January 2016, § 40; Separate Opinion of Judge Peter Kovacs, Situation in Georgia (ICC-01/15-12-Anx1), Pre-Trial Chamber I, 27 January 2016, § 63-67.

შესაძლებლობა აქვთ. თუმცა უფრო ფართო ანალიზია საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს არაღიარებული სახელმწიფოს მიერ მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებული მართლმსაჯულებისა და *ne bis in idem* პრინციპის ერთობლივ მოქმედებასთან. ასეთ დროს, რომის სტატუტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და რომის სტატუტის მე-20 მუხლი უნდა განიმარტოს ერთიანობაში, მათი მიზნისა და ობიექტის სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე.<sup>5</sup> მეორე მხრივ, საყურადღებოა თუ როგორია არაღიარებული სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის იურიდიული ძალა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით. დასადგენია, თუ რამდენად შეიძლება საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან არალეგიტიმური ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერად მიჩნევა გაუტოლდეს სეპარატისტული რეგიონის მომავალში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისთვის ნიადაგის მომზადებას. ასევე საკითხავია, იგულისხმება თუ არა რომის სტატუტის მე-17(1)(ა) მუხლით განსაზღვრული „იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს“ ცნების ქვეშ გაეროს არაწევრი სახელმწიფოები. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფრო შორს წავიდეს და ზედმეტად ფართოდ განმარტოს საკუთარი იურისდიქცია. კერძოდ, აღნიშნული ვითარება გვექნება სახეზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სრულად გაავრცელებს კომპლემენტარობის პრინციპის მოქმედებას არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულებაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I წინასასამართლო პალატის მხრიდან ნაწილობრივ უკვე გამოიკვეთა მსგავსი ტენდენცია ლიბიის სიტუაციის კონტექსტში განსახილველ ალ-ვერფალის საქმეზე მსჯელობის დროს.<sup>6</sup>

აღნიშნული აქტუალური სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები, სამართლის პრინციპები და დარგის შესახებ არსებული აკადემიური სამართლებრივი ლიტერატურის წყაროები, მათ შორის,

---

<sup>5</sup> Rome Statute of the International Criminal Court 1998 (შემდგომში „რომის სტატუტი“), 2187 UNTS 90, მე-17 და მე-20 მუხლები; იხ. ასევე Vienna Convention on the Law of Treaties 1969, 1155 UNTS 331, 31-ე(1) მუხლი.

<sup>6</sup> იხ. Prosecutor v. Mahmoud Mustafa Busayaf Al-Werfalli, Second Warrant of Arrest (ICC-01/11-01/17), Pre-Trial Chamber I, ICC, 4 July 2018, § 24-29.

სამეცნიერო სტატიები, წიგნები და სამართლებრივი კვლევები. ამავდროულად, ავტორის მიერ შესწავლილი და განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების, რეგიონული და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა. ნაშრომში სიღრმისეულად არის განხილული პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე სასამართლო გადაწყვეტილებები. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების, რეგიონული სასამართლოებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ორგანოების პრაქტიკის შედარებითი ანალიზის გზით, გამოკვეთილია საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ურთიერთმიმართების თანამედროვე გამოწვევები, პოზიტიური ტენდენციები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში მოცემული დასკვნები, სამეცნიერო ლიტერატურისა და სისხლის სამართლის ტრიბუნალების გადაწყვეტილებების ანალიზთან ერთად, ემყარება *დე ფაქტო* ხელისუფლების სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების აღიარების საკითხთან მიმართებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. სწორედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ერთიანობაში გაანალიზების გზით არის შესაძლებელი პასუხი გაეცეს ნაშრომის მთავარ კითხვას - როგორ შეიძლება ბალანსის დაცვა და სად არის მიჯნა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის დაცვასა და საერთაშორისო მართლმსაჯულების ინტერესების პატივისცემას შორის. აქვს თუ არა ორმაგი დასჯის აკრძალვას ტრანსნაციონალური და აბსოლუტური ხასიათი და რა ხდება იმ დროს, როდესაც ეს პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებული პირის დასჯის რომის სტატუტისეულ ვალდებულებასთან.

წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული სამართლის სისტემის, ისე საერთაშორისო სამართლის სისტემის პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და მკვლევარებისთვის, ისე საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ, ცოდნა გაიღრმავონ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით.

განხორციელებულ კვლევას განსაკუთრებული სამეცნიერო და, ამავდროულად - პრაქტიკული, ღირებულება აქვს საერთაშორისო თუ ეროვნული მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოებისთვის, უფლებადამცველების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადვოკატებისა და მკვლევარებისთვის, რომელთაც შეეხება აქვთ არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებასთან.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, ქვეთავებად დაყოფილი ხუთი ძირითადი თავისა და დასკვნისგან.

ნაშრომის პირველი თავი, საკვლევად შერჩეული კონკრეტული საკითხის კონტექსტის წარმოსაჩენად აანალიზებს საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის სისტემის ერთ-ერთი დარგის, განვითარებასა და ამ ჭრილში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის ისტორიულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

ნაშრომის მეორე თავი განმარტავს კომპლემენტარობის პრინციპის, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უნიკალური მახასიათებლის, თავისებურებებსა და მის მიმართებას ეროვნულ სამართალწარმოებასთან. ამავე თავში არის გაანალიზებული შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერთა მოსაზრებები კომპლემენტარული იურისდიქციის პრაქტიკული ასპექტების შესახებ.

ნაშრომის მესამე თავში აქცენტი კეთდება საერთაშორისო სამართალწარმოების დროს ბრალდებულის უფლებების დაცვაზე, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპსა და სამართლის აღნიშნული პრინციპის მიმართებაზე რომის სტატუტში გათვალისწინებულ სხვა ფუნდამენტურ პრინციპებთან.

ნაშრომის მეოთხე თავი ეხება *დე ფაქტო* რეჟიმების მიერ სამართალწარმოების განხორციელებას. გაანალიზებულია მათი სასამართლო გადაწყვეტილებების ზეგავლენა სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე. განხილულია საერთაშორისო და რეგიონული სასამართლოების პრაქტიკა ოკუპირებულ თუ *დე ფაქტო* ხელისუფლების მმართველობის პირობებში მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვის ჭრილში. ამავე თავში ცალკე ქვეთავი ეთმობა პალესტინის

სახელმწიფოებრიობის საკითხზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ მსჯელობას.

ნაშრომის ბოლო - მეხუთე - თავში გაანალიზებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს სიტუაციაზე მიმდინარე გამოძიება, მისი განვითარების პერსპექტივები და მოცემულ კონტექსტში *დე ფაქტო* ხელისუფლების მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან პოტენციური სამართალწარმოების სამართლებრივი შეფასების საკითხი. კერძოდ, გამოკვლეულია, თუ რამდენად ფარავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქცია სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ პოტენციურად განხორციელებულ სამართალწარმოებას 2008 წლის აგვისტოს ზემოაღნიშნულ კონფლიქტთან მიმართებით.

დასკვნა, ნაშრომში ნაწარმოებ კვლევაზე დაფუძნებული მსჯელობის შედეგად, წარმოაჩენს, თუ რა შემთხვევებში გადაწონის ბრალდებულის უფლება, არ იყოს ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ გასამართლებული, სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესს არ მოხდეს *დე ფაქტო* რეჟიმების მიერ განხორციელებული ქმედებების საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმურ ქმედებად აღიარება. აგრეთვე, კვლევის შედეგად გამოიკვეთება, თუ რამდენად არის შესაძლებელი, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და ბრალდებულის უფლებების კოლიზიის შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული დღის წესრიგის შენარჩუნება და კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა. საბოლოოდ, დასკვნაში ასევე წარმოჩინდება ნაშრომში გამოკვლეული მოსაზრება, რომ *დე ფაქტო* ხელისუფლების არაღიარების პოლიტიკამ შეიძლება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სამართლებრივად შებოჭოს კომპლემენტარობის პრინციპის *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულებაზე გავრცელების კუთხით. თუმცა, როგორც წარმოებული კვლევით წარმოჩინდება, ადამიანის უფლებების დაცვის ფუნდამენტური ინტერესი სასამართლოს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს ბრალდებულის უფლებების დარღვევა რომის სტატუტის სხვა ფუძემდებლურ პრინციპებზე დაყრდნობით.

## 2. გზად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციისკენ

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, ნაწარმოები აკადემიური კვლევის კონტექსტის სრულად წარმოსაჩენად იმის გაანალიზებაა საჭირო, თუ რა გზა განვლო საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამ რომის სტატუტით დაფუძნებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის კომპლემენტარული იურისდიქციის დადგენამდე.

ამ ჭრილში მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ეროვნული სისხლის სამართლის ერთგვარი ერთობის,<sup>7</sup> ელემენტების განხილვა, მისი უნიკალური მახასიათებლების ჭრილში, რომელთა მეშვეობით საერთაშორისო სამართლის ეს შედარებით ახალი დარგი არა მხოლოდ ავტონომიურობით გამოირჩევა, არამედ მნიშვნელოვან გავლენასაც ახდენს როგორც ეროვნული სისხლის სამართლის, ისე საერთაშორისო საჯარო სამართლის განვითარებაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო კი დღეის მდგომარეობით სწორედ დარგის ავტონომიურობისა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, საინტერესოა როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სასამართლოს განვითარების გაანალიზება, ისე საერთაშორისო სამართლის სისტემაში საერთაშორისო სისხლის სამართლის ადგილისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლების ანალიზი; სწორედ ამ საკითხებს ეთმობა ნაშრომის წინამდებარე თავი.

---

<sup>7</sup> Banketas I. and Nash S. *International Criminal Law*. Routledge, 2016, გვ. 1. აღსანიშნავია, რომ 1950 წელს, პირველი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების პრაქტიკის ფონზე, საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტი გეორგ შვარცენბერგერი მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ცალკე დარგს, რადგან მას არ ახასიათებდა ავტონომიურობა და არ გააჩნდა საერთაშორისო აღსრულების საკუთარი სისტემა. შვარცენბერგერის აზრით, საერთაშორისო სისხლის სამართალი უნდა აღქმულიყო როგორც ეროვნული სისხლის სამართლის ფართო აღსრულების მაგალითი. თუმცა მისი ეს მსჯელობა დღევანდელი გადმოსახედიდან რეალობას აღარ შეესაბამება. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსების შედეგად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუციონალიზაციის კუთხით, შეიქმნა აღსრულების უნიკალური მექანიზმი და განმტკიცდა დარგის ავტონომიურობა. იხ. Schwarzenberger G. *The Problem of an International Criminal Law*. *Current Legal Problems*. 1950, 3, 1, 263-296, გვ. 274.

## 2.1 ფიზიკური პირის შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ინტერესების ბალანსი

ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ავითარებდა საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი იურისტი ემერიხ დე ვატელი.<sup>8</sup> მისი აზრით, მეკობრეები და სხვა დამნაშავეები, რომლებიც უღირსი გზებით კლავენ მოწინააღმდეგეებს, შეიძლება გასამართლდნენ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან მათ მიერ ჩადენილი ქმედება ეწინააღმდეგება საყოველთაო უსაფრთხოებას.<sup>9</sup> „უღირსი გზებით ჩადენილ დანაშაულში“ დე ვატელი მოიაზრებდა ანგარებით სიცოცხლის მოსპობას, საწამლავის გამოყენებით მკვლელობას, ხანძრის ფარულად გაჩენით ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას და ა.შ. ის ამავდროულად ითვალისწინებდა კონკრეტული სახელმწიფოების მხრიდან დამნაშავის გასამართლების უპირატესი ინტერესის არსებობას. დე ვატელის აზრით, საერთაშორისო სამართალში აღიარებული იყო მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებულის იმ სახელმწიფოსთვის გადაცემის ვალდებულება, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილი იყო დანაშაულში.<sup>10</sup> ნათელია, რომ დე ვატელი სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესს განეხორციელებინა სამაგალითო მართლმსაჯულება, თუმცა უნივერსალური იურისდიქციის მისეული განმარტების დროს არაპირდაპირ გათვალისწინებული იყო ბრალდებულის უფლებაც წარმდგარიყო იმ სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე, რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევაშიც ედებოდა მას ბრალი. შესაძლოა ერთგვარი პარალელის გავლებაც მე-18 საუკუნეში სამართლის შვეიცარიელი სპეციალისტის მიერ განვითარებულ მსჯელობასა და რომის სტატუტში ნახსენებ კომპლემენტარობისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპებს შორის. კერძოდ, ორივე შემთხვევაში სახეზეა საერთაშორისო საზოგადოების, სახელმწიფოს სუვერენული ინტერესებისა და ბრალდებულის უფლებების ერთგვარი დაბალანსების საჭიროება. აღნიშნული ბალანსი კი, თავის მხრივ, დაცულია უპირატესი

<sup>8</sup> Vattel De E. The Law of Nations: Or, Principles of the Law of Nature, Applied to the Conduct and Affairs of Nations and Sovereigns, Chitty J. (ed.), Cambridge Library Collection – Philosophy. CUP, 2011, გვ. 109, § 233.

<sup>9</sup> *Ibid.*

<sup>10</sup> *Ibid.*



იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს გამოკვეთის გზით. სამი საუკუნის წინ საერთაშორისო სამართალში ბრალდებულის ინტერესების მხოლოდ არაპირდაპირ გათვალისწინებაზე შეიძლება საუბარი, რადგან ნებისმიერი იმდროინდელი ნორმა მორგებული იყო სახელმწიფოების და არა ინდივიდების ინტერესებს. თუმცა საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს სრული დომინირების ეტაპობრივი შეზღუდვის საწინდარი სწორედ საუკუნეების წინ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ჩარჩოში ინდივიდის ინტერესების დაცვის არაპირდაპირ გამოხატულებაში შეიძლება ვეძიოთ. ფიზიკური პირის ინტერესი კი უდავოდ იყო და არის ერთი დანაშაულებრივი ქმედების გამო მხოლოდ ერთ სახელმწიფოში გასამართლება.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემაში ფიზიკური პირის როლის ზრდა გამოიხატა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა სამართლის ჩამოყალიბებაში, არამედ საერთაშორისო დონეზე ინდივიდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნების განვითარებაშიც.<sup>11</sup> მართალია, ფიზიკური პირი არ უნდა იქნეს აღქმული საერთაშორისო სამართლის კლასიკურ სუბიექტად,<sup>12</sup> თუმცა ადამიანის უფლებათა სამართალი ინდივიდს იცავს არა მხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისგანაც. საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული ინდივიდი არ არის განწირული პაიკი, რომლის ფუნქციაც მხოლოდ ძლიერი ფიგურების ანუ სახელმწიფოების ინტერესების გატარებაა. პირიქით, თანამედროვე რეალობაში ცალკე აღებულ ინდივიდსაც შეუძლია მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე როგორც სახელმწიფოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე საკუთარი ინტერესების დაცვა. 21-ე საუკუნეში დიდია ეროვნულ სისხლის სამართალზე ადამიანის უფლებათა სამართლის ზეგავლენა. დემოკრატიულ სახელმწიფოებში დამკვიდრებული ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალური სტანდარტი კი უდავოდ უნდა აისახებოდეს საერთაშორისო სისხლის სამართალშიც.

---

<sup>11</sup> Baars G. Making ICL History: On the Need to move beyond pre-fab critiques of the ICL, in Schwobel C. (ed.), *Critical Approaches to the International Criminal Law*. Routledge, 2014, გვ. 201-202; Scalia D. Use of Human Rights in International Criminal Law: Influence or Appearances of Legitimacy in Hert De P. Slims S. and Holvoet M. *Convergences and Divergences Between International Human Rights, International Humanitarian and International Criminal Law*. Intersentia, 2018, გვ. 29-48; Bassiouni M. Ch. The Proscribing Function of International Criminal Law in the Process of International Protection of Human Rights. *The Yale Journal of World Public Order*, 1982, 1, 9, 193-216, გვ. 194.

<sup>12</sup> ალექსიძე, პირველი *supra* სქოლიო, გვ. 81.

მართალია, ფიზიკურ პირს არ შეუძლია სახელმწიფოს მსგავსად მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნაში, თუმცა საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე ინდივიდუალურად წარდგომის დროს ბრალდებული უნდა სარგებლობდეს მისი უფლებების დაცვის იმ მინიმალური გარანტიებით, რომლითაც სარგებლობს შესაბამის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დროს.<sup>13</sup> მოცემულ შემთხვევაში ტერმინ „შესაბამისი სახელმწიფოს“ გამოყენებით ვგულისხმობთ როგორც ბრალდებულის მოქალაქეობის ქვეყანას, ისე ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომლის იურისდიქციასაც შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში დაექვემდებაროს ბრალდებული. ბუნებრივია, როგორც მოქალაქეობის, ისე შესაბამისი იურისდიქციის მქონე სხვა სახელმწიფოც, მართლმსაჯულების განხორციელების დროს შებოჭილი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა სამართლის მინიმალური სტანდარტებით. საერთაშორისო სისხლის სამართალი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთგვარი რეპრესიული მექანიზმი,<sup>14</sup> არ აძლევს სამართლის ამ დარგს უფლებას საერთაშორისო დონეზე მართლმსაჯულების განხორციელებისას უგულებელყოს ბრალდებულის პროცედურული უფლებები. მართალია, სამართლის ეს დარგი რეპრესიული უფლებადაცვის ქვეშ მოიაზრებს დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესებს, თუმცა ამ ინტერესების საპირწონედ კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებს. აღნიშნული მსჯელობის დასაბუთების მიზნით შემდგომი ქვეთავი მიმოიხილავს ICC-ის დაარსებამდე არსებული სისხლის სამართლის სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკას, რათა სრულყოფილად გაანალიზდეს თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები და გამოიკვეთოს ბრალდებულის უფლებების დაცვის სტანდარტის ევოლუციური განვითარება.

---

<sup>13</sup> Cogan K.J. International Criminal Courts and Fair Trials: Difficulties and Prospects. Yale Journal of International Law, 2002, 1, 27, 112-140, გვ. 117; მაგალითისთვის იხ. Prosecutor v. Anto Furundzija, Appeals Chamber Judgement, IT-95-17/1-A, Appeals Chamber, ICTY, 21 July 2000, § 177-189.

<sup>14</sup> Scalia, მე-11 *supra* სქოლიო, გვ. 29-32.

## 2.2 პირველი ნაბიჯები სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ინსტიტუციონალიზაციისკენ

პირველ მსოფლიო ომამდე მიღებული 1899 წლისა და 1907 წლის ჰააგის კონვენციები და მათში კოდიფიცირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს აკისრებდა მხოლოდ სახელმწიფოებს და არა ფიზიკურ პირებს.<sup>15</sup> არც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის მნიშვნელოვანი მე-19 საუკუნის სხვა ისეთი საერთაშორისო დოკუმენტები როგორცაა 1856 წლის პარიზის დეკლარაცია, 1864 წლის ჟენევის კონვენცია და 1868 წლის სანქტ-პეტერბურგის დეკლარაცია, ითვალისწინებდა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.<sup>16</sup> ნიშნავს თუ არა აღნიშნული მსჯელობა იმას, რომ ომის დანაშაულისთვის ინდივიდის გასამართლების ცნება საერთაშორისო საზოგადოებისთვის არასდროს ყოფილა აქტუალური?

ძველი რომის სახელგანთქმული პოლიტიკოსი ციცერონი მიიჩნევდა, რომ ომის დროს სამართალი მუნჯია (*inter arma enim silent leges*). თუმცა ისტორიამ გვიჩვენა, რომ ომსაც აქვს ჩარჩოები და ამ ჩარჩოებიდან გასვლის შემთხვევაში ჯარისკაცი შეიძლება დასჯილიყო არა მხოლოდ მოწინააღმდეგის მხრიდან, არამედ საკუთარი ძალებისა თუ თავად ღმერთის მხრიდანაც.<sup>17</sup> საომარ ვითარებაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ოდითგანვე ექცეოდა გარკვეულ მორალურ ჩარჩოებსა და რეგულაციებში, რისი დასტურიც შეიძლება იყოს მსოფლიო მართლწესრიგში „სამართლიანი ომის“ ცნების აღმოცენება და უმიზეზოდ ან უსამართლოდ ომის გაჩაღების,<sup>18</sup> ასევე ომის დროს ჩადენილი დანაშაულების დაგმობა. მაგალითად, პირველი მუსლიმი ხალიფა აბუ ბაქრი კრძალავდა საომარ ვითარებაში უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების

---

<sup>15</sup> Convention (II) with Respect to the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 29 July 1899; Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907; Schabas A. W. An Introduction to the International Criminal Law. CUP, 2004, გვ.2.

<sup>16</sup> Sandoz Y. The History of the Grave Breaches Regime. Journal of International Criminal Justice, 2009, 7, 4, 657-682, გვ. 658.

<sup>17</sup> Bryant S. M. A World History of War Crimes: From Antiquity to the Present, Bloomsbury, 2015, გვ. 110-140; ob. Neff C. S. War and the Law of Nations: A General History. CUP, 2005, გვ. 45-73.

<sup>18</sup> Bryant, მე-17 *supra* სქოლიო, გვ. 21-57.

მკვლევლობას, ხოლო ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლი სალადინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ომში დაჭრილი მოწინააღმდეგეების მოვლა-პატრონობას, ომის დროს მტრისთვის მიცემული დაპირების შესრულებასა და შეთანხმებული პირობების დარღვევის შემთხვევაში საპასუხო ძალის გამოყენების შესაძლებლობას.<sup>19</sup>

თუმცა ერთი საკითხია ომის დროს ჩადენილი დანაშაულისა თუ თავად ომის მორალური განსჯა, ჰუმანურობისა თუ რაინდული ბუნების გამომჟღავნება, ხოლო მეორე საკითხია ომის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის პირის ინდივიდუალურად გასამართლება. ბრძანების დაუმორჩილებლობისთვის მეთაურს ნებისმიერ ეპოქაში შეეძლო დაესაჯა ქვეშევრდომი. მტრის ხელში ჩაგდების შემთხვევაში მეტოქეს შეეძლო შურისძიების მიზნითაც მოეკლა შეპყრობილი ტყვე. არსებობს უამრავი ისტორიული ფაქტი იმის შესახებ თუ როგორ იძიეს შური და დასაჯეს გამარჯვებულმა ძალებმა დამარცხებული მტრები. თუმცა ეს ფაქტები ნამდვილად არ გამოგვადგება საერთაშორისო მართლმსაჯულების მაგალითებად, რადგან სასამართლოს გარეშე განხორციელებული შურისძიება შორს დგას ობიექტურობისა და სამართლიანობის ცნებებისგან. ისტორიულ წყაროებში ომის დანაშაულისთვის ფიზიკური პირის გასაერთაშორისოებული გასამართლების პირველი პრეცედენტი გვხვდება მე-15 საუკუნის ევროპაში. კერძოდ, ბურგუნდიის საჰერცოგოს ალზასის ტერიტორიის მმართველი - პიტერ ფონ ჰაგენბახი გასამართლდა ცენტრალური ევროპის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სასამართლოს მიერ. მას ბრალი ედებოდა ქალაქ ბრაიზიახის ოკუპაციის დროს ჩადენილი მკვლევლობის, გაუპატიურებისა და „ღვთისა და კაცთა“ სამართლის ნორმების დარღვევაში.<sup>20</sup> 1474 წელს, *ad hoc* სასამართლოს მიერ ჰაგენბახის დამნაშავედ ცნობა და მისთვის თავის მოკვეთა მეტწილად განაპირობა მის დაქვემდებარებაში მყოფი მეომრების მხრიდან ქალების მასობრივმა გაუპატიურებამ და მათი ამ უღირსი საქციელის მართვის ერთგვარ მეთოდად დამკვიდრებამ. თუმცა ეს ისტორიული

<sup>19</sup> იხ. Munir M. The Layha for the Mujahideen: an analysis of the code of conduct for the Taliban fighters under Islamic law. *International Review of the Red Cross*, 2011, 93, 881, 81-102, გვ. 93; Bryant, მე-17 *supra* სქოლიო, გვ. 110-150.

<sup>20</sup> Gordon S. G. The Trial of Peter von Hagenbach in Heller K. and Simpson G. (eds.), *The Hidden History of War Crimes Trials*. OUP, 2013, გვ. 14-19.

პრეცედენტი არ გამხდარა საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე ომის დანაშაულების განსჯის შემდგომი სისტემატიზაციისა და ერთგვარ პრაქტიკად ჩამოყალიბების საწინდარი.

ომის დანაშაულისთვის ეროვნულ დონეზე მკვეთრად გამოხატული სანქციების რეჟიმი პირველად შეიმჩნევა 1863 წლის „ლიბერის კოდექსში“.<sup>21</sup> ამერიკის სამოქალაქო ომის დროს პროფესორ ფრენსის ლიბერის მიერ შემუშავებული და პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის მიერ მიღებული რეკომენდაციები წარმოადგენდა საომარი მოქმედებების ჰუმანიტარული სულისკვეთებით რეგულირების მკაფიო მაგალითს. კერძოდ, „ლიბერის კოდექსის“ მიხედვით, სამხედრო აუცილებლობის პრინციპის დაცვის თანმდევი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო შურისძიების მიზნით ჩადენილი სასტიკი ქმედება. ასევე აკრძალული იყო აღიარების მოპოვების მიზნით სამხედრო ტყვეების წამება, ვერაგობა, საწამლავის გამოყენება და სხვ. ომის წესების ზემოაღნიშნული დარღვევები უნდა დასჯილიყო ამერიკის ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ლიბერისთვის ჯარის მოკლევადიანი სამხედრო მიზნების მიღწევაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ჯარში მორალური სტანდარტის დამკვიდრება, რითაც ჯარის ლეგიტიმურობის გრძელვადიანი მიზანი განმტკიცდებოდა და ერის მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის შეიქმნებოდა სათანადო ნიადაგი.<sup>22</sup> შესაბამისად, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად ომის მოგება არ იყო ლიბერისთვის მისაღები ალტერნატივა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხებოდა სამოქალაქო ომს.

ამერიკის კონტინენტის პარალელურად ევროპის კონტინენტზეც მიმდინარეობდა ომის დანაშაულების კოდიფიკაცია, თუმცა უფრო მასშტაბურ დონეზე. ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯარისკაცების მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ 1864 წლის ჟენევის პირველი საერთაშორისო კონვენციის მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ღიად გაიჟღერა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსების თემამ. 1872 წელს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა -

---

<sup>21</sup> Instructions for the Government of Armies of the United States in the Field (Lieber Code), 24 April 1863, ხელმისაწვდომია <https://ihl-databases.icrc.org/ihl/INTRO/110>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>22</sup> Sandoz, მე-16 *supra* სქოლიო, გვ. 659-663.

შვეიცარიელმა იურისტმა გუსტავ მუანიემ ფრანკო-პრუსიული ომის შედეგების ფონზე წარადგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოდელი, რომლის საფუძველიც უნდა ყოფილიყო მის მიერ შემუშავებული ათმუხლიანი კონვენციის პროექტი.<sup>23</sup> თუმცა ტრიბუნალის ექსკლუზიურმა იურისდიქციამ და მეომარი სახელმწიფოებისთვის ტრიბუნალის დაფინანსების ვალდებულების დაკისრების საკითხმა სახელმწიფოთა მხრიდან არ დაიმსახურა მოწონება და მუანიეს შეთავაზება მხოლოდ ინიციატივად დარჩა.<sup>24</sup>

საერთაშორისო დონეზე პირის გასამართლების საკითხი ხელმეორედ აქტუალური გახდა უკვე მეოცე საუკუნის პოლიტიკურ დღის წესრიგში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაიზერ ვილჰელმ II-ის დასჯის განუხორციელებელმა იდეამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართალში ინდივიდის, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულების მატარებელი პირის, ცნების განვითარებას.<sup>25</sup> გერმანიის იმპერიის მარცხის ფონზე კაიზერმა თავი ნიდერლანდებს შეაფარა, რომელმაც უარი თქვა გამარჯვებული სახელმწიფოებისთვის (ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და მოკავშირეთა შემადგენლობაში მყოფი სხვა ქვეყნები) კაიზერის გადაცემაზე. ომის დანაშაულისთვის პირის სისხლისსამართლებრივი წესით ეროვნულის ნაცვლად საერთაშორისო დონეზე გასამართლების საკითხმა რეალური გამოხატულება იპოვა და რამდენიმე ეტაპად განვითარდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების პარალელურად. პრაქტიკაში აღნიშნულმა იდეამ ხორცი შეისხა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალისა და ტოკიოში განთავსებული შორეული აღმოსავლეთისთვის შექმნილი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის დაარსებით.<sup>26</sup> მეორე მსოფლიო ომის სისასტიკემ და მასშტაბურმა მსხვერპლმა პოლიტიკურ წრეებსა და მოსახლეობაში განამტკიცა იდეა, რომ შეუძლებელია მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევა სამაგალითო მართლმსაჯულების, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე

---

<sup>23</sup> Hall K. C. The First Proposal for a Permanent International Court. *International Review of the Red Cross*, 1998, 57-74, გვ. 57-61.

<sup>24</sup> Hall, 23-ე *supra* სქოლიო, გვ. 57-61.

<sup>25</sup> Bassiouni M.Ch. Human Rights and International Criminal Justice in the Twenty-First Century: The End of the Post-WWII Phase and the Beginning of an Uncertain New Era in Deguzman M. and Amman M.D. (eds.). *Arcs of Global Justice: Essays in Honour of William A. Schabas*. OUP, 2018, გვ. 8.

<sup>26</sup> Schabas, მე-15 *supra* სქოლიო, გვ. 5-7.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე. თუმცა გზა გამარჯვებულთა მართლმსაჯულებიდან ჭეშმარიტ საერთაშორისო მართლმსაჯულებამდე არც თუ ისე მარტივი გასავლელი გამოდგა და დღემდე ამ გზაზე მთავარ წინაღობად უმეტეს შემთხვევაში სწორედ ზესახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესები გვევლინება.

### **2.2.1 მეორე მსოფლიო ომის სამართლებრივი მემკვიდრეობის თუ ზესახელმწიფოთა პოლიტიკური მოტივების კვალდაკვალ**

1945 წლის 8 აგვისტოს, აშშ.-ს, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების თითქმის ორთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ხელი მოეწერა ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის დაარსების შესახებ შეთანხმებას. აღნიშნული ხელშეკრულება ცნობილია ლონდონის ქარტიის სახელით.<sup>27</sup> შესაბამისად, ისტორიაში პირველად დაარსდა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანო, რომლის წესდებაც განისაზღვრა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ.<sup>28</sup> ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდებოდა: მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, მათ შორის, აგრესიული ომის დაგეგმვაზე, მომზადებასა და წამოწყებაზე; ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციებით განსაზღვრულ ომის დანაშაულებზე და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კატეგორიას მიეკუთვნებოდა შემდგომში კოდიფიცირებული გენოციდის დანაშაულის შემადგენელი ისეთი ქმედებები, რომელთაც თავიანთი მასშტაბით შეეძლოთ „შეეძრათ კაცობრიობა.“ 1945 წლის ოქტომბერში, ტრიბუნალის დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გერმანიის ნაცისტური რეჟიმის 24 მნიშვნელოვანი წარმომადგენელი უკვე ბრალდებული იყო ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობაში. ნიურნბერგში გამოტანილი განაჩენების საფუძველზე ბრალდებულთა დიდ ნაწილს მიესაჯა ჩამოხრჩობა ან ხანგრძლივი პატიმრობა.<sup>29</sup>

<sup>27</sup> United Nations, Agreement for the prosecution and punishment of the major war criminals of the European Axis ("London Agreement"), 8 August 1945, 82 U.N.T.C. 280.

<sup>28</sup> *Ibid.*

<sup>29</sup> Ferencz B.B. International Criminal Courts: The Legacy of Nuremberg. *Pace International Law Review*, 1998, 1, 10, 214-216.

ლონდონის ქარტიის მიხედვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს უფლება მიეცათ მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაეგრძელებინათ მართლმსაჯულების განხორციელება, რასაც მოჰყვა 1946-1949 წლებში ნიურნბერგშივე აშშ.-ს სამხედრო ტრიბუნალის მიერ გერმანელი სამედიცინო პერსონალის, ინდუსტრიალისტების, მოსამართლეებისა თუ სხვა დამნაშავეების წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები. ასევე ცნობილი როგორც „12 შემდგომი სასამართლო პროცესი“.<sup>30</sup>

შორეული აღმოსავლეთის (ტოკიოს) საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი დაკომპლექტდა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიასთან მეზობელი 11 სახელმწიფოს წარმომადგენლისგან. ტრიბუნალის წინაშე წარდგინეს იაპონელი მინისტრები, ელჩები, ადმირალები და გენერლები. იაპონელთა დიდი ნაწილი ტრიბუნალს აღიქვამდა როგორც მხოლოდ შურისძიების და არა მართლმსაჯულების აქტს, განსაკუთრებით ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის ფონზე.<sup>31</sup> ტოკიოს ტრიბუნალზე 25 ბრალდებული მაღალჩინოსნიდან შვიდს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 16 პირს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ერთ პირს ოცი წლით პატიმრობა, ხოლო ერთ პირს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>32</sup> არსებული სამართლებრივი ხარვეზების, კრიტიკისა თუ დამარცხებული სახელმწიფოების მოსახლეობის მხრიდან უნდობლობისა მიუხედავად, ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაცობრიობა მომწიფებული იყო ყველაზე მძიმე დანაშაულების თაობაზე საერთაშორისო მართლმსაჯულების განსახორციელებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული ორივე ტრიბუნალის ხარვეზები ერთგვარი გაკვეთილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების დროს მეორეხარისხოვანი უნდა იყოს ზესახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესები და გადამწყვეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

<sup>30</sup> Cassese A. et al. (ed.). The Oxford Companion to International Criminal Justice, OUP, 2009, გვ. 779.

<sup>31</sup> Ferencz, 29-ე *supra* სქოლიო, გვ. 217.

<sup>32</sup> Boister N. The Tokyo Trial in Schabas W. A. and Bernaz N. (eds.). Routledge Handbook of International Criminal Law, Routledge, 2011, გვ. 17.



## 2.2.2 ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების თანმდევი პროცესი

საერთაშორისო საზოგადოება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხედავდა არა მხოლოდ დამნაშავეთა ინდივიდუალური დასჯისა და რეპრესიული პოლიტიკის გატარების, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით ერთიანი მიდგომის (სამართლებრივი ჩარჩოს) შემუშავების საჭიროებასაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედი, მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა პატივისცემას, აღიარებს-რა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ ვალდებულებას.<sup>33</sup> 1948 წელს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება.<sup>34</sup> გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენცია, როგორც გაეროს ეგიდით მიღებული ადამიანის უფლებათა დამცავი პირველი მბოჭავი ინსტრუმენტი, გენოციდს განსაზღვრავდა არა როგორც საომარ სიტუაციასთან დაკავშირებულ დანაშაულს ან/და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთ ტიპს, არამედ როგორც საერთაშორისო სამართლით აკრძალულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომლის ჩადენაც შეიძლებოდა როგორც მშვიდობიანობის, ისე საომარ პერიოდში.<sup>35</sup> შესაბამისად, გაეროს ქარტიის მიღებიდან ოთხი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი ბევრად უფრო მაღალ დონეზე განვითარდა ვიდრე მხოლოდ საომარი მოქმედებების უარყოფითი ზემოქმედებისგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისთვის იყო საჭირო.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი, როგორც სამართლებრივად მბოჭავი საერთაშორისო დოკუმენტი, განამტკიცებს ჩვეულებითი სამართლით აღიარებულ ადამიანის საყოველთაო უფლებებს, რომელთა განუხრელი დაცვის ვალდებულებაც ეკისრებათ პაქტის ხელშემკვრელ

<sup>33</sup> Charter of the United Nations 1945, 1 UNTS XVI, (შემდგომში „გაეროს ქარტია“), 1-ლი(3) და 55-ე(გ) მუხლები.

<sup>34</sup> UN General Assembly, Universal Declaration of Human Rights, 10 December 1948, 217 A (III), (შემდგომში „UDHR“).

<sup>35</sup> Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide 1948, 78 UNTS 57; Reydam L. Universal Jurisdiction, International and Municipal Legal Perspectives. OUP, 2004, გვ. 47.

სახელმწიფოებს.<sup>36</sup> ICCPR-ს ამავდროულად აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან მისი მიღებით საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოთა სუვერენული ინტერესები შეიზღუდა გარკვეული ფარგლებით.

ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარების პარალელურად იზრდებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აკრძალული ქმედებების საერთაშორისო დონეზე კრიმინალიზაციის საჭიროებაც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ცივი ომის პერიოდში, ორპოლუსიანი საერთაშორისო საზოგადოება არ იყო მზად საერთაშორისო დონეზე ინდივიდთა გასამართლებისკენ მორიგი ნაბიჯების გადასადგმელად. ამ დროს უფრო თვალსაჩინო იყო ეროვნულ დონეზე საერთაშორისო დამნაშავეთა გასამართლების პრაქტიკა. უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულებისთვის პირთა გასამართლების საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოთხოვნის აქტუალურობაზე მეტყველებს თუნდაც მოსადის მიერ არგენტინიდან ადოლფ აიხმანის გატაცება და შემდეგ ისრაელის სასამართლოში მისი სამაგალითო გასამართლება, საფრანგეთში კლაუს ბარბისა და პოლ ტუვიეს, ხოლო კანადაში იმრე ფინტას სასამართლო პროცესები.<sup>37</sup> ნაციისტური რეჟიმის წარმომადგენლების ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე გასამართლებამ საფუძველი ჩაუყარა ცივი ომის დასრულების შემდეგ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, გენოციდისა და ომის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების საერთაშორისო დონეზე განსჯის პოლიტიკურ მოთხოვნას. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს ეგიდით დაარსებული სისხლის სამართლის ორი *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალი იყო ზემოაღნიშნული მოთხოვნის პრაქტიკული გამოხატულება.

<sup>36</sup> International Covenant on Civil and Political Rights 1966, 999 UNTS 171.

<sup>37</sup> Powderly J. The Trials of Eichmann, Barbie and Finta in Schabas W. A. and Bernaz N. (eds.). Routledge Handbook of International Criminal Law, Routledge, 2011, გვ. 33-40.

### 2.2.3 გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული *ad hoc* ტრიბუნალები როგორც ერთგვარი რეპეტიცია

1991 წლიდან იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლასთან დაკავშირებული კონფლიქტების დროს ჩადენილი მასშტაბური დანაშაულები, მათ შორის სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები და ბოსნიურ საკონცენტრაციო ბანაკებში ეთნიკური წმენდის პრაქტიკა იყო ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰოლოკოსტის მსგავსი ყველაზე შემზარავი მოვლენა. ნათელი გახდა, რომ კაცობრიობის ისტორიული მახსოვრობა მოკლეა და მყარი საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიების გარეშე არარეალურია ყველაზე მძიმე და მასშტაბური საერთაშორისო დანაშაულების პრევენცია. ევროპის კონტინენტზე გაჩაღებულ კონფლიქტთან ერთად საერთაშორისო საზოგადოების მორიგი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო იმავე პერიოდში აფრიკაში მიმდინარე მოვლენები. კერძოდ, რუანდის 1994 წლის სამოქალაქო ომის დროს ტუტსი მოსახლეობის მიერ ჰუტუ მოსახლეობის მასობრივი და სასტიკი დევნა, რომელმაც გენოციდის სახე მიიღო. აღნიშნული მოვლენების ფონზე გაეროს უშიშროების საბჭო იძულებული აღმოჩნდა გაეროს ქარტიის მე-7 თავით გათვალისწინებული მანდატის ფარგლებში ერთგვარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა აეღო გენოციდისა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის არაეფექტიანობისა და უმოქმედობის გამო. შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭომ დაარსა ორი *ad hoc* ტრიბუნალი. შეიძლება ითქვას, რომ მთავრმა მსოფლიო პოლიტიკურმა ორგანომ საფუძველი ჩაუყარა ზესახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დროებითი ორგანოების დაარსებას. 1993 წელს, შესაბამისი წესდების მიღების შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭომ დაარსა ქალაქ ჰააგაში მდებარე ICTY, ხოლო 1994 წელს, დაარსა ტანზანიის ქალაქ არუშაში მდებარე ICTR. *Ad hoc* ტრიბუნალების იურისდიქცია გავრცელდა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის (ასევე რუანდის მოსაზღვრე სახელმწიფოების)

ტერიტორიაზე შესაბამისად 1991 წლიდან (ICTY-ის შემთხვევაში) და 1994 წელს (ICTR-ის შემთხვევაში) ჩადენილ დანაშაულებზე.<sup>38</sup>

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული ზემოაღნიშნული ორი ტრიბუნალის კომპეტენცია ვრცელდებოდა ომის დანაშაულებზე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და გენოციდზე. დანაშაულები ჩადენილი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ხასიათის შეარაღებული კონფლიქტისა და საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეარაღებული კონფლიქტის (რუანდის შემთხვევაში) დროს.

ტრიბუნალების კანონიერების საკითხზე არაერთი მოსაზრება გავრცელდა, მათ შორის, აღსანიშნავია ICTY-ის მიერ განხილული პირველი საქმე. ბოსნიელ სერბთა გასამხედროებელი ძალების საშუალო რანგის მეთაურის - დუსკო ტადიჩის საქმეში დაცვის მხარე, *inter alia*, სადავოდ ხდიდა ა) ICTY-ის დაარსების კანონიერებას; ბ) ტრიბუნალის უპირატეს იურისდიქციას ეროვნულ სასამართლოებთან მიმართებით; გ) თავად ტრიბუნალის უფლებას ჰქონოდა საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძველი (subject-matter jurisdiction).<sup>39</sup> მოცემულ საკითხებთან მიმართებით ICTY-ის სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მას გააჩნდა სამართალწარმოების სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელი ელემენტი. კერძოდ, ჰქონდა კომპეტენცია დაედგინა საკუთარი იურისდიქციის ფარგლები და ამავდროულად კანონიერად მიაჩნდა გაეროს ქარტიის მე-7 თავის ფარგლებში გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან სასამართლო ორგანოს დაარსებაც.<sup>40</sup>

90-იანი წლების ორი *ad hoc* ტრიბუნალის პრაქტიკა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ სათანადო ყურადღება დაეთმო საერთაშორისო დონეზე ინდივიდის გასამართლების დროს ბრალდებულის უფლებების დაცვას.<sup>41</sup> მანამდე არსებულ ნიურნბერგისა და

---

<sup>38</sup> UN Security Council, Statute of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia (as amended on 17 May 2002), 25 May 1993, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3dda28414.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020; UN Security Council, Statute of the International Criminal Tribunal for Rwanda (as last amended on 13 October 2006), 8 November 1994, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/3ae6b3952c.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>39</sup> Prosecutor v. Dusko Tadic, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, IT-94-1-A, ICTY, 2 October 1995, § 2.

<sup>40</sup> *Ibid.*, § 18 და § 36.

<sup>41</sup> იხ. მაგალითისთვის Prosecutor v. Kupreskic et al. Appeals Chamber Judgement, IT-95-16-A, ICTY, 23 October 2001, § 100; Zappala S. Human Rights in International Criminal Procedures. OUP, 2005, გვ. 2.

ტოკიოს ტრიბუნალებზე ბრალდებულთა უფლებათა დაცვის საკითხს არ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება, რადგან თავად ადამიანის უფლებათა სამართალი არ იყო საკმარისად განვითარებული.<sup>42</sup> განსხვავებული ვითარება იყო სახეზე მეოცე საუკუნის ბოლოს. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ *ad hoc* ტრიბუნალების დაარსება იყო სამართლიანობის აღსრულების გზით საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ წინგადადგმული ნაბიჯი. უფრო მეტიც, აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა ერთგვარ აღიარებას, რომ ეროვნული მართლმსაჯულების სისტემა უუნარო იყო პირნათლად შეესრულებინა საკუთარი ფუნქცია და საჭირო იყო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მისი ჩანაცვლება. ამავდროულად, მართლმსაჯულების აღსრულება როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისკენ მიმართული ქმედება წარმოუდგენელი ამოცანა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცეოდა ტრიბუნალის წინაშე წარმდგარი პირების უფლებების ისეთ დაცვას, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ადამიანის უფლებათა სამართლით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებთან. სწორედ ამიტომ, რომის სტატუტის მიღების (ICC-ის დაარსების) დროს, საერთაშორისო მართლმსაჯულების ინტერესების პარალელურად გათვალისწინებული იყო ბრალდებულის ინტერესებიც.<sup>43</sup> ნაშრომის ცალკე ქვეთავი ეძღვნება საერთაშორისო ტრიბუნალების წინაშე ბრალდებულთა უფლებების, მათ შორის ორმაგი დასჯის აკრძალვის უფლების შედარებით ანალიზს. თუმცა მანამდე საჭიროა შემდეგ ქვეთავში დეტალურად მიმოვიხილოთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსება, მისი ფუნქციები და რომის სტატუტით განმტკიცებული სხვა ძირითადი პრინციპები.

### 2.3 რომის სტატუტით დადგენილი სამართლებრივი დღის წესრიგი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ეროვნული მართლმსაჯულების უუნარობის შემთხვევაში სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული ოთხი ძირითადი დანაშაულის ანუ ადამიანის უფლებათა

<sup>42</sup> Zappala, 41-ე *supra* სქოლიო, გვ. 2.

<sup>43</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 55-ე, 59-ე და 67-ე მუხლები; Megret F. International Criminal Justice – A Critical Research Agenda in Schwobel C. (ed.). Critical Approaches to International Criminal Law, Routledge, 2014, გვ. 27.

ყველაზე უხეში დარღვევის ფაქტების საერთაშორისო დონეზე განსჯა. ICC-ის დაარსების რეალური წინაპირობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლემ საერთაშორისო სამართლის კომისიას დაავალა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციით გათვალისწინებული პოტენციური საერთაშორისო სასამართლოს წესდების შემუშავება.<sup>44</sup> აღნიშნული საკითხი, ზესახელმწიფოების პოლიტიკური დაპირისპირებიდან გამომდინარე, არ იყო აქტუალური ცივი ომის პერიოდში. ცივი ომის დასრულება და 90-იან წლებში ორი *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნება ერთგვარი წინაპირობა აღმოჩნდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საკითხზე სახელმწიფოთა მობილიზებისთვის.<sup>45</sup> აღნიშნულ თემაზე ტექნიკური მუშაობის განახლების ინიციატორი კი ლათინური ამერიკის ქვეყნები, უპირველესად ტრინიდადი და ტობაგო აღმოჩნდა. კარიბის აუზის ამ კუნძულოვან სახელმწიფოს ინტერესი ჰქონდა კრიმინალთან წინააღმდეგ ბრძოლაში მეტი დახმარება მიეღო უფრო მძლავრი რესურსების მქონე სახელმწიფოებისგან. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსებით, ტრინიდადი და ტობაგოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შემდგომში პრეზიდენტი არტურ რობინსონი იმედოვნებდა, რომ უფრო მეტი ბერკეტი გაჩნდებოდა საერთაშორისო კრიმინალებთან საბრძოლველად. 1989 წლის გაეროს გენერალური ასამბლეს სესიაზე რობინსონმა ღიად განაცხადა სურვილი საერთაშორისო ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა მომხდარიყო ტრანსნაციონალური ნარკოკარტელების წევრების საერთაშორისო დონეზე გასამართლების გზით.<sup>46</sup> აღნიშნული ინიციატივის საპასუხოდ გაეროს გენერალურმა ასამბლემ საერთაშორისო სამართლის კომისიას კვლავ დაავალა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაზე მუშაობა.<sup>47</sup> 1994 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ წარადგინა წესდების სამუშაო ვერსია, რომელშიც ნათლად იკვეთებოდა ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი ტრიბუნალის წესდების

---

<sup>44</sup> Schabas, მე-15 *supra* სქოლიო, გვ. 5-18.

<sup>45</sup> Schabas, მე-15 *supra* სქოლიო, გვ. 9-12; ხუციშვილი ქ. გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 45.

<sup>46</sup> Kittichaisaree K. International Criminal Law. OUP, 2001, გვ. 27.

<sup>47</sup> UN GA Res. 44/39, 4 December 1989, UN GAOR 1989.

ზეგავლენა.<sup>48</sup> აქცენტი აღარ გაკეთებულა ტრანსნაციონალურ კრიმინალურ სინდიკატებთან ბრძოლაზე, რადგან პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საერთაშორისო საზოგადოებისთვის უფრო აქტუალური დანაშაულები. ILC-ის მუშაობის განახლების შემდეგ კიდევ უფრო მყარი საფუძველი შეიქმნა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაარსებლად. სასამართლოს სავარაუდო წესდების ტექსტი ოთხი წლის მანძილზე აქტიურად განიხილებოდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოს შექმნისთვის სპეციალურად დაარსებულ კომიტეტებში.<sup>49</sup> საბოლოოდ, 1998 წელს რომში ჩატარდა დიპლომატიური კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისოს სასამართლოს დაარსების საკითხზე, სადაც წარმოდგენილი იყო 160 სახელმწიფო. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა პროკურორის უფლებამოსილების, გაეროს უშიშროების საბჭოს ვეტოს უფლების, აგრესიის დანაშაულის დეფინიციისა და სახელმწიფოთა სუვერენულ საქმეებში სასამართლოს ჩარევის შესაძლებლობის საკითხებზე.<sup>50</sup> სასამართლოს დაარსების იდეას ყველაზე სკეპტიკურად უყურებდნენ აშშ, ჩინეთი, ისრაელი და რუსეთი.<sup>51</sup> სხვა სახელმწიფოებისთვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდა რომის სტატუტის არაწევრ სახელმწიფოებზე სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობა და პროკურორის მხრიდან *proprio motu* გამოძიების დაწყების უფლებამოსილება.<sup>52</sup> თუმცა სახელმწიფოების უმრავლესობა დათანხმდა კომპრომისულ ვარიანტს, რომლითაც პროკურორის უფლებამოსილება გამოძიების საკუთარი ინიციატივით დაწყების ნაწილში შეიზღუდა სასამართლო კონტროლით. კერძოდ, წინასასამართლო პალატის მხრიდან აუცილებელი ავტორიზაციის ელემენტის შემოღებით პროკურორის გადაწყვეტილება დაექვემდებარა დამატებითი კონტროლის მექანიზმს. აღნიშნული კომპრომისით შემცირდა ICC-ის მთავარი პროკურორის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თეორიული რისკები. შედეგად, რომის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობამ

<sup>48</sup> Kittichaisaree, 46-ე *supra* სქოლიო, გვ. 27-29.

<sup>49</sup> Kittichaisaree, 46-ე *supra* სქოლიო, გვ. 27-29.

<sup>50</sup> Schabas, მე-15 *supra* სქოლიო, გვ. 15-17; Kittichaisaree, 46-ე *supra* სქოლიო, გვ. 36-37.

<sup>51</sup> Stahn C. A Critical Introduction to International Criminal Law. CUP, 2019, გვ. 195.

<sup>52</sup> Ballin Hirsh E. The Value of the International Criminal Justice: How Much International Criminal Justice can the World Afford? *International Criminal Law Review*, Brill Nijhoff, 2019, 4, 201-213, გვ. 203.

მხარი დაუჭირა რომის სტატუტის სახელით ცნობილი სასამართლოს წესდების მიღებას. რომის სტატუტი ძალაში შევიდა და სასამართლო ამოქმედდა 2002 წელს. 2020 წლის მდგომარეობით აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებულია 123 სახელმწიფოს მიერ.<sup>53</sup> აღსანიშნავია, რომ აშშ-ს და რუსეთის ფედერაციას არ მოუხდენიათ სტატუტის რატიფიცირება. უფრო მეტიც, მათ ხელშეკრულებაზე თავდაპირველად გაკეთებული ხელმოწერაც კი უკან გაიწვიეს. ასევე რომის სტატუტისთვის ხელი არ მოუწერიათ ისეთ სახელმწიფოებს როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და საუდის არაბეთი. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით სასამართლოს უნივერსალურობა მხოლოდ აუხდენელ მიზნად უნდა წარმოვიდინოთ სწორედ რომ ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლოს გააქტიურებამ და რეალური დამოუკიდებლობისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა კიდევ უფრო გააღრმავა ICC-სა და ზემოთ ჩამოთვლილ ზესახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური უფსკრული.

ICC-ის უნიკალური თვისებებიდან აღსანიშნავია, რომ ის არის პირველი მუდმივმოქმედი და ინსტიტუციურად დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც დაფუძნებულია სუვერენულ სახელმწიფოებს შორის გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულებით. წინამორბედი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისგან განსხვავებით, ICC არ არის დაარსებული გაეროს უშიშროების საბჭოს ან ომში გამარჯვებული ძლევამოსილი სახელმწიფოების მიერ. ეს ფაქტი კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას დემოკრატიული სახელმწიფოებისა და სხვა ისეთი მცირე ზომის სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მსოფლიო თუ რეგიონული ჰეგემონიის სერიოზული ინტერესები.

თუმცა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბრისას ნაშრომის ავტორის მიერ შეგნებულად არის გამახვილებული ყურადღება დიდი გეოპოლიტიკური აქტორების მხრიდან სასამართლოზე ზეგავლენის სხვადასხვა ბერკეტზე, როგორც ჭეშმარიტი

---

<sup>53</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია [https://asp.icc-cpi.int/en\\_menus/asp/states%20parties/pages/the%20states%20parties%20to%20the%20rome%20statute.aspx](https://asp.icc-cpi.int/en_menus/asp/states%20parties/pages/the%20states%20parties%20to%20the%20rome%20statute.aspx), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 5 მარტი 2020.



მართლმსაჯულების შემაფერხებელ გარემოებაზე. აღნიშნულის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ 2019 წელს აშშ-ს მიერ სასამართლოს მთავარი პროკურორისთვის ვიზის გაუქმება, 2020 წელს ICC-ის მაღალი თანამდებობის პირებისთვის აშშ-ს მხრიდან სანქციების შემოღების მუქარა და 2019 წელსვე ICC-ის წინასასამართლო პალატის მხრიდან ავღანეთის სიტუაციის გამოძიებაზე პოლიტიკური დაბრკოლებების გამო უარის თქმა.<sup>54</sup> კერძოდ, ავღანეთის სიტუაციის გარშემო მიმდინარე პერიპეტიები ეხებოდა რომის სტატუტის არაწევრ სახელმწიფოზე სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობას. სასამართლოს პროკურორი დაინტერესებული არის ავღანეთში, როგორც რომის სტატუტის ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სხვებთან ერთად, აშშ-ს სამხედროების მხრიდან ჩადენილი სავარაუდო ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების საკითხით. აშშ. მკაფიოდ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სასამართლოს მიერ მისი მოქალაქეების გასამართლების იდეას, თუმცა ICC-ის სააპელაციო პალატამ უკან არ დაიხია აშშ-ს პოლიტიკური წნეხის ფონზე და 2020 წლის 5 მარტს შეცვალა წინასასამართლო პალატის 2019 წლის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.<sup>55</sup> კერძოდ, მან დააკმაყოფილა ფაქტო ბენსუდას საჩივარი და უფლება მისცა სასამართლოს პროკურორის ოფისს ავღანეთის სიტუაციაზე დაეწყო გამოძიება. აღნიშნული ფაქტი დასტურია, რომ პოლიტიკური წნეხის მიუხედავად სასამართლოს გააჩნია სათანადო პოტენციალი შეინარჩუნოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. მართალია, პრობლემური იქნება ბრალდებულების სასამართლოსთვის გადაცემა აშშ-ს მხრიდან თანამშრომლობაზე სრული უარის ფონზე, თუმცა გამოძიების დაწყება უკვე წარმოადგენს წინადადებულ ნაბიჯს პრევენციისა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრის გზაზე. იგივე გამოწვევების წინაშე დადგება სასამართლო თუკი საქართველოსა და პალესტინის სიტუაციების გარშემო გამოსცემს შესაბამისად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისა და ისრაელის მოქალაქეების დაკავების ორდერებს. თუმცა სასამართლო არ უნდა შეუშინდეს

---

<sup>54</sup> Coalition for the International Criminal Court, ხელმისაწვდომია <http://www.coalitionfortheicc.org/afghanistan-investigation> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 5 მარტი 2020; Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Islamic Republic of Afghanistan (ICC-02/17), Pre-Trial Chamber II, ICC, 12 April 2019.

<sup>55</sup> Judgment on the appeal against the decision on the authorisation of an investigation into the situation in the Islamic Republic of Afghanistan (ICC-02/17 OA4), the Appeals Chamber, 5 March 2020, § 4-6 და 79.

სამართლებრივ და პოლიტიკურ დაბრკოლებებს, თუ მას მართლაც სურს ზესახელმწიფო და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანოს რეპუტაციის მოპოვება და განვითარებადი აფრიკული სახელმწიფოების დამსჯელი ინსტიტუციის იარღილის მოშორება.

პოლიტიკური თვალსაზრისით, კიდევ ერთი პრობლემური საკითხია გაეროს უშიშროების საბჭოს უფლება, სწორედ რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებით განუსაზღვრელი ვადით შეაჩეროს სასამართლოს გამოძიება.<sup>56</sup> მართალია, გაეროს უშიშროების საბჭოს ჯერჯერობით არ უსარგებლია აღნიშნული უფლებით, თუმცა მოცემული სამართლებრივი შესაძლებლობა გარკვეულწილად აკნინებს ICC-ის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. არ არის გამორიცხული გაეროს უშიშროების საბჭომ მიაღწიოს პოლიტიკურ კომპრომისს და ავღანეთის, საქართველოსა თუ პალესტინის სიტუაციაზე დეფერალის მექანიზმის ამოქმედების მომსწრენიც გავხდეთ. თუმცა იმედია პრინციპულ პოზიციას შეინარჩუნებენ უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების მქონე დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები და საკუთარი ინტერესების გამო უკანა პლანზე არ გადაწევენ სტრატეგიული მოკავშირეების ინტერესებს. მეორე მხრივ, ICC-საც კიდევ ბევრი აქვს სამუშაო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესებზე მორგებული ინსტიტუციის სახელის მოსაპოვებლად.

რომის სტატუტის დანიშნულება არის დაუსჯელობის სინდრომის გაქრობა. აღნიშნული შესაძლებელია საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველაზე შოკისმომგვრელი დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივი დევნის გზით.<sup>57</sup> სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელება ნაწილობრივ პრევენციული ფუნქციის მატარებელიცაა და ითვალისწინებს როგორც არსებული, ისე მომავალი თაობების ინტერესებს აღარასოდეს გახდნენ შემზარავი დანაშაულების მსხვერპლნი. დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესების სათანადოდ გათვალისწინება კი სამაგალითო

<sup>56</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-16 მუხლი; აღნიშნულ საკითხზე დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ხუციშვილი, 45-ე *supra* სქოლიო.

<sup>57</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, პრეამბულა.

მართლმსაჯულების აუცილებელი კომპონენტია. სასამართლოს ფუნქცია დამნაშავეების გასამართლებასთან ერთად მსხვერპლთა რეპარაციაც არის.<sup>58</sup> თუმცა რეპარაციისთვის აუცილებელია ბრალდებულის ფიზიკურად წარდგომა სასამართლოს წინაშე და მისი დამნაშავედ ცნობა. რომის სტატუტი არ ითვალისწინებს ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებითად განხილვას. შესაბამისად, მიმალვაში მყოფი ბრალდებულის წინააღმდეგ ვერც გამამტყუნებელი განაჩენი დადგება და ვერც მისი მსხვერპლები ისარგებლებენ რეპარაციის უფლებით. ასე რომ, სასამართლო დამოკიდებულია არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მხრიდან თანამშრომლობაზე, არამედ არაწევრი სახელმწიფოების კეთილ ნებაზეც შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი მოქალაქეები გადასცენ სასამართლოს. სანამ მართლმსაჯულების აღსრულების კუთხით არსებულ გამოწვევებზე გავაგრძელებთ მსჯელობას, მნიშვნელოვანია დეტალურად განვსაზღვროთ თუ რომელია ის დანაშაულები, რომელთა მსხვერპლთა ინტერესებმა გადაწონა სახელმწიფოთა სუვერენული ინტერესები და შესაძლებელი გახადა რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოების შეთანხმება სასამართლოს იურისდიქციის სწორედ ამ დანაშაულებზე გასავრცელებლად.

### 2.3.1 რომის სტატუტით გათვალისწინებული ძირითადი დანაშაულები

რომის სტატუტის მიხედვით სასამართლოს *ratione materiae* იურისდიქცია ვრცელდება საერთაშორისო საზოგადოების მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ აღიარებულ ოთხ ძირითად დანაშაულზე. ესენია: გენოციდი, ომის დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და აგრესიის დანაშაული.<sup>59</sup> რომის სტატუტის პრეამბულა მათ მოიხსენებს როგორც „მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემამფოთებელ უმძიმეს დანაშაულებს“. ბევრი მსჯელობა შეიძლება იმაზე თუ რატომ დაფარა სასამართლოს წესდებამ მხოლოდ ოთხი და არა მეტი დანაშაული, რამდენად უწყობს საერთაშორისო სამართალი ფეხს საზოგადოებრივ განვითარებას, როგორია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ზეგავლენა საერთაშორისო დანაშაულების კოდიფიკაციის პროცესზე და სხვ. თუმცა

<sup>58</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 75-ე მუხლი.

<sup>59</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-5<sup>1</sup> მუხლი.

სადავო არ არის, რომ რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულები უნდა იყოს იმდენად მძიმე, რომ იწვევდეს უკიდურეს შემფოთებას და აუცილებლად ეწინააღმდეგებოდეს იმ ღირებულებებს, რომელზეც დგას თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება.

### **გენოციდის დანაშაული**

გენოციდის დანაშაული სამართლებრივად განიმარტება, როგორც ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების სპეციალური მიზნით (*dolus specialis*) ჩადენილი მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, შობადობისთვის ხელის შეშლა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედება. არაიურიდიული ტერმინოლოგიით თუ ვისაუბრებთ გენოციდს ასევე მოიხსენიებენ როგორც მთავარ დანაშაულს დანაშაულთა შორის. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უინსტონ ჩერჩილმა ნაცისტების ქმედებებს უწოდა დანაშაულები, რომელთა აღსაწერადაც არ არსებობდა შესაფერისი სიტყვები. ამავე პერიოდში ებრაული წარმოშობის პოლონელმა იურისტმა რაფაელ ლემკინმა ბერძნული „genos” (ტომი ან ხალხი) და ლათინური „caedere” (მკვლელობა) სიტყვათა შერწყმით შემზარავ და კონკრეტული ჯგუფების განადგურებისკენ მიმართულ დანაშაულს მოუგონა შესაბამისი აღწერა - „გენოციდი”.<sup>60</sup> სწორედ რაფაელ ლემკინისა და გენოციდის დანაშაულის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მსხვერპლი მილიონობით ადამიანის წუხილის გამოძახილს წარმოადგენს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენცია, რომელმაც პირველად გამოყო დანაშაულის მსხვერპლთა ზემოთ ნახსენები ოთხი კატეგორია.<sup>61</sup>

ჟან-პოლ აკაიასუს საქმეში რუანდის ტრიბუნალის სასამართლო პალატამ განმარტა, რომ გენოციდის დანაშაული მიმართულია უპირველესად კონკრეტული ჯგუფის და არა ინდივიდის წინააღმდეგ.<sup>62</sup> აკაიასუ რომელიც 1993-1994 წლებში იყო რუანდის გიტარამას პრეფექტურში მდებარე ტაბას დასახლების მერი, პასუხისმგებელი იყო მის დაქვემდებარებაში მყოფი ჰუტუ მებრძოლების ხელშეწყობასა და უშუალო

<sup>60</sup> Ruebner R. The Evolving Nature of the Crime of Genocide. *Joh Marshall Law Review*, 2005, 38, 1, 1227-1236, გვ. 1227.

<sup>61</sup> Genocide Convention, 35-ე *supra* სქოლიო, მე-2 მუხლი.

<sup>62</sup> Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, Trial Chamber I Judgement, ICTR-96-4-T, ICTR, 2 September 1998, § 3-21.

მითითებების გაცემაზე გაენადგურებინათ პრეფექტურაში მცხოვრები ტუცი მოსახლეობა. აკაიასუს საქმის შემდგომ, გენოციდის დანაშაულის შესახებ მსჯელობა უკვე ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილ ტრიბუნალსაც მოუწია. კრსტიჩის საქმეში ICTY-იმ იმსჯელა სრებრენიკას ბანაკში ბოსნიელი მუსლიმების მიზანმიმართული და შემზარავი განადგურების ფაქტის შესახებ.<sup>63</sup> 1995 წელს ათასობით ბოსნიელი მუსლიმი მამაკაცი და ბიჭი დახვრიტეს რადკო მლადიჩის სერბულმა ძალებმა იმ ადგილას, რომელიც უსაფრთხო ზონად იყო აღიარებული გაეროს მიერ. სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტი არ გამოდგა თანამედროვე რეალობაში გენოციდის უკანასკნელი შემთხვევა.

21-ე საუკუნეში გენოციდის დანაშაულზე მსჯელობა უკვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაც მოუწია. კერძოდ, სასამართლოს განხილვაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე ეხება სუდანის ყოფილ პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირს, რომლსაც სხვა დანაშაულებთან ერთად ბრალად ედება სუდანის დარფურის პროვინციაში შეიარაღებულ აჯანყებასთან კავშირში მყოფი ფურის, მასალიტისა და ზაგჰავას ტომების გენოციდი. კერძოდ, ომარ ალ ბაშირს საქმეში ფიგურირებს სუდანის სამთავრობო ძალებისა და მთავრობის მოკავშირე ჯანჯავიდების დაჯგუფების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი გენოციდის შემადგენელი სამი დანაშაულებრივი ქმედება: მკვლელობა (რომის სტატუტის მე-6(ა) მუხლი); სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება (რომის სტატუტის მე-6(ბ) მუხლი); რომელიმე ჯგუფისათვის განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას (რომის სტატუტის მე-6(გ) მუხლი).<sup>64</sup>

გენოციდის დანაშაულის პირდაპირი მსხვერპლი შეიძლება იყოს კონკრეტული ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი, თუმცა მათზე გენოციდური ქმედების განხორციელების უპირველესი მოტივი უნდა იყოს სწორედ ჯგუფისადმი კუთვნილება და არა რაიმე სხვა ფაქტორი. ეროვნული ჯგუფის ქვეშ მოიაზრება ხალხთა ერთობლიობა, რომელიც იზიარებს კონკრეტულ სამართლებრივ კავშირს

<sup>63</sup> Prosecutor v. Radislav Krstic, Trial Chamber Judgement, IT-98-33-T, ICTY, 02 August 2001, § 542-543.

<sup>64</sup> Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir, Second Decision on the Prosecutor's Application for a Warrant of Arrest, Situation in Darfur, Sudan (ICC-02/05-01/09), Pre-Trial Chamber I, ICC, 12 July 2010, § 44.

(მაგალითად მოქალაქეობას), უფლებებსა და მოვალეობებს. ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელია საერთო ენა და/ან კულტურა. რასობრივი ჯგუფისთვის საერთოა მემკვიდრეობითი ფიზიკური ნიშან-თვისებები იგივე გარეგნული პოპულაციური ნიშნები, რომელიც ახასიათებს კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონის მცხოვრებლებს მიუხედავად მათი ლინგვისტური, კულტურული, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილებისა. რელიგიური ჯგუფი კი იზიარებს აღმსარებლობას, რწმენას ან/და საერთო ღმრთის მსახურების რიტუალებს ახორციელებს.<sup>65</sup> აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ მორწმუნეთა, არამედ ათეისტების ჯგუფიც შეიძლება იყოს რელიგიური ნიშნით ჩადენილი გენოციდის დანაშაულის მსხვერპლი.<sup>66</sup> ამავდროულად, ჯგუფისადმი კუთვნილება უნდა იყოს სტაბილური და შესაბამისად დამნაშავის მხრიდან ჯგუფის რეალურ წევრზე ან ჯგუფის წევრად მიჩნეულ პირზე თავდასხმა უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებას.

#### **ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები**

რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ ცნების ქვეშ მოიაზრება მკვლელობა, დეპორტაცია, წამება, სექსუალური ხასიათის დანაშაულები და ამავე მუხლით განსაზღვრული სხვა აქტები, რომლებიც ჩადენილია განზრახ, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში. „ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა“ განიმარტება როგორც სახელმწიფოსა ან ორგანიზაციული პოლიტიკის ფარგლებში ან მისი წახალისების მიზნით განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობა.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელ და საერთაშორისო სამართლით აკრძალულ ქმედებებს.<sup>67</sup> აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი აუცილებლად არის სამოქალაქო

<sup>65</sup> Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, 62-ე *supra* სქოლიო, § 512-515; იხ. ასევე Prosecutor v. Radislav Krstic, 63-ე *supra* სქოლიო, § 542-543.

<sup>66</sup> Lippman M. Genocide: The Crime of the Century. The Jurisprudence of Death at the Dawn of Millenium, 2001, 23, 3, 467-535, გვ. 475.

<sup>67</sup> Robinson D. Defining “Crimes against Humanity” at the Rome Conference. The American Journal of International Law, 1999, 93, 1, 43-57, გვ. 49.

მოსახლეობა, ანუ დანაშაული მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან კომბატანტები ან არ იღებენ პირდაპირ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. ომის დანაშაულებისგან განსხვავებით, რომის სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის აუცილებელ ფაქტორს არ წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტთან კავშირი. მთავარია, რომ აღნიშნული დანაშაულები გამოიხატებოდეს ფართოდ გავრცელებულ ან სისტემატურ თავდასხმებში. „ფართომასშტაბიანობის“ კრიტერიუმის განმარტებისთვის მნიშვნელოვანია როგორც დანაშაულის გავრცელების არეალი, ისე მსხვერპლთა რაოდენობა, ხოლო „სისტემატურობის“ კრიტერიუმი ითვალისწინებს ძალადობრივი აქტების ორგანიზებულობასა და გამორიცხავს აღნიშნული აქტების შემთხვევით ხასიათს.<sup>68</sup> იზოლირებული, თვითნებური ან არარეგულირებული ქმედებები ვერ დაკვალიფიცირდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, რადგან მათი მიზანი არ იქნება დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებული სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის ხელშეწყობა.<sup>69</sup> „დანაშაულთა ელემენტები“ დამატებით აზუსტებს, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელოვანი არ არის დამნაშავის მხრიდან სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის დეტალურად ცოდნა, არამედ მთავარია სახეზე იყოს მსგავსი პოლიტიკის ხელშეწყობის განზრახვა.<sup>70</sup>

2016 წელს, ICC-ის III წინასასამართლო პალატამ ბემბას საქმეში გამოკვეთა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემდეგი მაკვალიფიცირებელი ელემენტები: „(ა) დანაშაულებრივი აქტების რაოდენობრივი კრიტერიუმის დაკმაყოფილება - დანაშაულებრივი ქმედებების ერთობლიობა; (ბ) თავდასხმა – როგორც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმით ჩადენილი კონკრეტული არასათანადო მოპყრობა; (გ) თავდასხმების ჩადენისთვის სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა და სახელმწიფოსა ან ორგანიზაციის

---

<sup>68</sup> Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir, Decision on the Prosecutor’s Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Al Bashir, Situation in Darfur, Sudan (ICC-02/05-01/09), Pre-Trial Chamber I, ICC, 4 March 2009, § 81.

<sup>69</sup> Elements of Crimes of the International Criminal Court 2002 (შემდგომში „დანაშაულთა ელემენტები“, UN Doc. PCNICC/2000/1/Add.2 (2000), მე-7(3) მუხლი; Bassiouni M. Ch. Crimes against Humanity: Historical Evolution and Contemporary Application, CUP, 2011, გვ. 8-45.

<sup>70</sup> დანაშაულთა ელემენტები, 69-ე *supra* სქოლიო, მე-7(3) მუხლი.

მხრიდან ამგვარი პოლიტიკის ხელშეწყობა/წახალისება; (დ) თავდასხმის გაცნობიერება.<sup>71</sup>

შესაბამისად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მაკვალიფიცირებელი ელემენტია ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში ჩადენილი ქმედება, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკას მიზანმიმართულს ასეთი თავდასხმების განხორციელებისკენ. რომის სტატუტის მე-7(2)(ა) მუხლით გათვალისწინებული „პოლიტიკის“ კრიტერიუმის განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა და მოიცავს იმ ორგანიზაციების პოლიტიკასაც, რომლებსაც აქვთ საკმარისი შესაძლებლობა და რესურსი მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ კაცობრიობის ფუძემდებლურ ღირებულებებს. არასახელმწიფო აქტორებს არ მოეთხოვებათ სახელმწიფოს ნიშნების ქონა იმისთვის, რომ განახორციელონ დამანგრეველი თავდასხმები და „შემძრან კაცობრიობა“ მშვიდობიანობის დროსაც კი. კორპორაციების თანამშრომლებს, *de facto* მთავრობების წარმომადგენლებს, გასამხედროებული და სხვა დაჯგუფების წევრებს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის რანგში.<sup>72</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მაგალითებია მკვლელობა, წამება, დამონება, დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულები, პირთა იძულებითი გაუჩინარება, დევნა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა განზრახი დანაშაულებრივი ქმედებები. სწორედ ადამიანურობის

---

<sup>71</sup> Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo, Judgment pursuant to article 74 of the Statute, Situation in the Central African Republic (ICC-01/05-01/08-3343), Trial Chamber III, ICC, 21 March 2016, § 49-59 და 74-75; იხ. ასევე Prosecutor v. Germain Katanga, Judgement pursuant to article 74 of the Statute, Situation in the Democratic Republic of the Congo (ICC-01/04-01/07), Trial Chamber II, ICC, 7 March 2014, § 1114-1121.

<sup>72</sup> ცხომელიძე ო. არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ICC-ის იურისდიქციის ჭრილში. ივ. *ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი* 2018, 1, 154-161. წინამდებარე სტატია წარმოადგენს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას და მასში განხილული ინფორმაციის ნაწილი ასახულია წინამდებარე ნაშრომის მოცემულ ქვეთავში.



წინააღმდეგი მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულების თაობაზე არის წარდგენილი ბრალდება ICC-ში განხილულ და მიმდინარე საქმეთა უმრავლესობაში.

### **ომის დანაშაულები**

რომის სტატუტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევებს აკვალიფიცირებს ომის დანაშაულად და გამოყოფს მათ ოთხ კატეგორიას:

ა) ომის დანაშაულების პირველი კატეგორია მოიცავს 1949 წლის ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებს. რომის სტატუტის ფორმულირება მსგავსია ჟენევის პირველი კონვენციის 50-ე მუხლში, ჟენევის მეორე კონვენციის 51-ე მუხლში, ჟენევის მესამე კონვენციის 130-ე მუხლსა და ჟენევის მეოთხე კონვენციის 147-ე მუხლში დადგენილი ფორმულირებისა. ზემოაღნიშნულ კონვენციებში ხაზგასმით არის გამოყოფილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ისეთი მძიმე დარღვევები როგორცაა: განზრახ მკვლელობა, წამება, არაადამიანური მოპყრობა, მძევლების აყვანა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, პირისთვის განზრახ ტანჯვისა ან ჯანმრთელობის სერიოზული ზიანის მიყენება, ქონების უკანონო განადგურება და სხვ. ზემოაღნიშნული მძიმე დარღვევები დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან და მიმართული უნდა იყოს სამოქალაქო პირებისა ან სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ.

ბ) ომის დანაშაულების მეორე კატეგორია ფარავს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ომის წესებისა და ჩვეულებების სხვა მძიმე დარღვევებს. მაგალითად, 1907 წლის ხმელეთზე ომის წესებისა და ჩვეულებების დაცვის ჰააგის კონვენციაში, 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველ დამატებით ოქმში, 1899 წლის ჰააგის IV დეკლარაციაში, 1925 წლის ჟენევის აირის (გაზის) ოქმში კოდიფიცირებული სამართლის ნორმების დარღვევებს.

გ) ომის დანაშაულების მესამე კატეგორია მოიცავს ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლის მნიშვნელოვან დარღვევებს. კერძოდ, საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ დასახიჩრებას, მკვლელობას, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, მძევლად აყვანას, სასამართლოს გარეშე გასამართლებასა და სხვა აკრძალულ ქმედებებს.

დ) ომის დანაშაულების მეოთხე კატეგორია ფარავს საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ ომის წესებისა და ჩვეულებების სხვა მნიშვნელოვან დარღვევებს. მაგალითად, ჟენევის კონვენციების მეორე დამატებით ოქმსა და 1907 წლის ჰააგის რეგულაციებში კოდიფიცირებული ნორმების მძიმე დარღვევებს.

რომის სტატუტის ვრცელ და საკმაოდ ამომწურავ ჩამონათვალში დასახელებული ომის დანაშაულები მაინც არ მოიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრულ ომის ყველა დანაშაულს. რომის სტატუტის შემქმნელთა მიზანი იყო არა ომის დანაშაულების ყველა კოდიფიცირებული ვერსიის თავმოყრა, არამედ, საყოველთაოდ აღიარებული იმ ჩვეულებითი სამართლის ნორმების ასახვა, რომელთა დარღვევის გამოც შესაძლებელი იქნებოდა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.<sup>73</sup>

2012 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ომის დანაშაულებში დამნაშავედ სცნო თომას ლუბანგა დიალო. კერძოდ, მას ბრალი დაუმტკიცდა 15 წლამდე ასაკის ბავშვების რეკრუტირებისა და საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის გამო. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აჯანყებული იტურელების მეთაური ლუბანგა იყო პირველი ადამიანი, რომელიც გასამართლდა და 14 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ.<sup>74</sup> ის 2006 წელს დააკავეს სასამართლოს მიერ გამოცემული დაკავების ორდერის საფუძველზე იმ დროს, როდესაც მის დაქვემდებარებაში მყოფი „კონგოელ პატრიოტთა გაერთიანება“ ჩართული იყო ეთნიკურ წმენდაში, სამოქალაქო პირების მკვლელობასა და წამებაში, მათ გაუპატიურებასა და ბავშვების სამხედრო მოქმედებებში მასობრივად ჩართვაში.

აღსანიშნავია, რომ რომის სტატუტმა შემოიტანა ზოგიერთი ომის დანაშაულის უნიკალური დეფინიცია, რომელიც პირდაპირ არ გამომდინარეობს მანამდე

---

<sup>73</sup> Dormman K. War crimes under the Rome statute of the International Criminal Court with a special focus on the negotiations on the elements of crimes. Dormman K, 2003, Max Plank Yearbook of United Nations Law, 2003, 7, 341-497, გვ. 344-346.

<sup>74</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo, Judgment pursuant to Article 74 of the Statute, Situation in the Democratic Republic of the Congo (ICC-01/04-01/06-2842), Trial Chamber I, ICC, 05 April 2012, § 34; 564; 909-916.

არსებული საერთაშორისო ნორმების ინტერპრეტაციისგან. მაგალითად, რომის სტატუტის მე-8(2)(ბ)(iv) მუხლის თანხმად ისჯება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს განხორციელებული განზრახვი თავდასხმა, რომლის შედეგადაც გარემოს ადგება ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და სერიოზული ზიანი, თუკი აღნიშნული ზიანი აშკარად აღემატება მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას.<sup>75</sup>

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რომის სტატუტში ასახულია 1949 წლის ქენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმით გარემოსთვის მიყენებული ზიანის აკრძალვის სტანდარტი, თუმცა აღნიშნულ აკრძალვას ემატება პროპორციულობისა და განზრახვის ელემენტები, რომლებიც კიდევ უფრო ართულებს გარემოს განადგურების შემთხვევაში ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ამოცანას. ყურადსაღებია, რომ გარემოსადმი მიყენებული სერიოზული ზიანის გამო ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ICC-ის შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში და რომის სტატუტი არ ითვალისწინებს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში გარემოს განადგურების კრიმინალიზაციას. ასევე აუცილებელია დამნაშავეს მხრიდან სახეზე იყოს პირდაპირი განზრახვა და იმის გაცნობიერება, რომ თავდასხმა გამოიწვევს გარემოზე როგორც „ფართომასშტაბიან“, ისე „ხანგრძლივ“ და „მნიშვნელოვან“ ზიანს. 1949 წლის ქენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის მსგავსად რომის სტატუტიც კუმულატიურად განიხილავს ზემოაღნიშნულ სამ ელემენტს უკუაგდებს-რა გარემოს მოდიფიკაციის კონვენციის (ENMOD) მიერ დადგენილ შედარებით პროგრესულ ალტერნატიულ სტანდარტს. ყურადსაღებია, რომ არც რომის სტატუტში, არც მის მოსამზადებელ დოკუმენტებსა და არც „დანაშაულთა ელემენტებში“ არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა განმარტოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ეკოლოგიური ზიანის ზემოაღნიშნული სამი ელემენტი.<sup>76</sup> თუკი

<sup>75</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-8(2)(ბ)(iv) მუხლი.

<sup>76</sup> იხ.: ცხომელიძე ო. გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ჭრილში. 1 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა 2019, 1, 30-46, წინამდებარე სტატია წარმოადგენს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას და მასში განხილული ინფორმაციის ნაწილი ასახულია წინამდებარე ნაშრომის მოცემულ ქვეთავში. Convention

გავითვალისწინებთ რომის სტატუტის მე-8(2)(ბ)(iv) მუხლის სიტყვათა წყობის თანხვედრას 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმით განსაზღვრულ „გარემოსთვის მიყენებული ზიანის“ დეფინიციასთან, მოგვიწვევს ვივარაუდოთ, რომ ეკოლოგიური ზიანის სამ კრიტერიუმს ICC განმარტავს პირველი დამატებითი ოქმის მსგავსად.<sup>77</sup> შესაბამისად, ICC-თვის „ხანგრძლივობის“ კრიტერიუმის დაკმაყოფილება ნიშნავს ათწლეულების მანძილზე განგრძობადი ეკოლოგიური ზიანის არსებობას და სასამართლოსთვის რელევანტური არ არის ENMOD-ის მიერ განსაზღვრული რამდენიმეთვიანი ეკოლოგიური ზიანი. დანარჩენი ორი კრიტერიუმის განმარტება (ზიანის „ფართომასშტაბიანობა“ და „მნიშვნელობა“) არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი კამათის საგანს, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ეს ორი კრიტერიუმი ერთნაირად განიმარტება როგორც ENMOD-ით ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიხედვით, ისე პირველი დამატებითი ოქმით განსაზღვრული მნიშვნელობით. პროფესორი სტივენ ფრილანდი აფიქსირებს წინამდებარე ნაშრომის ავტორისგან განსხვავებულ მოსაზრებას და მიესალმება თუკი ICC-ის მოსამართლეები აირჩევენ გარემოს დაცვის ინტერესებიდან ამომავალ მიდგომას და პოლიტიკური ასპექტებისგან დისტანცირებულად შეძლებენ გარემოსთვის მიყენებული ზიანი განმარტონ ENMOD-ით დადგენილი „ხანგრძლივობის“ კრიტერიუმის შესაბამისად. მისი აზრით, მოსამართლეებს რომის სტატუტი არ ზღუდავს წესდებით უკვე დაწესებული ჩარჩოების ფარგლებში მაქსიმალურად ფართოდ განმარტონ ის საკითხი, რომელიც ორაზროვანია და გაურკვეველს ტოვებს აკრძალვის მნიშვნელობას.<sup>78</sup> შესაბამისად, კარგი იქნება თუკი სასამართლო მომავალ გადაწყვეტილებებში მკაფიოდ განმარტავს სამივე ტერმინს და შეიმუშავებს მათი ინტერპრეტაციის ერთიან მიდგომას, რადგან შესაბამისი სამოსამართლო პრაქტიკის არარსებობის პირობებში მეცნიერთა შორის კვლავაც სადავო თემად შეიძლება დარჩეს აღნიშნული საკითხი.

---

on the Prohibition of Military or Any Other Hostile Use of Environmental Modification Techniques 1977, 1108 UNTS 152 (შემდგომში „ENMOD“), 1-ლი მუხლი.

<sup>77</sup> ხელშეკრულების განმარტების წესის შესახებ იხ. VCLT 1969, მე-5 *supra* სეკლიო, 31-ე(3)(გ) მუხლი.

<sup>78</sup> იხ. Freeland S. Addressing the Intentional Destruction of the Environment during Warfare under the Rome Statute of the International Criminal Court, Intersentia, 2015, გვ. 209.

აღსანიშნავია, რომ რომის სტატუტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის წესებსა და ჩვეულებებზე უფრო მაღლა სწევს საომარი მოქმედებების დროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო პირის დასჯის სამართლებრივ ზღვარს, რადგან გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე მსჯელობისას შემოაქვს პროპორციულობის პრინციპი. კერძოდ, რომის სტატუტის მე-8(2)(ბ)(iv) მუხლი პირდაპირ მოითხოვს, რომ გარემოს განადგურების ხარისხი აშკარად აღემატებოდეს მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობას.<sup>79</sup>

სწორედ ზემოთ განხილული მიზეზების გამო შეიძლება თავისუფლად იმის მტკიცება, რომ რომის სტატუტით დაწესებული გარემოს განადგურების სტანდარტი უფრო ლიბერალურია დამნაშავეთათვის, ვიდრე 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმით, ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითა თუ გარემოს მოდიფიკაციის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის საერთაშორისო სამართლის ზემოაღნიშნული ნორმებითა და ჩვეულებებით დადგენილი აკრძალვა.<sup>80</sup>

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ომის დანაშაულები განიმარტება როგორც 1949 წლის ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები ან ომის წარმოების წესებისა თუ ჩვეულებების სხვა მძიმე დარღვევები განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მოცემული დანაშაულები არის ფართომასშტაბიანი ან ჩადენილია შესაბამისი გეგმისა თუ პოლიტიკის მიხედვით. ომის დანაშაულების ჩადენა შეიძლება როგორც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ისე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ომის დანაშაულების მაგალითებია განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განზრახ თავდასხმა, მძევლების აყვანა, სამოქალაქო მოსახლეობის უკანონო დეპორტაცია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის განზრახ შეცვლა და სხვ. არაერთი ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება განსაკუთრებით ხშირია *დე ფაქტო* ხელისუფლებისა თუ სხვა არასახელმწიფო აქტორის კონტროლს ქვეშ არსებულ ტერიტორიაზეც, რის

<sup>79</sup> Cassese A. International Criminal Law, OUP, 2003, გვ. 60; Elements of Crimes of the International Criminal Court 2002, UN Doc. PCNICC/2000/1/Add.2 (2000), გვ. 19.

<sup>80</sup> ცხომელიძე, 76-ე *supra* სქოლიო, გვ. 46.

შესახებაც დეტალურად ვიმსჯელებთ შემდგომ თავებში. თუმცა რომის სტატუტით განსაზღვრული და ყველაზე ბოლოს კოდიფიცირებული კიდეც ერთი - აგრესიის დანაშაულის ჩადენა მხოლოდ სახელმწიფოსთან აფილირებული, უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფოს სათავეში მყოფი ძალის მიერ არის შესაძლებელი.

### **აგრესიის დანაშაული**

აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება რომის სტატუტში თავიდანვე იყო გათვალისწინებული, თუმცა 2010 წლამდე სასამართლოს წევრი სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ აღნიშნული დანაშაულის დეფინიციასა და აგრესიის დანაშაულთან მიმართებით ICC-ის იურისდიქციის ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2010 წლის კამპალას კონფერენციაზე აგრესიის დანაშაულის დეფინიცია განისაზღვრა როგორც სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ სამხედრო ქმედებაზე ეფექტიანი კონტროლის მქონე პირის მხრიდან აგრესიის ისეთი აქტის დაგეგმვა, მომზადება, წამოწყება ან აღსრულება, რომელიც თავისი მასშტაბითა და სიმძიმით წარმოადგენს გაეროს ქარტიის აშკარა დარღვევას. თავად აგრესიის აქტი კი განიმარტა როგორც ერთი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა თუ ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. რომის სტატუტით დადგენილი დამატებითი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქცია ამოქმედდა 2018 წლიდან.<sup>81</sup> აგრესიის აქტის ზოგიერთი მაგალითია სამხედრო გზით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა, სამხედრო ოკუპაცია, ძალის გამოყენების შედეგად ტერიტორიის ანექსია, პორტებისა და სანაპიროების ბლოკადა.

აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების დროს დაკმაყოფილებული უნდა იყოს რამდენიმე წინაპირობა. რომის სტატუტის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ჩადენილი სავარაუდო აგრესიის შემთხვევაში, სასამართლოს იურისდიქციის ასამოქმედებლად აუცილებელია, რომ ამ სახელმწიფოს

---

<sup>81</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: [https://asp.icc-cpi.int/en\\_menus/asp/crime%20of%20aggression/Pages/default.aspx](https://asp.icc-cpi.int/en_menus/asp/crime%20of%20aggression/Pages/default.aspx) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 5 მარტი 2020.

არ ქონდეს გაკეთებული სპეციალური დათქმა აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის გაუვრცელებლობის შესახებ. სახელმწიფოს მიმართვის ან პროკურორის ინიციატივით გამოძიების დაწყების შემთხვევებში, სასამართლო აგრესიის დანაშაულს ვერ გამოიძიებს, თუ ეს დანაშაული ჩადენილია სასამართლოს არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ.<sup>82</sup> თუმცა აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვით დაწყებული გამოძიების შემთხვევებზე.<sup>83</sup> ასევე მოცემული დანაწესიდან მეცნიერთა ნაწილი გამოყოფს სხვა საგამონაკლისო შემთხვევებსაც თუ აგრესიის მსხვერპლი არის ისეთი სახელმწიფო, რომელზეც სრულად ვრცელდება ICC-ის შესაბამისი იურისდიქცია. ორაზროვანი და ფართო ინტერპრეტაციის საშუალების მომცემი ზოგიერთი რეგულაციის გამო, საჭიროა უფრო დეტალურად ჩავუღრმავდეთ თუ რატომ რჩება რომის სტატუტში აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებული რიგი მუხლები ბუნდოვანი.

დღემდე საკამათოა თუ როგორია ICC-ის იურისდიქციული შეზღუდვის ფარგლები თუ დანაშაულის მსხვერპლ სახელმწიფოს აღიარებული აქვს სასამართლოს შესაბამისი იურისდიქცია, მაგრამ დანაშაული ჩადენილია ან არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეების ან ისეთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომელი სახელმწიფოც არ აღიარებს აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციას. მეცნიერთა ნაწილის აზრით ასეთ დროს დაზარალებული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს იურისდიქცია შეიძლება მაინც გავრცელდეს რომის სტატუტის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტის პოზიტიური ინტერპრეტაციის გზით.<sup>84</sup> მოცემული მუხლის მიხედვით ზოგადი წესიდან საგამონაკლისო შემთხვევად უნდა მოვიაზროთ სიტუაცია, როდესაც აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს აღიარებული აქვს სასამართლოს შესაბამისი იურისდიქცია და ამავე მუხლის პოზიტიური ინტერპრეტაციის ძალით რელევანტურობა აღარ უნდა იყოს აგრესორი სახელმწიფოს მიერ ICC-ის იურისდიქციის არაღიარების ფაქტი.

---

<sup>82</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-15<sup>bis</sup>(5) მუხლი.

<sup>83</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-15<sup>bis</sup> და მე-15<sup>ter</sup> მუხლები; იხ. ასევე MacDougal C. The Crime of Aggression under the Rome Statute of the International Criminal Court, CUP, 2013, გვ. 208-240.

<sup>84</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 121-ე(5) მუხლი; იხ. ასევე Tsilonis V. The Jurisdiction of the International Criminal Court, Springer, 2019, გვ. 162

ნეგატიური ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რომის სტატუტის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-15<sup>bis</sup> მუხლის აკრძალვაში ქვეშ უნდა მოვიაზროთ არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეების მხრიდან ჩადენილ აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის ნებისმიერ შემთხვევაში გაუვრცელებლობა.<sup>85</sup> ბუნებრივია მსგავსი ინტერპრეტაცია უარყოფს ყოველგვარი გამონაკლის შესაძლებლობას. თუმცა ჩემი აზრით მე-15<sup>bis</sup> მუხლის მიზანი უფრო ფართო და ღრმაა ვიდრე უბრალო ბლანკეტური აკრძალვა. მის ქვეშ უნდა განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქე აგრესიულ ქმედებას ახორციელებს სხვა არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ისეთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც უარი აქვს გაცხადებული აგრესიის დანაშაულთან მიმართებით სასამართლოს იურისდიქციის აღიარებაზე. რაც შეეხება არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი აგრესიის აქტის მე-15<sup>bis</sup> მუხლში ცალკე გამოყოფის საჭიროებას, შესაბამისი ცვლილების მოსამზადებელი დოკუმენტების (*travaux preparatoires*) ანალიზის ფონზე არ გამოვრიცხავ, რომ აღნიშნული დაზუსტება გამიზნული იყოს ისეთი სიტუაციებისთვის, როდესაც ერთი სახელმწიფო მისი ტერიტორიიდან აგრესიული აქტის განხორციელების უფლებას აძლევს მეორე სახელმწიფოს რომელიმე მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ როგორც განსაზღვრულია რომის სტატუტის მე-8<sup>bis</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში.<sup>86</sup> უფრო მარტივი და გასაგები ენით რომ აღვწეროთ სიტუაცია წარმოგიდგინთ შემდეგ ჰიპოთეტურ მაგალითს. არკადია და მაჰმუდია არ არიან რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოები, ხოლო ბურგმაზიას რატიფიცირებული აქვს რომის სტატუტი და აღიარებული აქვს აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქცია. თუკი ბურგმაზია საკუთარი ტერიტორიიდან არკადიის წინააღმდეგ აგრესიული აქტის განხორციელების საშუალებას მისცემს მაჰმუდიას, მაშინ ICC-ს შეუძლია ასეთ შემთხვევაზე გაავრცელოს საკუთარი იურისდიქცია, რადგან აგრესიის დანაშაული

<sup>85</sup> აღნიშნული მუხლების პოზიტიურ და ნეგატიურ ინტერპრეტაციაზე დეტალური მსჯელობა იხ. MacDougal, 83-ე *supra* სქოლიო, გვ. 248-250; Tsilonis, 84-ე *supra* სქოლიო, გვ. 162.

<sup>86</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-8<sup>bis</sup> მუხლი; Clark S. R. Ambiguities in Article 5(2), 121 and 123 of the Rome Statute. *Case Western Reserve Journal of International Law*, 2009, 41, 413-427, გვ. 413-417; სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კოვენციის 31-ე და 32-ე მუხლების მიზნებიდან გამომდინარე იხ. Barriga S. Danspeckgruber W. and Wenaweser C. *The Princeton Process on the Crime of Aggression: Materials of the Special Working Group on the Crime of Aggression*, 2003-2009, Lynne Rienner Publishers, 2009, გვ. 169-172.



მაინც ჩაითვლება რომის სტატუტის ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილად მიუხედავად იმისა რომ არც აგრესიის მსხვერპლი და არც აგრესორი სახელმწიფოები არ არიან სასამართლოს წესდების ხელშემკვრელი მხარეები. თუმცა ჯერ კიდევ სადავოდ რჩება რა უნდა განვიხილოთ ათვლის წერტილად ICC-ის შესაბამისი ტერიტორიული იურისდიქციის გავრცელების დროს. აგრესორი სახელმწიფოს, მსხვერპლი სახელმწიფოს თუ აგრესიის დანაშაულისთვის ტერიტორიის დამთმობი მესამე სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის ცნობა. ალბათ აღნიშნული თეორიული და ამ ეტაპზე მხოლოდ მეცნიერული წიაღსვლა ამოუხსნელი დარჩება იმ დრომდე, ვიდრე სასამართლოს პრაქტიკაში აგრესიის რეალური სიტუაცია არ იქნება განხილული და დაკვალიფიცირებული. თუმცა, იმ დროს, როდესაც მიანმარის სიტუაციაზე ICC-ის იურისდიქციის გავრცელების ინოვაციური მაგალითი გვაქვს სახეზე არც ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეტური შემთხვევის გამორიცხვაა მიზანშეწონილი. როჰინჯა მუსლიმების დევნის თაობაზე გამოძიების დაწყების ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში ICC-ის წინასასამართლო პალატამ ხაზი გაუსვა, რომ სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის გავრცელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის ერთი ელემენტი მაინც იყოს ჩადენილი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>87</sup> არ აქვს მნიშვნელობა ეს ელემენტი იქნება დანაშაულის დაწყება თუ დასრულება. როჰინჯა მუსლიმების შემთხვევაში მიანმარის ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენა დაიწყო მიანმარის ტერიტორიაზე და დასრულდა ბანგლადეშის ტერიტორიაზე, რადგან სამოქალაქო პირების იძულებითი დეპორტაციის დასრულების ადგილად მიჩნეულ იქნა რომის სტატუტის ხელშემკვრელი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა. თუმცა ლოგიკა, რომლითაც სასამართლომ შეძლო მიანმარზე იურისდიქციის გავრცელება საკამათოა, რადგან ფაქტობრივად ლტოლვილთა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორია, როგორც ჰუმანური აქტის გამომხატველი ადგილი გადაიქცა დანაშაულის დასრულების ადგილად ისე, რომ მიმღები სახელმწიფოს ქმედებაში რა თქმა უნდა არ იკვეთება დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები. თუმცა დეპორტაციის დანაშაულის

---

<sup>87</sup> Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the People's Republic of Bangladesh/Republic of the Union of Myanmar (ICC-01/19-27), Pre-Trial Chamber III, ICC, 14 November 2019, § 43-46.

ფართო ინტერპრეტაციით გამომძევებელი სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება განიმარტა განგრძობითად.<sup>88</sup> ჩემი აზრით, აღნიშნული განმარტება არის სასამართლოს მხრიდან იურისდიქციის ბოროტად გამოყენების მაგალითი. ერთი მხრივ, ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი სასამართლოს თეორიული უნივერსალურობისკენ, თუმცა მეორე მხრივ, ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პატივისცემისა და სასამართლოს აღსრულების მექანიზმის პრაქტიკაში უნივერსალურად ამოქმედებისკენ.

აღსანიშნავია, რომ აგრესიის დანაშაულთან მიმართებით პროკურორის მიერ *proprio motu* სიტუაციის მოკვლევის შემდეგ თუ პროკურორი გადაწყვეტს საქმის ძიების გაგრძელებას, ის ვალდებულია უპირველესად გაეროს უშიშროების საბჭოსთან დააზუსტოს თუ რამდენად არის გამოსაძიებელი ქმედება დაკვალიფიცირებული როგორც აგრესია თავად გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან. თუკი შესაბამის პროცედურულ ვადებში არ მოხერხდება გაეროს უშიშროების საბჭოს დასტურის მიღება, მაშინ პროკურორი მხოლოდ წინასასამართლო პალატის ავტორიზაციაზე დაყრდნობით უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის ძიება იმ შემთხვევაში თუ უშიშროების საბჭო არ გამოიყენებს რომის სტატუტის მე-16 მუხლით განსაზღვრული საქმისწარმოების შეჩერების („deferral”) პრეროგატივას. აქვე აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის, გაეროს უშიშროების საბჭოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა თუ ნებისმიერი სხვა საერთაშორისო აქტორის მიერ აგრესიის ფაქტის განსაზღვრა არ იქონიებს მბოჭავ ზეგავლენას თავად ICC-ის მხრიდან სავარაუდო აგრესიის ფაქტის კვალიფიკაციაზე.<sup>89</sup>

### 2.3.2 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემის ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანი

რომის სტატუტის მე-11 მუხლის მიხედვით ICC-ის იურისდიქცია ვრცელდება სასამართლოს წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე (*ratione temporis*). სასამართლოს წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში სასამართლოს

---

<sup>88</sup> Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the People’s Republic of Bangladesh/Republic of the Union of Myanmar (ICC-01/19-27), Pre-Trial Chamber III, ICC, 14 November 2019, § 54-56.

<sup>89</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-15<sup>bis</sup> მუხლი.

იურისდიქციის განხორციელების წინაპირობაა დანაშაულის ჩადენა ან წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ (*ratione personae*) ან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (*ratione tertiis*), მათ შორის წევრი სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებულ გემსა და საჰაერო ხომალდზეც.<sup>90</sup> რომის სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით არაწევრ სახელმწიფოსაც აქვს უფლება კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით აღიაროს სასამართლოს იურისდიქცია და იკისროს სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება. სწორედ აღნიშნული დანაშაულის საფუძველზე დაიწყო სასამართლოს პროკურორმა წინასწარი მოკვლევა უკრაინის სიტუაციის გარშემო 2014 წლის მაიდანის მოვლენებისა და შემდგომ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში (დონეცკსა და ლუგანსკში), ასევე ყირიმში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებთან მიმართებით.<sup>91</sup>

რომის სტატუტის მე-12, მე-13 და 53-ე მუხლების თანახმად სასამართლოს მიერ სიტუაციის გამოძიების დაწყების საფუძველია:

ა) წევრი სახელმწიფოს მიმართვა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა გამონაკლის შემთხვევაში აღნიშნული მიმართვის გაკეთება შეუძლია არაწევრ სახელმწიფოსაც, რომელიც კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებით აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას. წევრი სახელმწიფოს მიმართვა არ ნიშნავს გამოძიების ავტომატურად დაწყებას, რადგან გამოძიების მიზანშეწონილობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. თუმცა სახელმწიფოს მიმართვა აჩქარებს გამოძიების პროცედურას, რადგან ასეთ დროს საჭირო აღარ არის წინასასამართლო პალატის ავტორიზაცია. მიმართვის ავტორ სახელმწიფოს უფლება აქვს გამოძიების დაწყების თაობაზე პროკურორის უარი გაასაჩივროს ICC-ის წინასასამართლო პალატაში. ასევე თავად წინასასამართლო პალატასაც შეუძლია გადახედოს პროკურორის გადაწყვეტილებას გამოძიების არდაწყების თაობაზე თუკი აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია დანაშაულის სიმძიმისა და მსხვერპლთა ინტერესების ან მართლმსაჯულების ინტერესების კრიტერიუმებთან შეუსაბამობის მოტივით.

<sup>90</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-12(2) მუხლი.

<sup>91</sup> იხ. მაგ. The ICC Office of the Prosecutor, Report on Preliminary Examination Activities 2018, ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/itemsDocuments/181205-rep-otp-PE-ENG.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020, გვ. 19-23.

ბ) გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს ქარტიის VII თავის ფარგლებში გაკეთებული მიმართვა. მოცემული დანაწესის მიხედვით გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია დაზოგოს დრო და რესურსი, რომელიც საჭიროა *ad hoc* ტრიბუნალის დაარსებისთვის და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი სიტუაციის გამოძიების უფლებამოსილება პირდაპირ მიანიჭოს (გადასცეს) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. აქაც რეფერალი ავტომატურად არ ნიშნავს გამოძიების დაწყებას, რადგან რომის სტატუტის 53-ე მუხლი ზემოთ განხილული შემთხვევების მსგავს კრიტერიუმებს აწესებს პროკურორის მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და წინასასამართლო პალატის მხრიდან უშიშროების საბჭოს თუ საკუთარი ინიციატივით პროკურორის გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე.

გ) სასამართლოს მთავარი პროკურორის მიერ საკუთარი ინიციატივით (*proprio motu*) გამოძიების დაწყება. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ წინასწარი მოკვლევის ეტაპს ეტაპის გადალახვა და დანაშაულების ჩადენის შესახებ გონივრული საფუძვლების გამოკვეთა ყველა შემთხვევაში წარმოადგენს გამოძიების ეტაპზე გადასვლის წინაპირობას. პროკურორს, საკუთარი ინიციატივით განხორციელებული წინასწარი მოკვლევის შემდეგ გამოძიების დასაწყებად აუცილებლად ესაჭიროება სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარი წინასასამართლო პალატის თანხმობა. მოცემული მექანიზმი წარმოადგენს შემოწმება-დაბალანსების ერთგვარ სისტემას, რომელიც შემუშავებულია პროკურორის მხრიდან *proprio motu* გამოძიების დაწყების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ.<sup>92</sup>

2020 წლის ივნისის მდგომარეობით სასამართლოს გამოძიება მიმდინარეობს 14 სიტუაციის გარშემო, საიდანაც ხუთ სიტუაციაზე გამოძიების დაწყების საფუძველი იყო სახელმწიფოს მიმართვა: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, უგანდა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ორი სიტუაცია) და მალი. ორ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვის საფუძველზე. ეს შემთხვევებია სუდანის დარფურის რეგიონი და ლიბია. ექვს შემთხვევაში გამოძიება დაიწყო პროკურორის ინიციატივით (*proprio motu*): კენის რესპუბლიკა, კოტ

<sup>92</sup> ხუციშვილი, 45-ე *supra* სქოლიო, გვ. 47

დ'იუარი, საქართველო, ბურუნდი, ბანგლადეში/მიანმარი და ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა. გამოძიების უმეტესობა მიმდინარეობს აფრიკულ ქვეყნებში განვითარებული სიტუაციების გარშემო. მხოლოდ ერთი სიტუაციაა ევროპის რეგიონიდან. კერძოდ, საქართველოში 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე მიმდინარე გამოძიება. ორი სიტუაცია არის აზიიდან. ბანგლადეში/მიანმარი, რომელიც ეხება როჰინჯა მუსლიმების დევნას მიანმარის ხელისუფლების მხრიდან (ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები) და ავღანეთი, სადაც 2003 წლის შემდგომ ჩადენილი სავარაუდო ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თაობაზე გამოძიების დაწყება ფართო პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გამოდგა.<sup>93</sup> 2020 წლის მარტის მდგომარეობით სასამართლოს მიერ ჯამში განხილულია ან განიხილება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის 27 საქმე. ბუნებრივია, ეს რიცხვი, ისევე როგორც სიტუაციებისა და საქმეების (გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპები) რაოდენობა არის მზარდი.

სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალების მსგავსად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოც უარყოფს საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების დროს ეროვნული ამნისტიის, შეწყალებისა თუ სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირთა იმუნიტეტების გამოყენებას.<sup>94</sup> თუმცა რომის სტატუტის 98-ე მუხლში გათვალისწინებულია გარკვეული პროცედურული გარანტიები, რომელთა წყალობითაც დაცულია ბალანსი დიპლომატიური სამართლის მოთხოვნების პატივისცემასა და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ინტერესებს შორის. „სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს თხოვნა გადაცემის ან დახმარების შესახებ, რომელიც აიძულებს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს იმოქმედოს თავისი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ან პირის დიპლომატიური იმუნიტეტის ან მესამე

<sup>93</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/pages/situation.aspx> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>94</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 27-ე მუხლი; იხ. Scharf P. M. The Amnesty Exception to the Jurisdiction of the International Criminal Court. *Cornell International Law Journal*, 1999, 32, 3, 507-527, გვ. 522.

სახელმწიფოს საკუთრების მიმართ, სანამ სასამართლო არ მიადწევს ამ მეორე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე.”<sup>95</sup>

რაც შეეხება მტკიცებულებათა მოპოვების, დამნაშავეთა დაკავებისა და გადაცემის, სასჯელის აღსრულებისა თუ სხვა პროცედურულ საკითხებზე ICC-ის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას, აქ ვაწყდებით ორ განსხვავებულ რეჟიმს სასამართლოს წევრი სახელმწიფოებისთვის და სასამართლოს არაწევრი სახელმწიფოებისთვის.<sup>96</sup> სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება საკმაოდ პრობლემატური გამოდგა და ბევრი პოლიტიკური და სამართლებრივი სპეკულაცია გამოიწვია, როდესაც რამდენიმე სახელმწიფომ უარი თქვა ICC-ის მიერ გამოცემული დაკავების ორდერების აღსრულებაზე. კერძოდ, იგივე იორდანიაში, მალავის რესპუბლიკამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ უარი განაცხადეს მათ ქვეყნებში ვიზიტით მყოფი სუდანის იმ დროს მოქმედი პრეზიდენტის ომარ ალ-ბაშირის დაკავებაზე და სასამართლოსთვის მის გადაცემაზე დიპლომატიური იმუნიტეტის ცნების მოშველიებით. აღნიშნულ საკითხზე სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ არც სახელმწიფოთა პრაქტიკა და არც *opinion juris* არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სახელმწიფოს მეთაურს საერთაშორისო სასამართლოში შეუძლია იმუნიტეტით სარგებლობა და იმუნიტეტზე დაყრდნობა არ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის დაბრკოლებად ან სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უარის თქმის საფუძველად.<sup>97</sup>

ზოგადად წევრ სახელმწიფოებს *pacta sunt servanda* პრინციპის მიხედვით სასამართლოს მოთხოვნის შემთხვევაში ეკისრებათ გამოძიების ინტერესების შესაბამისად სასამართლოსთან სრული მოცულობით თანამშრომლობის ვალდებულება, ხოლო არაწევრ სახელმწიფოებს *pacta tertiis nec nocent nec prosunt* პრინციპის მოთხოვნათა დაცვით მხოლოდ კეთილი ნების საფუძველზე შეუძლიათ დათანხმდნენ თანამშრომლობის შესახებ ICC-ის თხოვნას.<sup>98</sup> თუმცა გამონაკლის

<sup>95</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 98-ე(1) მუხლი.

<sup>96</sup> იხ. მაგალითისთვის რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 86-ე და 87-ე მუხლები.

<sup>97</sup> Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir, Judgment in the Jordan Referral re Al-Bashir Appeal, Situation in Darfur, Sudan (ICC-02/05-01/09-397-Corr), Appeals Chamber, ICC, 06 May 2019, § 1; 14; 112-116.

<sup>98</sup> Wenqi Z. On cooperation by states not party to the International Criminal Court, International Review of the Red Cross, 2006, 88, 861, 87-110, გვ.89-90.

შემთხვევებში რომის სტატუტის არაწევრ სახელმწიფოსაც შესაძლოა ჰქონდეს სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება. კერძოდ, ზემოთ უკვე განვიხილეთ რომის სტატუტით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭო გაეროს ქარტიის მე-7 თავის მიხედვით სასამართლოს გამოსაძიებლად გადასცემს რომის სტატუტის არაწევრ სახელმწიფოში განვითარებულ სიტუაციას. ასეთ დროს გაეროს ქარტიის 25-ე მუხლის მიხედვით, გაეროს წევრი ყველა სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, ის მოთხოვნებიც რომელიც გულისხმობს საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ICC-თან თანამშრომლობას.<sup>99</sup>

არაწევრი სახელმწიფოების მხრიდან სასამართლოსთან თანამშრომლობის კიდევ ერთ ზოგად ვალდებულებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ ომის დანაშაულების გამოძიების დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, კერძოდ კი 1949 წლის ჟენევის კონვენციებით განსაზღვრული ვალდებულებების კუთხით. 1949 წლის ჟენევის კონვენციები არის უნივერსალურად რატიფიცირებული, რაც ნიშნავს რომ გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო შებოჭილია ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის ვალდებულებით და ასევე მოვალეა მიიღოს ყველა ზომა ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.<sup>100</sup> მოცემული მსჯელობა დაადასტურა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუას საქმეში.<sup>101</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების თანახმად თითოეული სუვერენული სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება, უზრუნველყოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა და არ დაუშვას ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები, შეგვიძლია ფართოდ განვმარტოთ, როგორც ICC-ის არაწევრი სახელმწიფოს მოვალეობა ომის დანაშაულების პრევენციისა და დაუსჯელობის სინდრომის გაქრობის მიზნით ითანამშრომლოს ICC-თან.<sup>102</sup> თუმცა აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლები შესაძლოა ფართოდაც განიმარტოს და მოიცვას არა მხოლოდ

<sup>99</sup> გაეროს ქარტია, 33-ე *supra* სქოლიო, 25-ე მუხლი; Wenqi, 98-ე *supra* სქოლიო, გვ. 90.

<sup>100</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველი საერთო მუხლი; Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War (Fourth Geneva Convention), 12 August 1949, 75 UNTS 287.

<sup>101</sup> Nicaragua v. United States of America, Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua, Judgment of 26 November 1986, ICJ, § 220.

<sup>102</sup> Wenqi, 98-ე *supra* სქოლიო, გვ. 92-94.

ბრალდებულების ICC-ისთვის გადაცემა, არამედ რომის სტატუტით დადგენილი მინიმალური სტანდარტის დაცვით მათი ეროვნულ დონეზე გასამართლებაც. ამავდროულად განსხვავებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებიც. კერძოდ, პირის პასუხისმგებლობაში მიცემისთვის რომის სტატუტი უფრო მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს ვიდრე უმეტესი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა.

რომის სტატუტის 25-ე მუხლი განსაზღვრავს ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა საფუძვლებს, ხოლო რომის სტატუტის 30-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია ფიზიკურ პირს ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის პირდაპირი განზრახვა. სტატუტი განასხვავებს მთავარ დამნაშავესა (principal perpetrator – ქართულ კანონმდებლობაში იგივე ამსრულებელი) და დამხმარეს (accessory). ICC-ის I წინასასამართლო პალატამ ლუბანგას საქმეში განმარტა, რომ რომის სტატუტის 30-ე(2)(ბ) მუხლის ბუნებიდან გამორიცხულია არაპირდაპირი განზრახვის (*dolus eventualis*) კონცეფცია და როგორც მინიმუმ საჭიროა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა (*dolus directus*). სხვა შემთხვევაში გამორიცხულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა.<sup>103</sup> სასამართლოს წესდება ასევე განასხვავებს დანაშაულის მთავარი ამსრულებლისა და თანამზრახველების პასუხისმგებლობის ფარგლებს, ცალკე გამოყოფს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში განზრახ დახმარებასა და წაქეზებას როგორც სტატუტის მიხედვით დასჯად ქმედებებს. დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობის კუთხით რომის სტატუტის 25-ე(3)(დ) მუხლი მოითხოვს პირველი ხარისხის განზრახვას (*dolus directus*), რადგან მუხლის დისპოზიციაში გამოყენებულია ტერმინი „იმ მიზნით რომ“. შესაბამისად, მოცემულ მუხლს შემოაქვს სპეციალური და უფრო მკაცრი მოთხოვნა ნებელობის ელემენტისა, რაც წარმოადგენს რომის სტატუტის 30-ე(2)(ბ) ზოგადი მუხლიდან გადახვევას.

<sup>103</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo, Judgment pursuant to Article 74 of the Statute, Situation in the Democratic Republic of the Congo, 74-ე *supra* სქოლიო, § 1011-1012.



რომის სტატუტის 28-ე მუხლი განსაზღვრავს მეთაურის პასუხისმგებლობის ფარგლებს. სამხედრო მეთაურს ან მასთან ფუნქციურად ან ფაქტობრივად გათანაბრებულ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მის ეფექტიანი ხელმძღვანელობასა თუ კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, ანდა, ცალკეულ შემთხვევაში, ჩაიდინეს მისი ეფექტიანი ძალაუფლების ან კონტროლის პირობებში იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ძალებს ვერ უწყევდა სათანადო კონტროლს. მოცემული სპეციალური წესი განამტკიცებს მეთაურის პასუხისმგებლობის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით დადგენილ სტანდარტს. მისი ქვეშევრდომის მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, მეთაური ვალდებულია საქმე გამოსაძიებლად გადასცეს სასამართლო ორგანოს. ბემბას საქმეში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Amnesty International-მა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. აღნიშნულ მოსაზრებაში ხაზგასმულია, რომ მეთაურის პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის საკმარისი არ არის არასახელმწიფო აქტორის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელება და აუცილებელია სახელმწიფოში „კანონიერად დაარსებული“ სასამართლოს მხრიდან ხორციელდებოდეს მართლმსაჯულება.<sup>104</sup>

რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულებისთვის არ არის დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. თუმცა ICC-ის წინაშე პასუხისმგებლობა არ ეკისრება არასრულწლოვანს, თუ პირის მიერ დანაშაული ჩადენილია 18 წლის ასაკს მიღწევამდე. საპროცესო ნორმების კუთხით ICC-ის სისტემა წარმოადგენს ინკვიზიციურობისა და შეჯიბრობითობის ერთგვარ ნაზავს, სადაც ასახულია როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის ტრადიციები. მტკიცებულების მოპოვების ნაწილში პროკურორი ვალდებულია გამოძიების დროს შეაგროვოს როგორც პირის გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი მტკიცებულებები, ხოლო მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით შეუძლია ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო ნებისმიერი მტკიცებულების წარდგენის მოთხოვნა.<sup>105</sup> თუმცა როგორც ICC-ის

<sup>104</sup> Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo, Amicus Curiae Observations on Superior Responsibility Submitted pursuant to Rule 103 of the Rules of Procedure and Evidence (ICC-01/05-01/08-406), ICC, 20 April 2009, § 22-23 და 48.

<sup>105</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 54-ე(1)(ა) და 69-ე(3) მუხლი.

სასამართლო, ისე სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა Amnesty International-ის მსჯელობას და დაადგინა, რომ მეთაურის პასუხისმგებლობის ჭრილში მასზე დაკისრებულ მოვალეობაში შედის მისი ქვეშევრდომების მიერ ჩადენილი დანაშაულების საგამომიებო და სასამართლო ორგანოებისთვის გადაცემა, რომელიც მოიცავს შესაბამისი სტანდარტების დაცვით განხორციელებულ არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულებასაც.<sup>106</sup>

რომის სტატუტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად საფუძვლებსაც.<sup>107</sup> ისეთივეს როგორსაც ვხვდებით უმეტესი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო, როდესაც დამნაშავე ვერ აცნობიერებს ქმედების მართლწინააღმდეგობას. შეურაცხაობა არანებაყოფლობითი ინტოქსიკაციის გამო, რომლის მიზეზიც არ იყო თვითიმედოვნება ან დაუდევრობა. რომის სტატუტი შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ასევე ითვალისწინებს აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას. მეთაურის ბრძანების შესრულების გამო კი მხოლოდ მაშინ გამოირიცხება ქვეშევრდომის პასუხისმგებლობა, როდესაც ბრძანება არ არის აშკარად უკანონო, პირმა არ იცის ბრძანების უკანონო ხასიათის შესახებ და პირს სამართლებრივად ეკისრება შესაბამისი ვალდებულების შესრულება. ბრძანება ან კანონის მოთხოვნა, რომელიც გამოიწვევს გენოციდის დანაშაულის და/ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას ითვლება აშკარად უკანონო ბრძანებად.<sup>108</sup>

ICC-ის სისტემურ ასპექტებზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სასამართლოს *ratione personae* იურისდიქცია არ ფარავს იურიდიულ პირებს. მთავარი მიზეზი თუ რატომ არ ვრცელდება ICC-ის იურისდიქცია იურიდიულ პირებზე გამომდინარეობს კომპლემენტარობის პრინციპიდან, რადგან რომის სტატუტის წევრი ყველა სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებს იურიდიული პირების

<sup>106</sup> Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo, Judgment on the appeal of Mr Jean-Pierre Bemba Gombo against Trial Chamber III's 'Judgment pursuant to Article 74 of the Statute' (ICC-01/05-01/08 A), Appeals Chamber, ICC, 8 June 2018, § 180.

<sup>107</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 31-ე მუხლი.

<sup>108</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 33-ე(1)(გ).

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>109</sup> მართალია, მოცემული საკითხი სასამართლოს სისტემაში არსებული კომპლემენტარობის პრინციპის მხოლოდ ერთი უმნიშვნელო გამოხატულებაა, თუმცა ICC-ის ფუნქციონირების სრულფასოვნად აღსაქმელად აუცილებელია თავად კომპლემენტარობის პრინციპის სრულყოფილი ანალიზი და დეტალური მიმოხილვა.

### **3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქცია როგორც რომის სტატუტის სისტემის ქვაკუთხედი**

კომპლემენტარობის პრინციპის ცნებას რომის სტატუტში ვხვდებით სამ ადგილას: პრემბულაში, პირველ და მე-17 მუხლებში. აღნიშნული პრინციპის მიხედვით სასამართლომ დასაშვებად არ უნდა მიიჩნიოს საქმე, თუკი მოცემული საქმე სამართალწარმოებისთვის დადგენილი მინიმალური სტანდარტის დაცვით უკვე განხილულია შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს ეროვნულ დონეზე. სასამართლო კომპლემენტარობის პრინციპს მოიხსენებს როგორც რომის სტატუტით ჩამოყალიბებული სისტემის ქვაკუთხედს.<sup>110</sup> აღნიშნული პრინციპის ძალით სახელმწიფოებს ეკისრებათ უპირველესი პასუხისმგებლობა გამოიძიონ და მართლმსაჯულება განახორციელონ სასამართლოს წესდებით გათვალისწინებულ ოთხ ძირითად დანაშაულზე. კომპლემენტარობის პრინციპისავე ძალით სახელმწიფოები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ითანამშრომლონ სასამართლოსთან. ICC-ს, ზემოთ განხილული *ad hoc* ტრიბუნალებისგან განსხვავებით, არ აქვს უპირატესი იურისდიქცია ეროვნულ სასამართლოებთან მიმართებით. შესაბამისად, მას ეკისრება ეროვნული სასამართლოების დამხმარე როლი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ტერიტორიული სახელმწიფო მოკლებულია უნარს განახორციელოს ჭეშმარიტი და ეფექტიანი მართლმსაჯულება. რა თქმა უნდა, ეროვნულ დონეზე განხილული საქმე არ უნდა იყოს მხოლოდ თვალის ასახვევად განხორციელებული და სახეზე უნდა იყოს ჭეშმარიტი პროცედურები.

<sup>109</sup> Fauchald K. O. and Stigen J. Corporate Responsibility before International Institutions. The George Washington International Law Review, 2008, 40, 4, 1025-1100, გვ.1038-1039.

<sup>110</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyalo, Decision on the Practice of Witness Familiarisation and Witness Proofing, Situation in the Democratic Republic of the Congo (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber I, ICC, 8 November 2006, § 34 და 38.

კომპლემენტარობის პრინციპის შემოღების ერთ-ერთი მიზანი არის როგორც რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოების, ისე მესამე სახელმწიფოების სუვერენული ინტერესების დაცვა.<sup>111</sup> სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესში კი უდავოდ შედის მისი უფლება საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში განხორციელოს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება. კომპლემენტარული იურისდიქციის განხორციელება არ არის სასამართლოს რომელიმე ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ წარმოადგენს რთულ ინსტიტუციურ პროცესს. აღნიშნულ პროცესში ჩართულია არა მხოლოდ სასამართლოს პროკურორის ოფისი და წინასასამართლო პალატა, არამედ საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე თავად დაინტერესებულ სახელმწიფოსა ან/და დაცვის მხარეს უფლება აქვთ იდავონ კომპლემენტარულობის ჭრილში საქმის დასაშვებობის კანონიერებაზე რომის სტატუტის მე-18, მე-19 და 82-ე(1)(ა) მუხლებზე დაყრდნობით. როგორც სასამართლოს პროკურორი, ისე მოსამართლეები საქმის წარმოების შემდგომ ეტაპზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კომპლემენტარობის შემადგენელ ისეთ ელემენტებს როგორცაა: „ჭეშმარიტი“ პროცედურების განხორციელების „შესაძლებლობა“ და „სურვილი“, ასევე „სიმძიმის“ კრიტერიუმი.<sup>112</sup> პროფესორი კარსტენ სტანი კომპლემენტარობის პრინციპს განმარტავს, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების ერთობლივ ძალისხმევას მიმართულს მასობრივი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ინსტიტუციონალიზაციისკენ.<sup>113</sup> სტენი აქცენტს აკეთებს ICC-ის დამხმარე, ერთგვარ შემავსებელ როლზე, რომელიც არ გამომდინარეობს მხოლოდ საქმის უშუალოდ განხილვიდან, არამედ არის უფრო ფართო და გარკვეულწილად პრევენციული მანდატის მატარებელიც. რიგ შემთხვევებში კომპლემენტარობა მეტ სტიმულს აძლევს სახელმწიფოებს

---

<sup>111</sup> Benzing M. The Complementarity Regime of the International Criminal Court: International Criminal Justice between State Sovereignty and the Fight against Impunity. Max Planck Yearbook on United Nations Law, 2003, 7, 591-632, გვ. 595.

<sup>112</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-17 მუხლი; ICC, Office of the Prosecutor, Policy Paper on Case Selection and Prioritization, 15 September 2016, ხელმისაწვდომია [https://www.icc-cpi.int/itemsDocuments/20160915\\_OTP-Policy\\_Case-Selection\\_Eng.pdf](https://www.icc-cpi.int/itemsDocuments/20160915_OTP-Policy_Case-Selection_Eng.pdf), უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10 ივნისი 2020, § 29-32; ICC, Informal Expert Paper: The Principle of Complementarity in Practice, 2003, ხელმისაწვდომია [https://www.icc-cpi.int/RelatedRecords/CR2009\\_02250.PDF](https://www.icc-cpi.int/RelatedRecords/CR2009_02250.PDF), უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10 ივნისი 2020, გვ. 7-15.

<sup>113</sup> Stahn C. Complementarity: A Tale of Two Nations. Criminal Law Forum, 2008, 19, 87-113, გვ. 91-92.

შესაძლებლობის შემთხვევაში თავადვე განახორციელონ ეფექტიანი ეროვნული მართლმსაჯულება, მიიღონ შესაბამისი საკანონდებლო აქტები და უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცედურები, რათა აღარ გახდეს საჭირო საქმის ICC-ში განხილვა. თუმცა, დამატებითი ფუნქციის სახით, კომპლემენტარული იურისდიქცია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საშუალებას აძლევს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს თხოვნის შემთხვევაში აღმოუჩინოს მას დახმარება ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების განსახორციელებლად. მსგავს შემთხვევებს ითვალისწინებს რომის სტატუტის 93-ე მუხლის მე-10 პუნქტი, რაც ICC-ის უნიკალურობის ნათელი დადასტურებაა.<sup>114</sup> მსგავსი ე.წ. „რევერსიული“<sup>115</sup> თანამშრომლობის ფორმა არ იყო გათვალისწინებული *ad hoc* ტრიბუნალების წესდებებში და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს უჭირს იურისდიქციის მის ტერიტორიაზე სრულად გავრცელება ან გამოძიების კუთხით უჭირს კონფლიქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობა მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის გარშემო მიმდინარე ეროვნული გამოძიების ფარგლებში საქართველოს მთავრობას მტკიცებულების მოპოვება რუსული და სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* მხარისგან შეეძლებოდა ICC-ის გავლით იმ შემთხვევაში თუ რუსეთი ითანამშრომლებდა ICC-თან. სამწუხაროდ, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მსგავსი თანამშრომლობა არ შედგა. ICC-ის გავლით მტრულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა უფრო რეალურია, როდესაც კონფლიქტის დამთავრებიდან გასულია საკმარისი პერიოდი, სახეზე აღარ არის კონფლიქტის განახლების მყისიერი რისკები, თუმცა მხარეებს შორის კვლავაც არ არის აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა. ამავდროულად მართლმსაჯულების განხორციელება, დაზარალებულთა ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენება და დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს სამართალწარმოების განმახორციელებელი თითოეული მხარის ინტერესებში.

გონივრულია ვივარაუდოთ, რომ კომპლემენტარობის პრინციპის მრავალმხრივობისა

<sup>114</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 93-ე(10) მუხლი.

<sup>115</sup> იხ. Stahn, 113-ე *supra* სქოლიო, გვ. 93; 107-111.

და მისი ფართო განმარტების წყალობით ეროვნული სასამართლოები და ICC პარტნიორები უფრო გამოდიან ვიდრე მეტოქეები. პროფესორი სტანი სწორედ სახელმწიფოებთან ICC-ის თანამშრომლობის კომპონენტზე დაყრდნობით განასხვავებს კომპლემენტარობის კლასიკურ და პოზიტიურ სახეებს.<sup>116</sup> კლასიკური განმარტებით კომპლემენტარობა წარმოდგენილია როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის დამცავი, სასამართლოს ორგანოებს შორის შეკავებისა და დაბალანსების, სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების არამართებული გამოყენების საწინააღმდეგო მექანიზმი. პოზიტიური განმარტების მიხედვით კომპლემენტარობა არის მართლმსაჯულების სრულყოფის მექანიზმი, ეროვნული და საერთაშორისო სამართალწარმოების ჰარმონიზაციის საშუალება. რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოები წესდების მიერთების პარალელურად აცნობიერებენ ვალდებულებას ეროვნულ დონეზეც მოახდინონ შესაბამისი დანაშაულების სრულყოფილი კრიმინალიზაცია. სწორედ ამიტომ კომპლემენტარობის პრინციპი არ წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული სამართალწარმოებისთვის, თუმცა ის არც ICC-ის შექმნის მიზანს ეწინააღმდეგება, რადგან დაუსჯელობის სინდრომის გასაქრობად მთავარია ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელების ფაქტი და არა მართლმსაჯულების განხორციელების ადგილი. რომის სტატუტი პრეამბულაშივე განამტკიცებს თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებას მართლმსაჯულება განახორციელოს საერთაშორისო დანაშაულებზე. ამავდროულად ხაზგასმულია საერთაშორისო საზოგადოების ინტერესიც საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში დამნაშავე პირების გასამართლებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით. შესაბამისად, კომპლემენტარულობა შეგვიძლია აღვიქვათ როგორც სახელმწიფოს სუვერენული ინტერესების, საერთაშორისო დამნაშავეთა დევნის ვალდებულებისა და საერთაშორისო სტაბილურობის ერთგვარი გამაერთიანებელი მექანიზმი. თანამედროვე გაგებით კომპლემენტარობა ნიშნავს არა მხოლოდ ICC-ის სარეზერვო და *ultima ratio* როლს, არამედ ის არის უფრო ფართო ცნება, რომელიც განამტკიცებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მაღალ სტანდარტს. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული იურისდიქცია და ICC

---

<sup>116</sup> Stahn, 113-ე *supra* სქოლიო, გვ. 93-94 და 113.

ურთიერთშემავსებელნი უფრო არიან, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავნი.<sup>117</sup> თუმცა კომპლემენტარობის ეს ჰარმონიული და იდეალური გაგება პრაქტიკაში არც თუ ისე მარტივი განსახორციელებელია.

პროფესორი კრაიერი მიიჩნევს, რომ კომპლემენტარობის ცნება თავისი არსით უკვე წარმოადგენს ანტაგონიზმს ეროვნულ იურისდიქციასა და ICC-ს შორის.<sup>118</sup> წმინდა პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით ეს ანტაგონიზმი შეიძლება გაძლიერდეს ან შესუსტდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შედის იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს ინტერესში საქმის თავად განხილვა ან მისი ICC-ისთვის გადაცემა. შესაბამისად, ჩნდება საფრთხე იმისა, რომ საქმის ICC-ის გადაცემით მთავრობა სასამართლოს იყენებდეს როგორც მაგალითად აჯანყებულების საწინააღმდეგო ინსტრუმენტს.<sup>119</sup> თუმცა, მეორე მხრივ, მარტივი არც იმის უზრუნველყოფაა, რომ ICC მხოლოდ აჯანყებულებით შემოიფარგლება და არ დაიწყებს სამთავრობო ძალების წარმომადგენლების სამართლებრივ დევნას თუნდაც სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე დაწყებული გამოძიების შემდეგ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სასამართლოს წევრ სახელმწიფოს შეუძლია საქმე (სიტუაცია) საკუთარი სურვილით გამოსაძიებლად გადასცეს სასამართლოს, თუმცა მას არ შეუძლია სასამართლოს პროკურორის ოფისს უკარნახოს გამოძიების მიმართულება. მეორე მხრივ, იმავე კომპლემენტარობის პრინციპის ძალით სახელმწიფოს შეიძლება სურვილი გაუჩნდეს უკანვე დაიბრუნოს საქმის განხილვის პრეროგატივა და ICC-ის პარალელურად ეროვნულ დონეზე დაიწყოს ან განაახლოს საქმის წარმოება.

იურისდიქციული კონკურენციის საკითხზე რომის სტატუტში დაფიქსირებულისგან განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ შემუშავებული *ad hoc* ტრიბუნალებს. კერძოდ, საერთაშორისო სამართლით დაინტერესებული საზოგადოებისთვის საყოველთაოდ ცნობილ ტადიჩის საქმეში ICTY-ის სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სისხლის სამართლის ნებისმიერი საერთაშორისო ტრიბუნალისთვის აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს ტრიბუნალის უპირატესობა ეროვნულ სასამართლოებთან

<sup>117</sup> Imoedemhe C. O. The Complementarity Regime of the International Criminal Court: National Implementation in Africa. Springer, 2017, გვ. 22.

<sup>118</sup> Cryer R. Darfur: Complementarity as the Drafters Intended? in Stahn C. and ELZeidy M. (eds.). Complementarity in Theory and Practice, CUP, 2011, გვ. 1097-1119.

<sup>119</sup> Imoedemhe, 117-ე *supra* სქოლიო, გვ. 27-28.

მიმართებით.<sup>120</sup> თუმცა ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი ტრიბუნალი საკუთარი წესდებისა და ფაქტობრივი რეალობის გათვალისწინებით მხოლოდ ვიწროდ განიხილავდა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოს დანიშნულებას. 21-ე საუკუნის გადმოსახედიდან თუ ვიმსჯელებთ, უპირატესი იურისდიქციის არქონა სავსებით არ უშლის ხელს ICC-ს საკუთარი ფუნქციის განხორციელებაში, რადგან აღნიშნული დანაკლისის საპირწონედ რომის სტატუტით შემოღებულია კომპლემენტარობის მექანიზმი. მოკლედ რომ შევაჯამოთ კომპლემენტარობის პრინციპი იცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესებს საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოს მხრიდან სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მომხდარ მოვლენებში ზედმეტად ჩარევისგან. მეორე მხრივ, აღნიშნული პრინციპი სახელმწიფოსვე უწესებს იმ სტანდარტს, რომლის დაცვითაც უნდა განხორციელდეს ეროვნული მართლმსაჯულება. ამავდროულად, კომპლემენტარობის პრინციპის ძალით ICC უფრო ეფექტიანიც ხდება, რადგან მართლმსაჯულების განხორციელების პირველადი მოვალეობა ეკისრება სახელმწიფოს და არა ICC-ს, რაც იცავს მას გადატვირთულობისგან. შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს შესაძლოა უფრო მეტი რესურსი და მძლავრი ბერკეტები ჰქონდეს ადგილობრივ დონეზე მტკიცებულებათა მოპოვებისა თუ მის ტერიტორიაზე მყოფი ექვიტანილების დაკავების კუთხით ვიდრე ჰააგაში მდებარე ინსტიტუტს, რომელიც წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის იმედზეა. თუმცა როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს თეორიული მოცემულობა და კომპლემენტარობის კლასიკური გაგება პრაქტიკაში არც თუ ისე იდეალურადაა გამოხატული. კომპლემენტარობის პრინციპის ჰარმონიული მოქმედების მთავარ მოწინააღმდეგედ კი სახელმწიფოთა და რიგ შემთხვევაში თავად სასამართლოს პოლიტიკური ინტერესები უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული არგუმენტის განსამტკიცებლად საჭიროა გავეცნოთ თუ როგორია ICC-ის პრაქტიკა კომპლემენტარობის პრინციპის რეალურ სიტუაციასთან მისადაგების კუთხით.

---

<sup>120</sup> Prosecutor v. Dusko Tadic, 39-ე *supra* სქოლიო, § 97.



### 3.1 კომპლემენტარობის პრინციპიდან მომდინარე გამოწვევები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში

ICC-ის პრაქტიკაში კომპლემენტარობის პრინციპისა და ეროვნული სამართალწარმოების ურთიერთმიმართების საკითხი განსაკუთრებით საკამათო აღმოჩნდა ლიბიის, კენიისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიტუაციების განხილვის დროს. აღნიშნული სიტუაციების მიღმა, კომპლემენტარობისა და შესაბამისი იურისდიქციის მქონე მესამე სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ანალიზის კუთხით საინტერესო მიგნებები გაკეთდა ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ კოტ დ'ივუარის სიტუაციის გარშემო პროკურორის *proprio motu* გამოძიების ავტორიზაციის გადაწყვეტილებაშიც. ცალკე თავი დაეთმო კომპლემენტარობისა და *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურების ურთიერთმიმართების ანალიზს საქართველოს სიტუაციის მაგალითზე. იმავე ქვეთავში განხილული იქნება ICC-ში ლიბიელ აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაურის - ალ ვერფალის საქმის წარმოება, როგორც არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების სამართლებრივი შეფასების უნიკალური პრეცედენტი. მანამდე კი კომპლემენტარობის პრინციპის არსის გასაგებად საინტერესოა ზემოაღნიშნული სიტუაციების მოკლე მიმოხილვა. დავიწყოთ ICC-ში საქმის დასაშვებობის ეტაპით.

#### 3.1.1 კომპლემენტარობა და საქმის დასაშვებობა - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

გასაკვირი არ არის რომ კომპლემენტარობის პრინციპს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმის დასაშვებობის ეტაპზე. მოცემულ საკითხზე სასამართლომ იმსჯელა მის მიერ განხილულ პირველივე სიტუაციაში, რომელიც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩადენილ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ეხებოდა. თუმცა სანამ სიტუაციის ანალიზზე გადავალთ საჭიროა გამოვკვეთოთ სასამართლოში საქმის დასაშვებობის წინაპირობები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ICC-ში საქმის გამოძიების დაწყების საფუძველია ან წევრი სახელმწიფოს მიმართვა, ან გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვა ან

პროკურორის *proprio motu* უფლებამოსილების განხორციელება, თუმცა ამავდროულად აუცილებელია წინასასამართლო ეტაპზე არსებობდეს გონივრული საფუძველი რწმენისთვის (reasonable basis to believe), რომ ჩადენილია რომის სტატუტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.<sup>121</sup> „გონივრული საფუძველი რწმენისთვის“ სტანდარტი რელევანტურია იურისდიქციის განსაზღვრის, საქმის დასაშვებობისა და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კუთხით.<sup>122</sup> ბუნებრივია უფრო მაღალი - „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტია საჭირო ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის ანუ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის.<sup>123</sup> რომის სტატუტის მე-17 მუხლის მიხედვით, საქმის სასამართლოში დასაშვებობის შემდეგი წინაპირობები არსებობს:

„1. პრემბულის მე-10 პუნქტისა და პირველი მუხლის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ საქმე არ შეიძლება იყოს წარმოებაში მიღებული, როდესაც:

(ა) საქმეს იძიებს ან სისხლისსამართლებრივი დევნას აღძრავს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სახელმწიფოს არ სურს ან არ შესწევს უნარი სათანადოდ წარმართოს გამოძიება ან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

(ბ) საქმე გამოიძია მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფომ და გადაწყვიტა, არ აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა შესაბამისი პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ სურს ან არ შესწევს უნარი სათანადოდ წარმართოს გამოძიება ან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

---

<sup>121</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 53-ე(1) მუხლი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოსა ან გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვის შემთხვევაში, ხოლო მუხლი 53-ე(3) მუხლი გამოიყენება პროკურორის მიერ *proprio motu* გამოძიების დაწყების შემთხვევაში; Rules of Procedure and Evidence of the International Criminal Court 2002, U.N. Doc. PCNICC/2000/1/Add.1 (2000), 48-ე და 104-ე წესები; იხ. ასევე Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 24.

<sup>122</sup> Stigen J. The Admissibility Procedures in Stahn C. El Zeidy M. (eds.), The International Criminal Court and Complementarity: from theory to practice, volume 1, CUP, 2011, გვ. 503-504; Imoedemhe, 117-ე *supra* სქოლიო, გვ. 29.

<sup>123</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 66-ე(3) მუხლი.

(გ) შესაბამისი პირი უკვე გასამართლებულია იმ ქმედებისთვის, რომელიც განცხადების საგანს წარმოადგენს და რომლის განხილვა სასამართლოს მიერ, თანახმად მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა, დაუშვებელია;

(დ) საქმე არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლოს შემდგომი მოქმედება მიზანშეწონილად ჩაითვალოს.”<sup>124</sup>

საინტერესოა თუ როგორ აისახა სასამართლოს პრაქტიკაში მე-17 მუხლით დადგენილი კრიტერიუმები. 2004 წელს, სისხლის სამართლის ახლადშექმნილმა მუდმივმა სასამართლომ გამოძიება დაიწყო კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2002 წლის შემდგომ ჩადენილ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. რომის სტატუტის ძალაში შესვლის წელსვე მოახდინა DRC-იმ მისი რატიფიკაცია და შესაბამისად სასამართლოს იურისდიქციაც 2002 წლის შემდგომ ჩადენილ დანაშაულებზე გავრცელდა. ICC-ის მიერ გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა თავად DRC-ის მთავრობის მიმართვა ძირითადად ქვეყნის დასავლეთით, იტურისა და კივუს რეგიონებში ჩადენილი მასობრივი მკვლელობის, სექსუალური ხასიათის დანაშაულების, წამების, სამოქალაქო პირების იძულებით გადაადგილებისა და ბავშვი ჯარისკაცების შეიარაღებულ მოქმედებებში მასობრივად ჩართვის გამო. თომას ლუბანგა, კონგოს პატრიოტთა გაერთიანების ლიდერი, იყო პირველი დამნაშავე, რომელიც გასამართლდა ICC-ის მიერ.<sup>125</sup> ამბოხებულთა კიდევ ერთი წარმომადგენელი, ჟერმენ კატანგა, იტურის პატრიოტული წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი, დამნაშევედ იქნა ცნობილი ICC-ის კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილებით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ომის დანაშაულებში მონაწილეობისთვის და მიესაჯა 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.<sup>126</sup> კატანგას საქმის საწყისი ეტაპი საინტერესოა კომპლემენტარობის პრინციპის გამოყენების კუთხით სასამართლო პრაქტიკის ანალიზისთვის.

<sup>124</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-17(1)(დ) მუხლი.

<sup>125</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo, Judgment pursuant to article 74 of the Statute, Situation in the Democratic Republic of the Congo, 74-ე *supra* სქოლიო, § 909-916.

<sup>126</sup> Prosecutor v. Germain Katanga, 71-ე *supra* სქოლიო, § 77-79.

კატანგას საქმეში ICC-ის სააპელაციო პალატის მსჯელობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ICC ატარებს კომპლემენტარობის პრინციპის ორსაფეხურიან ანალიზს.<sup>127</sup> პირველ საფეხურზე ICC იკვლევს ა) მიმდინარეობს თუ არა ეროვნულ დონეზე იმავე დანაშაულის გარშემო გამოძიება ან სამართალწარმოება; ბ) განხორციელდა თუ არა ეროვნულ დონეზე გამოძიება, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფომ გადაწყვიტა უარი ეთქვა კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივ დევნაზე. თუ აღნიშნული ორი კითხვიდან რომელიმეს გაეცემა დადებითი პასუხი, მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმის გადალახვის შედეგად გადადის გამოძიება შემდგომ ეტაპზე და შეისწავლის ე.წ. „სურვილის არქონის ან უუნარობის“ ტექსტს.<sup>128</sup> კერძოდ, ICC-ის მხრიდან აუცილებლად უნდა გაანალიზდეს ეროვნული სისტემის უნარი თუ რამდენად შესწევს მას ჭეშმარიტი გამოძიებისა და სასამართლო პროცედურების განხორციელების ძალა. ამავდროულად, აუცილებელია შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობაც, რომელიც მიმართული იქნება ჭეშმარიტი სამართალწარმოების იდეის განუხრელი დაცვისკენ. აღნიშნულის შემდგომ საჭიროა დადგინდეს თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული სიმძიმის კრიტერიუმი და რამდენად შედის ICC-ის მიერ საქმის განხილვა მართლმსაჯულების ინტერესებში.<sup>129</sup>

რომის სტატუტის მე-19 მუხლის მიხედვით საქმის დასაშვებობის შესახებ სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე საჩივრის წარდგენის უფლების მქონე ბრალდებულისა ან შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე.<sup>130</sup> ამავე მუხლის მიხედვით შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს ქვეშ მოიაზრება ტერიტორიული სახელმწიფო, აქტიური მოქალაქეობის სახელმწიფო და ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელიც იძიებს ან სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს ან რომელმაც გამოიძია ან სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელა განსახილველ საქმეზე. რომის

<sup>127</sup> Prosecutor v. Germain Katanga, 71-ე *supra* სქოლიო, § 79; ICC, Informal Expert Paper: The Principle of Complementarity in Practice, 112-ე *supra* სქოლიო, 2003, § 20.

<sup>128</sup> Prosecutor v. Germain Katanga, Judgement on the Appeal (ICC-01/04-01/07-1497), Appeals Chamber, ICC, 25 September 2009, § 79.

<sup>129</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyalo, Decision on the Practice of Witness Familiarisation and Witness Proofing, Situation in the Democratic Republic of the Congo (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber I, ICC, 8 November 2006, § 29; რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-17 და 53-ე(1) მუხლები.

<sup>130</sup> იხ. რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-19 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

სტატუტი ტერიტორიულობისა და/ან აქტიური პერსონალურობის (იგივე მოქალაქეობის) პრინციპზე დაყრდნობით იურისდიქციის მქონე სახელმწიფოების გარდა, კომპლემენტარობის პრინციპს ასევე ყოველგვარი დამატებითი დათქმისა და წინაპირობების გარეშე ავრცელებს იურისდიქციის მქონე ნებისმიერ მესამე სახელმწიფოზე. ამ შემთხვევაში ძირითადად უნივერსალური იურისდიქციის მქონე სახელმწიფო იგულისხმება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას სხვა პრინციპების, მაგალითად დაცვისა თუ პასიური პერსონალურობის პრინციპის თანახმად. აღნიშნული არგუმენტის ცალსახა დასტურია რომის სტატუტის მე-19(2)(ბ) მუხლის არსებობა, რომელიც სრულიად ზედმეტი იქნებოდა კომპლემენტარობა მხოლოდ ტერიტორიალური ან აქტიური პერსონალურობის პრინციპების მიხედვით იურისდიქციის მქონე სახელმწიფოზე რომ ვრცელდებოდა.<sup>131</sup> თუმცა რომის სტატუტის ამკარა ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სასამართლოს წესდება დუმს რამდენიმე პარალელური ეროვნული სამართალწარმოების შემთხვევაში იურისდიქციულ იერარქიაზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სასამართლოს წესდება არ განსაზღვრავს იერარქიას შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც აკისრიათ ეროვნულ დონეზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულება.<sup>132</sup> კატანგას საქმეში კომპლემენტარული იურისდიქციის პრაქტიკული გამოხატულება განხილულია უპირველესად სასამართლოს ინტერესების პერსპექტივიდან, ჩამოყალიბებულია საქმის დასაშვებობის ეტაპზე კომპლემენტარობის რომის სტატუტისეული განმარტება და სასამართლო პრაქტიკის მომავალი განვითარების კონტურები. ამ კონტურების გაგრძელება ICC-ის მიერ შემდგომ განხილული კოტ დ'ივუარის, კენიისა და ლიბიის საქმეებიც. წინამდებარე ნაშრომი ქვემოთ განხილულ კენიის და ლიბიის შემთხვევებში მეტ აქცენტს დასვამს კომპლემენტარული იურისდიქციის გამოყენების დროს სახელმწიფოსა და ბრალდებულის ინტერესების პერსპექტივაზე. თუმცა მანამდე უმჯობესია განვიხილოთ კოტ დ'ივუარის სიტუაცია, სადაც ყველაზე ცხადად ჩანდა ეროვნული მართლმსაჯულების მიკერძოებული ხასიათი.

<sup>131</sup> Kleffner K. J. Complementarity in the Rome Statute and National Criminal Jurisdictions, OUP, 2008, გვ. 274.

<sup>132</sup> *Ibid.*, გვ. 278.

### 3.1.2 მიკერძოებული მართლმსაჯულება - კოტ დ'ივუარის სიტუაცია

კოტ დ'ივუარმა ICC-ის იურისდიქცია პირველად 2003 წელს აღიარა ოლონდ რომის სტატუტის მე-12(3) მუხლით დადგენილი შეზღუდული ფორმით. 2010 და 2011 წლებში კოტ დ'ივუარმა ორჯერ განმეორებით დაადასტურა განსაზღვრულ პერიოდებში ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით სასამართლოს იურისდიქციის აღიარების ფაქტი, თუმცა 2013 წლამდე მას არ მოუხდენია რომის სტატუტის რატიფიკაცია. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში ქვეყანა ჩაფლული იყო რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომში. სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ტალღა დაიწყო 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. არჩევნების შედეგების თაობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა პრეზიდენტობის ორ მთავარ კანდიდატს, იმ დროს მოქმედ პრეზიდენტ ლორენ გბაგოსა და მის მოწინააღმდეგე ყოფილ პრემიერ-მინისტრ ალასან ოუატარას შორის. ორი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა 2010-2011 წლებში საპრეზიდენტო კანდიდატების მომხრეებს შორის გაჩაღებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას. 2011 წლის 3 ოქტომბერს ICC-ის III წინასასამართლომ პალატამ პროკურორს უფლება მისცა *proprio motu* გამოძიება დაეწყო 2010-2011 წლების მოვლენების გარშემო,<sup>133</sup> ხოლო 2012 წელს ამავე პალატამ გააზარდა გამოძიების დროითი იურისდიქციის ფარგლები და გამოძიების ქვეშ მოექცა კოტ დ'ივუარის ტერიტორიაზე 2002 წლიდან ჩადენილი დანაშაულებიც.<sup>134</sup>

კომპლემენტარობის ჭრილში სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, კოტ დ'ივუარის ეროვნულმა მართლმსაჯულებამ ვერ დააკმაყოფილა ICC-ის სტანდარტი. კერძოდ, ICC-ის მთავარმა პროკურორმა აღნიშნა რომ აბიჯანის პროკურატურის გამოძიება შემოიფარგლებოდა ეკონომიკური დანაშაულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებითა და ე.წ. „სისხლისმიერი დანაშაულებით“, თუმცა სავარაუდო ბრალდებულთა წრე არ წარმოადგენდა იმ მაღალი თანმდებობის

<sup>133</sup> Corrigendum to “Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Côte d'Ivoire“ (ICC-02/11-14-Corr), Pre-Trial Chamber III, ICC, 15 November 2011, § 10-15.

<sup>134</sup> Decision on the “Prosecution’s provision of further information regarding potentially relevant crimes committed between 2002 and 2010” (ICC-02/11-36), Pre-Trial Chamber III, ICC, 22 February 2012, § 1-4 და § 37-38.

პირებს, რომლებიც შესაძლოა პასუხისმგებელი ყოფილიყვნენ პოსტ-საარჩევნო ძალადობის დროს კოტ დ'ივუარში ჩადენილ სავარაუდო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე.<sup>135</sup> ასევე კოტ დ'ივუარის სამხედრო პროკურატურა მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარით იყო დაინტერესებული და მისი გამოძიების ქვეშ არ მოექცნენ ამჟამინდელი პრეზიდენტის - ალასან ოუატარას მხარდამჭერები.<sup>136</sup> ICC-ის პროკურორმა და წინასასამართლო პალატამ იმსჯელეს საფრანგეთის მიერ წარმოებულ გამოძიებაზეც. ამ შემთხვევაში საფრანგეთი განხილული იყო როგორც კომპლემენტარობის კრილში შესაბამისი იურისდიქციის მქონე მესამე სახელმწიფო, რომელმაც ჩაატარა შიდა საგამოძიებო მოქმედებები მისი ტერიტორიის მიღმა ჩადენილი ქმედებების გარშემო. დადგინდა, რომ საფრანგეთი დაინტერესებული იყო მხოლოდ ორი ცალკეული ინციდენტის გამოძიებით, რომელიც ეხებოდა მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეებს და არა მთლიანად კოტ დ'ივუარში განვითარებული მოვლენების გამოძიებას. შესაბამისად, საფრანგეთის მიერ გატარებული ცალკეული ღონისძიებები არ აკმაყოფილებდა სიტუაციის გარშემო ეროვნულ დონეზე სრული სამართალწარმოების კრიტერიუმს.<sup>137</sup>

კოტ დ'ივუარის სიტუაციის გამოძიება საინტერესო იყო იმ მხრივაც რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გამოძიება დაიწყო რომის სტატუტის იმ დროისთვის არა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამავე სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულების გარშემო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ICC-ის იურისდიქციის აღიარება რომის სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. ყურადსაღებია, რომ სასამართლოს იურისდიქცია კოტ დ'ივუარმა აღიარა 2003 წელს, ხოლო რომის სტატუტის რატიფიკაცია მოახდინა იურისდიქციის აღიარებიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.<sup>138</sup> 2020 წლის მდომარეობით სასამართლო პალატის მიერ კოტ დ'ივუარის ყოფილი პრეზიდენტი ლორენ გბაგო და სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი შარლ ბლე გოუდი უდანაშაულოდ იქნენ ცნობილი ადამიანურობის

<sup>135</sup> Corrigendum to “Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Côte d’Ivoire“, 133-ე *supra* სქოლიო, § 192.

<sup>136</sup> Corrigendum to “Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Côte d’Ivoire“, 133-ე *supra* სქოლიო, § 198.

<sup>137</sup> *Ibid.*, § 198 და § 315.

<sup>138</sup> *Ibid.*, § 10.

წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში,<sup>139</sup> ხოლო ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე - სიმონე გბაგოს ჰააგისთვის გადაცემას მოთხოვნა კვლავაც უშედეგოდ რჩება.<sup>140</sup> სიმონე გბაგოს ნაწილში როგორც ICC-ის წინასასამართლო პალატამ, ისე სააპელაციო პალატამ დაადგინეს, რომ კოტ დ'ივუარის ეროვნული სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებები არ აკმაყოფილებდა რომის სტატუტით დადგენილი „ჭეშმარიტი“ მართლმსაჯულების სტანდარტს.<sup>141</sup> შეიძლება ითქვას, რომ კოტ დ'ივუარის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლის ეროვნულ დონეზე გასამართლებისა და შემდგომ მის შეწყალებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კოტ დ'ივუარის ხელისუფლებისთვის ვიდრე ICC-თან თანამშრომლობა. პრეზიდენტმა ალასან ოუატარამ მისი მთავარი მეტოქის მეუღლე და გბაგოს სხვა თანამებრძოლები სწორედ იმ მიზნით შეიწყალა, რომ ქვეყანაში განმტკიცებულიყო სამოქალაქო ერთობა და შემცირებულიყო კონფლიქტის განახლების რისკები. შესაბამისად, კოტ დ'ივუარი არის ნათელი მაგალითი კომპლემენტარობის პრინციპის, სახელმწიფოს სუვერენული ინტერესებისა და მართლმსაჯულების ინტერესების გადაკვეთის. კომპლემენტარობის პრინციპის სენსიტიური ხასიათი უფრო მეტად გამოჩნდა კენიის სიტუაციაში, სადაც გამოძიება წარმოებდა მოქმედი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ.

### 3.1.3 როგორ მოქმედებს კომპლემენტარობის პრინციპი როდესაც ბრალდებულები მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები არიან - კენიის საქმეები

2010 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს II წინასასამართლო პალატამ ავტორიზაცია მისცა პროკურორს *proprio motu* გამოძიება დაეწყო კენიის რესპუბლიკაში მომხდარი პოსტ-საარჩევნო ძალადობის გარშემო.<sup>142</sup> 2007-2008 წლებში კენიაში სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელდა

<sup>139</sup> Prosecutor v. Laurent Gbagbo and Charles Blé Goudr, Reasons for oral decision of 15 January 2019 on the Requête de la Défense de Laurent Gbagbo afin qu'un jugement d'acquiescement portant sur toutes les charges soit prononcé en faveur de Laurent Gbagbo et que sa mise en liberté immédiate soit ordonnée, and on the Blé Goudé Defence no case to answer motion (ICC-02/11-01/15), Trial Chamber I, ICC, 16 July 2019, § 28.

<sup>140</sup> Prosecutor v. Simone Gbagbo, Judgment on the appeal of Côte d'Ivoire against the decision of Pre-Trial Chamber I of 11 December 2014 entitled "Decision on Côte d'Ivoire's challenge to the admissibility of the case against Simone Gbagbo" (ICC-02/11-01/12 OA), the Appeals Chamber, ICC, 27 May 2015, § 60-65.

<sup>141</sup> *Ibid.*, § 60-65.

<sup>142</sup> Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya (ICC-01/09), Pre-Trial Chamber II, ICC, 31 March 2010.



ახალგაზრდების ბანდების მიერ, რომლებიც ასოცირებული იყვნენ კენიის ორ წამყვან პოლიტიკურ პარტიასთან. ეს იყო პირველი შემთხვევა სასამართლოს ისტორიაში როდესაც პროკურორმა გამოიყენა *proprio motu* უფლებამოსილება და საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის წინასწარი მოკვლევა. ამავდროულად კენიის სიტუაცია განსაკუთრებით საყურადღებოა კომპლემენტარობის პრინციპის ანალიზის კუთხით, რადგან კენიამ სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა წინასასამართლო პალატის მიერ პროკურორისთვის გამოძიების ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება და ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად სწორედ კომპლემენტარობის პრინციპის დარღვევა მოიხმო.<sup>143</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ კენიის სიტუაციას ICC-სთვის ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა, რადგან ბრალდებული იყო როგორც იმდროინდელი კენიის პრეზიდენტი უჰურუ კენიატა, ისე ვიცე-პრეზიდენტი უილიამ რუტო.<sup>144</sup> მართალია, საბოლოო ჯამში პროკურორის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი კენიატასა და რუტოს მსჯავრდებისთვის, თუმცა თითქმის 5 წლის მანძილზე გრძელდებოდა აქტიური პოლიტიკური და სამართლებრივი დაპირისპირება პროკურორის ოფისსა და ბრალდებულებს შორის, რომელიც საბოლოოდ პროკურორის ოფისის მარცხით დასრულდა.<sup>145</sup> თუმცა კომპლემენტარობის დარღვევის კუთხით პროკურორის ოფისის პოზიცია უფრო მართებული აღმოჩნდა ვიდრე კენიის მთავრობის. საინტერესოა თუ რა არგუმენტზე დაყრდნობით ამტკიცებდა კენიის მთავრობა, რომ ICC-ს არ შეეძლო სამართალწარმოების გაგრძელება. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად გონივრულია ეტაპობრივად განვიხილოთ საქმის მსვლელობა.

კენიის სიტუაციის გარშემო წინასასამართლო პალატისგან გამოძიების დაწყების ნებართვის მიღების შემდეგ პროკურორმა აღძრა ორი საქმე. თითოეულ საქმეში

---

<sup>143</sup> Prosecutor v. Uhuru Muigai Kenyatta, Judgment on the appeal of the Republic of Kenya against the decision of Pre-Trial Chamber II of 30 May 2011 entitled "Decision on the Application by the Government of Kenya Challenging the Admissibility of the Case Pursuant to Article 19(2)(b) of the Statute" (ICC-01/09-02/11-274), Appeals Chamber, ICC, 30 August 2011, § 29.

<sup>144</sup> Prosecutor v. Uhuru Muigai Kenyatta, 143-ე *supra* სქოლიო, § 5; Prosecutor v. William Samoei Ruto and Joshua Arap Sang, Decision on the Confirmation of Charges Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute (ICC-01/09-01/11), Pre-Trial Chamber II, ICC, 23 January 2012, § 2 and 15.

<sup>145</sup> ICC, Full Statement of the Prosecutor, Fatou Bensouda, on external expert review and lessons drawn from the Kenya situation, ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/itemsDocuments/261119-otp-statement-kenya-eng.pdf>, უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

გამოიკვეთა სამ-სამი ბრალდებული. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ერთ საქმეში ფიგურირებდა კენიის იმდროინდელი პრეზიდენტი უჰურუ კენიატა, ხოლო მეორეში ვიცე-პრეზიდენტი უილიამ რუტო. სწორედ ავტორიზაციის ეტაპის გავლის შემდგომ კენიის მთავრობამ წინასასამართლო პალატას მოსთხოვა ორივე საქმის დაუმჯობესებლად ცნობა იმ მოტივით, რომ კენიაში გატარებული რეფორმები უზრუნველყოფდა ეროვნულ დონეზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.<sup>146</sup> 2010 წლისთვის კენიამ აამოქმედა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, გაატარა საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის რეფორმა. ამავდროულად კენიის მხრიდან ხაზგასმული იყო არჩევნების შემდგომ პერიოდში სტაბილურობის შენარჩუნების საჭიროება და მყიფე მართლმსაჯულების სისტემიდან შედარებით უფრო ფუნქციურ სისტემაზე გადასვლისთვის საჭირო დროითი ინტერვალის აუცილებლობა. კენიის მთავრობის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორც წინასწარი მოკვლევის, ისე გამოძიების ეტაპზე კენიის მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა ეთანამშრომლა ICC-თან. შესაბამისად, კენიის მთავრობა სასამართლოსგან ითხოვდა კომპლემენტარობის პრინციპის დროში განგრძობად განმარტებას და აღნიშნავდა, რომ რომის სტატუტი მოითხოვდა ეროვნულ დონეზე ეფექტიანი გამოძიების მიმდინარეობას და არა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კონკრეტული ბრალდებულების გამოკვეთას.<sup>147</sup>

როგორც ICC-ის წინასასამართლო პალატამ, ისე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კენიის მთავრობის არგუმენტები კომპლემენტარობის პრინციპის განგრძობადობისა და ეროვნულ დონეზე გამოძიების ბრალდებულთა განუსაზღვრელი წრის წინააღმდეგ მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, წინასასამართლო პალატამ დაადგინა, რომ ეროვნული გამოძიებისა და სამართალწარმოების ეტაპზე ბრალდებულთა განუსაზღვრელი წრე შეიძლება სახეზე გვქონდეს იმ დრომდე, ვიდრე კონკრეტული ბრალდებულები არ არიან გამოკვეთილი თავად ICC-ის მიერ. ვითარება რადიკალურად იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოძიებას აწარმოებს უკვე გამოკვეთილი ინდივიდების

<sup>146</sup> იხ. მაგ. Prosecutor v. William Samoei Ruto and Joshua Arap Sang, Decision on Admissibility (ICC-01/09-01/11-101), Pre-Trial Chamber II, ICC, 30 May 2011, § 13.

<sup>147</sup> *Ibid.*, § 13.

წინააღმდეგ. ასეთ დროს კომპლემენტარობის პრინციპის სრულად დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ეროვნულ დონეზე გამოკვეთილი იყოს ბრალდებულთა ვინაობა. შესაბამისად, წინასასამართლო და სააპელაციო პალატებმა საკმარისად არ მიიჩნიეს კენიის მიერ ეროვნულ დონეზე წარმოებული გამოძიების შესახებ მიწოდებული ზოგადი ინფორმაცია, რადგან ზუსტად არ იყო აღწერილი გამოძიების კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც საჭირო იყო ეროვნულ დონეზე ეფექტიანი მართლმსაჯულებისთვის.<sup>148</sup> ამავდროულად, როგორც წინასასამართლო, ისე სააპელაციო პალატამ გამოიყენა ე.წ. „იგივე ადამიანი/იგივე ქმედება“ მიდგომა. მოცემული მიდგომის თანახმად კომპლემენტარობის პრინციპის ეროვნულ დონეზე განუხრელი დაცვა გულისხმობს, რომ სისხლის ICC-ში მიმდინარე გამოძიების ეტაპზე ეროვნულ დონეზე არ უნდა მიმდინარეობდეს ეფექტიანი გამოძიება იმავე ბრალდებულებისა და არსებითად იმავე ქმედებების გარშემო.<sup>149</sup> თუმცა სასამართლოს აღარ დაუზუსტებია თუ რას გულისხმობს არსებითად იმავე ქმედებაში.

კენიის სიტუაციიდან გამომდინარე საქმეებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა გამოძიების პროგრესის თაობაზე. კომპლემენტარობის პრინციპის დარღვევად არ ჩაითვლება ICC-ის მხრიდან ეროვნულ დონეზე დაგეგმილი სამართლებრივი ღონისძიებების უგულვებელყოფა იმ დროს, როდესაც ICC-ში სიტუაცია გადასულია წინასწარი მოკვლევის ეტაპიდან საგამოძიებო ეტაპზე. ლოგიკურია, რომ ICC უსასრულოდ ვერ დაელოდება ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების დასრულებას, თუკი წინასასამართლო ეტაპის დროს აღნიშნული მართლმსაჯულება ერთხელ უკვე ჩათვალა არაეფექტიანად. მუტაურა და სხვების საქმეში, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული დანაწესი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს კონკრეტული პირის ეროვნულ დონეზე სისხლისსამართლებრივ დევნას ან გასამართლებას. ის მხოლოდ მოითხოვს ეროვნულ დონეზე ჭეშმარიტი გამოძიების ჩატარებას თუნდაც არ გამოძიება არ დასრულდეს ბრალის წარდგენით.<sup>150</sup> დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ რომის სტატუტის მიხედვით, ICC-ში

<sup>148</sup> Prosecutor v. William Samoei Ruto and Joshua Arap Sang, 146-ე *supra* სქოლიო, § 56; Prosecutor v. Uhuru Muigai Kenyatta, 143-ე *supra* სქოლიო, § 5.

<sup>149</sup> Prosecutor v. William Samoei Ruto and Joshua Arap Sang, 146-ე *supra* სქოლიო, § 56; Prosecutor v. Uhuru Muigai Kenyatta, 143-ე *supra* სქოლიო, § 39-40.

<sup>150</sup> Prosecutor v. Muthaura, Kenyatta and Hussein Ali, Decision on Admissibility (ICC-01/09-02/11), Pre-Trial Chamber II, ICC, 30 May 2011, § 47-58.

მიმდინარე გამოძიებისა და ეროვნულ დონეზე წარმოებული საგამოძიებო პროცესების შედარების დროს ყურადსაღებია უკვე განხორციელებული და არა სამომავლოდ დაგეგმილი ქმედებები. ამავდროულად ამ ქმედებებში აპრიორი არ იგულისხმება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება კონკრეტული პირის წინააღმდეგ, არამედ იგულისხმება გამოძიების რეალური შედეგით დასრულების შესაძლებლობა. ეს რეალური შედეგი კი უმეტეს შემთხვევაში უნდა იყოს ჭეშმარიტების დადგენა. თუმცა სიმართლის გარკვევა არ უნდა მოხდეს ბრალდებულის უფლებების შელახვის ხარჯზე, რადგან კომპლემენტარობის პრინციპი ბრალდებულის ინტერესების დაცვასაც მოიცავს. შემდეგი ქვეთავი ლიბიის სიტუაციის მაგალითზე განიხილავს კომპლემენტარული იურისდიქციისა და ბრალდებულის უფლებების თანაკვეთას.

### **3.1.4 კომპლემენტარობა როგორც ბრალდებულის უფლებების დაცვის მექანიზმი - ლიბიის საქმეები**

ნაშრომის პირველ თავში მოკლედ შევხებით ICC-ის მიერ გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების დროს ბრალდებულის უფლებების დამცავი მექანიზმების მნიშვნელობას. თუმცა საინტერესოა რამდენად ითვალისწინებს კომპლემენტარობის პრინციპი ეროვნულ დონეზე განხორციელებული მართლმსაჯულების დროს ბრალდებულის ინტერესებს და როგორია ის მინიმალური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც განხორციელებული „ჭეშმარიტი“ მართლმსაჯულება სრულად მოიცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ორგანოს არსებობა, კანონიერად შექმნილი სასამართლოს მხრიდან საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვა, სახელშეკრულებო თუ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განმტკიცებული ადამიანის უფლებათა დამცავი ეს და სხვა დებულებები ბუნებრივია ვერ დარჩება ICC-ის ყურადღების მიღმა.<sup>151</sup>

---

<sup>151</sup> UDHR, 34-ე *supra* სქოლიო, მე-10 მუხლი; ICCPR, 36-ე *supra* სქოლიო, მე-14 მუხლი; რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 67-ე და 69-ე(4) მუხლები; Rules of Procedure and Evidence, 104-ე *supra* სქოლიო, მე-20(1), 91-ე(3)(ბ) და 144-ე წესები; UN Human Rights Committee (HRC), General comment no. 32, Article 14, Right to equality before courts and tribunals and to fair trial, 23 August 2007, CCPR/C/GC/32, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/478b2b2f2.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29 იანვარი 2020, § 3-28.

რომის სტატუტის მე-17 მუხლში კომპლემენტარულობის გადალახვის წინაპირობად დასახელებულია ეროვნულ დონეზე ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელების უნარი. თავის მხრივ, ტერმინ „ჭეშმარიტი მართლმსაჯულების“ გამოყენების დროს რომის სტატუტი ასევე მოიცავს ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპსაც.<sup>152</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემაში კომპლემენტარობის პრინციპის შემოღების ერთ-ერთი საფუძველი არის სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა, რომელიც ასევე ითვალისწინებს დანაშაულის მსხვერპლებში, თავად ბრალდებულებსა და ფართო საზოგადოების თვალშიც ეროვნული ინსტიტუტებისადმი ნდობის გამყარებას.<sup>153</sup> გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოება დაზარალებული საზოგადოებისთვის უფრო ხელშესახებს ხდის მართლმსაჯულებას. ამავდროულად, ზოგიერთ ბრალდებულს შეიძლება საკმაოდ მისაღებადაც ეჩვენოს ეროვნულ დონეზე საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების პერსპექტივა და ამით პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ნდობის დაბრუნების შესაძლებლობა. ICC-ის წინაშე ძირითადად პოლიტიკური თუ სამხედრო ლიდერები გვევლინებიან განსასჯელთა სკამზე. მათთვის მნიშვნელოვანია მხარდამჭერებში ავტორიტეტის შენარჩუნება და პოლიტიკური პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება. აღნიშნული მიზანი კი ეროვნულ დონეზე გამართლებით უფრო მარტივად მიიღწევა, ვიდრე ჰააგაში მდებარე სასამართლოს მიერ მოსახლეობის უმეტესობისთვის უცნობი სამართლებრივი პროცედურებით. მეორე საკითხია რამდენად იცნობს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ბრალდებულის უფლებას უპირატესად განსჯილი იყოს მაგალითად იმ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მან ჩაიდინა დანაშაული თუკი ამავე დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელება საერთაშორისო ტრიბუნალსაც შეუძლია. აღნიშნულ კითხვაზე ცალსახა პასუხი გასცა ICC ისტორიულმა წინამორბედმა. კერძოდ, ICTY-ის სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმეში დაადგინა, რომ არ არსებობს ბრალდებულის უფლება უპირატესად განსჯილი იყოს ეროვნული სასამართლოს მიერ.<sup>154</sup> მართალია, ICTY-იმ იმსჯელა ბრალდებულის უფლების და არა მხოლოდ სასამართლოს

<sup>152</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-17(2)(გ) მუხლი.

<sup>153</sup> *ob. Benzinger*, 111-ე *supra* სქოლიო, გვ. 619.

<sup>154</sup> *Prosecutor v. Dusko Tadic*, 39-ე *supra* სქოლიო, § 55.

კომპეტენციის ჭრილშიც, თუმცა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისგან განსხვავებით, ICC-ს არ აქვს უპირატესი იურისდიქცია და კომპლემენტარობის ძალით ბრალდებულს, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ ფაქტობრივად უფრო ფართო უფლებები ენიჭება, ვიდრე ენიჭებოდა ICTY-ის წინაშე.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციის განხორციელების კუთხით განსაკუთრებული სიმძაფრით წამოიჭრა ეროვნული და საერთაშორისო მართლმსაჯულების მეტოქეობა ლიბიის საქმეების ჰააგაში განხილვისას. ლიბია არ არის რომის სტატუტის წევრი სახელმწიფო, თუმცა 2011 წელს ICC-იმ ლიბიის სიტუაციის გარშემო გამოძიება დაიწყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს ქარტიის მე-7 თავით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაკეთებული მიმართვის საფუძველზე.<sup>155</sup> სუდანის რესპუბლიკის (დარფურის რეგიონის კონფლიქტის) თაობაზე გაკეთებული მიმართვის შემდეგ, ლიბიის სიტუაცია იყო მეორე შემთხვევა სასამართლოს ისტორიაში როდესაც გაეროს უშიშროების საბჭომ საჭიროდ ჩათვალა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიემართა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოსთვის. მუამარ კადაფის ავტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ გამოსული მომიტინგეების მასობრივად დევნისა და საჯარო მკვლელობების შემდეგ ლიბიაში გაჩაღდა არასაერთაშორისო ხაიათის შეარაღებული კონფლიქტი მეტწილად მთავრობის მომხრეებსა და სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის. კონფლიქტის მონაწილე მხარეები რამდენჯერმე შეიცვალა და ლიბიაში სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორს შორის გაჩაღებული შეიარაღებული დაპირისპირება დღემდე მიმდინარეობს. მთელი ამ პერიოდის მანძილზე მასობრივად იყო ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული და ომის დანაშაულები. განსაკუთრებით შემზარავი იყო კონფლიქტის საწყის ფაზაში ლიბიის უშიშროების სამსახურის მოქმედება ტრიპოლში, მისრატასა და ბენგაზში. ლიბიის სახელმწიფოს მეთაური - მუამარ ალ-კადაფი 2011 წელს აჯანყებულებმა მოკლეს, რის შედეგადაც ICC-ში მისი საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, კომპლემენტარობის ჭრილში სასამართლო პრაქტიკის განვითარების ანალიზისთვის

---

<sup>155</sup> UN SC Res. 1970(2011), 26 February 2011, § 4.

საინტერესოა საიფ ისლამ კადაფისა, აბდულაჰ ალ-სენუსისა და მაჰმუდ მუსტაფა ალ-ვერფალის საქმეები.<sup>156</sup> საიფ ისლამ კადაფი არის მუამარ კადაფის ვაჟი. 2011 წლამდე ის ითვლებოდა ლიბიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად მიუხედავად იმისა, რომ მას არ ეკავა რაიმე ოფიციალური თანამდებობა. აბდულაჰ ალ-სენუსი იყო კადაფის რეჟიმის პირობებში ლიბიის დაზვერვის სამსახურის უფროსი. მაჰმუდ ალ-ვერფალის დანაშაულებმა კი წინა პლანზე წამოიწია მუამარ კადაფის დამხობის შემდეგ. ალ-ვერფალი ლიბიის სამოქალაქო ომის დასაწყისში შეუერთდა ალ-საიქას ბრიგადას - ამბოხებულ ელიტარულ რაზმს. კადაფის ჩამოგდების შემდეგ დაარსებულ გარდამავალ მთავრობას, მუამარზე არასახელმწიფო აქტორებსა და სხვადასხვა ტომების დაჯგუფებებს შორის მიმდინარე დაპირისპირების ფონზე ალ-საიქას ბრიგადა აღმოჩნდა გენერალ ჰაფთარის ბანაკში, რომელიც ცნობილია „ლიბიის ეროვნული არმიის სახელით“ და ლიბიის კონფლიქტში ტერიტორიული კონტროლის მქონე ყველაზე გავლენიან არასახელმწიფო აქტორად არის მიჩნეული. ალ-ვერფალს პირადად მიუძღვის ბრალი სამხედრო ტყვეებისა და სხვა პირების თვითნებურ მკვლელობებში, რომლებიც სოციალური მედიითაც გადმოიცემოდა 2016-2018 წლებში. მის წინააღმდეგ ICC-ს გამოცემული აქვს დაკავების ორი ორდერი, თუმცა ლიბიის ყველაზე გავლენიანი გენერლის - ხალიფა ჰაფთარის მფარველობის გამო მისი ICC-თვის გადაცემა ამ დრომდე ვერ ხერხდება.<sup>157</sup> ალ-ვერფალის საქმის უნიკალურობიდან გამომდინარე ცალკე ქვეთავში მოვახდენთ საქმის სამართლებრივი საფუძვლების შეფასებას. მანამდე კი განვიხილავთ ლიბიის სიტუაციის გარშემო მიმდინარე არანაკლებ მნიშვნელოვან დარჩენილ ორ საქმეს.

საიფ ისლამ კადაფის საქმეზე ICC-ის პირველმა წინასასამართლო პალატამ დაადგინა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი რწმენისთვის, რომ რომის სტატუტის 25-ე(3)(ა) მუხლის მიხედვით, კადაფი არის 2011 წელს ლიბიაში ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების არაპირდაპირი

---

<sup>156</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi & Abdullah Al-Senussi, Judgment on the Appeal (ICC-OI/II-OI/IIOA6), Appeals Chamber, ICC, 24 July 2014, § 4-11 and 82; Zawati M. H. Prosecuting International Core Crimes under Libya's Transitional Justice: The Case of Saif Al Islam Gaddafi and Abdullah Al-Sennusi in Diver A. and Miller J. (eds.), Springer International Publishing, 2016, გვ. 217-218.

<sup>157</sup> Amoroso M. A. Should the ICC Assess Complementarity with Respect to Non-state Armed Groups? Hidden Question in the Second Al-Werfalli Arrest Warrant. Journal of International Criminal Justice, 2018, 16, 1063-1091, გვ. 1063-1067.

თანაამსრულებელი. აღნიშნულ დანაშაულებში შედის კადაფის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობა და დევნა, რომელიც განხორციელდა ლიბიის მმართველი პირების მიერ შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად.<sup>158</sup> 2012 წლის მარტში ლიბიის მთავრობამ ICC-ის წინასასამართლო პალატაში გაასაჩივრა საიფ ისლამ კადაფის საქმის დასაშვებობა იმ მოტივით, რომ ბრალდებული უკვე დაკავებული იყო ეროვნულ დონეზე და მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები. ლიბიის მთავრობის აზრით, ICC-ის მხრიდან საქმის წარმოების გაგრძელება იქნებოდა კომპლემენტარობის პრინციპის დარღვევა.<sup>159</sup> ლიბიაში გაჩაღებული მრავალპოლუსიანი სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, ლიბიის სუსტ ცენტრალურ მთავრობას არ სურდა და არც შეეძლო კადაფის ჰააგისთვის გადაცემა. მისთვის უმჯობესი იყო ეროვნულ დონეზე კადაფის გასამართლების გზით გარკვეული პოლიტიკური ბერკეტების შენარჩუნება როგორც კადაფის დამკავებელ ზინტანის დაჯგუფებასთან ურთიერთობისას, ისე ლიბიის ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებთან დიალოგის დროს. ზინტანის ბრიგადა არის ლიბიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედი ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კადაფის ჩამოგდებაში და რომელმაც პირველმა მოახერხა მისი ვაჟის დაკავება. ზინტანის ბრიგადა ანტი-სამთავრობო ძალებისადმი უფრო ლოიალურია ვიდრე გაეროს მიერ მხარდაჭერილი დროებითი მთავრობის. როგორც ICC-ს პირველმა წინასასამართლო პალატამ, ისე სააპელაციო პალატამ უარი განაცხადეს ლიბიის მთავრობის საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ლიბიის ეროვნული სასამართლო სისტემა არ იყო მზად განეხორციელებინა „ჭეშმარიტი მართლმსაჯულება“.<sup>160</sup> აქვე საინტერესოა, რომ საქმის დასაშვებობის კუთხით დავა თავად საიფ ისლამ კადაფმაც დაიწყო და ICC-ის წინასასამართლო პალატას მიმართა საქმის დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით. კადაფის მთავარი არგუმენტი გამოიხატებოდა მის უფლებაში არ ყოფილიყო ერთი და

---

<sup>158</sup> Public redacted Decision on the admissibility of the case against Saif Al-Islam Gaddafi, Pre-Trial Chamber I (ICC-01/11-01/11), 31 May 2013, [https://www.icc-cpi.int/CourtRecords/CR2013\\_04031.PDF](https://www.icc-cpi.int/CourtRecords/CR2013_04031.PDF), § 3.

<sup>159</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi and Abdullah Al-Senusi, Decision on the admissibility of the case against Saif Al-Islam Gaddafi (ICC-01/11-01/11), Pre-Trial Chamber I, ICC, 31 May 2013, § 5-12.

<sup>160</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi and Abdullah Al-Senusi, Judgment on the Appeal (ICC-01/11-01/11 OA 4), the Appeals Chamber, ICC, 21 May 2014, § 210.



იმავე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლებული.<sup>161</sup> აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ICC-ის არც წინასასამართლო და არც სააპელაციო პალატამ იმ მოტივით, რომ სახეზე არ იყო ეროვნულ დონეზე განხორციელებული ჭეშმარიტი მართლმსაჯულება იმავე დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებით, რომელთა თაობაზეც საქმის წარმოებაც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.<sup>162</sup> საივ კადაფის საქმეზე ICC-იმ ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე დაადგინა, რომ ლიბიის მთავრობა მასთან არ თანამშრომლობდა და არაერთხელ გაიმეორა ბრალდებულის სასამართლოსთვის გადაცემის მოთხოვნა.<sup>163</sup> ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის, ცენტრალური მთავრობის მიერ ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური რღვევის პირობებში საივ კადაფმა შეძლო ყოველგვარი გამამართლებელი განაჩენის გარეშე გათავისუფლებულიყო რამდენიმეწლიანი პატიმრობიდან და დღეის მდგომარეობით ის კვლავაც იძებნება ICC-ის მიერ.<sup>164</sup>

განსხვავებული შედეგი დადგა ლიბიის სიტუაციის მეორე საქმეზე. კერძოდ, ალ-სენუსის შემთხვევაში ICC-ის I წინასასამართლო პალატამ დაადგინა, რომ კომპლემენტარობის პრინციპი მოითხოვდა ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცედურების პატივისცემას და რომ ლიბიის მთავრობას შესწევდა მართლმსაჯულების განხორციელების უნარი.<sup>165</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება დაადასტურა სასამართლოს სააპელაციო პალატამაც, რის შედეგადაც შეწყდა ალ-სენუსის საქმის ICC-ში განხილვა.<sup>166</sup>

---

<sup>161</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Admissibility Challenge submitted by the Defence (ICC-01/11-01/11), 5 June 2018, § 72-94.

<sup>162</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Decision on the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), Pre-Trial Chamber 1, ICC, 5 April 2019, § 26-30; Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020, § 33.

<sup>163</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Decision on the non-compliance by Libya (ICC-01/11-01/11), Pre-Trial Chamber I, ICC, 10 December 2014, § 23-25.

<sup>164</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020.

<sup>165</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi and Abdullah Al-Senusi, Decision on the admissibility of the case against Abdullah Al-Senusi (ICC-01/11-01/11), Pre-Trial Chamber I, ICC, 11 October 2013, § 311-312.

<sup>166</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi and Abdullah Al-Senusi, Judgment on the Appeal (ICC-OI/II-OI/IIOA6), Appeals Chamber, ICC, 24 July 2014, § 295-297.

საყურადღებოა თუ რატომ დადგა ერთი და იგივე სიტუაციის გარშემო განხილულ ორ საქმეში განსხვავებული შედეგი, როდესაც ICC-ის მიერ ორივე საქმე განხილული იყო კომპლემენტარობის პრინციპის ჭრილში ერთ სახელმწიფოში წარმოებული მართლმსაჯულების შეფასების გზით. იყო თუ არა სახეზე პოლიტიკური ზეწოლის ზეგავლენა თუ მართლაც ერთი სისტემური პასუხის ნაცვლად ორი განსხვავებული ინდივიდუალური პასუხი აღმოაჩნდა ლიბიის მყოფე მართლმსაჯულების სისტემას. შესაბამისად, დასადგენია შეფასდა კომპლემენტარობა როგორც სისტემური თუ როგორც ინდივიდუალური მოქმედების მიდგომა?

დავიწყოთ ამ ორ საქმეში არსებული სხვაობის განხილვა. საიფ ალ-ისლამ კადაფი 6 წლის განმავლობაში დაკავებული იყო ლიბიის ცენტრალური მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედი გასამხედროებული ზინტანის დაჯგუფების მიერ და შესაბამისად ის პერსონალურად არასდროს წარმდგარა ლიბიის კანონიერი სასამართლოს წინაშე. ალ-სენუსის შემთხვევაში კი სახეზე იყო ბრალდებულზე იურისდიქციის სრულად განხორციელება ტრიპოლიში მყოფი გარდამავალი ხელისუფლების მხრიდან. სწორედ კანონიერი სასამართლოს მიერ მოხდა მისი საბოლოო მსჯავრდება. თუმცა ეროვნულ დონეზე სამართლიანი სასამართლოს პრინციპი ორივე შემთხვევაში დარღვეული შეიძლება ყოფილიყო, რადგან ალ-სენუსის მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო კადაფს საერთოდ არ ჰქონდა წვდომა ადვოკატზე და არსებობდა სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო, პროცედურული და პრაქტიკული ხარვეზები დაცვის უფლებით ეფექტიანი სარგებლობის კუთხით. ყურადსაღებია, რომ ლიბიაში არ არსებობდა მოწმეთა დაცვის პროგრამა, რომელიც შეიძლება რიგ შემთხვევებში ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელ ელემენტადაც კი მივიჩნიოთ. აქვე აღსანიშნავია, რომ საიფ კადაფის შემთხვევაში საკმაოდ არარეალისტური შეიძლება ყოფილიყო ეროვნული სასამართლო მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაც, რადგან ის დაუსწრებლად გასამართლდა და სასამართლოს მასზე ფიზიკური წვდომა არც ქონია და არც ახლო მომავალში ესახებოდა მსგავსი პერსპექტივა.<sup>167</sup> ამავდროულად, საიფ კადაფის საქმის

---

<sup>167</sup> Bassiouni M. Ch. (ed.). *Libya: From Repression to Revolution: A Record of Armed Conflict and International Law Violations*, 2011-2013. Martinus Nijhoff Publishers, 2013, გვ. 383-392; Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi and Abdullah Al-Senusi, Judgment on the Appeal (ICC-OI/II-OI/IIOA6), Appeals Chamber, ICC, 24 July 2014, § 4-14 and 82; Zawati, 156-ე *supra* სქოლიო, გვ. 229-237 და 242; იხ. ასევე Jurdi N. N. *The Complementarity*

ეროვნულ დონეზე წარმოების ანალიზს დროს ICC-ის სააპელაციო პალატამ 2020 წლის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე მიღებული არ იყო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება „არსებითად იმავე ქმედების“ გარშემო, რაც მითითებული იყო ICC-ის დაკავების ორდერში.<sup>168</sup> შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ რომ ერთი მხრივ ლიბიის ეროვნულმა სისტემამ განსხვავებული ინდივიდუალური მიდგომა აჩვენა მის მიერ გასამართლებულ ორ ბრალდებულთან მიმართებით, თუმცა ორივე საქმეში ერთიანი სისტემური ხარვეზები იყო გამოკვეთილი, რომელსაც სამწუხაროდ ICC-ის მხრიდან არ მიეცა სათანადო ყურადღება.

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავარკვიოთ თუ რას ნიშნავს კომპლემენტარულობის პრინციპის თანახმად ეროვნულ დონეზე ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობა, რომელსაც შეუძლია და სურს განახორციელოს ჭეშმარიტი მართლმსაჯულება. საკითხავია ფარავს თუ არა რომის სტატუტის მე-17 მუხლის დაცვის ფარგლები ეროვნულ დონეზე ბრალდებულის უფლებათა დაცვას. გასაგებია, რომ ეროვნული სისხლისსამართლებრივი პროცედურები რომლებიც მიმართულია ბრალდებულის დასაფარად ან მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად ვერ გადალახავს კომპლემენტარობის ნებელობის ზღვარს, თუმცა საკითხავია თუ რა ხდება ზედმეტად მკაცრი პროცედურების შემთხვევაში. რომის სტატუტის მოსამზადებელი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეებმა უკუაგდეს მე-17 მუხლის დაფარვის არეალში სამართლიანი სასამართლოს როგორც ბრალდებულის უფლების დამცავი მექანიზმის გათვალისწინების იდეა.<sup>169</sup> ამ იდეის აქტიური მხარდამჭერი იყო იტალია, თუმცა სხვა სახელმწიფოებს არ სურდათ ICC-ს რამენაირად შეეთავსებინა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანოების მსგავსი დამატებითი ფუნქციები.<sup>170</sup> მეორე მხრივ, რომის

---

Regime of the International Criminal Court in Practice: Is it Truly Serving the Purpose? Some Lessons from Libya, *Leiden Journal of International Law*, 2017, 30, 1, 199-220.

<sup>168</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020, § 12 და 63.

<sup>169</sup> რომის სტატუტის შემუშავების დროს იტალია საუბრობდა, რომ ეროვნულ დონეზე ჭეშმარიტი მართლმსაჯულების ცნების ქვეშ ცალკე უნდა აღნიშნულიყო ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებების სრული პატივისცემის საკითხი, იხ. Draft Proposal by Italy on Article 35, 44, UN Doc. A/AC.249/1997/WG.3/IP.4, 5 August 1997.

<sup>170</sup> Informal Expert Paper: The Principle of Complementarity in Practice, 112-ე *supra* სკოლიო, § 20.2003, გვ. 15; Holmes J. The Principle of Complementarity in Lee S. R. (ed.) *The International Criminal Court: The Making of the Rome Statute: Issues, Negotiations, Results*, Martinus Nijhoff Publishers, 1999, გვ. 50-51; Rojo C. E. *The*

სტატუტის მე-17(2)(გ) მუხლში ნახსენები მიუკერძოებლობა დარღვეული იქნება თუკი მართლმსაჯულების მიზანი არის ყველა გზით კონკრეტული ბრალდებულის გამტყუნება მისთვის დაცვის ფუნდამენტური გარანტიების მიცემის გარეშე.<sup>171</sup>

სამწუხაროდ, ლიბიის საქმეებში სასამართლომ ვერ შეძლო მკაფიოდ გამოეკვეთა ერთიანი სტანდარტი იმის შესახებ ჩაითვლება თუ არა გამოკითხვისა და დაკითხვის ეტაპზე ადვოკატზე წვდომის შეზღუდვა მიუკერძოებულ მართლმსაჯულებად. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ კადაფისა და ალ-სენუსის საქმეების მთავარ განმასხვავებელ ფაქტორად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ტრიპოლიში მყოფ გარდამავალ ხელისუფლებას და მის დაქვემდებარებაში მყოფ სასამართლო სისტემას არ შეეძლო დაუსწრებლად კადაფის გასამართლება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად. კადაფის შემთხვევაში ICC-იმ აქცენტი გააკეთა ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელების უუნარობაზე და არა სურვილის არქონაზე. ალ-სენუსის შემთხვევაში კი სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ დონეზე იყო იმავე ბრალდებულის იმავე დანაშაულისთვის გასამართლების როგორც სურვილი, ისე შესაძლებლობა მიუხედავად სერიოზული კითხვის ნიშნებისა რომელიც არსებობდა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის ნაწილში.

შესაბამისად, ლიბიის სიტუაციის გარშემო განხილულ ამ ორ საქმეში მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გამოდგა ფაქტობრივი მდგომარეობა. კერძოდ, დაკავების ადგილისა და დაკავების ორგანოს კუთხით არსებული სხვაობა და არა თავად ლიბიის მართლმსაჯულების სისტემური პრობლემები, რომელიც საერთო იქნებოდა ორივე ბრალდებულის შემთხვევაში სასამართლოს რომ სისტემური და ბრალდებულის უფლებებზე დაფუძნებული შეფასება გაეკეთებინა. მართალია, ზემოაღნიშნული მაგალითებით გამოვკვეთეთ კომპლემენტარობის ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის კუთხით ICC-ის ჯერ კიდევ დახვეწისა და შემდგომი სისტემატიზაციის საჭიროების მქონე მიდგომა, თუმცა კომპლემენტარობის პრინციპის გარდა მსჯავრდებულები და გამართლებულები ასევე დაცული არიან

---

Role of Fair Trial Considerations in the Complementarity Regime of the International Criminal Court: From 'No Peace without Justice' to 'No Peace with Victor's Justice'? *Leiden Journal of International Law*, 2005, 18, 829-854, გვ. 832-833.

<sup>171</sup> იხ. მაგალითად Mégret F. and Samson M. Holding the Line on Complementarity in Libya, *Journal of International Criminal Justice*, 2013, 11, 571-589, გვ. 585-586.

რომის სტატუტით გათვალისწინებული ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპით. ნაშრომის შემდეგი თავი სწორედ აღნიშნულ პრინციპს განიხილავს.

#### 4. *Ne bis in idem* ანუ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში

ფრაზა *maxim nemo bis vexari pro una et eadem causa* მომდინარეობს რომაული სამართლიდან და ნიშნავს, რომ არ შეიძლება ადამიანი ორჯერ განისაჯოს ან გასამართლდეს ერთი და იმავე მიზეზით.<sup>172</sup> ადამიანის უფლებათა სამართალი ბრალდებულის უფლებათა რიგს მიაკუთვნებს უფლებას ორჯერ არ აგო პასუხი ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისთვის. მოცემული პრინციპი ცნობილია ლათინური ტერმინის *ne bis in idem* სახით, რომელსაც კონტინენტური ევროპის ქვეყნებში *non bis in idem*-საც უწოდებენ. ორმაგი დასჯის აკრძალვის საფუძველი უნდა ვეძიოთ სამართლიანობისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების პატივისცემის იგივე საბოლოობის პრინციპებში.<sup>173</sup> სწორედ სამართლიანობისა და საბოლოობის პრინციპებიდან გამომდინარე ორმაგი დასჯის აკრძალვის ანალოგი გვაქვს სახეზე სამოქალაქო სამართალშიც *res judicata* პრინციპის სახით.<sup>174</sup> ხელმეორე მსჯავრდებისგან დაცვის უფლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს, უფრო კონკრეტულად ბრალდების მხარის, საპროცესო შეზღუდვა პროკურატურას არ აქვს უფლება განმეორებით ან მიმდევრობით წარუდგინოს პირს ბრალი, რადგან მართლმსაჯულების მიზანი არ არის დაუსრულებელი სწრაფვა გამამტყუნებელი განაჩენისკენ. შესაბამისად, ბრალდებული არ უნდა იყოს ვალდებული სასამართლოში თავი იქამდე დაიცვას, სანამ მისი გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება.

ბუნებრივია ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში ხელმეორე გასამართლების შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს განმეორებით ბრალის წარდგენის უფლება

---

<sup>172</sup> Klamberg M. (ed.) Commentary on the Law of the International Criminal Court, TOAEP, 2017, გვ. 233; Conway G. *Ne Bis in Idem* in International Law. International Criminal Law Review 2003, 3 217-244, გვ. 217-221.

<sup>173</sup> Crist v. Bretz, 437 U.S. 28 (1978); Bassiouni M. C. Human Rights in the Context of Criminal Justice: Identifying International Procedural Protections and Equivalent Protections in National Constitutions, Duke Journal of Comparative and International Law, 1993, 3, 235-298, გვ. 288; Conway, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 217-218.

<sup>174</sup> Bassiouni, 173-ე *supra* სქოლიო, გვ. 288.

და სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.<sup>175</sup> მაგალითისთვის რომ ავიღოთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლად გამოვლენილი გარემოების ქვეშ მოიაზრებს როგორც შეცდომას ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, ისე შეცდომას სამართლებრივ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ყალბი მტკიცებულება როგორც განაჩენის საფუძველი, სასამართლოს უკანონო შემადგენლობა, მოცემულ საქმესთან მიმართებით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა თუ მიკერძოების დამადასტურებელი სხვა ფაქტი, გამოყენებული კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, კანონმდებლობის ცვლილება, რომლის საფუძველზეც ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება ან შემსუბუქება და სხვ.<sup>176</sup>

კონტინენტური ევროპის მოდელის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს ქვედა ინსტანციების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების კუთხით იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდებული იყო გამართლებული ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამ საკითხზე განსხვავებული მიდგომა აქვს ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემას, სადაც უმეტეს შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი არ ექვემდებარება ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას, თუკი სახეზე არ არის მაგალითად ქრთამის მიცემის, ნაფიც მსაჯულზე ან მოწმეზე ზემოქმედების ფაქტი.<sup>177</sup> მოცემული განსხვავება ნაკარნახებია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სისტემის არარსებობით. სასამართლო ხელისუფლების მოწყობის ანგლო-ამერიკული ტრადიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პატივისცემასა და შესაბამისად გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ერთი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ერთხელ უკვე განსჯილი დანაშაულებრივი ქმედების გამო ხელმეორედ დასჯის აკრძალვის მნიშვნელობას.

<sup>175</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 310-314 მუხლები.

<sup>176</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 310-ე მუხლი.

<sup>177</sup> Kriangsank Kittichaisarre K. International Criminal Law, OUP, 2001, გვ. 290.

#### 4.1 ორმაგი დასჯის აკრძალვის ისტორიული საფუძვლები და სახელმწიფოთა პრაქტიკა

ძველი აღთქმაში ნაუმ წინასწარმეტყველი აღწერს ნინევიას დაცემას, სადაც ის ამბობს რომ ღმერთმა უკეთურებათა გამო დასაჯა ქალაქის მაცხოვრებლები მოუვლინა-რა მათ ამქვეყნიური სატანჯველი, თუმცა ისინი განმეორებით აღარ დაისჯებიან რადგან ერთხელ უკვე აგეს პასუხი.<sup>178</sup> იდეა რომ ღმერთი და/ან სამართალი ერთი და იმავე დანაშაულისთვის ადამიანს ორჯერ არ განიკითხავს შეინიშნება როგორც ქრისტიანულ მოძღვრებაში, ისე ძველ ბერძნულ, რომაულ, კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკულ სამართალში.<sup>179</sup> აშშ.-ს უზენაესმა სასამართლომ, 1959 წელს, *Bartkus v. Illinois* საქმეში ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ დასჯის აკრძალვის იდეა დაახასიათა როგორც დასავლური ცივილიზაციის ისტორიული მემკვიდრეობა.<sup>180</sup> საყურადღებოა, რომ მოცემული ისტორიული კონცეფციის კოდიფიკაცია პირველად სწორედ აშშ.-ს კონსტიტუციაში მოხდა. კერძოდ, განმეორებით მსჯავრდების ანუ ორმაგი დასჯის (double jeopardy) აკრძალვის ცნება ხაზგასმით აღინიშნა აშშ.-ს კონსტიტუციის 1791 წელს მიღებულ მეხუთე შესწორებაში.<sup>181</sup> მეოცე საუკუნის ბოლოსთვის 50-ზე მეტი სახელმწიფოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა ორმაგი დასჯის აკრძალვის შესახებ სპეციალურ დათქმას.<sup>182</sup> აშშ.-ს სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის მიხედვით არ შეიძლება ბრალი განმეორებით წარედგინოს ერთსა და იმავე დანაშაულისთვის იმ პირს, რომელიც ან გამართლდა ან გამტყუნდა სასამართლოს მიერ.<sup>183</sup> ამერიკული მოდელის მიხედვით არ იკრძალება პირისთვის ბრალის რამოდენიმეჯერ წარდგენა, თუკი მოცემულ ქმედებაზე სასამართლოს არც ერთხელ არ აქვს გამოტანილი განაჩენი.

<sup>178</sup> „ასე თქვა უფალმა: თუნდაც ჯანით სავსენი იყვნენ და უამრავნიც, მაინც გაწყდებიან, გადაშენდებიან. ხომ გაგტანჯე, მაგრამ მეტად აღარ გაგტანჯავ.“ ძველი აღთქმა, ნაუმ წინასწარმეტყველი, თავი პირველი, ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, 1989, გვ. 843, § 9-12.

<sup>179</sup> *Bartkus v. Illinois*, 359 U.S. 121 (1959).

<sup>180</sup> *Ibid.*

<sup>181</sup> The Constitution of the United States, Amendment 5. See also Amendment 14.

<sup>182</sup> Bassiouni, 173-ე *supra* სქოლიო, გვ. 289.

<sup>183</sup> იხ. მაგ. *Benton v. Maryland*, 395 U.S. 784 (1969); *North Carolina v. Pearce*, 395 U.S. 711 (1969).

ორმაგი დასჯის (double jeopardy) ვიწრო განმარტებით, აღნიშნული პრინციპი მხოლოდ ერთ სახელმწიფოში, ერთ სამართლებრივ სისტემაში მოქმედებს.<sup>184</sup> მაგალითად, 1987 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი არ მოიცავს სხვა სახელმწიფოებში განხორციელებულ მართლმსაჯულებას თუკი რაიმე სპეციალური ხელშეკრულებით არ არის საპირისპირო დანაწესი განსაზღვრული. მისი მოქმედება მოიცავს მხოლოდ ერთ სახელმწიფოში განხორციელებულ სამართალწარმოებას.<sup>185</sup> 1967 წელს იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ განსხვავებული მიდგომა განავითარა და თქვა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს განაჩენი ხელის შემშლელი უნდა იყოს იტალიაში იმავე ქმედების გამო იმავე პირის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახლებლად თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი აქტები ემთხვევა იტალიური სამართლებრივი აქტების სოციალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ კონტექსტს.<sup>186</sup>

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი ემხრობა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის უფრო ფართო განმარტებას. მათი აზრით, *ne bis in idem* დოქტრინა უფრო მრავლისმომცველია ვიდრე ამერიკულ მოდელში არსებული ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი. მისი მოქმედება სცდება ერთ სახელმწიფოს და ფარავს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა თუ სხვადასხვა სუვერენულ სახელმწიფოებში განხორციელებულ მართლმსაჯულებას.<sup>187</sup> თუმცა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ *ne bis in idem* არ არის ფართოდ მიჩნეული როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმა.<sup>188</sup> ზოგადი წესიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს ექსტრადიციასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაციები, რადგან არსებობს სახელმწიფოთა პრაქტიკა განმტკიცებული შესაბამისი სამართლებრივი სავალდებულოების ელემენტით (*opinion juris*), რომ

<sup>184</sup> Blockburger v. United States, 284 U.S. 299, 304 (1932); El Zeidy M. The Principle of Complementarity in International Criminal Law: Origin, Development and Practice. Brill, The Hague, 2008, გვ. 284.

<sup>185</sup> გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე BverfGE 75, 1 2 BvM 2/86, 31 March 1987.

<sup>186</sup> იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ციტირებულია Conway G. Ne Bis in Idem in International Law. International Criminal Law Review 2003, 3 217-244, გვ. 231.

<sup>187</sup> Bassiouni, 173-ე *supra* სქოლიო, გვ. 288.

<sup>188</sup> Klamberg, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 233; Conway, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 237.



ექსტრადიციის კონტექსტში ორმაგი დასჯის აკრძალვა წარმოადგენს ჩვეულებითი ხასიათის ნორმას.<sup>189</sup> თუ ექსტრადიციის მიღმა კონტექსტში სადავოა ორმაგი დასჯის აკრძალვის ჩვეულებითი ხასიათი, ნაკლებ ორაზროვნებას იწვევს აღნიშნული პრინციპის მიჩნევა სამართლის ზოგად ნორმად.<sup>190</sup> შესაბამისად, ის მაინც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს თუ ჩვეულების სახით არა, მაშინ სამართლის ზოგადი პრინციპის სახით. ამ მსჯელობის თანახმად ორმაგი დასჯის აკრძალვის ფართოდ განმარტების შემთხვევაში, მისი ტრანსნაციონალური მოქმედების აღიარება სავალდებულო გამოდის ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ასეთ დროს საინტერესოა *ne bis in idem* პრინციპისა და *aut dedere aut judicare* პრინციპების ურთიერთმიმართება.<sup>191</sup> წესით ეს ორი პრინციპი უნდა იყოს ურთიერთშემავსებელი, რადგან სახელმწიფო ვალდებულია ან თავად გაასამართლოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ძირითად დანაშაულებში ბრალდებული პირები ან გადასცეს ისინი იმ სახელმწიფოსა თუ სართაშორისო ტრიბუნალს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მათი გასამართლება. უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების დროს მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის ჩადენის ადგილს, სავარაუდო დამნაშავისა და მსხვერპლის მოქალაქეობას. უნივერსალური იურისდიქციის მთავარი მიზანი არის საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველაზე შემზარავი დანაშაულების დაუსჯელად დატოვების პრევენცია. მსგავსი დანაშაულის ჩამდენი პირები ვერ უნდა სარგებლობდნენ თავშესაფრით ცივილიზებულ სამყაროში და თითოეულ ქვეყანას უნდა შეეძლოს მათი პასუხისგებაში მიცემა.

უნივერსალური იურისდიქციის ვიწრო განმარტებით მისი განხორციელების წინაპირობა არის ბრალდებულის ხელმისაწვდომობა ანუ მასზე იურისდიქციის განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა. აქ ყურადღება გამახვილებულია სააღსრულებო და სასამართლო იურისდიქციაზე და არა საკანონმდებლო იურისდიქციაზე. საკანონმდებლო იურისდიქციის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს უფლება შემოიღოს, შეცვალოს ან გააუქმოს კანონმდებლობა. სააღსრულებო იურისდიქციის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს უნარი საპოლიციო, საპროკურორო

<sup>189</sup> Conway, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 233

<sup>190</sup> Bassiouni C. M. *International Extradition Law: United States Law and Practice*. Oceana, 1987, გვ. 107; Klamburg, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 233; Conway, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 237.

<sup>191</sup> *ib.* Conway, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 234-237.

და საგამოძიებო ორგანოების მეშვეობით დააკავოს ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული. ეროვნული სასამართლოებისა და სხვა ეროვნული ტრიბუნალების მხრიდან სასამართლო ფუნქციების განხორციელებას ანუ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ან განჩენის გამოტანის უნარს ეწოდება სასამართლო იურისდიქცია.

უნივერსალური იურისდიქციის პრინციპზე დაყრდნობით იმ შემთხვევაშიც შეიძლება ბრალდებულის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და დევნის დაწყება, როდესაც ის სხვა სახელმწიფოს აფარებს თავს. მსგავსი ვითარება იქნებოდა სახეზე მაგალითად საქართველოს პროკურატურას რომ გამოეცხადებინა ძებნა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ იმ ლიდერებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ რომელთაც სირიისა თუ ერაყის ტერიტორიაზე ჩადენილი აქვთ საერთაშორისო დანაშაულები. შესაბამისად, უნივერსალური იურისდიქციის ფართო გაგება მოიცავს ომის დანაშაულის, გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა თუ წამების დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირის წინააღმდეგ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესაძლებლობას. სააღსრულებო იურისდიქციის არქონის პირობებში უნივერსალური იურისდიქციით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე შესაძლოა სხვა სახელმწიფოსგან დამნაშავის გადმოცემის მოთხოვნა ან/და ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლება.<sup>192</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციებმა და 1984 წლის კონვენციამ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ სათანადო ნიადაგი შეამზადეს სახელმწიფოთა პრაქტიკაში *aut dedere aut judicare* პრინციპის განსამტკიცებლად.<sup>193</sup> სახელმწიფოთა პრაქტიკამ აჩვენა რომ აღნიშნული პრინციპი ეფექტიანად ზემოქმედებს არა მხოლოდ დაბალი რანგის დამნაშავეებზე, არამედ უმაღლესი თანამდებობის პირებზეც. ესპანეთის მიერ ჩილეს ყოფილი დიქტატორის ავგუსტო პინოჩეტის გასამართლების მცდელობა,<sup>194</sup> ბელგიის მიერ კონგოს დემოკრატიული

<sup>192</sup> იხ. Philippe X. The principles of universal jurisdiction and complementarity: how do the two principles intermesh? *International Review of the Red Cross*, 2006, 88, 862, 375-398, გვ. 377-380.

<sup>193</sup> Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment 1984, 1465 UNTS 85, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები.

<sup>194</sup> Stahn, 51-ე *supra* სქოლიო, გვ. 18 და 251-252.

რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ დაკავების ორდერის გამოცემა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ თანმდევი საქმის განხილვა,<sup>195</sup> სენეგალის სასამართლოში შექმნილი სპეციალური აფრიკული პალატის მიერ ჩადის ყოფილი პრეზიდენტის ჰისენ ჰაბრეს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული, წამებისა და ომის დანაშაულებში დამნაშევედ ცნობა<sup>196</sup> და მანამდე ბელგიის მიერ მის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა,<sup>197</sup> წარმოადგენენ უნივერსალური იურისდიქციის კონცეფციის ეტაპობრივი განვითარებისა და დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ტრანსნაციონალური ნიშნების მქონე ეროვნული მართლმსაჯულების მაგალითებს.

თუმცა სიტუაცია არც თუ ისე მარტივია იმ დროს, როდესაც იწყება იურისდიქციული დავა რამდენიმე სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ტრიბუნალებს შორის. სწორედ ამ შეთხვევაშია ყველაზე მნიშვნელოვანი დავადგინოთ ორმაგი დასჯის აკრძალვის სამართლებრივი ბუნება ტრანსნაციონალურ დონეზე. ამ ამოცანის ამოსახსნელად კი აუცილებელია *ne bis in idem* პრინციპი განვიხილოთ არა მხოლოდ ზოგადად საერთაშორისო საჯარო სამართლის, არამედ ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ჭრილში, რადგან საერთაშორისო სამართლის ამ დარგებს შორის შესაძლო კოლიზიის დროს დაზუსტდეს გამოსაყენებელი სამართალი - *lex specialis*.

#### 4.2. ორმაგი დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით: „არავინ შეიძლება მეორედ გაასამართლონ ან დასაჯონ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო საბოლოოდ მსჯავრდადებული ან გამართლებული რომელიმე ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის 32-ე ზოგადი კომენტარის მიხედვით, ICCPR-ის მე-14(7) მუხლი

<sup>195</sup> Democratic Republic of the Congo v. Belgium, Arrest Warrant of 11 April 2000, ICJ, Judgment of 14 February 2002, § 61.

<sup>196</sup> Extraordinary African Chamber, Ministère Public v. Hisssein Habré, Judgment, 30 May 2016.

<sup>197</sup> Belgium v. Senegal, Questions relating to the Obligation to Prosecute or Extradite, ICJ, Judgment of 20 July 2012.

დაუშვებლად თვლის საერთო სასამართლოების მიერ გასამართლებული პირის ხელმეორედ გასამართლებას სამხედრო ან სპეციალური სასამართლოს მიერ. თუმცა დაუსწრებლად გასამართლებულ პირს არ ეზღუდება უფლება მოითხოვოს განმეორებითი სამართალწარმოების განხორციელება აწ უკვე მისი მონაწილეობით. ადამიანის უფლებათა სამართალი ასევე არ ზღუდავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების განახლებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ICCPR-ის მე-14(7) მუხლის მიხედვით ავტომატური აკრძალვის ქვეშ არ ექცევა ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის მსჯავრდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება ორ ან მეტ სახელმწიფოში.<sup>198</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეში *A.R.J. v. Australia* განიხილა ირანელი მამაკაცის ინდივიდუალური კომუნიკაცია, რომელიც გასამართლებული იყო ავსტრალიაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეტანისა და ფლობისთვის. ის ამბობდა, რომ ავსტრალიაში სასჯელის მოხდის შემდეგ მისი ირანში დეპორტაციით მას იმავე ქმედებისთვის ირანის მიერაც წარედგინებოდა ბრალი, რითაც დაირღვეოდა ICCPR-ის მე-14(7) მუხლი. კომიტეტმა ცალსახად აღნიშნა, რომ პაქტის მიხედვით ორმაგი დასჯის აკრძალვის ქვეშ მოიაზრება მხოლოდ ერთ სახელმწიფოში განხორციელებული სამართალწარმოება.<sup>199</sup> მოცემული ვიწრო განმარტების მიხედვით აკრძალვა არ ვრცელდება ერთი ქვეყნის იურისდიქციის მიღმა განხორციელებულ ქმედებებზე. ანალოგიური დასკვნა აქვს გაკეთებული სისხლის სამართლის ჰიბრიდულ ტრიბუნალს, კამბოჯის სასამართლოების საგანგებო პალატას, იენგ სარის საქმეში.<sup>200</sup> კამბოჯის მთავრობისა და გაეროს თანამშრომლობით დაარსებულმა ტრიბუნალმა დაადგინა, რომ კამბოჯის მიერ ეროვნულ დონეზე პოლ პოტის ახლო მოკავშირისა და მისი მთავრობის მაღალჩინოსანის (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის) გასამართლება და შემდგომი ამნისტია არ წარმოადგენდა კამბოჯის სპეციალური პალატის იურისდიქციის გავრცელებისთვის

<sup>198</sup> UN Human Rights Committee (HRC), General comment no. 32, Article 14, Right to equality before courts and tribunals and to fair trial, 23 August 2007, CCPR/C/GC/32, § 54-57.

<sup>199</sup> *A.R.J. v. Australia*, CCPR/C/60/D/692/1996, HRC, 11 August 1997, § 6.4; იხ ასევე *A.P. v. Italy*, CCPR/C/OP/2, HRC, 2 November 1987, § 7.3.

<sup>200</sup> Extraordinary Chambers in the Courts of Cambodia, Case No. 002/19-09-2007Ieccrrc, Decision on Ieng Sary's Rule 89 Preliminary Objections (Ne bis in idem and Amnesty and Pardon), 03 November 2011, ხელმისაწვდომია [https://www.eccc.gov.kh/sites/default/files/documents/court/doc/E51\\_15\\_EN.PDF](https://www.eccc.gov.kh/sites/default/files/documents/court/doc/E51_15_EN.PDF) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020, § 32-35.

დამაბრკოლებელ გარემოებას. ამავდროულად პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ დავაში ბრალდებული ვერ დაეყრდნობოდა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს. სამწუხაროდ, „წითელი ხმერების - Khmer Rouge” რეჟიმის პირობებში ინტელიგენციისა და მეცნიერების დევნის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორი - იანგ სარი უფრო ადრე გარდაიცვალა ვიდრე გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენაში მისი გამამტყუნებელი განაჩენი დადგებოდა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკაზე საუბრის გაგრძელებამდე უმჯობესია ჯერ ადამიანის უფლებათა სამართლით დადგენილი სტანდარტების სრულფასოვნად განხილვა. ICCPR-ის მე-14(7) მუხლზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ორმაგი დასჯის აკრძალვის კიდევ ერთ განსაკუთრებულ ფაქტორზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისგან განსხვავებით, ICCPR-ის აკრძალვა ეხება მხოლოდ ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრდებას და არა ერთი და იმავე ქმედებისთვის განმეორებით მსჯავრდებას რაც გათვალისწინებულია მაგალითად სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებებში (იხ. მომდევნო ქვეთავი აღნიშნული მიმართულებით ICTY-ის, ICTR-ის და ICC-ის პრაქტიკის შესახებ). შესაბამისად, საჭიროა ქმედება ეროვნულ დონეზე კვალიფიცირებული იყოს დანაშაულად, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის ტრიბუნალებისთვის, რადგან მათთვის ქმედების კვალიფიკაციის მთავარი განმსაზღვრელი არის მათივე წესდებები. ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტებიც ICCPR-ის მსგავს ფორმულირებას იმეორებენ.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მიხედვით აკრძალულია კანონიერ ძალაში შესული საბოლოო განაჩენით გამართლებული პირის განმეორებით მსჯავრდება იმავე დანაშაულისთვის.<sup>201</sup> ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ *ne bis in idem* პრინციპი არ არის აბსოლუტური და ვერ გადაწონის სახელმწიფოს ვალდებულებას აღასრულოს მართლმსაჯულება და

---

<sup>201</sup> American Convention on Human Rights "Pact of San José, Costa Rica" 1969, 17955 UNTS 1144, მე-8(4) მუხლი.

ეფექტიანად გამოიძიოს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.<sup>202</sup> ამავდროულად, ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი არ გამოიყენება იმ დროს, როდესაც გამამართლებელი განაჩენი არ დამდგარა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი მართლმსაჯულების შედეგად.<sup>203</sup> აღსანიშნავია, რომ ერთი დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლებას კრძალავს ადამიანის უფლებათა არაბული ქარტიაც.<sup>204</sup> თუმცა ქმედითი და ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის თვალსაზრისით მეტად ეფექტიანი აკრძალვაა დაწესებული ევროპის რეგიონალური ინსტრუმენტებით. სპეციალური დათქმის არსებობის კუთხით აღსანიშნავია ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენცია, რომლის მე-9 მუხლის მიხედვით: „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ არ დაიწყონ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ.“<sup>205</sup> ამავე კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მიხედვით კი ექსტრადიცია შესაძლოა არ განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იმავე დანაშაულისთვის უკვე იყო გასამართლებული მესამე სახელმწიფოში.<sup>206</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით ხელმეორედ გასამართლების აკრძალვა წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას:

---

<sup>202</sup> *Almonacid Arellano et al v. Chile*, Judgement (Preliminary Objections, Merits, Reparations and Costs), IACtHR, 26 September 2006, § 151 და 154.

<sup>203</sup> *Carpio-Nicolle et al. v. Guatemala*, Judgement (Merits, Reparations and Costs), IACtHR, 22 November 2004, § 132; *Guiterrez-Soler v. Colombia*, Judgement (Merits, Reparations and Costs), IACtHR, 12 September 2005, § 98.

<sup>204</sup> *League of Arab States, Arab Charter on Human Rights 2004*, reprinted in 12 INT'L HUM. RTS. REP. 893 (2005), მე-16 მუხლი.

<sup>205</sup> *European Convention on Extradition 1957*, ETS No.024, მე-9 მუხლი.

<sup>206</sup> *Additional Protocol to the European Convention on Extradition 1979*, ETS No. 86, მე-2 მუხლი.

„ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები ვერ დააბრკოლებს საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების მტკიცებულება, ან თუ საქმის წინარე განხილვა მოხდა არსებითი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე.”

ეროვნულ დონეზე სისხლისსამართლებრივი წესით ორმაგი დასჯის აკრძალვის განსაზღვრისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა სამი კრიტერიუმი, ასევე ცნობილი ენგელის კრიტერიუმების სახელით.<sup>207</sup> პირველი კრიტერიუმია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის სამართლებრივი კვალიფიკაცია, მეორე არის თავად დანაშაულებრივი ქმედების სახე, ხოლო მესამე კრიტერიუმის ქვეშ მოიაზრება დაკისრებული სასჯელის სიმკაცრე. მეორე და მესამე კრიტერიუმებს აქვთ ალტერნატიული ხასიათი. თუმცა აღნიშნული კრიტერიუმებიც განიხილება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს შიგნით განხორციელებულ სამართალწარმოებასთან მიმართებით. წინამდებარე ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორი პრაქტიკა განავითარა სასამართლომ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის ტრანსნაციონალურად გამოყენების კუთხით. აღნიშნულ თემაზე მოსარჩელეთა მხრიდან არაერთი მცდელობა დაფიქსირებულა ეროვნულ დონეზე მოქმედი ნორმის

<sup>207</sup> Engel and Others v. the Netherlands, Application no. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72, ECtHR, 8 June 1976.

ტრანსნაციონალურად გასავრცელებლად. თუმცა სასამართლომ დაუშვებლად სცნო ყველა ის დავა, სადაც აპლიკანტები ამტკიცებდნენ რომ ერთი და იმავე ქმედებისთვის სასჯელი დაეკისრებოდათ ორ სახელმწიფოში.<sup>208</sup> სასამართლომ მკაფიოდ და არაერთხელ განმარტა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ეხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოში განხორციელებულ პროცედურებს და არ წარმოადგენს რამდენიმე სახელმწიფოში პარალელურად მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის ამკრძალავ ნორმას.<sup>209</sup>

ასევე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამნისტირებული ომის დანაშაულების გამო პირის ხელმეორედ გასამართლების თაობაზე. *Marguš v. Croatia* საქმეში ECtHR-ის დიდმა პალატამ დაადგინა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი კრძალავს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევაში დამნაშავე პირების ამნისტიას. სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატი სამხედრო მეთაურის გასამართლება შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო ვერ მიიჩნეოდა ორმაგი დასჯის აკრძალვის საწინააღმდეგოდ იმისდა მიუხედავად ეხებოდა თუ არა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით გამოცხადებული ამნისტია.<sup>210</sup>

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ორმაგი დასჯის აკრძალვის საფუძველი მომდინარეობს შენგენის შეთანხმებიდან და მასში ტრანსნაციონალურობა გაცილებით დიდი დოზით აღინიშნება, ვიდრე ზემოთ განხილულ ადამიანის უფლებათა კონვენციებში. კერძოდ, შენგენის შეთანხმების 54-ე და 58-ე მუხლების მიხედვით აკრძალულია ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ იმ პირის გასამართლება, რომელიც იმავე ქმედების გამო უკვე იყო გასამართლებული მეორე წევრ სახელმწიფოში.<sup>211</sup> ფუნდამენტური უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიის 50-ე მუხლის მიხედვით

<sup>208</sup> იხ. მაგ. *Trabelsi v. Belgium*, Application no. 140/10, ECtHR, 4 September 2014.

<sup>209</sup> *Amrollahi v. Denmark*, Decision on the Admissibility, Application no. 568110/02, 28 June 2001; *Sarria v. Poland*, Application no. 45618/09, 18 December 2012.

<sup>210</sup> *Marguš v. Croatia*, Application no. 4455/1027, Grand Chamber, ECtHR, 27 May 2014

<sup>211</sup> Convention Implementing the Schengen Agreement of 14 June 1985 Between the Governments of the States of the Benelux Economic Union, the Federal Republic of Germany and the French Republic, on the Gradual Abolition of Checks at Their Common Borders, 19 June 1990, L 239, 22/09/2000 P. 0019 – 0062, მუხლები 54-58.



კი აკრძალულია სისხლის სამართლის წესით პირის გასამართლება იმ ქმედების გამო, რომლის თაობაზეც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში უკვე არის გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>212</sup> ქარტიის მიხედვით არ იკრძალება წევრ სახელმწიფოებში პარალელური სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, თუმცა საბოლოო განაჩენის არსებობის დროს ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს მინიჭებული აქვს რეგიონალური მოქმედების ძალა ანუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დონეზე განმტკიცებულია მისი ტრანსნაციონალური ხასიათი. აღნიშნული მსჯელობა ცალსახად დააფიქსირა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ზორან სპასიჩის საქმეში, სადაც აღნიშნა რომ ორმაგი დასჯის აკრძალვა ევროკავშირის მასშტაბით მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ გამოტანილი განაჩენი აღსრულებულია ან არის აღსრულების პროცესში. თუკი აღსრულების ელემენტი არ არის სახეზე მაშინ მეორე წევრ სახელმწიფოში განხორციელებული განმეორებითი მართლმსაჯულება არ დაარღვევს ორმაგი დასჯის აკრძალვის ქარტიისეულ განმარტებას.<sup>213</sup>

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სულ უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს თეორიას, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი ადამიანის უფლებათა სამართალში იმ დონეზეა განვითარებული, რომ მისი მოქმედება შეიძლება ტრანსნაციონალურადაც გავრცელდეს, თუკი საქმე ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მოქმედებას.<sup>214</sup> კითხვაზე მიეკუთვნება თუ არა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ორმაგი დასჯის ტრანსნაციონალური აკრძალვა ადამიანის უფლებათა ცალკე კატეგორიას გიპასუხებთ, რომ მსგავსი უფლება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არ არის მხარდაჭერილი არც სახელმწიფოთა პრაქტიკის და არც *opinion juris* მიხედვით. თუმცა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით განმტკიცებული განსხვავებული ვითარება გვაქვს სახეზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულების შემთხვევაში, სადაც

---

<sup>212</sup> European Union, Charter of Fundamental Rights of the European Union, 26 October 2012, 2012/C 326/02, 50-ე მუხლი.

<sup>213</sup> Spasic case (C-129/14 PPU, 27 May 2014), the Grand Chamber of the Court of Justice (CJEU), § 55-60 და 74-86.

<sup>214</sup> Wyngaert C. and Ongena T. *Ne bis in idem Principle, Including the Issue of Amnesty* in Cassese A. Gaeta P. and Jones J. R. D. W. (eds.). *The Rome Statute of the International Criminal Court: A Commentary*, OUP, 2002, გვ. 706.

ხაზგასმულია ორმაგი დასჯის აკრძალვის ტრანსნაციონალური მოქმედება. შეჯამების სახით უნდა ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით ორმაგი დასჯის აკრძალვა ზღუდავს მხოლოდ ერთ სახელმწიფოში განხორციელებულ მართლმსაჯულებას და მას არ აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი. შესაბამისად, ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე უფრო საინტერესოა თუ როგორ რეგულირდება ორმაგი დასჯის აკრძალვა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით.

#### 4.3 ორმაგი დასჯის აკრძალვა გაეროს მიერ დაარსებულ *ad hoc* და სხვა ჰიბრიდული ტრიბუნალების პრაქტიკაში

ორმაგი დასჯის აკრძალვის ცნება უცხო არ აღმოჩნდა 90-იანი წლებიდან დაარსებულ უპირატესი იურისდიქციის მქონე *ad hoc* და ჰიბრიდული ტრიბუნალებისთვის. მაგალითად, როგორც ICTY-ის სადამფუძნებლო დოკუმენტის მე-10 მუხლი, ისე ICTR-ის წესდების მე-9 მუხლი ითვალისწინებს *non bis in idem* პრინციპს.<sup>215</sup> ორივე შემთხვევაში ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ ტრიბუნალის მიერ გასამართლებული პირი იმავე ქმედებისთვის ვეღარ გასამართლდება ეროვნული სასამართლოების მიერ. თუმცა ეროვნული სასამართლოს მიერ გასამართლებული პირი შეიძლება იმავე ქმედებისათვის გასამართლდეს საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ თუ თავდაპირველი მსჯავრდება მოხდა ჩვეულებრივი დანაშაულისთვის ან ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოება არ იყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, მიზნად ისახავდა-რა დამნაშავეისთვის ხელის შეწყობას ან საერთაშორისო მართლმსაჯულებისგან მის უკანონო დახსნას.

მაგალითად, ტადიჩი დაობდა რომ მას გერმანიაში უკვე ჰქონდათ ბრალი წარდგენილი და არ შეიძლებოდა ICTY-ის მხრიდან მისი განმეორებით მსჯავრდება. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ რადგან ტადიჩი არ იყო გასამართლებული გერმანიის მიერ, სახეზე ვერ იქნებოდა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპთან შეუსაბამობა.<sup>216</sup> ამავე გადაწყვეტილებაში ტრიბუნალმა ისიც აღნიშნა, რომ ICCPR-ის მე-14(7) მუხლი არ უნდა განიმარტოს როგორც ტრანსნაციონალური აკრძალვა, რომელიც დაფარავდა

<sup>215</sup> ICTY Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-10 მუხლი; ICTR Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-9 მუხლი.

<sup>216</sup> Prosecutor v. Dusko Tadic, Decision on the Defence Motion on the Principle of *non-bis-in-idem*, IT-94-1-T, Trial Chamber, ICTY, 14 November 1995, § 13.

როგორც ეროვნულ სამართალწარმოებას, ისე სამართალწარმოებას საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე.<sup>217</sup> შესაბამისად, ადამიანის უფლებათა სამართალი და *ad hoc* ტრიბუნალი თანხვედრაშია იმ მხრივ, რომ არც ერთი არ ავრცელებს ორმაგის დასჯის ადამიანის უფლებათა სამართლით განსაზღვრულ აკრძალვას საერთაშორისო მართლმსაჯულებაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ეგიდით შექმნილი კოსოვოს სპეციალური სასამართლო პალატის კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს *ne bis in idem* პრინციპს, თუმცა აღნიშნული კანონი და შესაბამისად პრინციპიც მხოლოდ ეროვნულ დონეზე განმეორებით დასჯას კრძალავს და მას არ აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი.<sup>218</sup>

ორმაგი დასჯის აკრძალვის ჭრილში ეროვნულ დონეზე ჩვეულებრივი დანაშაულისთვის გასამართლების ფაქტის საერთაშორისო ტრიბუნალის მხრიდან შეფასების დროს არ მოითხოვება, რომ ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი ბრალდება სიტყვასიტყვით ემთხვეოდეს ეროვნულ დონეზე წარდგენილ ბრალდებას. მაგალითისთვის, ბაგოსორას საქმეში ICTY-ის პირველმა სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ ბელგიაში ომის დანაშაულებისთვის პირის გასამართლება საკმარისი იყო იმისთვის, რომ იმავე ქმედების გამო ტრიბუნალს აღარ გაეგრძელებინა სამართალწარმოება გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ბრალდებით.<sup>219</sup>

ორმაგი დასჯის აკრძალვა არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს არ აქვს უფლება მისი ქვედა პალატის - მაგალითად სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი არ გადაისინჯოს სააპელაციო პალატის მიერ. თუმცა პროკურორის საჩივრის საფუძველზე განხორციელებული გადასინჯვის ფაქტი შეიძლება ბრალდებულისთვის შემამსუბუქებელ ფაქტორადაც იქნეს მიჩნეული. მაგალითად, ICTY-ის სააპელაციო პალატამ ალექსოვიჩის საქმეში შემამსუბუქებელ ფაქტორად მიიჩნია ის გარემოება, რომ ბრალდებული ორჯერ წარსდგა ტრიბუნალის

---

<sup>217</sup> *Ibid.* § 19.

<sup>218</sup> Law on Specialist Chambers and Specialist Prosecutor's Office, Republic of Kosovo, 03 Aug 2015, 05/L-053, ხელმისაწვდომია <https://www.scp-ks.org/en/document-type/legal-basis>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>219</sup> Prosecutor v. Theoneste Bagosora, Decision on the Application by the Prosecutor for a Formal Request for Deferral, ICTR-96-7-D, Trial Chamber, ICTR, 17 May 1996, § 13.

სხვადასხვა პალატის წინაშე, რითაც უფრო მეტად დამძიმდა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა.<sup>220</sup>

მართალია, ორმაგი დასჯის აკრძალვის შესახებ *ad hoc* ტრიბუნალებიდან ყველაზე მეტად ICTY-ს აქვს ნამსჯელი, თუმცა არც სხვა საერთაშორისო თუ გასაერთაშორისოებულ ტრიბუნალებისთვის ყოფილა ეს საკითხი უმნიშვნელო. სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს, როგორც გაეროსა და სიერა ლეონეს მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით დაარსებული ჰიბრიდული ტრიბუნალის, წესდება ასევე ითვალისწინებს ორმაგი დასჯის აკრძალვას. კერძოდ წესდების მე-9 მუხლის მიხედვით საერთო სასამართლო ვერ განსჯის ბრალდებულის იმ ქმედებას, რომლის გამოც ის უკვე გასამართლდა სპეციალური სასამართლოს მიერ.<sup>221</sup> ამავდროულად სპეციალურ სასამართლოს არ შეუძლია საერთო სასამართლოს მიერ გამართლებული პირის ხელმეორედ გასამართლება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო სასამართლოში სამართალწარმოება არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს ან როდესაც სახეზე იყოს პირის ჭეშმარიტი მართლმსაჯულებისგან დაფარვის მცდელობა ანუ თვალთმაქცური მართლმსაჯულება. თითქმის იდენტურ დანაწესს ვხვდებით კიდევ ერთი ჰიბრიდული ტრიბუნალის წესდებაშიც. კერძოდ ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლში.<sup>222</sup> გაეროს მიერ დაარსებული *ad hoc* და ჰიბრიდული ტრიბუნალების შემთხვევებშიც სახეზე გვაქვს კიდევ ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი. კერძოდ, საბოლოო სასჯელის გამოტანამდე ტრიბუნალი უპირობოდ არის ვალდებული გაითვალისწინოს პირის მიერ ამავე ქმედებისთვის უკვე მოხდილი სასჯელი, ე.წ. *ne bis in poena in idem* პრინციპი,<sup>223</sup> რომელიც არ არის გათვალისწინებული რომის სტატუტში. აღნიშნული მიდგომით, ეროვნულ დონეზე თუნდაც შეფარვითი მართლმსაჯულების პირობებში მოხდილი სასჯელი უნდა გამოაკლდეს ტრიბუნალის მიერ დადგენილ საბოლოო სასჯელს.

<sup>220</sup> Prosecutor v. Zlatko Aleksovki, Appeals Chamber Judgment, IT-95-14/1-A, ICTY, 24 March 2000, § 190.

<sup>221</sup> Statute of the Special Court for Sierra Leone 2002, 2178 UNTS 145, მე-9 მუხლი.

<sup>222</sup> Statute of the Special Tribunal for Lebanon, UN SC S/RES/1757 (2007), 30 May 2017, მე-5 მუხლი.

<sup>223</sup> Statute of the Special Court for Sierra Leone 2002, 221-ე *supra* სქოლიო, მე-9 მუხლი; Statute of the Special Tribunal for Lebanon, 222-ე *supra* სქოლიო, მე-5 მუხლი; ICTY Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-10(2) მუხლი; ICTR Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-9(2) მუხლი.

გაეროს ეგიდით შექმნილი ჰიბრიდული ტრიბუნალებისგან განსხვავებული მიდგომა აირჩია აფრიკის კავშირისა და სენეგალის მთავრობის შეთანხმებით დაარსებულმა სენეგალის სასამართლოს სპეციალურმა პალატამ, რომლის წესდების მე-19 მუხლიც იმეორებს რომის სტატუტისეულ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს.<sup>224</sup> ეს იყო პირველი პრეცედენტი თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში, როდესაც ერთი სახელმწიფოს მეთაური განსაჯა მეორე სახელმწიფომ უნივერსალური იურისდიქციის პრინციპის გამოყენებით, ხოლო თავად ჰიბრიდული ტრიბუნალი კი ფაქტობრივად წარმოადგენდა ერთი ადამიანის გასამართლების მიზნით დაარსებულ მართლმსაჯულების ორგანოს. კერძოდ, ჩადის ყოფილი დიქტატორი ჰისენ ჰაბრე სენეგალის სპეციალურმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, წამებასა და ომის დანაშაულებში.<sup>225</sup> თუმცა ერთგვარ კურიოზულ ფაქტსაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯამდე სენეგალს რამდენიმე წლის განმავლობაში ჰაბრესთვის პოლიტიკური თავშესაფარიც კი ჰქონდა მინიჭებული და რომ არა საერთაშორისო ზეწოლა საერთოდ არ აპირებდა მეზობელი სახელმწიფოს დიქტატორის გასამართლებას.<sup>226</sup> ამ საქმეში არ გამოკვეთილა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის ტრანსნაციონალურ მოქმედებაზე მსჯელობის საჭიროება, რადგან ჰისენ ჰაბრესთვის ეს იყო პირველი სასამართლო პროცესი. თუმცა ერთ-ერთმა ყველაზე თანამედროვე ჰიბრიდულმა ტრიბუნალმა მისაბამ მაგალითად მიიჩნია რომის სტატუტისეული ორმაგი დასჯის აკრძალვის ცნება და არა სისხლის სამართლის სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ მანამდე დადგენილი პრაქტიკა. წინამდებარე ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე გასაერთაშორისოებული ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის განხილვაზე მეტად მნიშვნელოვანია რომის სტატუტისეული დანაწესის დეტალური ანალიზი, რადგან ICC-ის იურისდიქცია არ არის შემოფარგლული მხოლოდ ერთი სახელმწიფოს შიდა მართლმსაჯულებით.

---

<sup>224</sup> Art. 19 of the Statute of the Extraordinary African Chambers, The Statute of the Extraordinary African Chambers, ხელმისაწვდომია <https://www.hrw.org/news/2013/09/02/statute-extraordinary-african-chambers>, უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>225</sup> Extraordinary African Chamber, *Ministère Public v. Hisssein Habré*, Judgment, 30 May 2016.

<sup>226</sup> Stahn, 51-ე *supra* სქოლიო, გვ. 205-207.

#### 4.4 ორმაგი დასჯის აკრძალვა რომის სტატუტის მიხედვით

რომის სტატუტის მე-20 მუხლის მიხედვით *ne bis in idem* პრინციპის მოქმედება თავისი ფართო და მრავალმხრივი ხასიათიდან გამომდინარე განსხვავდება სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკაში და ადამიანის უფლებათა სამართალში ორმაგი დასჯის აკრძალვის მანამდე განვითარებული კონცეფციებისგან. ამავდროულად *ne bis in idem* პრინციპის რომის სტატუტისეული რედაქცია არ უნდა იყოს განხილული განცალკევებით, რადგან რომის სტატუტის მოსამზადებელი სამუშაოებისა (*travaux preparatoires*) და თავად სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს პრინციპი მიბმულია სასამართლოს ექსკლუზიურ მახასიათებელს - კომპლემენტარობის პრინციპს.<sup>227</sup> სწორედ კომპლემენტარობის პრინციპი განაპირობებს რომის სტატუტისეული ორმაგი დასჯის აკრძალვის მრავალმხრივობას. ამავდროულად კომპლემენტარობა აქცენტს აკეთებს ეროვნული პროცედურების ხარისხობრივ შეფასებაზე.<sup>228</sup> ორმაგი დასჯის აკრძალვის ფართო მოქმედება რომის სტატუტის მე-20 მუხლის მიხედვით მდგომარეობს შემდეგში:

ა) თავად ICC-ის მიერ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების გამო დასრულებული სამართალწარმოების შემთხვევაში დაუშვებელია საერთაშორისო სასამართლოს მიერ ხელმეორედ საქმის განხილვა. მსგავს აკრძალვას ეწოდება ჰორიზონტალური აკრძალვა, რომელითაც ასევე დაუშვებელია ICC-ის მხრიდან ერთი და იმავე ქმედების ორ სხვადასხვა დანაშაულად კვალიფიკაცია. მაგალითად, აკრძალულია სამოქალაქო პირის მკვლელობის ერთი ფაქტი დაკვალიფიცირდეს როგორც ომის დანაშაულად, ისე ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.<sup>229</sup> თუმცა თუ სახეზეა მსგავს ქმედებათა ერთობლიობა ამ დროს თავისუფლად არის შესაძლებელი პირს ბრალი წარედგინოს რომის სტატუტით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულისთვის. მაგალითად, ერთი საბრძოლო მოქმედების დროს რამდენიმე სამოქალაქო პირის

<sup>227</sup> იხ. UN GA Official Records - 1996 Preparatory Committee Report, Vol I, art, 42, ხელმისაწვდომია <https://www.legal-tools.org/doc/e75432/pdf/>, უკანსვენლად იქნა გადამოწმებული, § 176; Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi & Abdullah Al-Senussi, Judgment on the Appeal, 156-ე *supra* სქოლიო, § 222.

<sup>228</sup> აკადემიურ სამართლებრივ ლიტერატურაში ეს მრავალმხრივობა განმარტებულია როგორც ორმაგი დასჯის ვერტიკალური და ჰორიზონტალური აკრძალვა. იხ. Klamberg, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 234-235; იხ. ასევე Carter E. L. The Principle of Complementarity and the International Criminal Court: The Role of Ne Bis in Idem, Santa Clara Journal of International Law, 2010, 8, 1, 165-198, გვ. 171-173.

<sup>229</sup> Klamberg, 172-ე *supra* სქოლიო, გვ. 234.

მკვლელობის გამო შეიძლება სახეზე იყოს როგორც ომის დანაშაული ისე ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რადგან განსხვავებული შეიძლება იყოს ისეთი მაკვალიფიცირებელი ელემენტები როგორცაა თანმდევი მოტივი და განზრახვა. კერძოდ, საბრძოლო მოქმედებებიდან გამოთიშული პირის - *hors de combat* მკვლელობა წარმოადგენს ომის დანაშაულს, თუმცა მის გვერდით მდგომი სამოქალაქო პირის მკვლელობა თუ ის ჩადენილია მასშტაბური ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში და შესაბამისი სახელმწიფო თუ ორგანიზაციული პოლიტიკის არსებობის ფონზე სავსებით შესაძლებელია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაც დაკვალიფიცირდეს.<sup>230</sup>

ბ) ეროვნულ დონეზე ან სხვა საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების შემთხვევაში დაუშვებელია ICC-ის მხრიდან საქმის საერთაშორისო დონეზე განმეორებითი განხილვა თუ სამართალწარმოება არ ატარებდა შეფარვით ხასიათს და ის აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს. ამავდროულად, პირი ეროვნულ დონეზე გასამართლებული უნდა იყოს იმავე ქმედებისთვის, რომელიც დანაშაულად არის მიჩნეული რომის სტატუტის მიხედვით. მოცემული დანაწესი გულისხმობს, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით შესაძლოა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია სახელწოდებრივად არ შეესაბამებოდეს რომის სტატუტისეულ კვალიფიკაციას, თუმცა თავად ქმედება უნდა იყოს დასჯადი და ექცეოდეს რომის სტატუტის მე-5 მუხლის მოქმედების არეალში.<sup>231</sup> ერთი მხრივ, სხვა ტრიბუნალებისგან განსხვავებით ICC ავტომატურად არ გამორიცხავს ეროვნულ დონეზე ჩვეულებრივი დანაშაულებისთვის გასამართლებული პირებისთვის ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის მორგებას და მოითხოვს ეროვნული პროცესის „ჭეშმარიტების“ სრულყოფილ ანალიზს. მეორე მხრივ, თავად კომპლემენტარობა და რომის სტატუტის მე-20(3) მუხლისეული დანაწესი წარმოადგენს დამატებით სტიმულს რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოებისთვის, რათა მათ მოახდინონ ეროვნული კანონმდებლობის

<sup>230</sup> იხ. Prosecutor v. Germain Katanga, 71-ე *supra* სქოლიო, § 1694-1696.

<sup>231</sup> Jurdi N. N. The International Criminal Court and National Courts: A Contentious Relationship. Routledge, 2011, გვ. 61-64.

ჰარმონიზაცია.<sup>232</sup> უფრო ნათლად რომ განვმარტოთ მოცემული გარემოება განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ეროვნულ დონეზე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის გასამართლებული (როგორც დამნაშავედ ცნობილი, ისე უდანაშაულოდ ცნობილი) პირი შეიძლება *ne bis in idem* პრინციპის ძალით ვეღარ გასამართლდეს ICC-ის მიერ ომის დანაშაულისთვის იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული მართლმსაჯულება ჩატარდა მიუკერძოებლად.<sup>233</sup> თუმცა უმეტეს შემთხვევაში გენოციდის, ადამიანურობისა თუ ომის დანაშაულების ჩვეულებრივი დანაშაულების დონეზე დაყვანა შეიძლება გაიგივდეს სახელმწიფოს მხრიდან ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელების სურვილის არქონასა და შეფარვითი მართლმსაჯულების განხორციელებასთან.<sup>234</sup> განსხვავებული და ბევრად უფრო მარტივი ვითარება გვექნებოდა სახეზე სისხლის სამართლის სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების შემთხვევაში, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ ე.წ. „ჩვეულებრივი დანაშაულების“ გამორიცხვას *ne bis in idem* პრინციპის მოქმედების ფარგლებიდან.<sup>235</sup>

კიდევ ერთი რისკია ეროვნულ დონეზე ე.წ. „ფსევდო ჭეშმარიტი“ სამართალწარმოების ჩატარების შემთხვევაში. აღნიშნული ქმედებით სახელმწიფოს შეუძლია ICC-ში საქმის დასაშვებობის ეტაპზევე *ne bis in idem* ბარიერის შექმნა და გარკვეული დროის შემდეგ დამნაშავის ამნისტიის გზით განთავისუფლება. ეს ის სიტუაციაა, როდესაც სამართლებრივი ვაკუუმი წარმოიშობა და არსებობს რისკი, რომ ICC-ს რომის სტატუტის ბოროტად გამოყენების გზით შეეზღუდოს დროული მოქმედების საშუალება.<sup>236</sup> კადაფის საქმეში სააპელაციო პალატამ უკვე მოგვცა

---

<sup>232</sup> Bassiouni M. Ch. The Legislative History of the International Criminal Court: Introduction, Analysis, and Integrated Text. Transnational Publishers, 2005, გვ. 100.

<sup>233</sup> იხ. მაგალითად, Surlan T. Ne bis in idem in Conjunction with the Principle of Complementarity in the Rome Statute, European Society of International Law, ხელმისაწვდომია <http://www.esil-sedi.org/english/pdf/Surlan.PDF>, უკანსკნელად გადამოწმებული იქნა 10 ივნისი 2020, გვ. 4.

<sup>234</sup> Surlan T. Ne bis in idem in Conjunction with the Principle of Complementarity in the Rome Statute, European Society of International Law, ხელმისაწვდომია <http://www.esil-sedi.org/english/pdf/Surlan.PDF>, უკანსკნელად გადამოწმებული იქნა 10 ივნისი 2020, გვ. 4-7; Carter E. L. The Principle of Complementarity and the International Criminal Court: The Role of Ne Bis in Idem, Santa Clara Journal of International Law, 2010, 8, 1, 165-198, გვ. 171-173.

<sup>235</sup> იხ. მაგ. ICTY Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-10(2) მუხლი; ICTR Statute, 38-ე *supra* სქოლიო, მე-9(2) მუხლი.

<sup>236</sup> Surlan T. Ne bis in idem in Conjunction with the Principle of Complementarity in the Rome Statute, European Society of International Law, ხელმისაწვდომია <http://www.esil-sedi.org/english/pdf/Surlan.PDF>, უკანსკნელად გადამოწმებული იქნა 10 ივნისი 2020, გვ. 7.



მიმართულება თუ როგორ დარეგულირდება მსგავსი პრობლემა. კერძოდ, ცალსახად აღნიშნა, რომ რადგან აკრძალულია რომის წესდებით გათვალისწინებული დანაშაულების ამნისტია. შესაბამისად, იმავე ლოგიკაზე დაყრდნობით, ამნისტიის შემდგომ ახალი სამართლებრივი პროცედურებიც არ უნდა აღვიქვათ *ne bis in idem* პრინციპის დარღვევად.<sup>237</sup>

გ) ICC-ის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების შემთხვევაში დაუშვებელია საქმის განმეორებით განხილვა სხვა საერთაშორისო ტრიბუნალისა თუ ეროვნული სასამართლოს მიერ. სპეციალისტებს შორის ცალკე განხილვის თემაა თუ რა იგულისხმება „იმავე ქმედებასა“ და „განმეორებით“ მართლმსაჯულებაში, თუმცა ვიდრე ამ თემებს განვიხილავთ მნიშვნელოვანია გამოვყოთ ICC-ის სამართალწარმოების რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ICTY-სა და ICTR-ის წესდებისა და პროცედურისა და მტკიცებულების შესახებ წესების მიხედვით, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ახლად გამოვლენილი გარემოების გამო გადაწყვეტილების გადახედვის უფლების მოთხოვნა აქვს როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეებს.<sup>238</sup> ნათელია, რომ *ad hoc* ტრიბუნალებმა ამ შემთხვევაში მიბაძეს კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას. ახლად გამოვლენილი გარემოების გამო სასამართლოს საბოლოო განაჩენის გადასინჯვის ნაწილში განსხვავებული მიდგომაა განვითარებული ICC-ის მიერ. კერძოდ, რომის სტატუტის 84-ე მუხლი ანგლო-ამერიკულ მოდელის მსგავსია და მხოლოდ დაცვის მხარის ინიციატივით იძლევა გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას.<sup>239</sup> კენიატას საქმეში პროკურორმა განმარტა და წინასასამართლო პალატაც დაეთანხმა მის განმარტებას, რომ *ne bis in idem* პრინციპი მოქმედებს მხოლოდ საბოლოო სასამართლო განაჩენის დადგომის შემდეგ და არა ტექნიკური თუ სხვა მიზეზით საქმის შეწყვეტის შემთხვევაში.<sup>240</sup>

<sup>237</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020, § 66-67; 88 და 96.

<sup>238</sup> Article 25 of the Statute and Rule 120 of the Rules of Procedure and Evidence of the ICTR and Article 26 of the Statute and Rule 119 of the Rules of Procedure and Evidence of the ICTY

<sup>239</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 84-ე მუხლი.

<sup>240</sup> Prosecutor v. Uhuru Muigai Kenyatta, Decision on Prosecutor's Application for a Finding of Non-compliance under Article 87(7) of the Statute, ICC-O 1/09-02111-981, ICC, 3 December 2014, § 9.

კიდევ ერთი საკამათო თემა არის *ne bis in idem* პრინციპის მოქმედება იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ სასამართლოსა და ICC-ში მიმდინარეობს პარალელური პროცედურები. საქმის დასაშვებობის კუთხით აღნიშნული თემა მოკლედ უკვე განვიხილეთ კომპლემენტარობის ჭრილში. თუმცა სხვა გამოწვევები წარმოიშვა იმავე თემაზე *ne bis in idem* ჭრილშიც. მაგალითად, ბარიერი სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, ერთმანეთის შემყურე ეროვნული და საერთაშორისო სისტემა და სისტემური ნაკლოვანებით არაკეთილსინდისიერად მოსარგებლე ბრალდებული, რომელიც ცდილობს კიდევ უფრო გააღრმავოს და გაახანგრძლივოს იურისდიქციული დავა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებს შორის. დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო სახეზე ნაშრომის წინა თავში უკვე განხილულ საიფ ალ-ისლამ კადაფის საქმეშიც, სადაც დაცვის მხარე სწორედ *ne bis in idem* პრინციპიდან გამომდინარე კომპლემენტარობის პრინციპთან წინააღმდეგობაზე დაობდა. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ *ne bis in idem* პრინციპი არ კრძალავს პარალელური სამართლებრივი პროცედურების არსებობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, იმ შემთხვევაში თუ საქმეზე არ არის გამოტანილი განაჩენი.<sup>241</sup> აღსანიშნავია, რომ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პროცედურულად ორმაგი დასჯის აკრძალვის თაობაზე დავა უნდა წარედგინოს ICC-ს საქმის სასამართლო პალატისთვის გადაცემამდე ანუ წინასასამართლო ეტაპზე,<sup>242</sup> რითაც გარკვეულწილად იზღუდება საქმის გაჭიანურების მიზნით ბრალდებულისა თუ შესაბამისი სახელმწიფოს მხრიდან ორმაგი დასჯის აკრძალვით უსაფუძვლო აპელირების შესაძლებლობა.

მეორე საკითხია რამდენად ფარავს *ne bis in idem* პრინციპი შემთხვევას, როდესაც მაგალითად ICC-ის სამართალწარმოება მიმდინარეობდა გენოციდის მუხლით და არ არის სახეზე საკმარისი მტკიცებულება *mens rea*-ს ელემენტის დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, განზრახვის ნაწილში რომის სტატუტისეული მოთხოვნა ბევრად უფრო მაღალია ვიდრე წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით

---

<sup>241</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Decision on the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), Pre-Trial Chamber 1, ICC, 5 April 2019.

<sup>242</sup> იხ. რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 89-ე(2) მუხლი; Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo, Decision on the Admissibility and Abuse of Process Challenges (ICC-01/05-01/08-802), Trial Chamber III, ICC, 24 June 2010, § 209.

გათვალისწინებული ჩვეულებრივი დანაშაულების შემთხვევაში. კიდევ უფრო მაღლა იწევა განზრახვის სტანდარტი გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, რომელსაც *dolus specialis* განზრახვა ესაჭიროება. შესაბამისად, ICC-ის მიერ გენოციდის დანაშაულში ბრალდებულის გამართლების ფაქტი არ შეზღუდავს ეროვნულ დონეზე პირის გასამართლებას ე.წ. „ჩვეულებრივი“ დანაშაულისთვის როგორცაა მაგალითად მკვლელობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზე არ გვექნება *ne bis in idem* პრინციპის დარღვევა.<sup>243</sup> როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რომის სტატუტი გამორიცხავს გაუფრთხილებლობით ან არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენას, რადგან პირდაპირ მიუთითებს განზრახვის ელემენტის აუცილებლობაზე.

რადგან უკვე მიმოვიხილეთ კომპლემენტარობის პრინციპი და ორმაგი დასჯის აკრძალვის რომის სტატუტისეული ტექნიკური ნიუანსები უმჯობესია გადავიდეთ ამ ორი პრინციპის ერთობლივი მოქმედების განხილვაზე. ზემოთ განხილული საიფ ალისლამ კადაფის საქმე ნათელი მაგალითია თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით გამოირიცხება საქმის ICC-ში განხილვა კომპლემენტარობის პრინციპისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის ერთობლივი მოქმედების დროს. სასამართლომ განმარტა, რომ რომის სტატუტის მე-17(1)(გ) და მე-20(3) მუხლების მიხედვით საიფ კადაფის საქმის დაუშვებლად ცნობისთვის საჭირო იყო დაკმაყოფილებულიყო შემდეგი ოთხი კრიტერიუმი:

- ა) ბრალდებული უკვე გასამართლდა ლიბიის ეროვნული სასამართლოების მიერ;
- ბ) ეროვნული სამართალწარმოება ეხებოდა იმავე ქმედებას რომელიც განისჯება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში;
- გ) ეროვნული სამართალწარმოება მიზნად არ ისახავდა ბრალდებულის დაფარვას, რაც გათვალისწინებულია რომის სტატუტის მე-20(3)(ა) მუხლით;
- დ) ეროვნული პროცედურები არ იყო მიკერძოებული, იყო დამოუკიდებელი და სახეზე არ ყოფილა სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ისეთი აშკარა დარღვევა,

---

<sup>243</sup> Finlay L. Does the International Criminal Court Protect Against Double Jeopardy: An Analysis of Article 20 of the Rome Statute. *University of California Davis Law Review*, 2009, 15, 2, 221-248, გვ. 230.

რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა რომის სტატუტის მე-20(3) მუხლში ნახსენებ „ჭეშმარიტ“ მართლმსაჯულებასთან.<sup>244</sup>

წინასასამართლო პალატამ დააზუსტა და სააპელაციო პალატამაც გაიზიარა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კრიტერიუმიდან რომელიმე ერთის დარღვევა უკვე საკმარისია ICC-ში საქმის დასაშვებად ცნობისთვის.<sup>245</sup> სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კომპლემენტარობისა და *ne bis in idem* პრინციპები მოითხოვენ, რომ სახეზე უნდა იყოს ეროვნულ დონეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც აღარ დაექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას. კადაფის შემთხვევაში ტრიპოლის საქალაქო სასამართლოს განაჩენი თეორიულად ექვემდებარებოდა როგორც ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას, ისე მის გადახედვას იმავე ინსტანციის მიერ, რადგან გადაწყვეტილება მიღებული იყო ბრალდებულის დაუსწრებლად.<sup>246</sup>

შემდეგი საკითხია თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი კომპლემენტარობისა და *ne bis in idem* პრინციპების ერთობლივი მოქმედებისთვის თუ რომელი სახელმწიფო ახორციელებს ეროვნულ დონეზე „ჭეშმარიტ“ მართლმსაჯულებას. მართალია, რომის სტატუტი არ ახსენებს უნივერსალურ იურისდიქციას, თუმცა მე-20 მუხლში ნახსენები იურისდიქციის მქონე სხვა სახელმწიფოს ქვეშ არ უნდა იყოს მოაზრებული მხოლოდ წევრი სახელმწიფოები ან ის სახელმწიფოები, რომლებმაც იურისდიქცია აღიარეს სტატუტის მე-12 მუხლის მიხედვით. როგორც უკვე განვსაზღვრეთ უნივერსალური იურისდიქციის ცნება ჯერ კიდევ რომის სტატუტის მიღებამდე არსებობდა და განმტკიცებულია 1949 წლის ჟენევის კონვენციებში. ჟენევის პირველი კონვენციის 49-51 მუხლები, მეორე კონვენციის 50-52 მუხლები, მესამე კონვენციის 129-131 მუხლები, მეოთხე კონვენციის 146-148 მუხლები ითვალისწინებენ ჟენევის კონვენციების უხეში დარღვევებისთვის ეროვნულ დონეზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების განუხრელ ვალდებულებას. კერძოდ, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან დააწესონ შემოიღონ დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოიძიონ

<sup>244</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020, § 34.

<sup>245</sup> *Ibid.*

<sup>246</sup> *Ibid.*, § 35 და 53-63.

ბრალდებულები ვინც თავად ჩაიდინა ან სხვებს უბრძანა ჩაედინათ ომის დანაშაულები და უზრუნველყონ ბრალდებულის ეროვნული სასამართლოს სწინაშე წარდგენა მიუხედავად მათი მოქალაქეობისა. ამავდროულად, კონვენციის წევრ თითოეულ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება აკრძალოს არა მხოლოდ ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები (ომის დანაშაულები), არამედ ყველა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციებს.<sup>247</sup> შესაბამისად სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც არ ჩადენილა დანაშაული, შესაძლოა სააღსრულებო და სასამართლო იურისდიქცია მაინც ეფექტიანად განახორციელოს.

პრაქტიკაში შეიძლება სახეზე იყოს ტერიტორიალური ან მოქალაქეობის პრინციპებიდან გამომდინარე მესამე სახელმწიფოს მხრიდან იურისდიქციის განხორციელების შემთხვევებიც. უფრო მეტიც, სასამართლო იურისდიქციის გავრცელება შეიძლება მოხდეს გასაერთაშორისოებული ანუ ეროვნული, თუმცა ჰიბრიდული ხასიათს მქონე ტრიბუნალის მიერაც. შესაბამისად, რომის სტატუტში ნაგულისხმევი სხვა სასამართლოს ცნება ფართოდ უნდა განვმარტოთ და მასში მოვიაზროთ არამხოლოდ ეროვნულ დონეზე განხორციელებული მართლმსაჯულება, არამედ არსებული თუ მომავალში დაარსებული საერთაშორისო თუ ჰიბრიდული ტრიბუნალების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებაც. ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს რომის სტატუტში კოდიფიცირებული ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი, თუ წინარე ან შემდგომი მართლმსაჯულება ხორციელდება ICC-ის მიერ.

რაც შეეხება ICC-ის მიერ უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების პერიოდში სხვა ქვეყნის მხრიდან მსჯავრდებულის წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყებას, აქაც რომის სტატუტის ითვალისწინებს სპეციალურ დათქმას. კერძოდ, რომის სტატუტის 108-ე მუხლის მიხედვით ICC-ის მიერ მსჯავრდებული პირი, რომლის განაჩენის აღსრულებაც ხორციელდება ეროვნულ დონეზე განაჩენის აღსრულების პერიოდში

---

<sup>247</sup> ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მე-100 *supra* სქოლიო, მუხლები 49-51; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მუხლები 50-52; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ, მუხლები 129-131; ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, მუხლები 146-148.

(საბოლოო აღსრულებამდე) არის დაცული თავად ICC-ის მიერ. კერძოდ, იმავე სახელმწიფოში მისი გასამართლება სხვა დანაშაულების გამო ან მისი მესამე სახელმწიფოში ექსტრადიცია საჭიროებს ICC-ის თანხმობას.<sup>248</sup>

მოცემულ თავში განვიხილეთ *ne bis in idem* პრინციპისა და კომპლემენტარული იურისდიქციის მიმართება სუვერენული სახელმწიფოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების დროს, თუმცა საინტერესოა შემოაქვს თუ არა ზემოთ დადგენილ სტანდარტში ცვლილება *დე ფაქტო* ხელისუფლების სახით წარმოდგენილი არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებას. მართალია, რომ მართლმსაჯულება შეიძლება ნებისმიერმა არასახელმწიფო აქტორმა განახორციელოს, თუმცა *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულებას უფრო მეტი საერთო ნიშანი აქვს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებასთან, რადგან მას გააჩნია სახელმწიფოს მსგავსი პოლიტიკური სტრუქტურა და უფრო მეტი ლეგიტიმაცია, ვიდრე არასტაბილური ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორს. ნაშრომის შემდეგი თავის ამოცანაა ICC-ის პერსპექტივიდან *დე ფაქტო* რეჟიმების მართლმსაჯულების შეფასება.

## 5. *დე ფაქტო* ხელისუფლება როგორც საერთაშორისო სამართლით შეზღუდული არასახელმწიფო აქტორი

წინამდებარე თავი მიზნად ისახავს დაახასიათოს *დე ფაქტო* რეჟიმის ბუნება და სამართლებრივად შეაფასოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული სახელმწიფოების სასამართლოების მიერ გამოტანილი სისხლისსამართლებრივი განაჩენები. თანამედროვე მსოფლიოში არც თუ ისე მცირეა ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორთა რაოდენობა. მათი უმეტესობა ჩართულია როგორც მინიმუმ საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებულ კონფლიქტში. იშვიათ შემთხვევებში ტერიტორიული კონტროლი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სამხედრო დომინაციით. ასეთ დროს სამთავრობო ინსტიტუტები განაგრძობენ მოსახლეობისადმი აუცილებელი სერვისების მიწოდებას, თუმცა არასახელმწიფო აქტორის მხრიდან ლეგიტიმური სამთავრობო ინსტიტუტების

<sup>248</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 108-ე მუხლი; Prosecutor v. Germain Katanga, Decision pursuant to article 108(1) of the Rome Statute (ICC-01/04-01/07), the Presidency, ICC, 7 April 2016, § 21-25.

საქმიანობაზე ხორციელდება არაფორმალური კონტროლი. მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელ სერვისებსა და მოთხოვნებს განეკუთვნება ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება და რა თქმა უნდა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.<sup>249</sup>

მეორე და უფრო გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც არასახელმწიფო აქტორი სამხედრო დომინაციასთან ერთად თავის თავზე იღებს ზემოაღნიშნული სერვისების მიწოდებას. ასეთ დროს ის სრულად აუქმებს ან არსებით ტრანსფორმაციას უკეთებს კანონიერ ინსტიტუტებს. აღსანიშნავია, რომ განგრძობადი ტერიტორიული კონტროლის ქონის ფაქტი არასახელმწიფო აქტორს სძენს სახელმწიფოებრიობის მახასიათებელ გარკვეულ თვისებებსა და ნიშნებს. *დე ფაქტო* ხელისუფლება თვითგამოცხადებული სახელმწიფოს მმართველად აღიარებს საკუთარ თავს, შემოაქვს ახალი სიმბოლიკა, დროშა, გერბი, ცვლის სასამართლოების სახელწოდებას, აფუძნებს სამინისტროებს და ტრანსფორმაციას უკეთებს რეგიონალურ წარმომადგენლობასა თუ მის კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმოდგენილ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს. მაგალითად, რაიონული სასამართლოსთან ერთად ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად შესაძლოა დაარსოს სააპელაციო სასამართლო და *დე ფაქტო* რეჟიმის უზენაესი სასამართლო, სამინისტროები და საკანონმდებლო ორგანოც კი. ზოგიერთ შემთხვევაში ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორი არ მოქმედებს დამოუკიდებლად და ექცევა რომელიმე მესამე სახელმწიფოს ზეგავლენის ქვეშ. ხანდახან ეს ზეგავლენა მხოლოდ პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით გამოიხატება, რაც არ ცვლის კონფლიქტის სამართლებრივ კვალიფიკაციას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მესამე სახელმწიფო თავად არის კონფლიქტის ფარული ინიციატორი ან უკვე გაჩაღებულ არასაერთაშორისო კონფლიქტში არაპირდაპირი ჩართვით ცდილობს კონფლიქტის მსვლელობაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენას.

მესამე სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე არასახელმწიფო აქტორზე ზეგავლენის ხასიათიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ ზოგადი და ეფექტიანი კონტროლის ცნებებს. კონტროლის

---

<sup>249</sup> Dinstein Y. The International Law of Belligerent Occupation. CUP, 2019, გვ. 99-118.

სახიდან გამომდინარე შესაძლებელია საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტი გადაკვალიფიცირდეს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. მაგალითად, ICTY-ის მიერ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჭრილში კონფლიქტის კვალიფიკაციაზე მსჯელობის დროს გამოყენებული იყო ზოგადი კონტროლის ტესტი, რომელიც სახელმწიფოსგან არასახელმწიფო აქტორის წევრების დაფინანსების, აღჭურვისა და გაწვრთნის გარდა ასევე მოითხოვს მათი სამხედრო ოპერაციების ზოგად კოორდინაციას ან სამხედრო მოქმედებების განხორციელებაში დახმარებას.<sup>250</sup> ხოლო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ჭრილში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან ნიკარაგუასა და ბოსნიის გენოციდის საქმეებში გამოყენებული ეფექტიანი კონტროლის ტესტის მიხედვით, სახელმწიფოს დამატებით მოეთხოვება არასახელმწიფო აქტორის ქმედებათა ეფექტიანი კონტროლი გამოხატული სამხედრო ოპერაციების თაობაზე ბრძანებების, მითითებებისა და კონკრეტული მიმართულების გაცემის სახით.<sup>251</sup>

სამხედრო ოკუპაცია, ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის კონტროლი, შეიძლება სახეზე იყოს მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს.<sup>252</sup> არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე არასახელმწიფო აქტორზე, არამედ არასახელმწიფო აქტორის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზეც ეფექტიან კონტროლს ახორციელებს მესამე სახელმწიფო. ასეთ დროს არასახელმწიფო აქტორის მიერ დაკავებული ტერიტორია ექვემდებარება ოკუპირებული ტერიტორიის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მოქმედებას, რადგან მესამე სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. მარიონეტული რეჟიმის გამოყენებით ხორციელდება

---

<sup>250</sup> Prosecutor v. Dusko Tadic, Judgement, IT-94-1-A, Appeals Chamber, ICTY, 15 July 1999, § 121-162.

<sup>251</sup> Nicaragua v. United States of America, 101-ე *supra* სქოლიო, § 105-115; იხ. ასევე Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro, Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, ICJ, Judgement of 26 February 2007; Cassese A. The Nicaragua and Tadic Tests Revisited in the Light of the ICJ Judgment on Genocide in Bosnia. The EJIL, 2007, 18, 4, 649-668, 650-656.

<sup>252</sup> 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის მიხედვით ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად როდესაც ის ფაქტობრივად გადასულია მოწინააღმდეგე ძალების კონტროლის ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე სადაც მოწინააღმდეგე ძალის კონტროლი დამყარებულია და ფაქტობრივად ხორციელდება. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მეორე მუხლის მიხედვით მნიშვნელობა არ აქვს უწევს თუ არა ოკუპირებული სახელმწიფო სამხედრო წინააღმდეგობას ოკუპანტ ძალებს.



ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი.<sup>253</sup> ოკუპანტი სახელმწიფოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როდესაც მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი *დე ფაქტო* რეჟიმი თუ სხვა არასახელმწიფო აქტორი მოქმედებს მითითებების საწინააღმდეგოდ ან *ultra vires*.<sup>254</sup> მარიონეტული რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორც წესი წარმოდგენილია მის უკან მდგომი მესამე სახელმწიფოს სამხედრო ბაზები ან მათ დასახმარებლად გამოგზავნილი „მოხალისეთა“ შენაერთები. მსგავსი ვითარება არის სახეზე სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რესპუბლიკაში, აფხაზეთში, დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციას ღიად აქვს განლაგებული სამხედრო ბაზები, რუსი მესაზღვრეები ახდენენ ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის - ე.წ. „სასაზღვრო“ ზოლის ადმინისტრირებასა და პირთა უკანონო დაკავებას. აღმოსავლეთ უკრაინის შემთხვევებში უფრო მეტად თვალსაჩინოა რუსეთიდან გაგზავნილი ე.წ. მოხალისეთა გამოყენება, რომლებიც არაერთ სხვა ფაქტორთან ერთად არსებით ზეგავლენას ახდენენ შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობაზე.

თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორი მოქმედებს დამოუკიდებლად და არ არის მოქცეული მესამე სახელმწიფოს ზოგადი თუ ეფექტიანი კონტროლის ქვეშ. მაგალითად, შრი ლანკის თამილელი ვეფხვები, განსაკუთრებით კონფლიქტის ბოლო ეტაპზე, როდესაც ისინი ღიად დაუპირისპირდნენ არა მხოლოდ შრი ლანკის მთავრობას, არამედ ინდოეთიდან გამოგზავნილ სამშვიდობოებსაც. იგივე შეიძლება ითქვას კოლუმბიაში მოქმედ რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებზე (FARC). ასეთ დროს სახეზე არ გვაქვს 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის მოქმედება, ვინაიდან შეუძლებელია ოკუპაციის ფაქტს ჰქონდეს ადგილი არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში. თუმცა მანამ, სანამ ნარჩუნდება თუნდაც დროებით გაყინული კონფლიქტის განახლების რეალური რისკი, ჰუმანიტარული სამართალი უმეტეს შემთხვევაში კვლავ მოქმედებს.<sup>255</sup> მსგავსი

<sup>253</sup> Prosecutor v. Dusko Tadic, Opinion and Judgment, IT-94-1-T, Trial Chamber, ICTY, 7 May 1997, § 584.

<sup>254</sup> Ilascu and Others v. Moldova and Russia, Application no. 48787/99, ECtHR, 8 July 2004, § 319; Loizidou v. Turkey (Merits), Application no. 15318/89, ECtHR, 18 December 1996, § 56.

<sup>255</sup> *ib.* International Committee of the Red Cross (ICRC), International Humanitarian Law and The Challenges of Contemporary Armed Conflicts, October 2016, 32IC/15/11, ხელმისაწვდომია <https://www.refworld.org/docid/58047a764.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8 ივნისი 2020, გვ. 10.

ვითარება გვხვდება მაშინ, როდესაც არ არის გადაწყვეტილი ტერიტორიული დავა და სახეზეა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული სეცესიის ფაქტობრივი მდგომარეობა. მთიანი ყარაბაღის იგივე არცაზის *დე ფაქტო* რესპუბლიკის შემთხვევა არის აღნიშნული მსჯელობის ნათელი დასტური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოკუპანტ სახელმწიფოზე ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებათა სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები ვრცელდება ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირების დროს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მსგავსი ადმინისტრირება ხორციელდება ადგილობრივი ე.წ. მარიონეტული მთავრობის გამოყენებით.<sup>256</sup> ტერიტორიის ადმინისტრირების ფაქტი შეიძლება სადავო იყოს ოკუპანტ და ოკუპირებულ სახელმწიფოებს შორის. თუმცა სამთავრობო ძალებსა და აჯანყებულებს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის პარალელურად, ოკუპანტი ძალის სამხედროების ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის ფაქტი უკვე აყენებს ოკუპანტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს. მაგალითად, ლუბანგას საქმეში ICC-იმ დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ უგანდის რესპუბლიკის, როგორც ოკუპანტი ძალის ტერიტორიაზე ყოფნის გამო, იტურიში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი უნდა დაკვალიფიცირებულიყო საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად 2002 წლის ივლისიდან 2003 წლის 2 ივნისამდე, უგანდის არმიის ტერიტორიიდან გასვლის დღემდე.<sup>257</sup>

გამოსაყენებელი სამართლის მისადაგების თვალსაზრისით სიტუაცია ცოტა უფრო რთულია, როდესაც ტერიტორიული კონტროლი დამყარებულია მხოლოდ არასახელმწიფო აქტორის მიერ მესამე სახელმწიფოს კონტროლისა და აქტიური ჩარევის გარეშე. იმ დროს როდესაც არასახელმწიფო აქტორის ქმედებას აქვს „კავშირი“ (nexus) შეიარაღებულ კონფლიქტთან, ასეთ ქმედებაზე ვრცელდება ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება.<sup>258</sup> მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება რომ გაყინული კონფლიქტის პირობებში *დე ფაქტო* რეჟიმის კონტროლის ქვეშ არსებულ

<sup>256</sup> Democratic Republic of the Congo v. Uganda, Case concerning Armed Activities on the Territory of the Congo, ICJ, Judgement of 19 December 2005, § 178-180; იხ. მაგალითად ჟენევის 1949 წლის მეოთხე კონვენციის, 27-ე და 47-ე მუხლები.

<sup>257</sup> Prosecutor v. Thomas Lubanga Dyalo, Decision on the Practice of Witness Familiarisation and Witness Proofing, Situation in the Democratic Republic of the Congo (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber I, ICC, 8 November 2006, § 220.

<sup>258</sup> Prosecutor v. Kunarac et al. Appeals Chamber Judgment, IT-96-23& IT-96-23/1-A, 12 June 2002, § 58.

ტერიტორიაზე განხორციელებული მართლმსაჯულების დროს არასახელმწიფო აქტორი შებოჭილია მხოლოდ ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმებით, თუკი ასეთ ქმედებას არ აქვს კავშირი შეიარაღებულ კონფლიქტთან და მხოლოდ ტერიტორიაზე წესრიგის და სტაბილურობის დამყარებას ემსახურება. თუმცა ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება სულ მცირე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე არასახელმწიფო აქტორის მიერ უკვე წარმოადგენს სათანადო კავშირს შეიარაღებულ კონფლიქტთან და საკმარისი საფუძველია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სრული მოქმედებისთვის. ამავდროულად საინტერესოა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ DRC-თან დაკავშირებულ რეზოლუციებში აღნიშნა, რომ იტურის *დე ფაქტო* მმართველ შეიარაღებულ დაჯგუფებებს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მათი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვაზე და ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაზე.<sup>259</sup> იმავე ლოგიკაზე დაყრდნობით, გაეროს უშიშროების საბჭომ ისაუბრა აფხაზური მხარის ვალდებულებაზეც დაბრუნებულების დაცვისა და იძულებით გადაადგილებული პირების ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობის ჭრილში.<sup>260</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილია განვიხილოთ როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ისე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება *დე ფაქტო* რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე. მანამდე კი საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით დეტალურად განვმარტოთ *დე ფაქტო* რეჟიმის როგორც სპეციფიური არასახელმწიფო აქტორის ცნება.

## 5.1 ხალხთა თვითგამორკვევის უფლება *დე ფაქტო* რეჟიმის განვითარების სამართლებრივი ბარიერი თუ საერთაშორისო სამართლებრივი ლეგიტიმაციის საფუძველი

ბრძოლა ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებასა და მემამბოხე ძალებს შორის, სეპარატისტული ძალების მხრიდან სეცესიის მცდელობები, ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. მარიონეტული რეჟიმის დამყარება არის ის

<sup>259</sup> UN SC Res. 1445 (2002), 4 December 2002, § 15; UN SC Res. 1417 (2002), 14 June 2002, § 4-5.

<sup>260</sup> UN SC Res. 1716 (2006), 13 October 2006, § 9; UN SC Res. 1494 (2003), 30 July 2003, § 15.

კლასიკური მაგალითები, რომელთა დროსაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული დღის წესრიგი და სახელმწიფოებრიობის დადგენილი სტანდარტი. მსგავსი ვითარებაა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარებულ შემდეგ *დე ფაქტო* რესპუბლიკებში: აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, საქართველო, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, საქართველო, სომალილენდის თვითაღიარებული რესპუბლიკა, მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკა, დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებული სახალხო რესპუბლიკები. ჩამოთვლილი თვითგამოცხადებული ან მხოლოდ ერთეული სახელმწიფოების მიერ აღიარებული რესპუბლიკებისგან განსხვავებით, შედარებით ფართო აღიარებით სარგებლობს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რომელიც მართალია არ არის აღიარებული გაეროს მიერ, თუმცა გაეროს წევრი არაერთი სახელმწიფო უჭერს მხარს მის დამოუკიდებლობას ე.წ. „განკურნებადი სეცესიის“ ჯერ-კიდევ საკამათო დოქტრინაზე დაყრდნობით.<sup>261</sup> კითხვაზე ქმნის თუ არა აღნიშნული პრეცედენტი საფრთხეს საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული დღის წესრიგისთვის, პასუხი არც თუ ისე მარტივი გასაცემია. ერთი მხრივ, სახეზეა კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩაგრული მოსახლეობის ინტერესი ღირსეულ პირობებში ცხოვრებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ილახება იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტი, რომელიც უდავოდ უნდა მივიჩნიოთ მჩაგვრელ სახელმწიფოდ. სერბეთისა და კოსოვოს ურთიერთობა მართალია სპეციფიურია, თუმცა ეს უნიკალურობაც ისევ გაეროს ქარტიის სულისკვეთებით უნდა განიმარტოს.

გაეროს ქარტიის პირველივე მუხლში განმტკიცებულია ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პატივისცემა, როგორც გაეროს მიზნებისა და პრინციპების განუყოფელი კომპონენტი.<sup>262</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის პაქტის პირველი მუხლის მიხედვით: „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად

<sup>261</sup> Almqvist J. The Politics of Recognition: The Question about the Final Status of Kosovo in French D. (ed.), *Statehood and Self-Determination: Reconciling Tradition and Modernity in International Law*, CUP, 2013, გვ. 172-175.

<sup>262</sup> იხ. გაეროს ქარტია, 33-ე *supra* სქოლიო, პირველი და 55-ე მუხლები.

ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისკენ...“<sup>263</sup> ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი ასევე განმტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის არაერთი დეკლარაციითა და კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებით. მათ შორის აღსანიშნავია გენერალური ასამბლეის 1970 წლის დეკლარაცია სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ხალხთა უფლებას თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი.<sup>264</sup> ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ასევე აღნიშნულია ისეთ საერთაშორისო აქტებში, როგორცაა: 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1993 წლის 25 ივნისის ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, 1995 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენცია და სხვ.<sup>265</sup> თავად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებასა თუ საკონსულტაციო მოსაზრებაში აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლების უნივერსალური ანუ საყოველთაო (*erga omnes*) ხასიათი.<sup>266</sup>

განასხვავებენ თვითგამორკვევის ორ სახეს:<sup>267</sup>

ა) შიდა თვითგამორკვევა ხდება სახელმწიფოს ფარგლებში და გამოიხატება სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები ხალხთა ჯგუფისთვის პოლიტიკური, სოციალური,

<sup>263</sup> ICCPR, 36-ე *supra* სქოლიო, 1-ლი მუხლი.

<sup>264</sup> UN GA, Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States in accordance with the Charter of the United Nations, 24 October 1970, A/RES/2625(XXV).

<sup>265</sup> ალექსიძე ლ. დააკნინა თუ არა 'კოსოვოს პრეცედენტმა - სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი? ხუციშვილი. ქ. რედაქტირებული ნაშრომთა კრებული: ალექსიძე ლ. საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე): 1957-2012 წლებში გამოქვეყნებული რჩეული ნაშრომები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 680-712. წინამდებარე სტატიასა და ივანე ჭავჭავიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიკოს ლევან ალექსიძისგან მიღებულ აკადემიურ ინფორმაციას ეფუძნება მოცემული აბზაცისა და ამავე სქოლიოს მითითებით ქვემოთ მოცემული მსჯელობის დიდი ნაწილი.

<sup>266</sup> Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ, Advisory Opinion of 9 July 2004, § 88; Portugal v. Australia, East Timor Case, Judgment of 30 June 1995, § 29.

<sup>267</sup> ალექსიძე, 265-ე *supra* სქოლიო, გვ. 680-712; Chiragov and Others v. Armenia, Application no. 13216/05, Grand Chamber, Dissenting Opinion of Judge Pinto De Albuquerque, ECtHR, 16 June 2015, § 38-47.

ეკონომიკური და კულტურული უფლებების თავისუფლად განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, ნებადართული არ არის ცალმხრივი გამოყოფა.

ბ) გარე თვითგამორკვევის დროს ხდება სახელმწიფოსგან გამოყოფა (სეცესია), გამოყოფილი ხალხი აყალიბებს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ან უერთდება სხვა სუვერენულ სახელმწიფოს. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია გარე თვითგამორკვევის შეუზღუდავი უფლება იმ ხალხისთვის, რომლებიც იმყოფებიან კოლონიურ ბატონობისა და უცხოური ოკუპაციის ქვეშ.<sup>268</sup> რა თქმა უნდა, ასევე დასაშვებია სახელმწიფოსგან გამოყოფა მშვიდობიანი გზით, როდესაც ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ხალხი ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებით საყოველთაო რეფერენდუმის მეშვეობით თავისუფლად გამოხატავს საკუთარ ნებას გამოყოფის თაობაზე. მსგავსი გარემოება იყო სახეზე 2006 წელს სერბეთისგან მონტენეგროს მშვიდობიანი გამოყოფის დროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ეს არის კოლექტიური უფლება, რომელსაც ხალხთა ჯგუფი თავისუფლად მიმართავს სახელმწიფოს შიგნით. ხოლო სეცესია შესაძლოა დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. გარე თვითგამორკვევის განსაკუთრებული სახე - „განკურნებადი გამოყოფა“ (remedial secession), წარმოადგენს ექსკლუზიურ და უკიდურეს (*ultima ratio*) შემთხვევას. „განკურნებადი გამოყოფა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ხალხს არ ეძლევა შიდა თვითგამორკვევის საშუალება, შეზღუდული აქვთ საკუთარი კულტურის, ენის, რელიგიისა და ტრადიციების განვითარების შესაძლებლობა, განიცდიან დისკრიმინაციას, არ ჰყავთ ადგილობრივ ხელისუფლებაში საკუთარი წარმომადგენლები და რაც მთავარია ადგილი აქვს უმცირესობის უფლებების უხემ და სისტემატიურ დარღვევას.<sup>269</sup> ცალმხრივი სეცესია მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც ამოწურულია ყველა სხვა საშუალება და შეუძლებელია შიდა თვითგამორკვევის უფლების სრულყოფილი რეალიზაცია. განკურნებადი სეცესიის ერთ-ერთი მთავარი

<sup>268</sup> Shaw N. M. International Law. CUP, 2008, გვ. 255-257; იხ. ალექსიძე, 265-ე *supra* სქოლიო, გვ. 680-712.

<sup>269</sup> Chiragov and Others v. Armenia, Application no. 13216/05, Grand Chamber, Dissenting Opinion of Judge Pinto De Albuquerque, ECtHR, 16 June 2015, § 38-47.

მახასიათებელი არის ის, რომ ასეთ დროს მშობელი სახელმწიფო უარს აცხადებს მის სუვერენულ ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტის აღიარებაზე.<sup>270</sup> მართალია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კოსოვოს პრეცედენტის შემთხვევაში თავი აარიდა ცალმხრივი სეცესიის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მსჯელობას, თუმცა საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტული სპეციალისტების ნაწილი არსებითად მიიჩნევს „განკურნებადი გამოყოფის“ ზემოთ ნახსენებ კრიტერიუმებს.<sup>271</sup>

ხალხთა თვითგამორკვევის როგორც კოლექტიური უფლების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებრიობის ნიშნების კოდიფიკაციას წარმოადგენს 1933 წლის მონტევიდეოს კონვენცია, რომელიც სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელ შემდეგ ოთხ კრიტერიუმს გამოყოფს:

ა) მუდმივი მოსახლეობა;

ბ) განსაზღვრული ტერიტორია;

გ) მთავრობა;

დ) უნარი დაამყაროს საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან.<sup>272</sup>

ამავე კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ახალი სახელმწიფოს აღიარებას მხოლოდ დეკლარაციული ძალა აქვს, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს აღიარებამდე ახალი სახელმწიფოს სასამართლო, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ფუნქციების შეზღუდვას.<sup>273</sup> არსებობს აღიარების კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები. კონსტიტუციური

---

<sup>270</sup> Schoiswohl M. Status and (Human Rights) Obligations of Non-Recognized De Facto Regimes in International Law: The Case of 'Somaliland'. Leiden, 2004, გვ. 50.

<sup>271</sup> იხ. Alexidze L. Kosovo and South Ossetia: Similar or Different? Consequences for International Law. Baltic Yearbook of International Law, 2012, 12, 75-101; Almqvist, 261-ე *supra* სქოლიო, გვ. 181-183.

<sup>272</sup> Montevideo Convention on the Rights and Duties of States 1933, 165 LNTS 19, 1-ლი მუხლი.

<sup>273</sup> Montevideo Convention on the Rights and Duties of States 1933, 272-ე *supra* სქოლიო, მე-3 მუხლი; Almqvist, 261-ე *supra* სქოლიო, გვ. 167.

თეორია აღიარების ფაქტს უკავშირებს სახელმწიფოს სამართალსუბიექტობას იმ დროს, როდესაც დეკლარაციული თეორიის მიხედვით აღიარება არის პოლიტიკური და არა სამართლებრივი აქტი.<sup>274</sup>

კოსოვოს შემთხვევაში საექვო იყო როგორც დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა, ისე აშკარა სამართლებრივი და პოლიტიკური წინააღმდეგობა გამოიწვია გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეაზე ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ახლებური ინტერპრეტაციის მცდელობამ. პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, სწორედ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის არსებული კონცეფციის რისკის ქვეშ დაყენების საფრთხის გამო არ ხდება კოსოვოს გაეროს წევრად მიღება. იგივე კოსოვოს ერთი შეხვედით განსაკუთრებული სიტუაციაც (გენოციდის ფაქტი, გაეროს მხრიდან ტერიტორიას ათ წელზე მეტით მართვა, შიდა თვითგამორკვევის უფლების სრული შეზღუდვა) არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ აღნიშნულ განსაკუთრებულ გარემოებას გადაეწონა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი. იმ დროს, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ თავი აარიდა პოლიტიკურად ესოდენ სენსიტიურ საკითხზე მსჯელობას,<sup>275</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსგან არ უნდა ვითხოვდეთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ფუნქციების შესრულებასა და სახელმწიფოებრიობის საკამათო საკითხების გადაჭრას. ბუნებრივია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ვერ დაარეგულირებს იმ სამართლებრივ საკითხებს, რომელთა დარეგულირებაც შესაბამისი კომპეტენციის მქონე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომაც ვერ ან არ შეძლო. თუმცა ვერც კომპლემენტარობის ჭრილში მსჯელობის დროს აცდება ICC სახელმწიფოს ნიშნებზე საუბარს პალესტინის, სამხრეთ ოსეთის, უკრაინის თუ არასახელმწიფო აქტორთან დაკავშირებული სხვა საქმეების განხილვისას. აღნიშნულ საკითხებზე

---

<sup>274</sup> Shaw, 268-ე *supra* სქოლიო, გვ. 255-257; Crawford J. The Creation of States in International Law, OUP, 2006, გვ. 17-28.

<sup>275</sup> იხ. Accordance with International Law of the unilateral declaration of independence in respect of Kosovo, ICJ, Advisory Opinion of 22 July 2010, სადაც ICJ-ს შეგნებულად არ დაადგინა ცალმხრივი სეცესიის სამართლებრივი საფუძვლები და არ განსაზღვრა რამდენად კანონიერია „განკურნებადი სეცესიის“ დოქტრინის საფუძველზე განხორციელებული გარე თვითგამორკვევა; Almqvist, 261-ე *supra* სქოლიო, გვ. 173-177;



უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავებში ვიმსჯელებთ, თუმცა მანამდე უმჯობესია *დე ფაქტო* რეჟიმის სპეციფიური მახასიათებლების განხილვა დავასრულოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *დე ფაქტო* რეჟიმის შემთხვევაში უმეტესად სახეზე გვაქვს არასახელმწიფო აქტორის მხრიდან ტერიტორიული კონტროლის ფაქტი, რომელსაც თან არ ახლავს შესაბამისი სამართლებრივი აღიარება. *დე ფაქტო* რეჟიმი, იგივე *დე ფაქტო* ხელისუფლება, განსხვავდება დევნილობაში მყოფი მთავრობისა და პარტიზანული ძალებისგან იმ ნიშნით, რომ მას პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან ერთად დამყარებული აქვს ფაქტობრივი ტერიტორიული კონტროლი. აქაც აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მარტო ტერიტორიის კონტროლზე, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის კონტროლზეც.<sup>276</sup> შესაბამისად, ყველა მემბოხე ძალა თუ პარტიზანული მოძრაობა ვერ გარდაიქმნება *დე ფაქტო* რეჟიმად, რადგან ტერიტორიული კონტროლის დამყარების გარდა ასევე საჭიროა მთავრობის მსგავსი პოლიტიკური სტრუქტურის ფორმირებაც. სამართლებრივი ტერმინოლოგიით *დე ფაქტო* მთავრობა არის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე ეფექტიანი კონტროლის მქონე პოლიტიკურად ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელსაც სურს აღიარებული იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.<sup>277</sup> კვალიფიკაციის მიზნებისთვის აუცილებელი ელემენტია, რომ *დე ფაქტო* რეჟიმი არ უნდა სარგებლობდეს ფართო აღიარებით საერთაშორისო საზოგადოების მიერ. თუმცა ცალკე საკითხია თუ როგორი ლეგიტიმაციით სარგებლობს *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულება და რა ვალდებულებებია აკისრია არასახელმწიფო აქტორს მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ.

---

<sup>276</sup> Kendall S. and Nouwen M. S. International Criminal Justice and Humanitarianism in Heller J. K. et al. (eds.) The Oxford Handbook of International Humanitarian Law. OUP, 2020, გვ. 737; Clapham A. Human Rights Obligations of Non-State Actors. OUP, 2010, გვ. 271-283.

<sup>277</sup> Clapham, 276-ე *supra* სქოლიო, გვ. 271-283.

### 5.1.1 ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით არასახელმწიფო აქტორისთვის დაკისრებული ვალდებულებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმების არასახელმწიფო აქტორზე ვალდებულების სახით გავრცელების თაობაზე მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. სპეციალისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მაგალითად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების არასახელმწიფო აქტორებზე გავრცელებისთვის აუცილებელია არასახელმწიფო აქტორი მის კონტროლირებად ტერიტორიაზე ასრულებდეს სამთავრობო ფუნქციებს.<sup>278</sup> ამ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება *დე ფაქტო* ხელისუფლების მსგავსი პოლიტიკური სტრუქტურის მიერ ტერიტორიული კონტროლის დამყარების ფაქტზე, რაც აღქმულია როგორც აუცილებელი წინაპირობა სახელმწიფოს მსგავსი ფუნქციების განსახორციელებლად. აღნიშნული საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების უკეთ გასაგებადაც.

არსებობს ადამიანის უფლებათა რიგი კონვენციები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში პირდაპირ ვრცელდებიან *დე ფაქტო* ხელისუფლებასა და სხვა არასახელმწიფო აქტორებზე. მაგალითად, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია ითვალისწინებს არასახელმწიფო შეიარაღებულ დაჯგუფებებზე აღნიშნული კონვენციის მბოჭავ ხასიათს.<sup>279</sup> ერთი შეხედვით, ICCPR-ისა და ICESCR-ის საწყისი მუხლები და მათი მოსამზადებელი დოკუმენტები ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე აღნიშნავენ, რომ პაქტები ვრცელდება სახელმწიფოებზე და მხოლოდ პაქტების წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მბოჭავი ვალდებულებები.<sup>280</sup> თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ICCPR-ის მესამე თავი აღარ გამოყოფს ვალდებულების კონკრეტულ მატარებელს (წევრ სახელმწიფოს), არამედ ატარებს დეკლარაციულ ხასიათს და განამტკიცებს საყოველთაო უფლებებს.

<sup>278</sup> Fortin K. The Accountability of Armed Groups under Human Rights Law. OUP, 2017, გვ. 209.

<sup>279</sup> CEDAW, General Recommendation No. 30 on Women in Conflict Prevention, Conflict and Post- Conflict Situations, UN Doc CEDAW/ C/ GC/ 30, 18 October 2013.

<sup>280</sup> იხ ICCPR და ICESCR პირველი, მეორე და მესამე მუხლები, რომლებიც სახელმწიფოთა ვალდებულებებზე აპელირებს. იხ ასევე Fortin, 278-ე *supra* სქოლიო, გვ. 210.

მაგალითად, იმეორებს-რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთებას, ICCPR-ში მოხსენიებულია თითოეული ადამიანის სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება და წამების აკრძალვის საყოველთაო ხასიათი. ICCPR-ისა და ICESR-ის პრეამბულები ასევე საუბრობენ სახელმწიფოს, ინდივიდისა და საზოგადოების ვალდებულებაზე ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების უნივერსალურ დაცვას. ამავდროულად UDHR-ის 30-ე მუხლზე, ICCPR-ისა მე-5(1) და ICESR-ის მე-5(1) მუხლებზე დაყრდნობით არ უნდა გამოვრიცხოთ ზემოაღნიშნული დოკუმენტებით დაკისრებული ვალდებულებების არასახელმწიფო აქტორებზე გავრცელების შესაძლებლობაც. მაგალითად, ICCPR-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

„წინამდებარე პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, იმგვარად, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე მოქმედება, რომლებიც მიმართულია წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობითი შეზღუდვისაკენ, ვიდრე ეს ამ კონვენციით არის გათვალისწინებული.“<sup>281</sup>

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 31-ე ზოგად კომენტარში განმარტა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილია პაქტის მბოჭავი სახით გავრცელება კერძო პირებსა და არასახელმწიფო აქტორებზე.<sup>282</sup> თუმცა 2014 წლის 35-ე ზოგად კომენტარში კომიტეტმა ნათლად შეიკავა თავი პაქტის მე-9 მუხლის (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) არასახელმწიფო აქტორებზე პირდაპირი გავრცელებისგან.<sup>283</sup> სადავო არ არის, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შემადგენელ ელემენტში მოიაზრება სახელმწიფოს ვალდებულება შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც არასახელმწიფო შეიარაღებული დაჯგუფების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელს შეუწყობს სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლის გადამრჩენი ჰუმანიტარული საქმიანობის

<sup>281</sup> ICCPR, 36-ე *supra* სქოლიო, მე-5(1) მუხლი.

<sup>282</sup> HRC, General Comment No. 31, Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, CCPR/ C/ 21/ Rev.1/ Add.13, 26 May 2004.

<sup>283</sup> HRC, Draft General Comment 35, Article 9: Liberty and Security of Person, CCPR/ C/ GC/ 35, 28 October 2014.

განხორციელებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას.<sup>284</sup> თუმცა გასარკვევია ვალდებულების რეალიზაციის კუთხით სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორს შორის გასანაწილებელი მოვალეობების ფარგლები.

წამების საწინააღმდეგო კონვენცია საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან კავშირს მიიჩნევს წამების კონტექსტუალურ ელემენტად, თუმცა წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ერთ-ერთ საქმეში განსხვავებული პოზიციაც დააფიქსირა. კერძოდ, საქმეში ელმი ავსტრიის წინააღმდეგ აღინიშნა, რომ სომალიში მეზობლი მხარეები, რომლებმაც კვაზი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები ჩამოაყალიბეს და ახორციელებენ ტერიტორიულ კონტროლს, შეიძლება მიჩნეულ იქნენ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებლად და შესაბამისად შესაძლებელია კონვენციური ვალდებულების მათზე გავრცელებაც.<sup>285</sup>

შეიარაღებულ დაჯგუფებაზე ვალდებულების პირდაპირი გავრცელების შესაძლებლობას ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმიც, რომლის მე-4 მუხლიც უკრძალავს შეიარაღებულ კონფლიქტის მონაწილე არასახელმწიფო აქტორს 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირების საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას.<sup>286</sup> ამ შემთხვევაში სახელმწიფოებო ვალდებულების არასახელმწიფო აქტორზე გავრცელებისთვის უნდა გამოვიყენოთ „გაფართოებული საკანონმდებლო იურისდიქციის“ (extended legislative jurisdiction) ცნება.<sup>287</sup> არსებობს მოსაზრება, რომ *pacta tertiis* პრინციპიდან გამონაკლისი შეიძლება იშვიათად, თუმცა მაინც გამართლებული იყოს აუცილებელი ჰუმანიტარული ინტერესით. კერძოდ, სახელმწიფოებო ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს არახელმომწერ მხარეზე აღმატებული ჰუმანიტარული ინტერესის საფუძველზე.<sup>288</sup>

აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ აფრიკის კავშირის კონვენცია (კამპალას კონვენცია) ასევე ითვალისწინებს

<sup>284</sup> Fortin, 278-ე *supra* სქოლიო, გვ. 216.

<sup>285</sup> Sadiq Shek Elmi v. Australia, CAT/C/22/D/120/1998, UN Committee Against Torture (CAT), 25 May 1999, § 6.5-6.7.

<sup>286</sup> Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the Involvement of Children in Armed Conflict 2000, 2173 UNTS 222

<sup>287</sup> Fortin, 278-ე *supra* სქოლიო, გვ. 231.

<sup>288</sup> იხ. Fortin, 278-ე *supra* სქოლიო, გვ. 231.

სახელშეკრულებო ვალდებულების არასახელმწიფო აქტორზე გავრცელების შესაძლებლობას. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორს ეკრძალება მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის თვითნებური გადასახლება ან სხვა უკანონო ქმედებების გზით მათი ცხოვრების ღირსეული პირობების შელახვა.<sup>289</sup> აღნიშნული დანაწესის არსი მომდინარეობს ICCPR-ის მე-12 მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას.<sup>290</sup> მოცემული ვალდებულება ასევე გამომდინარეობს 1949 წლის ჟენევის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმის მე-17(1) და მე-4(3)(ბ) მუხლებიდან,<sup>291</sup> რომლებიც ადგენენ სამოქალაქო პირების იძულებითი გადასახლების აკრძალვასა და დროებით დაშორებული ოჯახების ერთიანობის უფლებას.

გაეროს ოთხი სპეციალური მომხსენებლის ლიბანისა და ისრაელის შესახებ ერთობლივ მოხსენებაში ნათქვამია, რომ: „მართალია არასახელმწიფო აქტორი ვერ გახდება ადამიანის უფლებათა კონვენციების ხელშემკვრელი მხარე, თუმცა მას შეუძლია დაექვემდებაროს საერთაშორისო საზოგადოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც გამოხატულია ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში. კერძოდ, საზოგადოების ყველა წევრის ვალდებულებას პატივი სცეს და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროს, როდესაც არასახელმწიფო აქტორს დამყარებული აქვს ეფექტიანი კონტროლი ტერიტორიასა და იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე და ჩამოყალიბებული აქვს პოლიტიკური სტრუქტურა.“<sup>292</sup> შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე სპეციალური

---

<sup>289</sup> African Union, African Union Convention for the Protection and Assistance of Internally Displaced Persons in Africa ("Kampala Convention"), 23 October 2009, მე-7(5) მუხლი.

<sup>290</sup> ICCPR, მე-12 მუხლი.

<sup>291</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმი, მე-100 *supra* სქოლიო, მე-17(1) და მე-4(3)(ბ) მუხლები.

<sup>292</sup> UN Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on Extrajudicial, Summary or Arbitrary Executions, Philip Alston; the Special Rapporteur on the Right of Everyone to the Enjoyment of the Highest Attainable Standard of Physical and Mental Health, Paul Hunt; the Representative of the Secretary-General on Human Rights of Internally Displaced Persons, Walter Kälin; and the Special Rapporteur on Adequate Housing as a Component of the Right to an Adequate Standard of Living, Miloon Kothari: Mission to Lebanon and Israel (7-14 September 2006), A/HRC/2/7, 2 October 2006, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/45c30b660.html>, § 19, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21 ივნისი 2020.

საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების არასახელმწიფო აქტორზე პირდაპირი გავრცელების შესაძლებლობას იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებათა უმეტესობა არ იცნობს მსგავს გამონაკლისს. უფრო კონკრეტულია ჰუმანიტარული სამართალი, რომლითაც რიგი ვალდებულები ვრცელდება შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერ მხარეზე როგორც საერთაშორისო, ისე შესაბამისი ინტენსიურობისა და ორგანიზებულობის კრიტერიუმების მქონე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევებში.

### **5.1.2 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით არასახელმწიფო აქტორისთვის დაკისრებული ვალდებულებები**

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს მხოლოდ ხასიათი აქვს არასახელმწიფო აქტორთან მიმართებითაც. ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ცალმხრივი ნების გამოვლენის ფენომენზე. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო, რომელიც არ არის კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე, შეიძლება მაინც იყოს შებოჭილი ამ ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში თუ მან ცალმხრივად გამოხატა ნება აღნიშნულის თაობაზე.<sup>293</sup> მსგავსი ლოგიკის გავრცელება შეიძლება არასახელმწიფო აქტორზეც. სახელმწიფოსგან განსხვავებით, არასახელმწიფო აქტორის ცალმხრივად გამოხატულ ნებას, იყოს შებოჭილი კონკრეტული ხელშეკრულებით, მხოლოდ მაშინ გააჩნია სამართლებრივი ძალა, თუ თავად საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს მსგავს მდგომარეობას. მაგალითად, ჟენევის 1949 წლის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად ითვლება სიტუაცია, როდესაც ხალხი იყენებს რა თვითგამორკვევის უფლებას იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის, კოლონიალიზმისა თუ რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ. ასეთ დროს, პირველი დამატებითი ოქმის 96-ე

---

<sup>293</sup> Australia v. France, Nuclear Tests Case, ICJ Judgment of 20 December 1974; New Zealand v. France, Nuclear Tests Case, ICJ Judgment of 20 December 1974.

მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ხალხის უფლებამოსილ წარმომადგენელს შეუძლია ცალმხრივად გამოხატოს აღნიშნული ოქმით შეზღუდვის ნება.<sup>294</sup>

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასევე ითვალისწინებს *ad hoc* ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მეთაურობე და სამთავრობო ძალებს შორის. სახელმწიფოთა პრაქტიკაში ხშირია მსგავსი პრეცედენტები გამოხატული 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებების, ზავისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებისა და გაეროს თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შუამავლობით დადებული სამმხრივი შეთანხმებების სახით.<sup>295</sup>

თუმცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, რომელიც მოქმედებს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს არ ანიჭებს ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორს საკანონმდებლო უფლებამოსილებას. განსხვავებით ოკუპაციის დროს მოქმედი ნორმებისგან, არც საზოგადოებრივი უსაფრთხოების, გადასახადების აკრეფისა და მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებას ვხვდებით საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში.<sup>296</sup> აღნიშნულის მიუხედავად პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ როგორც ტერიტორიული კონტროლის მქონე შეიარაღებული დაჯგუფების ან *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ მიღებულ საკანონმდებლო რეგულაციებს, ისე ე.წ. მარიონეტული რეჟიმის მხრიდან ოკუპანტი სახელმწიფოს კანონმდებლობის

---

<sup>294</sup> Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), 8 June 1977, 1125 UNTS 3, 96-ე(3) მუხლი; აღნიშნული შემთხვევა იყო სახეზე მაგალითად ფილიპინებში, როდესაც არასახელმწიფო აქტორმა - ფილიპინების ეროვნული დემოკრატიული ფრონტმა შვეიცარიის ფედერალური საბჭოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წინაშე წარადგინა დეკლარაცია ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და 1977 წლის დამატებითი ოქმის მოთხოვნების შესრულების შესახებ - იხ. Sivakumaran S. Lessons for the Law of Armed Conflict from commitments of armed groups: identification of legitimate targets and prisoners of war. *International Review of the Red Cross*, 2011, 93, 882, 463-482, გვ. 467.

<sup>295</sup> Sivakumaran, 294-ე *supra* სქოლიო, გვ. 466-467; იხ. ასევე Memorandum of Understanding between the Government of Sudan, the Sudan Peoples Liberation Movement and the United Nations regarding United Nations Mine Action Support to Sudan, 19 September 2002, ხელმისაწვდომია <https://reliefweb.int/report/sudan/memorandum-understanding-between-govt-sudan-splm-and-un-regarding-un-mine-action>, უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>296</sup> იხ. მაგ. მუხლები 43, 48 და 49, Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907; იხ ასევე, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციის 64-ე მუხლი; Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 99-118.

გამოყენების ფაქტებს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რესპუბლიკა დღემდე იყენებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსს, ხოლო აფხაზეთის *დე ფაქტო* რეჟიმის, ნეპალში მოქმედი მაოისტური კომუნისტური პარტიისა თუ თამილის განმანთავისუფლებელი ვეფხვების შემთხვევაში სახეზე იყო სხვადასხვა დროს სამართლებრივი ლეგიტიმაციის არმქონე შიდა საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების პრაქტიკა.<sup>297</sup> უფრო მეტიც, აფხაზეთის *დე ფაქტო* რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-3 მუხლში ვხვდებით ჩანაწერს, რომ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოებთან გააფორმოს საერთაშორისო შეთანხმება, ხოლო ე.წ. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით აფხაზეთის რესპუბლიკა აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, 1966 წლის საერთაშორისო პაქტებსა და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ დოკუმენტებში განმტკიცებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>298</sup>

საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი საგამონაკლისო შემთხვევების მიღმა, *დე ფაქტო* რეჟიმს თუ სხვა შეიარაღებულ არასახელმწიფო აქტორს არ აქვს უფლებამოსილება იყოს საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე. საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი ქართველი სპეციალისტი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, ხშირად აღნიშნავდა, რომ აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რეჟიმების მხრიდან რუსეთის ფედერაციასთან დადებულ ხელშეკრულებებს არავითარი სამართლებრივი ძალა არ გააჩნდათ (ამ შემთხვევაში საუბარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს, აკადემიურ ფორმატში, ნაშრომის ავტორის მხრიდან აკადემიკოს ლევან ალექსიძესთან განხილულ საკითხებზე). განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მათი ჩამოყალიბება განპირობებულია საერთაშორისო სამართლით მკაფიოდ აკრძალული აგრესიისა და სხვა აკრძალული ქმედებების შედეგად. ამავდროულად, მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არასახელმწიფო აქტორის დარჩენას საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ სისტემაში. თუმცა

<sup>297</sup> Sivakumaran S. Courts of Armed Opposition Groups: Fair Trials or Summary Justice? *Journal of International Criminal Justice*, 2009, 7, 489-513, გვ. 511-513.

<sup>298</sup> აფხაზეთის *დე ფაქტო* რესპუბლიკის 1994 წლის კონსტიტუცია ხელმისაწვდომია <https://unpo.org/article/697>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 21 ივნისი 2020.



აღნიშნული მექანიზმი არ უნდა ახდენდეს თავად არასახელმწიფო აქტორის ლეგიტიმაციას და მის მიერ შექმნილი უკანონო მდგომარეობის დაკანონებას. მსგავსი მექანიზმის მაგალითად გამოდგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და ცალკეულ შემთხვევებში ადამიანის უფლებათა სამართლით განსაზღვრული ვალდებულებებით შებოჭვის თაობაზე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან ნების ცალმხრივი გამოვლენა. პრაქტიკაში ვერ გავქეცევით არასახელმწიფო აქტორთან დიალოგის საჭიროებასაც და არასახელმწიფო აქტორი თუნდაც პოლიტიკურად მაინც უნდა იყოს მის მიერ ნაკისრი დაპირებებით შებოჭილი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დამატებით სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს ისეთ სპეციალურ შეთანხმებებს როგორცაა საზავო ხელშეკრულება, ძალის გამოუყენებლობის თაობაზე შეთანხმება და სხვ. ასეთ დროს არ უნდა აგვერიოს რომ ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად დადებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი სპეციალური შეთანხმების მიზანი არის მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა და არა არასახელმწიფო აქტორის საერთაშორისო ასპარეზზე დამატებითი ლეგიტიმაცია.

ჟან პიეტეს კომენტარის მიხედვით, 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლი ვრცელდება არასახელმწიფო აქტორზეც არა მისი სამართლებრივი ბუნების, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობის, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ ყოფნის ფაქტის გამო.<sup>299</sup> ამავდროულად, მეორე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით ჟენევის კონვენციებისა და დამატებითი ოქმის გამოყენება, ასევე ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით შეთანხმების დადება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს შორის არ ახდენს გავლენას არც მხარეთა სამართლებრივ სტატუსზე და არც სადავო ტერიტორიების (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების) სამართლებრივ სტატუსზე.<sup>300</sup> აღნიშნული გარემოება მარტივი ასახსნელია *jus ad bellum*-სა და *jus in bello*-ს შორის სხვაობით. კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს ძალის გამოყენების კრიტერიუმებისა და საერთაშორისო

---

<sup>299</sup> Pictet J. Commentary on the I Geneva Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in the Armed Forces in the Field, ICRC, 1952, გვ. 51.

<sup>300</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლი, მე-100 supra სქოლიო; იხ. ასევე Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts (Protocol II), 8 June 1977, 1125 UNTS 609, მე-2 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი.

ჰუმანიტარული სამართლის მარეგულირებელი ნორმების მიზნობრივ დისტანცირებზე.

## 5.2 არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების სამართლებრივი შეფასება

საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს არც თუ ისე იშვიათია განგრძობადი ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სასამართლო ფუნქციების განხორციელება. სწორედ მსგავსი სასამართლოების დაარსების ლეგიტიმურობისა და მათი მხრიდან ადამიანის უფლებათა მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხი წარმოადგენს მთავარ საერთაშორისო სამართლებრივ გამოწვევას არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულებასთან მიმართებით. ასევე საინტერესოა თუ როგორია მსგავსი სასამართლოების გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა სხვა სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების გადმოსახედიდან.

ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან საკუთარი სასამართლოს დაარსების მთავარი არგუმენტი არის მის კონტროლს ქვეშ მცხოვრები მოსახლეობისთვის წარმოქმნილი სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრა. ამავდროულად სასამართლო ფუნქციების განხორციელება მეტ ლეგიტიმაციასაც ანიჭებს არასახელმწიფო აქტორს სუვერენად ჩამოყალიბებისკენ მიმავალ გზაზე.

მეორე მხრივ, თუკი არასახელმწიფო აქტორის მიერ დაარსებულ სასამართლოს ნეგატიურ მოვლენად მივიჩნევთ, მაშინ აღნიშნულის ალტერნატივა იქნება არასახელმწიფო აქტორის მიერ დაკავებული პირების ღირსების შემლახავი მოპყრობა, თვითნებური თავისუფლების აღკვეთა და სიცოცხლის თვითნებურად მოსპობა.<sup>301</sup> რადგან თუნდაც არალეგიტიმური, მაგრამ კვაზი-სასამართლო ორგანოს კონტროლის პირობებშიც კი უფრო მყარია გარკვეულწილად უკონტროლო ძალის ხელში ჩავარდნილი პირების ფუნდამენტური უფლებების დაცვის გარანტიები. დამატებით, *დე ფაქტო* რეჟიმის კონტროლს ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე წესრიგის დამყარების ერთგვარი ინსტრუმენტიც შეიძლება გამოდგეს ზემოაღნიშნული სასამართლო

<sup>301</sup> Amoroso, 157-ე *supra* სქოლიო, გვ. 1777-1783.

ხელისუფლების განხორციელება. შესაბამისად, საინტერესოა თუ რას ამბობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აღნიშნული საკითხის შესახებ. დასადგენია პოულობს თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არალეგიტიმური ორგანოს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის ხერხს.

1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლისა და 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ძირითად გარანტიებს.<sup>302</sup> ეს გარანტიები მოიცავს ბრალდებულის მხრიდან დაცვის უფლებით და ბრალდების თაობაზე ინფორმაციის დროული მიღების უფლებით სარგებლობას, საქმის ინდივიდუალურ წარმოებას, მხოლოდ კანონის შესაბამისად განსაზღვრული დანაშაულისთვის მსჯავრდებას, უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვას და ა.შ. კლასიკური გაგებით მოცემული დანაწესი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ სახელმწიფოში უკვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაარსებული სასამართლო ორგანოების მხრიდან განხორციელებულ მართლმსაჯულებას. თუმცა არც მესამე საერთო მუხლი და არც მეორე დამატებითი კონვენცია არ აკონკრეტებს ვრცელდება თუ არა ზემოაღნიშნული დანაწესი არასახელმწიფო აქტორზე. შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოსამზადებელი დოკუმენტების ანალიზსა და არსებულ კომენტარებსაც არ მივყავართ ცალსახა პასუხამდე. შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერ მხარეზე ჰუმანიტარული სამართლის თანაბრად გავრცელების დოქტრინისა და ცალკეული ქვეყნების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ IHL-ის მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელების უფლება ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სასამართლოს დაარსების შესაძლებლობას.<sup>303</sup> კერძოდ, 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმის შემუშავების დროს გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე ნიგერიის დელეგატმა შემდეგი მსჯელობა განავითარა: თუკი დასაშვებად არის მიჩნეული არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის

<sup>302</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლი, მე-100 *supra* სქოლიო; 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმი, მე-300 *supra* სქოლიო, მე-6 მუხლი.

<sup>303</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 497.

მონაწილე არასახელმწიფო აქტორისგან ორგანიზებულობის ისეთი ხასიათის მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესასრულებლად, მაშინ რატომ არ შეიძლება არასახელმწიფო აქტორი იყოს იმ დონეზე ორგანიზებული რომ დაიცვას სამართლიანი სასამართლოს ჩატარების მინიმალური სტანდარტი?<sup>304</sup>

მეორე მხრივ, არა მარტო არასახელმწიფო აქტორის, არამედ სახელმწიფოს მხრიდანაც ფიქსირდება კლასიკური სასამართლოს ალტერნატიული მართლმსაჯულების შემოღების პრეცედენტები. პრაქტიკული გამოწვევებისა და არასახარბიელო მართლმსაჯულების ფონზე, სასამართლოს გადატვირთულობის თავიდან ასარიდებლად, რუანდის გენოციდის შემდგომი ეროვნული სამართალწარმოების ფორმად შემოღებული იყო ე.წ. გაჩაჩა სასამართლოები. გაჩაჩა იყო გარდამავალი მართლმსაჯულების პირობებში ადგილობრივი ჩვეულებითი იგივე სათემო მართლმსაჯულების კლასიკურ სამართალწარმოებად ტრანსფორმაციის ერთგვარი მცდელობა.<sup>305</sup> შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს შემდეგი კითხვა: თუკი სახელმწიფოს მიერ დაარსებული კვაზი-სასამართლო ორგანო შეიძლება იყოს მისაღები, მაშინ რატომ არის მიუღებელი არასახელმწიფო აქტორის მიერ დაარსებული კვაზი-სასამართლო ორგანოს მართლმსაჯულება? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მარტივია. არც გაჩაჩა და არც კვაზი-მართლმსაჯულების სხვა ფორმა საერთაშორისო სამართალში არ არის მიჩნეული მართლმსაჯულების იდეალურ ფენომენად. მსგავსი პრაქტიკა არ სარგებლობს სახელმწიფოთა მხრიდან ფართო მხარდაჭერით და მხოლოდ ცალკეული პრეცედენტები ვერ მოგვცემს იმის თქმის საშუალებას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უშვებს არასახელმწიფო აქტორის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას. მართალია, რომ ჰუმანიტარული სამართალი ცალსახად არ კრძალავს არასახელმწიფო აქტორის თეორიულ უფლებას განახორციელოს მართლმსაჯულება, თუმცა რთული წარმოსადგენია რომ მსგავსმა მართლმსაჯულებამ დააკმაყოფილოს სამართლიანი

<sup>304</sup> Official Records of the Diplomatic Conference on the Reaffirmation and Development of International Humanitarian Law Applicable in Armed Conflicts (1974-1977), Bern: Federal Political Department, 1978, ტომი 8, გვ. 351.

<sup>305</sup> Schabas A. W. Genocide Trials and Gacaca Courts, Journal of International Criminal Justice, 2005, 3, 879-895, გვ. 879-884.

სასამართლოსთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები. მაგალითად, 1980-1992 წლებში სალვადორში ხელისუფლების წინააღმდეგ მიერ ამბოხებული ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორი Farabundo Marti para la Liberacion Nacional (FMLN) მართლმსაჯულების განხორციელების დროს მთავარ სამართლებრივ დასაბუთებად მიიჩნევდა 1949 წლის ჟენევის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმის მე-6 მუხლს, ახდენდა-რა აღნიშნული მუხლის ფართო ინტერპრეტაციას.<sup>306</sup> თუმცა ცხადი იყო, რომ FMLN-ის მიერ დაარსებული სასამართლოები მაინც ვერ დააკმაყოფილებდნენ ჰუმანიტარული სამართლით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, რადგან სახეზე იყო: ა) მოსამართლეების კვალიფიკაციის პრობლემა; ბ) დაცვის უფლების სრულყოფილი რეალიზაციის თვალსაზრისით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები; გ) არ არსებობდა ე.წ. სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>307</sup>

შირი-ლანკის თამილელ ვეფხვთა განმანთავისუფლებელი მოძრაობის (Liberation Tigers of Tamil Eelam – LTTE) პირობებში, შირი-ლანკის ჩრდილოეთ და სამხრეთ პროვინციებში ასევე სახეზე იყო არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სასამართლოების დაფუძნების პრაქტიკა. აჯანყებულთა მთავარი არგუმენტი იყო მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ინტერსების გათვალისწინება და განგრძობადი კონფლიქტის პირობებში წესრიგის დამყარების აუცილებლობა.<sup>308</sup> სალვადორისგან განსხვავებით, შირი-ლანკის შემთხვევაში სახეზე იყო სტაბილური ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან მთელი სასამართლო სისტემის შექმნა, რომელიც შედგებოდა რაიონული, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მსგავსი პალატებისგან. სასამართლოები განიხილავდნენ არასახელმწიფო აქტორისვე შემოღებული კანონმდებლობის ფარგლებში აღმოცენებულ როგორც სამოქალაქო დავებს, ისე სისხლისსამართლებრივ საქმეებს.<sup>309</sup>

1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლის მიხედვით განსაზღვრული

<sup>306</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 491.

<sup>307</sup> Third Report of the United Nations Observer Mission in El Salvador (ONUSAL), UN Doc. A/46/876-S/23580, 19 February 1992, § 112-114.

<sup>308</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 493.

<sup>309</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 494.

„სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს“ ცნების ქვეშ რთულია მოვიაზროთ არასახელმწიფო აქტორის მიერ დაფუძნებული სასამართლო. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის კვლევაში, „სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლო“ განიმარტება, როგორც სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო და პროცედურული ნორმების შესაბამისად დაფუძნებული მართლმსაჯულების ორგანო.<sup>310</sup> აღნიშნული ინტერპრეტაცია ასევე გაიზიარა აშშ.-ს უზენაესმა სასამართლომ ჰამდანი რამსფელდის წინააღმდეგ საქმეში.<sup>311</sup>

ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით განსაზღვრული „სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლო“ ცნების მსგავსი მოთხოვნა აქვს ადამიანის უფლებათა სამართალსაც. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ინსტრუმენტები მოითხოვონ „კომპეტენტური“ და/ან „კანონის შესაბამისად“ დაფუძნებული სასამართლო ორგანოს არსებობას.<sup>312</sup> სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ქვეშ მოიაზრება სასამართლო ფუნქციების განხორციელება ხელისუფლების სხვა შტოს, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის გარეშე.<sup>313</sup> მიუკერძოებლობის ცნების ქვეშ კი ადამიანის უფლებათა სამართალი მოითხოვს მოსამართლეთა ობიექტურობასა და პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ მიმხრობის გამორიცხვას.<sup>314</sup> განგრძობადი ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სასამართლო ხელისუფლების განხორციელება არ წარმოადგენს მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლით როგორც სამართლის სპეციალური დარგით (*lex specialis*) დარეგულირებულ სიტუაციას და ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს როგორც

---

<sup>310</sup> რეგულარულად დაარსებული სასამართლოს ცნების ქვეშ მოიაზრება ისეთი სასამართლო, რომელიც დაარსდა და ორგანიზებულია ქვეყანაში უკვე მოქმედი კანონებისა და პროცედურების მიხედვით - იხ. ICRC, Customary IHL Database, Rule 100 ხელმისაწვდომია, [https://ihl-databases.icrc.org/customary-ihl/eng/docs/v1\\_rul\\_rule100](https://ihl-databases.icrc.org/customary-ihl/eng/docs/v1_rul_rule100), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10 ივნისი 2020.

<sup>311</sup> Hamdan v. Rumsfeld, 548 U.S. 557 (2006).

<sup>312</sup> ICCPR, მე-14(1) მუხლი; American Convention on Human Rights "Pact of San José, Costa Rica" 1969, 17955 UNTS 1144, მე-8(1) მუხლი; Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, 1577 UNTS 3, მე-40(2)(ბ)(iii) მუხლი; ECHR, მე-6(1) მუხლი.

<sup>313</sup> იხ. მაგ. Belilos v. Switzerland, Application no. 10328/83, ECtHR, 29 April 1988, § 265.

<sup>314</sup> იხ. მაგ. Piersack v. Belgium, Application no. 8692/79, ECtHR, 1 October 1982, § 31-33.

ჰუმანიტარული, ისე ადამიანის უფლებათა სამართლის ერთობლივი მოქმედება და მათი ურთიერთშემავსებელი ხასიათი.<sup>315</sup> ამავდროულად, ICC-ის კომპლემენტარობის ფარგლებში გაკეთებული ანალიზის დროს გამოსაყენებელი სამართლის კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლის მარეგულირებელი დებულებებიც.

„დანაშაულთა ელემენტები“ - რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულების ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის შექმნილი სასამართლოს მთავარი დამხმარე დოკუმენტი აზუსტებს, რომ სამართლიანი სასამართლო პროცესის გარეშე გამოტანილი განაჩენი ან ასეთი განაჩენის აღსრულება წარმოადგენს ომის დანაშაულს, რომლის მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ გარემოებადაც მიიჩნევა სასამართლოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაარსების, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თანდაყოლილი გარანტიებისა ან სამართლიანი სასამართლოსთვის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დადგენილი ფუნდამენტური მოთხოვნების უგულვებელყოფის ფაქტი.<sup>316</sup> შეგვიძლია დავასკვნათ რომ ომის დანაშაულის ჭრილში „სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს“ ცნების ქვეშ რომის სტატუტი მოიაზრებს სამართლიანი სასამართლოსთვის დამახასიათებელ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფუნდამენტურ გარანტიებს. თუმცა როგორც უკვე ვთქვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მხოლოდ ეს ორი კრიტერიუმი არ არის საკმარისი, რადგან აუცილებელია, რომ სასამართლო შექმნილი იყო კანონის მიხედვით.<sup>317</sup>

ადამიანის უფლებათა სამართალი აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას არ მიაკუთვნებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. თუმცა ამ უფლებებიდან გადახვევა არ უნდა იწვევდეს სხვა აბსოლუტური უფლებებისა თუ ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას, რომელიც სახელმწიფოს ნაკისრი აქვს სხვა

---

<sup>315</sup> Orakhelashvili A. The Interaction between Human Rights and Humanitarian Law: Fragmentation, Parallelism, or Convergence? EJIL, 2008, 19, 161-182, გვ. 177; Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ, 266-ე *supra* სქოლიო, § 106.

<sup>316</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-8(2)(გ)(iv) მუხლი; Elements of Crimes, მე-8(2)(გ)(iv) მუხლი.

<sup>317</sup> European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, as amended by Protocols Nos. 11 and 14, 4 November 1950, ETS 5, მე-6(1) მუხლი.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით (მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული სათანადო სამართალწარმოების განხორციელების ვალდებულება). ასევე აღსანიშნავია, რომ არ შეიძლება სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი იმ კომპონენტიდან გადახვევა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში სახეზე იქნება პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აბსოლუტური უფლების დარღვევასთან. მაგალითად, აკრძალულია საომარი თუ საგანგებო ვითარების დროს დაცვის ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეზღუდვა მიგვიყვანს სიკვდილით დასჯის განაჩენამდე.<sup>318</sup> ანალოგიურად დაუმჯობესებელია უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გადახვევა და სხვ.<sup>319</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ კანონის უზენაესობის და სამართლიანობის პრინციპები ნებისმიერ ვითარებაში განაპირობებენ სამართლიანი სასამართლოს უფლების პატივისცემის ვალდებულებას.<sup>320</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დროს უფლებიდან გადახვევა არ უნდა იწვევდეს უფლების გაუქმებას, არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს ან გამოიხატებოდეს დისკრიმინაციულ შედეგში,<sup>321</sup> გადახვევა უნდა იყოს დროებითი და მისი მიზანი უნდა იყოს ნორმალური მდგომარეობის (შეზღუდული უფლებების სრულად დაცვის) უმოკლეს დროში აღდგენა. უფლების შეზღუდვა უნდა იყოს ოფიციალურად გამოცხადებული არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნათა დაცვით, გადახვევის უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი გადახვევის გამომწვევი შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამავდროულად, პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, უფლებიდან გადახვევის ფარგლები უნდა მკაცრად შეესაბამებოდეს საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე საგანგებო ზომების აუცილებლობის ფარგლებს და მათი მიზანშეწონილობა და გონივრულობა რეგულარულად უნდა გადაიხედოს.<sup>322</sup>

<sup>318</sup> HRC, General comment no. 32, Article 14, Right to equality before courts and tribunals and to fair trial, CCPR/C/GC/32, 23 August 2007, § 6,

<sup>319</sup> HRC, General Comment No. 29, Article 4: Derogations during a State of Emergency, CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 August 2001, § 11.

<sup>320</sup> HRC, General Comment No. 29, Article 4: Derogations during a State of Emergency, CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 August 2001, § 16.

<sup>321</sup> *Ibid.*, § 8.

<sup>322</sup> *Ibid.*, § 184.



სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე მოითხოვს დაცვის უფლების რეალიზაციისთვის ადეკვატური დროისა და შესაძლებლობების დათმობას, წვდომას ბრალდებულის მიერ შერჩეულ ადვოკატსა და შესაბამის მტკიცებულებებზე, რაც როგორც მინიმუმ მოითხოვს არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების შემთხვევაში სტაბილური ტერიტორიული კონტროლის არსებობას.<sup>323</sup>

საინტერესოა სამართლის რომელი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების შემთხვევაში. 1949 წლის ჟენევის კონვენციების 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმის მე-6 მულის მიხედვით სამართლიანი სასამართლო უფლების არაერთი ასპექტი მოიცავს კანონის შესაბამისად განხორციელებულ პროცედურებს.<sup>324</sup> თუმცა არ არის დაკონკრეტებული კანონის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს კანონმდებლობა თუ ტერიტორიული კონტროლოს მქონე არასახელმწიფო აქტორის მიერ შემოღებული რეგულაციებიც. იქ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობას ფართოდ განვმარტავთ და არასახელმწიფო აქტორის ან *დე ფაქტო* ხელისუფლების რეგულაციებსაც ვიგულისხმებთ, მაშინ წინააღმდეგობაში მოვალთ სამართლის ფილოსოფიის მთელ მოძღვრებასთან, კანონის უზენაესობისა და სამართლის ლეგიტიმურობის ფუნდამენტურ პრინციპებთან. სუვერენულ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლების წყარო არის ხალხი, ძალაუფლება ხორციელდება ლეგიტიმური გზებით არჩეული წარმომადგენლების მიერ, ხოლო საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის გამიჯნულია კომპეტენცია, ადგილი აღარ უნდა რჩებოდეს კანონს მიღმა არსებული რეგულაციებისთვის. სამწუხაროდ, კანონის უზენაესობის კლასიკური გაგება არ ვრცელდება არასახელმწიფო აქტორის სამართალშემოქმედებაზე. *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ თვითნებურად მიღებული კანონმდებლობისა და ასევე თვითნებურად დაარსებული სასამართლოების გადაწყვეტილებების ფორმალური ბუნების სამართლებრივ ჭრილში განხილვა უფრო მეტ მსგავსებას მოგვცემს ნარკოკარტელებისა თუ კრიმინალური სუბკულტურის მქონე ორგანიზაციული

<sup>323</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 506.

<sup>324</sup> 1949 წლის ჟენევის კონვენციების 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმი, მე-300 *supra* სქოლიო, მე-6 მუხლი.

დაჯგუფებების გარჩევებთან ვიდრე სუვერენული სახელმწიფოს მხრიდან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან. წინამდებარე ნაშრომის ავტორის აზრით, სანდემ სივაკუმარანი და სხვა მეცნიერები არასწორად აიგივებენ არასახელმწიფო აქტორისთვის გარკვეული სახელშეკრულებო აკრძალვის დაწესებას საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების უფლებასთან.<sup>325</sup> მაგალითად, ის ფაქტი, რომ არასახელმწიფო აქტორმა მის რიგებში მყოფ პირებს უნდა მოსთხოვოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა შესაბამისი რეგულაციებისა და შიდა სანქციების შემოღებითაც კი, არ ნიშნავს რომ არასახელმწიფო აქტორი აღიჭურვება საკანონმდებლო უფლებამოსილებით. ასევე ფაქტი, რომ არასახელმწიფო აქტორს ეკრძალება საბრძოლო მოქმედებებში 18 წლამდე ასაკის პირების, ჩართვა არ ნიშნავს, რომ მას აქვს უფლება დააწესოს საკუთარი რიგებში მიღების კრიტერიუმები ისე, რომ ამ კრიტერიუმებს ჰქონდეს რაიმე სამართლებრივი აღიარება.<sup>326</sup> ასევე მცდარია მოსაზრება, რომ ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით განსაზღვრული მეომარი მხარეების თანასწორობის პრინციპი მოიცავს უფლებას არასახელმწიფო აქტორის მიერ დაარსებული იყოს სასამართლო ორგანო.<sup>327</sup>

სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორის მხრიდან პარალელური მართლმსაჯულების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული სამართლის ნორმების პატივისცემას. თუმცა კატეგორიულად მიუღებელია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლის 2016 წლის კომენტარებში გაკეთებული განმარტება, რომლის მიხედვითაც ჰუმანიტარული სამართლის დაცვის წახალისება უნდა მოხდეს არასახელმწიფო აქტორისთვის სასამართლოს დაარსებისა თუ სხვა საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭებით.<sup>328</sup> მსგავსი შემთხვევა

<sup>325</sup> იხ. Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 489-513; Amoroso, 157-ე *supra* სქოლიო, გვ. 1777-1783.

<sup>326</sup> Sivakumaran, 297-ე *supra* სქოლიო, გვ. 508.

<sup>327</sup> Kleffner K. J. The Applicability of the International Humanitarian Law to the Organized Armed Groups, *International Review of the Red Cross*, 2011, 93, 882, 443-461, გვ. 451; აღნიშნულ თემაზე იხ. ასევე On the Establishment of Courts in Non-international Armed Conflict by Non-state Actors: Stockholm District Court Judgment of 16 February 2017, *Journal of International Criminal Justice*, 2018, 16, 2, 403-424; Prosecutor v. Omar Haisam Sakhanh, Stockholm District Court, B 3787-16, Judgment of 16 February 2017.

<sup>328</sup> ICRC, *Commentary on the First Geneva Convention: Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field*, 2<sup>nd</sup> edition, 2016, ხელმისაწვდომია <https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Comment.xsp?action=openDocument&documentId=59F6C DFA490736C1C1257F7D004BA0EC>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22 ივნისი 2020, § 692.

აპრიორი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს. ასეთ დროს ჰუმანიტარული სამართალით დადგენილი რეგულაცია არ უნდა განიმარტოს როგორც ზოგადი წესიდან გადამხვევი სპეციალური ნორმა, რადგან თავად ჰუმანიტარული სამართალი, კერძოდ 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლი, პირდაპირ განსაზღვრავს, რომ არასახელმწიფო შეიარაღებული აქტორის, როგორც კონფლიქტის მხარის, უფლება-მოვალეობები არ ნიშნავს რაიმე ფორმით მის ლეგიტიმაციას ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით მისი სტატუსის აღიარებას. შესაბამისად, IHL-ზე დაყრდნობით საკანონმდებლო ფუნქციების არასახელმწიფო აქტორისთვის მინიჭებით არაპირდაპირ ხდება მისი, როგორც კანონმდებლის, ლეგიტიმაცია. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰუმანიტარული სამართალი, 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3(1)(დ) მუხლი და 1977 წლის მე-2 დამატებითი ოქმის მე-6 მუხლი არ იძლევა არასახელმწიფო აქტორის მხრიდან სასამართლოს დაარსების კანონიერ საფუძველს, თუმცა არეგულირებს უკვე დაარსებული სასამართლოების მის მიერ ადმინისტრირების ფაქტს. ზემოაღნიშნული მუხლების მიხედვით ასევე დაწესებულია სამართალწარმოების მინიმალური პროცედურული გარანტიები, რომლითაც არასახელმწიფო აქტორის სამართალწარმოება უნდა განსხვავდებოდეს თვითნებური მართლმსაჯულებისგან. თვითნებური მართლმსაჯულება კი ICL-ის მიხედვით გათანაბრებულია ომის დანაშაულთან.

მეორე მხრივ, კვაზი სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებით *დე ფაქტო* ხელისუფლება დროებითი სტაბილურობის განცდას სძენს მის კონტროლს ქვეშ მცხოვრებ მოსახლეობას და ეს უდავოდ მისასაღმებელია. დანაშაულის პრევენცია, ჯანდაცვის, განათლებისა, ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული საკითხების *დე ფაქტო* რეჟიმის მხრიდან რეგულირება არის პრაქტიკული გამოსავალი მმართველობითი ვაკუუმისა და განუკითხაობისგან თავის დასაცავად. ასეთ დროს უმჯობესია გამოსაყენებელი სამართალი შემოიფარგლოს ტერიტორიული კონტროლის დამყარებამდე არსებული სამართლებრივი ნორმებით, რადგან ტერიტორიული კონტროლის ფაქტობრივი მოცემულობა არ უნდა გახდეს სამართლებრივი სტატუსის, ლეგიტიმაციისა თუ უკანონო ქმედების კანონიერად შერაცხვის საფუძველი.

### 5.3 მართლმსაჯულება სამხედრო ოკუპაციის პირობებში

თითქმის ერთი საუკუნის წინ ჩამოყალიბდა ე.წ სტიმსონის დოქტრინა, როდესაც აშშ-მ და ერთა ლიგის წევრმა სხვა არაერთმა სახელმწიფომ უარი განაცხადა ელიარებინა იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შედეგად აღმოცენებული მარიონეტული რეჟიმი, რადგან იაპონიის მხრიდან სახეზე იყო ჩინეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის, ასევე კელოგ-ბრიანის პაქტის აშკარა დარღვევა.<sup>329</sup> *დე ფაქტო* რეჟიმის ჩამოყალიბების საფუძვლად ხშირად გვევლინება მესამე სახელმწიფოს აგრესიული ქმედებები, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვა. არსებობს მოსაზრება, რომ აგრესიული აქტი ცალკე სამართლებრივი კვალიფიკაციის საგანი უნდა იყოს, ხოლო *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ ტერიტორიის განგრძობადი ადმინისტრირების შედეგად შექმნილი ფაქტობრივი მდგომარეობა ცალკე სამართლებრივ რეგულაციებს უნდა ექვემდებარებოდეს.<sup>330</sup> თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თუ რამდენად საჭიროებას ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აგრესორი თუ ოკუპანტი სახელმწიფოსგან მუდმივ მხარდაჭერას, როგორც მშობელი სახელმწიფოსგან გამოყოფის აუცილებელ წინაპირობას. იგივე ბანგლადეშისა და ჩრდილოეთ კვიპროსის მაგალითები ცხადყოფს, რომ შეუძლებელია მარიონეტული რეჟიმის აღიარებით არ დაირღვევს *ex injuria non oritur jus* პრინციპი.<sup>331</sup> თუმცა აღნიშნული პრინციპის დარღვევა შეიძლება არ იყოს სახეზე თუ გარე თვითგამორკვევა ხორციელდება შესაბამისი წინაპირობებისა და მესამე სახელმწიფოს აშკარა ჩარევის/ზეწოლის გარეშე. მაგალითად, როგორც მოხდა ზემოთ განხილულ კოსოვოს შემთხვევაში. შესაბამისად, თითოეული შემთხვევისთვის საჭიროა ინდივიდუალური ანალიზი და მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის მოტივი ვერ გახდება არასახელმწიფო აქტორის სასამართლო თუ სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დამკანონებელი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს სახელმწიფოთა მიერ ძალის

<sup>329</sup> Crawford, 274-ე *supra* სქოლიო, გვ. 75.

<sup>330</sup> *Ibid.*, გვ. 140

<sup>331</sup> *Ibid.*, გვ. 138 -149.

გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას თუკი სახეზე არ არის გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის შემთხვევა ან გაეროს ქარტიის მე-7 თავის საფუძველზე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული ქმედება.<sup>332</sup> უფრო მეტიც, წამების აკრძალვა, გენოციდის აკრძალვა, მონობის აკრძალვა, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის აკრძალვა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აკრძალვა, გენოციდის აკრძალვა და მათთან ერთად აგრესიის აკრძალვაც მიეკუთვნებიან *jus cogens*-ს ნორმების (იგივე *peremptory norms of general international law*).<sup>333</sup> ნიკარაგუას საქმეში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, აგრესიის აკრძალვას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ქვაკუთხედიც კი უწოდა.<sup>334</sup> იმპერატიულ ნორმის აშკარა დარღვევის შედეგად წარმოქმნილი რეალობის დაკანონების საწინააღმდეგოდ შემუშავებული ერთ-ერთი სამართლებრივი დოქტრინა არის ე.წ. არალიარების დოქტრინა. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით არალიარების დოქტრინა ვრცელდება აგრესიის შედეგად ჩამოყალიბებული ნებისმიერ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღიარებასა თუ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიის გზით მიერთების შემთხვევებზე.<sup>335</sup> თუმცა ერთია უკანონო აქტის შედეგად შექმნილი რეალობის დაკანონება და მეორეა აღნიშნული რეალობის შედეგად წარმოქმნილი ურთიერთობების რეგულირების საჭიროება. როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ *დე ფაქტო* რეჟიმის წარმოქმნა სულაც არ იყოს დაკავშირებული აგრესიის აქტთან. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადგენს არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების მინიმალურ სტანდარტს, თუმცა არაფერს საუბრობს სამართალწარმოების შედეგის კანონიერებაზე.

საკითხი, თუ როდის ჩაითვლება *დე ფაქტო* ხელისუფლების სასამართლოს გადაწყვეტილება ლეგიტიმურად ან გარკვეული იურიდიული ძალის მქონე

<sup>332</sup> გაეროს ქარტია, 33-ე *supra* სქოლიო, მე-2(4); მე-2(7); 39-51 მუხლები.

<sup>333</sup> International Law Commission, Seventy-First Session, Fourth report on peremptory norms of general international law (*jus cogens*) by Dire Tladi, Special Rapporteur, UN GA, A/CN.4/727, 31 January 2019.

<sup>334</sup> *Nicaragua v. United States of America*, 101-ე *supra* სქოლიო, § 190.

<sup>335</sup> *Almqvist*, 261-ე *supra* სქოლიო, გვ. 172.

გარკვეულწილად დამოკიდებულია *დე ფაქტო* ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მცხოვრები პირების ინტერესებზე.<sup>336</sup> აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს *დე ფაქტო* რეჟიმი წარმოადგენს სამხედრო ოკუპაციის პირობებში დაფუძნებულ მარიონეტულ რეჟიმს თუ მართლაც დამოუკიდებლად მოქმედ აქტორს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სახეზე შეიძლება იყოს პირველი ვითარება. ნებისმიერ შემთხვევაში ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებში შედის დაბადების, გარდაცვალებისა თუ ქორწინების მოწმობის გაცემა. სწორედ მოსახლეობის ინტერესებზე დაყრდნობით მივიდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო არალეგიტიმური აქტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ვიწრო ლეგიტიმაციის საჭიროებამდე.<sup>337</sup> ნამიბიის (ყოფილი სამხრეთ დასავლეთ აფრიკის) შემთხვევაში სახეზე იყო ერთა ლიგის პერიოდში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის სამანდატოდ გადაცემული ტერიტორია, რომელიც გაეროს პირობებში სამეურვეო ტერიტორიად გარდაიქმნა. თუმცა სამხრეთ აფრიკამ არ ისურვა მეურვეობის ვადის გასვლის შემდეგ ნამიბიის უკანონო ოკუპაციის შეწყვეტა და შეეცადა ტერიტორიის ანექსიას. ანექსიის მცდელობა იყო ცალსახად უკანონო, თუმცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ სათანადო აქცენტი მაინც გააკეთა ოკუპირებული ნამიბიის მოსახლეობის ყოფის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის საჭიროებაზე. უკანონო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მართალია ვერ ჩაითვლება კანონიერად, თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე უკანონო ორგანოს გადაწყვეტილებას შეიძლება კანონიერმა ორგანომ ანუ ლეგიტიმურმა სასამართლომ მიანიჭოს სამართლებრივი ძალა.

1949 წლის ჟენევის კონვენციები და 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმი ძირითადად მოქმედებს სახელმწიფოებს შორის წარმოებული შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევებში. მათ შორის, ისეთ სიტუაციებშიც როდესაც სამხედრო ოკუპაციის ფაქტი მიმდინარეობს ოკუპირებული სახელმწიფოს წინააღმდეგობის გარეშე. ხოლო ადამიანის უფლებათა სამართლის რეგულირების ტრადიციული

<sup>336</sup> Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), ICJ, Advisory Opinion of 21 June 1971, § 125.

<sup>337</sup> Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), 336-ე *supra* სქოლიო, § 125; Loizidou v. Turkey (Merits), 254-ე *supra* სქოლიო, § 45.

სფერო არის ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ავრცელებს აღნიშნულ ინდივიდზე საკუთარ იურისდიქციას როგორც მშვიდობიან, ისე გარკვეული გადახვევების გამოკლებით საომარ ვითარებაშიც. 1949 წლის ჟენევის კონვენციების მესამე საერთო მუხლი ვრცელდება საერთაშორისო ხასიათის არმქონე ნებისმიერ ინტენსიურ და ორგანიზებულ შეიარაღებულ კონფლიქტზე. ხოლო 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმი კი ისეთ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტზე, როდესაც სამთავრობო ძალებს უპირისპირდება არასახელმწიფო შეიარაღებული აქტორი, რომელიც თავის მხრივ ახორციელებს ტერიტორიულ კონტროლს და აქვს საშუალება განახორციელოს სტაბილური და კონცენტრირებული სამხედრო ოპერაციები. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის დროს მართლმსაჯულების განხორციელების საჭიროება არ ქრება. არც მაშინ ქრება მართლმსაჯულებაზე მოთხოვნა, როდესაც საერთაშორისო სამშვიდობო მისიას აკისრია კონკრეტულ ტერიტორიაზე საომარი ვითარების დეესკალაციის ვალდებულება. თუმცა ცალკე მსჯელობის საგანია და წინამდებარე ნაშრომის ფორმატში არ შედის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა და ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება მაგალითად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ავტორიზებული ძალების მხრიდან ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლის შემთხვევებში. ამ დროს შეიძლება სახეზე იყოს ორმაგი ან მრავალმხრივი პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ისე ამ ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების.<sup>338</sup> თუმცა აღნიშნული ქვეთავის მიზანია დაადგინოს სამხედრო ოკუპაციის კლასიკურ შემთხვევებში მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლები. კლასიკურ შემთხვევად მოვიაზრებთ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ადმინისტრირებას ან საკუთარი საჯარისო შენაერთების ან მარიონეტული რეჟიმის გამოყენებით.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ოკუპაციის დამყარებამდე არსებული ადგილობრივი სასამართლოები ინარჩუნებენ იურისდიქციას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ ეს საქმეები დაკავშირებულია ეროვნული კანონმდებლობის

---

<sup>338</sup> აღნიშნულ საკითხზე იხ. Milanovic M. Al-Skeini and Al-Jedda in Strasbourg. The EJIL, 2012, 23, 1, 121-139, გვ. 126-127.

აღსრულებასთან.<sup>339</sup> თუკი ოკუპანტი სახელმწიფო 1949 წლის ქენევის მეოთხე კონვენციის 64-ე მუხლისა და 1907 წლის ჰააგის რეგულაციის 43-ე მუხლის საფუძველზე ცვლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკანონმდებლო ნორმას, მაშინ ადგილობრივი სასამართლოები ვალდებული ხდებიან დაეყრდნონ მსგავს ცვლილებებს.<sup>340</sup> ამავდროულად არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პარალელურად უმეტეს შემთხვევებში გრძელდება ადამიანის უფლებათა სამართლის მოქმედებაც. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ბირთვული იარაღის გამოყენებისა და პალესტინის კედლის შესახებ საკონსულტაციო მოსაზრებებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციების მოქმედება არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს თუ არ ჩავთვლით ისეთ გადახვევებს, როგორც გათვალისწინებულია მაგალითად ICCPR-ის მე-4 მუხლით, ერის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი საომარი თუ საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>341</sup> ისრაელის მხრიდან პალესტინის ოკუპაციის შემთხვევაზე, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ ICESCR-ის მოქმედება ვრცელდება ყველა არეალზე, სადაც ისრაელი ინარჩუნებს გეოგრაფიულ, ფუნქციურ ან პერსონალურ იურისდიქციას. შესაბამისად, აღნიშნული პაქტის მიხედვით სახელმწიფოსთვის დაკისრებული ყველა ვალდებულება ვრცელდება ამავე სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არსებულ ყველა ტერიტორიასა და მოსახლეობაზე.<sup>342</sup>

ჰუმანიტარული სამართალი უფლებას აძლევს ოკუპანტ ძალას უფლებამოსილება შეუჩეროს ადგილობრივ მოსამართლეს, თუ მისი საქმიანობა მიჩნეულია ოკუპანტი ძალის სამხედრო მიზნებისთვის საფრთხის შემცველად.<sup>343</sup> ასევე ადგილობრივი მოსამართლეების არარსებობისა თუ ადგილობრივი სასამართლოების მიერ უფლებამოსილების ფაქტობრივად შეუსრულებლობის შემთხვევაში ოკუპანტ ძალას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახალი სასამართლოს დაარსების შესაძლებლობაც კი

<sup>339</sup> 1949 წლის ქენევის მეოთხე კონვენცია, მე-100 *supra* სქოლიო, 64-ე მუხლი.

<sup>340</sup> Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 145.

<sup>341</sup> Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ, 266-ე *supra* სქოლიო, § 25.

<sup>342</sup> Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ, 266-ე *supra* სქოლიო, § 112 და 134.

<sup>343</sup> Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 147.



ემლევა. თუმცა აღნიშნული შესაძლებლობა არ უნდა გავაიგივოთ 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის 66-ე მუხლის მიხედვით ოკუპანტის მიერ დაარსებული სამხედრო ტრიბუნალის ფუნქციებთან.<sup>344</sup> 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის მიხედვით, „ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ 64-ე მუხლის მეორე პარაგრაფის საფუძველზე მიღებული სისხლისსამართლებრივი ხასიათის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ოკუპანტი სახელმწიფოს შეუძლია ბრალდებულის გადაცემა მის მიერ შესაბამისად შექმნილი არაპოლიტიკური სამხედრო სასამართლოებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლო სხდომები გაიმართება ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების სხდომები უპირატესად. მაგრამ არა ყველა შემთხვევაში, ასევე უნდა გაიმართოს ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“<sup>345</sup>

მსგავს ვითარებაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის იურისდიქციის მქონე ორი პარალელური სასამართლო სისტემის არსებობა - ადგილობრივი სასამართლოები და სამხედრო სასამართლოები. აქვე შეიძლება წარმოიშვას ორმაგი დასჯის აკრძალვის პრობლემაც. ასეთ დროს უნდა დავეყრდნოთ 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის 67-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც: „სასამართლოებს შეუძლიათ კანონმდებლობის მხოლოდ ის დებულებები გამოიყენონ, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენამდე მოქმედებდა და სამართლის ძირითად პრინციპებს, კერძოდ კი სასჯელის დანაშაულთან თანაზომიერების პრინციპს შეესაბამება. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ბრალდებული ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის.“<sup>346</sup> ვინაიდან *ne bis in idem* პრინციპი არის სამართლის ძირითადი პრინციპი, მისი მოქმედება არ ჩერდება და მნიშვნელოვანია შეიარაღებული კონფლიქტისა და სამხედრო ოკუპაციის პირობებში IHL-ის ნორმების ინტერპრეტაციის დროსაც. შესაბამისად, დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი ერთი და იმავე ქმედებისთვის სამხედრო ტრიბუნალსა და ადგილობრივ სასამართლოში პარალელური მართლმსაჯულების განხორციელება.<sup>347</sup> სამწუხაროა,

<sup>344</sup> Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 147-149.

<sup>345</sup> 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენცია, მე-100 *supra* სქოლიო, 66-ე მუხლი; სამოქალაქო პირთა ინტერნირების შესახებ იხ. ასევე 78-ე მუხლი.

<sup>346</sup> 1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენცია, მე-100 *supra* სქოლიო, 67-ე მუხლი.

<sup>347</sup> ნაშრომის წინა თავში უკვე დავადგინეთ, რომ *ne bis in idem* პრინციპი უნდა მივიჩნიოთ სამართლის ზოგად პრინციპად. იხ. ასევე Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 153.

რომ ჰუმანიტარულმა სამართალმა ვერ შემოგვთავაზა უფრო მეტი კონკრეტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და IHL-ის განვითარებამ კიდევ უფრო ორაზროვანი გახადა წინამდებარე მიდგომა. კერძოდ, 1977 წლის I დამატებითი ოქმის 75-ე(4)(თ) მუხლის მიხედვით აკრძალულია „იმავე მხარის მიერ ისეთი პირის დევნა ან დასჯა სამართალდარღვევისთვის, რომლისთვისაც, იმავე კანონისა და სასამართლო პროცედურის თანახმად, მის მიმართ უკვე იყო გამოტანილი გამამართლებელი ან გამამტყუნებელი საბოლოო განაჩენი.“<sup>348</sup> შესაბამისად, დამატებითი ოქმი არ კრძალავს პარალელურ პროცედურებს, რადგან იმავე მხარედ ვერ მიიჩნევა ოკუპანტი ძალის სამხედრო ტრიბუნალი და ადგილობრივი სასამართლო, რადგან ისინი არ ეკუთვნიან ერთსა და იმავე სახელმწიფოს.<sup>349</sup> ასეთ ვითარებაში გამოსავალი უნდა ვიპოვოთ სამართლის ზოგად პრინციპებსა და რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა სამართალში.

ადამიანის უფლებათა რეგიონული მექანიზმები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო პირების სამხედრო სასამართლოების მიერ გასამართლება არ არის შესაბამისი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებასთან.<sup>350</sup> ICL-ის მიხედვით კი დამოუკიდებლობის ელემენტის გარეშე და მიკერძოებით ჩატარებული სამართალწარმოება კვალიფიცირდება ომის დანაშაულად და იწვევს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>351</sup>

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ დავადგინეთ, რომ ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე განახორციელოს სასამართლო ფუნქციები, თუმცა ამ ფუნქციების განხორციელების მინიმალური სტანდარტი მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლით არ განისაზღვრება და საჭიროა ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან თანხვედრა. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ჩრდილოეთ კვიპროსისა და ტრანსნისტრიის (დნესტრისპირეთის) ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარდგენილი

<sup>348</sup> 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმი, 294-ე *supra* სქოლიო, 75-ე(4)(თ) მუხლი.

<sup>349</sup> Dinstein, 249-ე *supra* სქოლიო, გვ. 154.

<sup>350</sup> Cyprus v. Turkey, Application no. 25781/94, Grand Chamber, ECtHR, 10 May 2001, § 358-359.

<sup>351</sup> Elements of Crimes, მე-8(2)(გ)(iv) მუხლი.

დავების შედეგად მოცემული რეგიონალური მექანიზმი გარკვეულწილად ცხადყოფს თუ რა დოზით ავსებს ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს ადამიანის უფლებათა სამართალი, მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტისა და ოკუპაციის პირობებში მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულების ნაწილში.

#### **5.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ *დე ფაქტო* რეჟიმების შიდა სასამართლოების სამართლებრივი შეფასება**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის ქვეშ არაერთხელ მოექცა ისეთი დავები, რომლებიც ეხება ECHR-ის დარღვევებს იმ ტერიტორიებზე, სადაც ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს იურისდიქციას და მის ნაცვლად ტერიტორიული კონტროლი ხორციელდება ოკუპანტი სახელმწიფოს, მესამე სახელმწიფოსგან მხარდაჭერილი *დე ფაქტო* რეჟიმებისა თუ სხვა სეპარატისტული ძალების მიერ. სამართლებრივად მნიშვნელოვან საკითხთა რიგს განეკუთვნება და ერთგვარი პარალელის გავლებაც შეიძლება ECtHR-ის მიმართვამდე სახელმწიფოს შიდა მექანიზმების ამოწურვასა (exhaustion of domestic remedies) და ICC-ის კომპლემენტარულ იურისდიქციას შორის. საინტერესოა განიხილავს თუ არა ECtHR ინდივიდის მიერ *დე ფაქტო* რეჟიმის სასამართლოებისადმი მიმართვას სამართლებრივი დაცვის შიდა მექანიზმის ამოწურვის ერთ-ერთ ფორმად. რომის სტატუტის პირველი მუხლი კომპლემენტარობას განმარტავს როგორც „ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის“ შემავსებელ ცნებას,<sup>352</sup> რომლის თანახმადაც *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულება არ უნდა გაიგივდეს ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციასთან. ეს უკანასკნელი მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივას მიეკუთვნება.

ასევე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრიზმის ქვეშ განვიხილოთ თავისუფლების თვითნებური აღკვეთის აკრძალვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ცნებები. მსგავსი მაგალითების განხილვა უფრო თვალსაჩინოს გახდის წინამდებარე ნაშრომის მთავარ არსს დაგვანახებს-რა დარგის პრაქტიკულ გამოწვევებს. მაგალითად, შეიძლება თუ არა, რომ სამხრეთ

<sup>352</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, პირველი მუხლი.

ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ პოტენციურად გასამართლებულმა სამხედრო დამნაშავემ, რომელსაც ცხინვალის სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს 30-წლიანი პატიმრობა, ECtHR-ში იდავოს თვითნებური მართლმსაჯულებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის მსხვერპლად ყოფნის შესახებ? *დე ფაქტო* სასამართლოს დაარსების კანონიერების საკითხი ცოტა ხნით რომ დავივიწყოთ და მხოლოდ პროცესუალურ დარღვევებზე ვიმსჯელოთ, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მაინც დადებითი იქნება, რადგან შესაძლოა სახეზე იყო ECtHR-ის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი სტანდარტის დარღვევა. მსგავს დარღვევას დამატებითი ეფექტი ექნება ICC-ში განხორციელებულ სამართლებრივ პროცედურებზე.

IHL-სა და ICL-ზე დაფუძნებული მიდგომით თუ ვიმსჯელებთ, არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულება, რომელიც არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი წარმოადგენს ომის დანაშაულს. ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს კრიტერიუმის დაკმაყოფილება უმეტეს შემთხვევაში გაუჭირდება ნებისმიერ არასახელმწიფო აქტორს, რომელსაც არ აქვს მთავრობის მსგავსი სტრუქტურული მოწყობა. *დე ფაქტო* რეჟიმს თეორიულად შეუძლია ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელება, თუმცა კვლავაც საკამათოა მისი მხრიდან თავად სასამართლოს დაარსების ფაქტის კანონიერება. თუ კანონიერად მივიჩნევთ სასამართლოს დაარსებას, მაშინ ICC ვალდებული იქნება ზემოთ აღწერილი ვითარების შემთხვევაში გამოიყენოს *ne bis in idem* პრინციპი და განმეორებით აღარ განსაჯოს უკვე სასჯელმთხოვნილი ან სასჯელის მოხდის პირობებში მყოფი პირი. რომის სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ICC-ის გამოსაყენებელი სამართალი და მისი ინტერპრეტაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.<sup>353</sup> კომპლემენტარობის პრინციპის, რომის სტატუტის მე-20 მუხლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისი ნორმების ერთობლივი განმარტებით კი, ორმაგი დასჯის აკრძალვა არის ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება, რომელსაც ICC-ის მიზნებისთვის ენიჭება ტრანსნაციონალური ხასიათი.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა რეგიონალურ სასამართლოში *დე ფაქტო*

<sup>353</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, 21-ე(3) მუხლი.

ხელისუფლება ვერ იქნება მოპასუხე მხარე, დავები *დე ფაქტო* ძალების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებთან მიმართებით წარდგენილი უნდა იყოს მათზე ეფექტიანი კონტროლის მქონე ოკუპანტი სახელმწიფოების წინააღმდეგ. მაგალითად, თუ პირი მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რეჟიმის მხრიდან მოხდა მისი უკანონო გასამართლება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მას შეუძლია აღნიშნულ საკითხზე ECtHR-ში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაიწყოს დავა. მასვე არ უნდა მოეთხოვოს შიდა მექანიზმების ამოწურვა, რადგან არ არსებობს ეფექტიანი და კანონიერი შიდა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მისი უფლებების დაცვას. საქმეში ჩირაგოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ, ECtHR-ის დიდმა პალატამ დაადგინა, რომ *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულება საკუთრების უფლების დაცვის ქრილში არ უნდა მიჩნეულიყო უფლების დაცვის კანონიერ შიდა მექანიზმად, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირისთვის არარეალისტური იქნებოდა არასახელმწიფო აქტორზე სავარაუდო ეფექტიანი კონტროლის მქონე მესამე სახელმწიფოში მისი დარღვეული უფლების აღდგენაზე დავა.<sup>354</sup> ოკუპანტი სახელმწიფოსთან ერთად, ECtHR-ში წარდგენილი დავების ადრესატები შეიძლება იყვნენ შესაბამისი იურისდიქციის განხორციელების უნარს მოკლებული ის სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით არღვევენ მათზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს. თუკი საქართველო საკუთარი მოქალაქის *დე ფაქტო* რეჟიმისგან დასაცავად არ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ მექანიზმებს, მაშინ ისიც შეიძლება გახდეს ზემოთ განხილული საჩივრის მეორე მოპასუხე.<sup>355</sup> ერთი შეხედვით მარტივი იურისდიქციული გადაწყვეტა ეფუძნება იურისდიქციის გავრცელების ზოგად საფუძვლებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ძირითადი კონვენციები ვრცელდება ყველა პირზე (მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი), რომელიც იმყოფება ხელშეკმკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.<sup>356</sup>

<sup>354</sup> Chiragov and Others v. Armenia, Application no. 13216/05, Grand Chamber, ECtHR, 16 June 2015, § 120; იხ. ასევე Sargsyan v. Azerbaijan, Application no. 40167/06, Grand Chamber, ECtHR, 16 June 2015, § 117-119.

<sup>355</sup> იხ. Ilascu and Others v. Moldova and Russia, 254-ე *supra* სქოლიო, § 331.

<sup>356</sup> HRC, General Comment No. 31, Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, CCPR/ C/ 21/ Rev.1/ Add.13, 26 May 2004.

საინტერესოა, რომ იურისდიქციის ექსტრატერიტორიულად გავრცელების შემთხვევისთვის საჭიროა ხელშემკვრელი სახელმწიფო ახორციელებდეს:

ა) ეფექტიან ტერიტორიულ კონტროლს მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა თუ რა გეოგრაფიული მდებარეობა აქვს მესამე სახელმწიფოს (ECHR-ის მიზნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს ეს სახელმწიფო არის ევროპაში თუ ევროპის კონტინენტს მიღმა).<sup>357</sup>

ბ) იურისდიქციის ტერიტორიული მოდელისგან განსხვავებით სახელმწიფოს შეუძლია იურისდიქცია გაავრცელოს პერსონალური კონტროლის იგივე სახელმწიფო აგენტის მიერ პირზე კონტროლის განხორციელების შემთხვევაში.<sup>358</sup>

ასევე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა შემუშავებული ბანკოვიჩის საქმეში, სადაც ცალსახად აღინიშნა, რომ ეფექტიან ზოგად კონტროლის მიღმა (effective overall control) სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება, მაგალითად საჰაერო დაბომბვის შედეგად სიცოცხლის უფლების შელახვა, არ ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იურისდიქციულ ფარგლებში.<sup>359</sup> ოდნავ განსხვავებული მიდგომა განავითარა სასამართლომ სასაზღვრო ხაზებსა და ბუფერულ ზონებში განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებიც მიუხედავად სადავო ტერიტორიული კონტროლისა მაინც ჩაითვალა პერსონალური და ტერიტორიული კონტროლოს ერთგვარ კომბინირებულ შემთხვევებად ანუ იურისდიქციის

---

<sup>357</sup> მოცემული მიდგომა განვითარდა საქმეში *Loizidou v. Turkey (Merits)*, 254-ე *supra* სქოლიო; *Issa and Others v. Turkey*, Application no. 31821/96, ECtHR, 16 November 2004 - აღნიშნული საქმე ეხებოდა ჩრდილოეთ ერაყში მყოფი ქურთების საწინააღმდეგოდ თურქეთის მიერ ჩატარებულ სახმელეთო ოპერაციას; *Al-Skeini and Others v. the UK*, Application no. 55721/07, Grand Chamber, ECtHR, 7 July 2011 - საქმე ეხებოდა ერაყის ოკუპაციის პერიოდში დიდი ბრიტანეთის მიერ ბასრაში ჩატარებული სახმელეთო ოპერაციის დროს ხუთი პირის მკვლელობასა და ერთი პირის დაკავებას. დაკავებული პირი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ბრიტანული ძალების მიერ ადმინისტრირებულ საპატიმროში გადაყვანის შემდეგ. მისი მკვლელობების ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების ჭრილში განიხილებოდა გაერთიანებული სამეფოს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობის საკითხი.

<sup>358</sup> *Lopez Burgos v. Uruguay*, CCPR/C/13/D/52/1979, HRC, 29 July 1981; *Ocalan v. Turkey*, Application no. 46221/99, Grand Chamber, ECtHR, 12 May 2005 - საქმე ეხებოდა კენიის აეროპორტში თურქეთის დაზვერვის მიერ ქურთების მუშათა პარტიის ლიდერის დაკავებას; *Medvedyev and others v. France*, Application no. 3394/03, Grand Chamber, ECtHR, 29 March 2010, § 66-67 - საქმეში ფიგურირებს კამბოჯის კუთვნილ გემზე მყოფ ეკიპაჟზე საფრანგეთის მიერ განხორციელებული სრული და ექსკლუზიური კონტროლი.

<sup>359</sup> *Bankovic and Others v. Belgium and Others*, Application no. 52207/99, Grand Chamber, ECtHR, 12 December 2001.

გავრცელების სამართლებრივ საფუძვლად.<sup>360</sup>

ზემოთქმულ მსჯელობაზე დაყრდნობით ნათელი ხდება ECtHR-ში მოპასუხის განსაზღვრის წესი, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც უფლების დამრღვევი არის *დე ფაქტო* რეჟიმი. თუმცა კვლავაც გასარკვევია თუ როგორ ფასდება თავად *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულება. საქმეში ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR-მა ცალსახად უკუაგდო „ტრანსნისტრიის მოლდოვური რესპუბლიკის“ სასამართლოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების კანონიერად აღიარების იდეა. კერძოდ, *დე ფაქტო* ხელისუფლების სასამართლო ჩაითვალა უკანონოდ დაარსებულად და შესაბამისად არც ECHR-ით გათვალისწინებული მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის კრიტერიუმები ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.<sup>361</sup>

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სასამართლოს მიდგომა შეიცვალა შედარებით ახალ საქმეში „მოზერი მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ ავტომატურად სამართლებრივი ძალის არმქონედ აღარ მიიჩნია *დე ფაქტო* ხელისუფლების სამართალწარმოება და აქცენტი გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სამართლებრივი ვაკუუმის თავიდან არიდების მნიშვნელობაზე.<sup>362</sup> კერძოდ, ზოგადი პრინციპების ანალიზისას, სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლებრივი სისტემა უნდა ეფუძნებოდეს „კონსტიტუციურ და სამართლებრივ საფუძვლებს“ და თანხვედრაში უნდა იყოს „კონვენციასთან შესაბამის სამართლებრივ ტრადიციასთან“, თუმცა არაღიარებული წარმონაქმნების სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სასამართლოები არ არიან

---

<sup>360</sup> Pad and others v. Turkey, Application no. 60167/00, ECtHR, 28 June 2007, საქმე ეხებოდა ირანის მხრიდან თურქეთის მიმართულებით ფიზიკური პირების მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის დროს სავარაუდოდ ირანისვე ტერიტორიაზე თურქეთის საჰაერო ძალების მიერ განხორციელებულ სიცოცხლის ხელყოფას; Isaak and Others v. Turkey, Application no. 44587/98, ECtHR, 28 September 2006 - აღნიშნულ საქმეში კვიპროსის თურქულმა პოლიციამ ცემით მოკლა ჩრდილოეთ კვიპროსში, კერძოდ გაეროს ბუფერულ ზონაში მყოფი პირი. მოცემულ ზონაში წესით არ ვრცელდებოდა თურქეთის ეფექტიანი ზოგადი ტერიტორიული კონტროლი (effective overall control).

<sup>361</sup> Ilascu and Others v. Moldova and Russia, 254-ე supra სქოლიო, § 436.

<sup>362</sup> Mozer v. The Republic of Moldova and Russia, Application no. 11138/10, Grand Chamber, ECtHR, 23 February 2016, § 136-142; იხ. ასევე Ilascu and Others v. Moldova and Russia, 254-ე supra სქოლიო, § 460.

საერთაშორისოდ აღიარებულნი.<sup>363</sup> როგორც ტრანსნისტრიის, ისე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ძალის შეფასების დროს, ECtHR-ის მსჯელობა დაეყრდნო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განვითარებულ ლოგიკას ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნაში, სადაც ამოსავალი წერტილი გახდა უკანონო რეჟიმის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები.<sup>364</sup> საქმეში ფოკა თურქეთის წინააღმდეგ, მოსარჩელე და კვიპროსის მთავრობა როგორც საქმეში ჩართული მესამე მხარე ამტკიცებდნენ, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა არ იყო საერთაშორისო სამართლით აღიარებული სუვერენული სახელმწიფო და მისი მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან პირისთვის თავისუფლების აღკვეთაც არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული კანონიერ ქმედებად.<sup>365</sup> თუმცა ECtHR-მა საჭიროდ ჩათვალა კონვენციის ჭრილში ავტომატურად უკანონოდ არ შეეფასებინა *დე ფაქტო* რეჟიმის სამართალწარმოება და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის შიდა კანონმდებლობა გაიყვანა ეროვნული სამართლის რანგში.<sup>366</sup> იგივე მსჯელობა სასამართლომ კვლავ გაიმეორა მსგავსი შინაარსის მქონე შემდგომ კვიპროსულ საქმეებშიც.<sup>367</sup>

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსგავსად, ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტიც ცდილობს შეარბილოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის ინტერესი იმ დროს, როდესაც საქმე ეხება ე.წ. „სამართლებრივ გაურკვევლობაში“ მოქცეულ ზონებში ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციების განხორციელებას. მათ შორის ქორწინების, განქორწინების, დაბადების, გარდაცვალების, სისხლისსამართლებრივი

---

<sup>363</sup> *Mozer v. The Republic of Moldova and Russia*, 362-ე *supra* სქოლიო, § 141-142. იხ. სასამართლოს შემდეგი მსჯელობა: „Accordingly, it cannot automatically regard as unlawful, for the limited purposes of the Convention, the decisions taken by the courts of unrecognised entity purely because of the latter’s unlawful nature and the fact that it is not internationally recognized...”

<sup>364</sup> იხ. *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970)*, 336-ე *supra* სქოლიო, § 125; *Foka v. Turkey*, Application no. 28940/95, ECtHR, 24 June 2008, § 83-84.

<sup>365</sup> *Foka v. Turkey*, Application no. 28940/95, ECtHR, 24 June 2008, § 81.

<sup>366</sup> *Foka v. Turkey*, Application no. 28940/95, ECtHR, 24 June 2008, § 83;

<sup>367</sup> *Protopapa v. Turkey*, Application no. 16084/90, ECtHR, 24 February 2009, § 60; *Asproftas v. Turkey*, Application no. 16079/90, ECtHR, 27 May 2010, § 71-74; *Pocasovschi and Mihaila v. the Republic of Moldova and Russia*, Application No 1089/09, ECtHR, 29 May 2018, § 41-47; *Catan and Others v. Moldova and Russia*, Application Nos. 43370/04, 8252/05 and 18454/06, 19 October 2012.



მართლმსაჯულებისა და ყოფითი სამართლებრივი ურთიერთობების დადასტურების საკითხებს. როგორც მოლდოვურ, ისე ჩრდილოეთ კვიპროსის საქმეებთან მიმართებით ჩამოყალიბებული სამართლებრივი არგუმენტაციის თვალსაზრისით ECtHR-ისთვის ხელსაყრელი გამოდგა ის ფაქტი, რომ შესაბამის სახელმწიფოებში *დე ფაქტო* რეჟიმებმა უფრო ადრე დაარსეს სასამართლოები, ვიდრე თავად ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები.<sup>368</sup> სწორედ ამიტომ *დე ფაქტო* სასამართლოების მიერ კონვენციისეული სტანდარტების მკაცრი დაცვის მოთხოვნა და ECHR-ის სულისკვეთების რეტროაქტიულად გავრცელება არ გახდა საჭირო. სასამართლო იმავე არგუმენტს ვეღარ დაეყრდნობა დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების მართლმსაჯულებაზე მსჯელობის დროს, რადგან უკრაინა ბევრად უფრო ადრე გახდა ECHR-ის ხელშემკვრელი მხარე, ვიდრე აღნიშნული არასახელმწიფო აქტორები დაიწყებდნენ ღია სეცესიურ ქმედებებს. სწორედ ამიტომ საინტერესო იქნება თუ რა მსჯელობას განავითარებს სასამართლო უკრაინის კონფლიქტებიდან წარმოშობილ დავებთან მიმართებით.

ECtHR-ის რიგ შემთხვევაში ორაზროვანი პოზიციისგან განსხვავებით, მკაფიოა შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოების უარყოფითი დამოკიდებულება *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებისადმი. მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით:

„1. უკანონოა ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც შექმნილი (დანიშნული/არჩეული) არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რაიმე ფორმით ფაქტობრივად ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციებს ან სხვა საქმიანობას, რაც მიეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა ფუნქციებს.

---

<sup>368</sup> Cullen A. and Wheatley S. The Human Rights of Individuals in *De Facto* Regimes under The European Convention on Human Rights. Human Rights Law Review, 2013, 13, 4, 691-758, გვ. 725.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტი არარად ითვლება და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილება საქართველოს მოქალაქეობის დადგენის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის, დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) პირის ლეგიტიმურად ცხოვრების ფაქტის დადგენისა და მისი რეგისტრაციის მიზნებისათვის.

3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>369</sup>

შესაბამისად, უფრო მკაცრია სახელმწიფოების მიდგომა *დე ფაქტო* რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე განხორციელებულ საჯარო უფლებამოსილებასა თუ მართლმსაჯულებასთან მიმართებით, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება. თუმცა საინტერესო იქნება ECtHR-ის შემდგომი პრაქტიკა თავად *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებით დარღვეული უფლებების საკითხზე საქართველოსა და უკრაინის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის დავებში. მაგალითად, 2018 წლის 22 აგვისტოს საქართველოს მიერ შეტანილ სარჩელში ფიგურირებს თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები, ასევე საუბარია დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის უკანონო დაკავების, მკვლელობისა და სიცოცხლის უფლების დარღვევის ნაწილში გამოძიების არ ჩატარების პოზიტიური ვალდებულების დარღვევაზე.<sup>370</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოსარჩელის მიერ შიდა მექანიზმების ამოწურვის ქვეშ ავტომატურად არ გულისხმობს *დე ფაქტო* რეჟიმის

<sup>369</sup> საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მიღების თარიღი 23/10/2008, სარეგისტრაციო კოდი 010.080.000.05.001.003.300.

<sup>370</sup> Georgia v. Russia, Inter-State Application no. 39611/18, ECtHR, lodged on 22 August 2018.

სასამართლოებისადმი მიმართვის ვალდებულებას, თუმცა გარკვეულ ვითარებაში არც მსგავს შესაძლებლობას გამორიცხავს, თუკი შიდა მექანიზმი ეფექტიანად იქნება მიჩნეული.<sup>371</sup> სახელმწიფოს შემთხვევაში შიდა მექანიზმის ამოწურვა ავტომატურად სავალდებულოა, თუკი ის არ არის აშკარად არაეფექტიანია, ხოლო არასახელმწიფო აქტორის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა და ინდივიდუალური ანალიზია საჭირო. ამ მიდგომას ვალიდური სამართლებრივი დასაბუთების ნაცვლად სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვა აქვს საფუძვლად, რომლითაც ECtHR ინარჩუნებს ლავირების ერთგვარ საშუალებას.<sup>372</sup> აღნიშნული მიდგომით ECHR არ ახდენს არასახელმწიფო აქტორის სამართლებრივ ლეგიტიმაციას და არც წევრი სახელმწიფოების ოფიციალურ სასამართლო ორგანოებთან *დე ფაქტო* რეჟიმის სასამართლოების გათანაბრებას. თუმცა ECHR-ის მიერ მოლდოვისა, ჩრდილოეთ კვიპროსის და მთიანი ყარაბაღის საქმეებში ზემოთ განვითარებული მსჯელობის ICC-ის კომპლემენტარობის პრინციპთან პირდაპირი მისადაგება რთულია სწორედ რომ სისტემური სხვაობისა და ბრალდებულის სპეციფიური ინტერესებიდან გამომდინარე. საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით დაწესებული აკრძალვების პრაქტიკაში გამოყენება და საკუთარ ვიწრო ინტერესებთან მისადაგება. პრობლემურია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა სასამართლოებისთვის, არამედ ICC-ისთვისაც. პალესტინის სიტუაცია არის აღნიშნული პრობლემის პრაქტიკული გამოხატულება, სადაც ICC გვერდს ვერ გაუვლის რომის სტატუტის მიზნებისთვის სახელმწიფოს ცნების დადგენას.

## 5.5 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრიზმიდან დანახული პალესტინის სახელმწიფოებრიობა

2015 წლის 1 იანვარს, პალესტინის მთავრობამ რომის სტატუტის მე-12(3) მუხლით დადგენილი წესის მიხედვით აღიარა ICC-ის იურისდიქცია „პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში“ 13 ივნისის შემდგომ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე. 2015 წელს პალესტინა გახდა რომის

<sup>371</sup> Cullen A. and Wheatley S. The Human Rights of Individuals in *De Facto* Regimes under The European Convention on Human Rights. *Human Rights Law Review*, 2013, 13, 4, 691-758, გვ. 711-712.

<sup>372</sup> Cullen A. and Wheatley S. The Human Rights of Individuals in *De Facto* Regimes under The European Convention on Human Rights. *Human Rights Law Review*, 2013, 13, 4, 691-758, გვ. 711-712.

სტატუტის ხელშემკვრელი მხარე. 2018 წლის 22 მაისს პალესტინამ, აწ უკვე, როგორც რომის სტატუტის ხელმომწერმა სახელმწიფომ, გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა ICC-ის პროკურორს პალესტინაში 2014 წლიდან მიმდინარე სავარაუდო დანაშაულებზე (დასრულების ღია თარიღით).<sup>373</sup>

2019 წლის 20 დეკემბერს, სასამართლოს პროკურორმა, ფატუ ბენსუდამ გამოაცხადა პალესტინის სიტუაციაზე მისი სამსახურის თითქმის ხუთწლიანი წინასწარი მოკვლევის შედეგები და იურისდიქციისა და საქმის დასაშვებადობის დადგენის მიზნით მიმართა ICC-ის წინასასამართლო პალატას.<sup>374</sup> ერთი შეხედვით შესაძლოა გასაკვირი იყოს თუ რატომ ჩათვალა პროკურორმა საჭიროდ რომის სტატუტის მე-19(3) მუხლზე დაყრდნობით წინასასამართლო პალატისთვის მიმართვის გაკეთება. ამ გადაწყვეტილებას აქვს თავისი რაციონალური სამართლებრივი და პოლიტიკური ახსნა. კერძოდ, იურისდიქციული დავის საკითხი მაინც დადგებოდა ბრალდების ეტაპზე, რადგან ბრალდებულები აუცილებლად გაასაჩივრებდნენ სასამართლოს იურისდიქციის კანონიერების საკითხს. მეორე მხრივ, წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილება უფრო მეტ ლეგიტიმურობას მისცეს სასამართლოს გამოძიებას ისრაელისა და მისი მოკავშირეების მხრიდან არსებული დიდი პოლიტიკური წნეხის ფონზე.<sup>375</sup> პალესტინის სიტუაციის გამოწვევა არის ტერიტორიული იურისდიქციის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა. უნდა გაირკვეს ვრცელდება თუ არა ICC-ის იურისდიქცია მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმზე და ღაზაზე. თუ პალესტინი მიიჩნევა სახელმწიფოდ, მაშინ ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ ჩადენილი დანაშაულებიც შევა ICC-ის განსჯადობის ფარგლებში.

ICC-ის მთავარმა პროკურორმა წინასასამართლო პალატისადმი გაკეთებულ მიმართვაში აღნიშნა, რომ შესაძლოა ომის დანაშაულები სავარაუდოდ ჩადენილია

---

<sup>373</sup> Prosecution request pursuant to article 19(3) for a ruling on the Court's territorial jurisdiction in Palestine (ICC-01/18), Situation in the State of Palestine, Pre-Trial Chamber I, 22 January 2020, § 1-4.

<sup>374</sup> Prosecution request pursuant to article 19(3) for a ruling on the Court's territorial jurisdiction in Palestine (ICC-01/18), Situation in the State of Palestine, Pre-Trial Chamber I, 22 January 2020, § 6.

<sup>375</sup> *ob. Abato A. False Positives, False Negatives, and Prosecutorial Discretion regarding the Jurisdiction of the ICC. EJIL: Talk! Blog of the EJIL, ხელმისაწვდომია <https://www.ejiltalk.org/false-positives-false-negatives-and-prosecutorial-discretion-regarding-the-jurisdiction-of-the-icc/>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 23 ივნისი 2020.*

ისრაელის თავდაცვის ძალების, ჰამასისა და სხვა პალესტინური დაჯგუფებების მიერ. პროკურორს მიაჩნია, რომ სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებას არ უნდა შეექმნას პრობლემები, რადგან პალესტინის რომის სტატუტთან მიერთების შემდეგ აღარ უნდა არსებობდეს კითხვის ნიშნები პალესტინის სახელმწიფოებრიობის საკითხზე.<sup>376</sup> თუმცა აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ICC-ის წინასასამართლო პალატა, რომლის ერთ-ერთი წევრიც უნგრელი მოსამართლე პეტრე კოვაჩია. ეს ფაქტი იმიტომ აღვნიშნე, რომ კოვაჩის ორიგინალური მიდგომა არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებაზე უკვე დაფიქსირებულია საქართველოს სიტუაციაზე მის განსხვავებულ მოსაზრებაში, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ. პალესტინის საკითხზე პროკურორისვე მიმართვაში ხაზგასმულია, რომ პალესტინის მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებებისადმი მიერთების მზარდი ტენდენცია ასევე მოიაზრებს პალესტინის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ჰამასის *დე ფაქტო* რეჟიმის კონტროლირებად ღაზას სექტორშიც, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებას.<sup>377</sup> პალესტინა 2014 წელს მიერთდა ICCPR-ს. სწორედ ამიტომ ჰამასი როგორც ღაზას სექტორში მოქმედი *დე ფაქტო* რეჟიმი, მიჩნეულია ICCPR-ით დაკისრებული ვალდებულებებით შებოჭილად, რადგან ის ახორციელებს მთავრობის მსგავს ფუნქციებს.<sup>378</sup>

ICC-ის წევრი რიგი სახელმწიფოები, მათ შორის გერმანია, ავსტრია და უნგრეთი, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სასამართლოს იურისდიქციის პალესტინაზე გავრცელებას, რადგან არ აღიარებენ პალესტინის სახელმწიფოებრიობას. ეს სახელმწიფოები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ რომის სტატუტთან პალესტინის მიერთების კანონიერებასაც. მათი აზრით არა თუ ჰამასის *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებაზე, არამედ საერთოდ პალესტინაზეც არ უნდა გავრცელდეს სასამართლოს იურისდიქცია. არც მანამდე უნდა ყოფილიყო პალესტინისთვის ნებადართული რომის სტატუტის მე-12 მუხლის საფუძველზე

---

<sup>376</sup> Prosecution request pursuant to article 19(3) for a ruling on the Court's territorial jurisdiction in Palestine (ICC-01/18), Situation in the State of Palestine, Pre-Trial Chamber I, 22 January 2020, § 6.

<sup>377</sup> *Ibid.*, § 589.

<sup>378</sup> Report of the detailed findings of the independent international Commission of inquiry on the protests in the Occupied Palestinian Territory, Human Rights Council, A/HRC/40/CRP.2, 18 March 2019, § 50.

სახელმწიფოს მსგავსი უფლებით სარგებლობა და გამოძიების დაწყების თხოვნით ICC-ისთვის მიმართვა.<sup>379</sup>

ICC-ის პირველი პროკურორი ლუის მორენო ოკამპო ღიად აცხადებდა, რომ რომის სტატუტის მე-12 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე სახელმწიფოდ მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეის წევრი უნდა ყოფილიყო მიჩნეული. 2009 წელს, პალესტინის ICC-ში თეორიულ გაწევრიანებაზე მსჯელობის დროს ოკამპომ განაცხადა, რომ პალესტინა ვერ გაწევრიანდებოდა, რადგან ის ვერ დააკმაყოფილებდა სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს. ოკამპო აქცენტს აკეთებდა იმ ფაქტზე, რომ გაეროში პალესტინას ჰქონდა მხოლოდ დამკვირვებლის და არა „არაწევრი სახელმწიფო“ დამკვირვებლის სტატუსი. კუკის კუნძულები, მართალია არ იყო გაეროს წევრი სახელმწიფო, მაგრამ რომის სტატუტზე მისი მიერთება დასაშვებად იყო მიჩნეული იმ ლოგიკით, რომ გაერომ მას ადრე უკვე დართო ნება სახელმწიფოს სტატუსით გაწევრიანებულიყო ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში (WHO).<sup>380</sup> თუმცა იგივე პალესტინის გაწევრიანების საკითხზე გაეროს იმდროინდელი გენერალური მდივნისა და სასამართლოს ყოფილი პროკურორისგან განსხვავებული მიდგომა განავითარა იუნესკომ, რომელმაც პალესტინა სრულ წევრად აღიარა მანამ, სანამ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ის სახელმწიფოდ იქნებოდა მიჩნეული.<sup>381</sup>

გაეროს გენერალური ასამბლეის ნებართვის საფუძველზე, გაეროს გენერალური მდივნის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების დეპოზიტარის მხრიდან, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიერთების უფლების მიცემა შეიძლება იყოს სახელმწიფოებრიობის დამადგენელი

---

<sup>379</sup> პალესტინის სიტუაციის გარშემო ICC-ის I წინასასამართლოსთვის წარდგენილი სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების 30-ზე მეტი წერილობითი მოსაზრებები (*amici curiae*) ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/Pages/crm-refined.aspx?situation=ICC-01/18> უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 20 ივნისი 2020.

<sup>380</sup> Worster T. W. The Exercise of Jurisdiction by the International Criminal Court Over Palestine. *American University International Law Review*, 2011, 26, 5, 1153-1210, გვ. 1181-1183.

<sup>381</sup> Worster, 380-ე *supra* სქოლიო, გვ. 182-183; Abato A. False Positives, False Negatives, and Prosecutorial Discretion regarding the Jurisdiction of the ICC. *EJIL: Talk! Blog of the EJIL*, ხელმისაწვდომია <https://www.ejiltalk.org/false-positives-false-negatives-and-prosecutorial-discretion-regarding-the-jurisdiction-of-the-icc/>, უკანსკნელად გადამოწმებული იქნა 23 ივნისი 2020.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც მხედველობაში იღებს ICC-ი.<sup>382</sup> სახელმწიფოებრიობის განსაზღვრის ყველაზე მარტივი გზა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების ფაქტი. პალესტინის გაეროში გაწევრიანება აუხდენელ პერსპექტივად იქცა ისრაელის მოკავშირე გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრის - აშშ.-ს ვეტოს უფლების წყალობით. სწორედ ამიტომ, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2012 წელს პალესტინის არაწევრ დამკვირვებელ სახელმწიფოდ აღიარება უკვე წარმოადგენს უდიდეს წინგადადგმულ ნაბიჯს მისი დამოუკიდებლობის გზაზე.<sup>383</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2012 წლის 67/19 რეზოლუციამ ICC-ისთვისაც რადიკალურად შეცვალა ვითარება, რადგან სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა რომის სტატუტთან პალესტინის მიერთებას. თუმცა მაინც არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული საერთაშორისო საზოგადოების ნება პალესტინის სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებასთან მიმართებით. არიან სახელმწიფოები, რომლებმაც თავის დროზე პროტესტი არ გამოხატეს პალესტინის რომის სტატუტთან მიერთების საკითხზე, თუმცა დღეს უკვე ღიად აპროტესტებენ სასამართლოს იურისდიქციის პალესტინაზე გავრცელებას (მაგალითად გერმანია და უნგრეთი).<sup>384</sup> თუმცა, ამ მხრივ, *jura novit curia* პრინციპი იქნება გადამწყვეტი იურისდიქციული დავის გადასაჭრელად. შესაბამისად, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური დავის აქტუალური ფაზა დასრულდება პალესტინის საკითხზე წინასასამართლო პალატის და შემდგომი გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო პალატის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებით.<sup>385</sup>

სახელმწიფოებრიობისა თუ საერთაშორისო საჯარო სამართალს მიკუთვნებული სხვა საკითხები მაინც დიდ ზეგავლენას ახდენენ ICC-ის იურისდიქციის განსაზღვრაზე და შესაბამისად საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენაზეც. პალესტინის სიტუაციაზე ICC-ის პრაქტიკა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მჭიდრო თანაკვეთას საერთაშორისო სისხლის სამართალსა და საერთაშორისო საჯარო სამართალს შორის.

<sup>382</sup> Prosecution request pursuant to article 19(3) for a ruling on the Court's territorial jurisdiction in Palestine (ICC-01/18), Situation in the State of Palestine, Pre-Trial Chamber I, 22 January 2020, § 109-111 და 121.

<sup>383</sup> UN GA Res. 67/19, 4 December 2012, UN Doc A/RES/67/19, § 2 – სადაც აღნიშნულია, რომ პალესტინას მიენიჭა არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსი.

<sup>384</sup> Worster, 380-ე *supra* სქოლიო, გვ. 182-183; Abato, 375-ე *supra* სქოლიო.

<sup>385</sup> რომის სტატუტი, მე-5 *supra* სქოლიო, მე-19(6) მუხლი.

ეს თანაკვეთა ხან სასარგებლოა და ხან საზიანო დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ მიმავალი გზის გასაკაფად. ICC-ში ისრაელის სასარგებლოდ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის პოზიციებში გამოძიების გაგრძელების მთავარ შემაფერხებელ გარემოებად პალესტინის მხრიდან სახელმწიფოს ნიშნების დაუკმაყოფილებლობა არის მიჩნეული.<sup>386</sup> საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ პრო-პალესტინურ ორგანიზაციებსა თუ მეცნიერებს, რომლებიც სისხლის სამართლის მიზნებისთვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ განმარტებას ანიჭებენ უპირატესობას. მაგალითად, პალესტინური არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია მიიჩნევს, რომ საქართველოს სიტუაციაზე მოსამართლე კოვაჩის მიერ განვითარებული მოსაზრება უფრო ლიბერალურ მიდგომას ითვალისწინებს სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმის მიმართ, ვიდრე აღნიშნული კრიტერიუმის კლასიკური საერთაშორისო სამართლებრივი განმარტება.<sup>387</sup> შესაბამისად დროულია განვიხილოთ როგორც საქართველოს სიტუაციის გარშემო ICC-ის გამოძიების მიმდინარეობა, ისე მოსამართლე კოვაჩის განცალკევებული მოსაზრების მიზეზები, სადაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ *დე ფაქტო* ხელისუფლების სამართლებრივი კვალიფიკაციის სადავო ფაქტორებზე.

## 6. საქართველოს სიტუაციის განხილვის ფარგლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და *დე ფაქტო* ხელისუფლების ურთიერთმიმართება

2008 14 აგვისტოს ICC-ის მთავარმა პროკურორმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო წინასწარი მოკვლევა საქართველოს სიტუაციასთან მიმართებით. 2015 წლის 13 ოქტომბერს მან მიმართა ICC-ის I წინასასამართლო პალატას გამოძიების დაწყების ავტორიზაციის (ნებართვის) თხოვნით.<sup>388</sup> აღნიშნულ ეტაპზე პროკურორს

<sup>386</sup> პალესტინის სიტუაციის გარშემო ICC-ის I წინასასამართლოსთვის წარდგენილი სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების 30-ზე მეტი წერილობითი მოსაზრებები (*amici curiae*) ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/Pages/crm-refined.aspx?situation=ICC-01/18> უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 20 ივნისი 2020.

<sup>387</sup> Al-Haq, Arguments Raised in Amici Curiae Submissions in the Situation in the State of Palestine Before the International Criminal Court, 2020, ხელმისაწვდომია, [http://www.alhaq.org/cached\\_uploads/download/2020/05/07/response-to-amici-curiae-submissions-interactive-1588842475.pdf](http://www.alhaq.org/cached_uploads/download/2020/05/07/response-to-amici-curiae-submissions-interactive-1588842475.pdf), უკანსკნელად იქნა გადამოწმებული 20 ივნისი 2020, გვ. 9.

<sup>388</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 1; Request for authorisation of an investigation pursuant to article 15, Situation in Georgia (ICC-01/15-4-Corr), Office of the Prosecutor, ICC, 13 October 2015.



უნდა გამოეკვეთა გონივრული საფუძველი იმისთვის, რომ ერწმუნა 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. 2016 წლის 27 იანვარის გადაწყვეტილებით სასამართლოს I წინასასამართლო პალატამ დააკმაყოფილა პროკურორის თხოვნა გამოძიება დაეწყო საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე ჩადენილი სავარაუდო ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ.<sup>389</sup>

### **6.1 საქართველოს სიტუაციაზე სასამართლოს I წინასასამართლო პალატის მსჯელობა როგორც დე ფაქტო რეჟიმებთან მიმართებით სასამართლოს ორთოდოქსული მიდგომების განმტკიცება**

პროკურორის ავტორიზაციის მოთხოვნაში სავარაუდო დანაშაულების ჩადენის დროდ მითითებულია 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე შუალედი. დანაშაულების ჩადენის ადგილად განსაზღვრულია საქართველო, უფრო კონკრეტულად კი სამხრეთ ოსეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია. შესაბამისად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, წინასასამართლო პალატის ავტორიზაციაც ზემოაღნიშნული გეოგრაფიული არეალითა და დროით შემოიფარგლა. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ შესაბამისი ადგილმდებარეობის აღნიშვნის მიზნით არ არის გამოყენებული ტერმინები „ცხინვალის რეგიონი“ ან „სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი“, თუმცა გადაწყვეტილებაში მკაფიოდ არის აღიარებული, რომ სამხრეთ ოსეთი მიჩნეულია საქართველოს ტერიტორიად და არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. შესაბამისად, არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური გადმოსახედიდან რელევანტური არ არის სასამართლოს მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის რაიმე ფორმით ასოცირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო მისწრაფებების გაღვივებასთან. საქართველოს კონტექსტში სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ომის

---

<sup>389</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 27. საქართველოს სიტუაციის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე გამოძიების შესახებ, წინამდებარე ნაშრომის ავტორს, სადოქტორო კვლევის ფორმატში შესწავლილი ქვემოთ მოცემული ინფორმაციის შესახებ ასევე ნამსჯელი აქვს ონლაინ გამოცემა სამოქალაქო საქართველოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, რადგან 2008 წელს არ იყო აგრესიის დანაშაულთან მიმართებით ICC-ის იურისდიქცია ამოქმედებული, ხოლო გენოციდის დანაშაული არ არის რელევანტური მოცემული გამოძიების კონტექსტში. ICC-ის პროკურორის ინტერესის სფეროში შეიძლება მოხვდნენ რუსეთის ფედერაციის სამხედროები, საქართველოს სამხედროები და სამხრეთ ოსეთის ძალები. როგორც წესი, სასამართლოს ინტერესის ქვეშ ექცევიან მთავარი სამხედრო თუ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო დანაშაულებზე. ICC აქცენტს არ აკეთებს რიგით ჯარისკაცებზე, რომელთა ეროვნულ დონეზე გასამართლებაც ბევრად მარტივ ამოცანას წარმოადგენს.

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იძულებით გაძევებისა და დევნის საკითხებზე მსჯელობისას წინასასამართლო პალატამ თავი აარიდა დეტალურ განხილვას იმის შესახებ, თუ რამდენად იყო აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ განხორციელებული თუ სახეზე იყო რუსეთის ფედერაციის არმიის მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაც. თუკი სასამართლო განხილვის ეტაპზე არ იქნება საკმარისი მიუკერძოებელი და ობიექტური მტკიცებულება რუსი სამხედროების მხრიდან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის პოლიტიკის შემუშავების დასადასტურებლად, მაშინ ალტერნატივის სახით, შეიძლება გონივრული ვარაუდის გამოთქმა, რომ რუსი სამხედროების მხრიდან სახეზე იყო „შეგნებული უმოქმედობის პოლიტიკა“ (deliberate failure to take action), რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონტექსტუალურ ელემენტს.<sup>390</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში სახეზე იყო არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ შემუშავებული პოლიტიკა, არამედ რუსეთის ფედერაციის მიერ შეგნებული უმოქმედობით მხარდაჭერილი პოლიტიკა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, გააადვილებს რუსი სამხედროების ინდივიდუალური სისხლისმართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთას.

---

<sup>390</sup> იხ. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის სქოლიო N6, დანაშაულთა ელემენტები, 69-ე *supra* სქოლიო.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რომის სტატუტის პირველი მუხლის მიხედვით სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. სასამართლოში არ დგება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხი. შესაბამისად, სამართლებრივად შეუძლებელია საუბარი რუსეთის ფედერაციის ან საქართველოს პასუხისმგებლობაზე. თუმცა პოლიტიკური და დიპლომატიური კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანია თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები წარდგებიან საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, რადგან რუსეთის მოქალაქეების მსჯავრდება ხელს შეუწყობს არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების, ხოლო საქართველოს მოქალაქეების პასუხისმგებლობის დაყენების შემთხვევაში კიდევ უფრო გაძლიერდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების სეცესიონისტური მისწრაფებები.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძირითადად გამოხატული იყო ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირების მკვლელობაში, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებასა და დევნაში. ომის დანაშაულები გამოხატული იყო სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმაში, განზრახ მკვლელობაში, სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ განზრახ მიმართულ თავდასხმებში, ქონების განადგურებასა და მარცვაში. სავარაუდო ომის დანაშაულების ჩამდენი პირებიდან სასამართლო მოიხსენიებს კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარის ძალებს.<sup>391</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ პროკურორმა და შემდგომ უკვე წინასასამართლო პალატამ დაადგინა, რომ ეროვნულ დონეზე არ ან ვერ განხორციელდა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება და კომპლემენტარობის პრინციპის დაცვით საჭირო გახდა საქმის გამოძიება ICC-ის მიერ.<sup>392</sup> ცალკე საკითხია თუ რა ღონისძიებას მიმართა ან არ მიმართა საქართველოს პროკურატურამ სავარაუდო დამნაშავეთა გამოვლენისა და მათი პასუხისმგებლობაში მიცემის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ დონეზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება

<sup>391</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 29.

<sup>392</sup> *Ibid.*, § 39.

საწინდარი იქნებოდა საერთაშორისო დონეზე სამართალწარმოებისთვის სასურველი მიმართულების მისაცემად.

ICC-ის წინასასამართლო პალატის ავტორიზაციის გადაწყვეტილების წყალობით სამართლებრივად დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, რომ 2008 წლის 8 აგვისტომდე რუსეთის ფედერაცია არ იყო კონფლიქტის მხარე და რომ სახეზე იყო არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოს მთავრობასა და *დე ფაქტო* ხელისუფლების ძალებს შორის. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ, 2008 წლის 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში მიმდინარე მოვლენები დააკვალიფიცირა, როგორც საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი, თუმცა ამავდროულად უფრო ადრინდელი პერიოდის საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტად კვალიფიკაციაზეც ისაუბრა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ ოსეთის ძალების ზოგადი კონტროლი. საუბარია 2008 წლის 8 აგვისტომდე (რუსეთის ძალების ღია ინტერვენციამდე) არსებულ დროის მონაკვეთზე და ხაზგასმულია რუსეთის ხელისუფლების ჩართულობა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების ორგანიზების, მათი ქმედებების გეგმების შემუშავებისა და კოორდინაციის საკითხში, რაც საკმარისი საფუძველია საბრძოლო მოქმედებების საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტად კვალიფიკაციისათვის.<sup>393</sup>

საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იქნება იმის დასაბუთება, რომ რუსეთის ფედერაციის ჯარისკაცებისგან შემდგარ სამშვიდობო ძალებს, მათზე თავდასხმის განხორციელების მომენტში, უკვე დაკარგული ჰქონდათ დაცული პირის სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ სამხედროებს შესაძლოა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ომის დანაშაულის ჩადენისთვის. რუსეთის ფედერაცია არ არის ICC-ის წევრი სახელმწიფო. რუსეთმა არათუ რომის სტატუტის რატიფიკაცია არ მოახდინა, არამედ 2016 წელს გაიწვია 16 წლით ადრე სტატუტზე გაკეთებული ხელმოწერაც და ამით ნათელი სიგნალი მისცა სასამართლოს, რომ არც უკრაინის და არც საქართველოს სიტუაციების გარშემო მიმდინარე საკითხებზე არ აპირებს მასთან

<sup>393</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 27.

თანამშრომლობას. შესაბამისად, არის სერიოზული რისკი, რომ სასამართლო დააყენებს როგორც რუსეთის მოქალაქეების (მათ შორის *დე ფაქტო* სამხრეთ ოსეთის ძალების წარმომადგენლების), ისე საქართველოს მოქალაქეების პასუხისმგებლობის საკითხს. ამ დროს რუსეთი ბუნებრივია, რომ უარს იტყვის სასამართლოსთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე ან მისი მოქალაქეების ჰააგაში მდებარე სასამართლოსთვის გადაცემაზე. შესაბამისად, ყველაზე ცუდი სცენარის მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გასამართლებული პირები შესაძლოა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ამ დროისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ბევრად აღემატება რუსეთის მოქალაქეებისა თუ სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ძალების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი, საქართველოს მოქალაქეების მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს. სასამართლოს არ გააჩნია პოლიტიკური ზეწოლის ისეთი მექანიზმი, რომლის ძალითაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იქნებიან არა მხოლოდ უვადო ბრალდებულები, არამედ მოხდება მათი სასამართლოსთვის გადაცემა და შესაბამისი მსჯავრდება. არც ის არის გამორიცხული, რომ ICC-ის მხრიდან მიღებული იქნეს გადაწყვეტილება საქართველოს სიტუაციის გარშემო გამოძიების შეწყვეტის თაობაზე. აქ მოტივი მსგავსი იქნება ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ავღანეთის სიტუაციის განხილვის დროს განვითარებული ლოგიკისა. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, გასული წლის დასაწყისში ICC-ის წინასასამართლო პალატამ აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტია ისეთ აქტივობებზე (რაშიც მოიაზრება როგორც გამოძიების ქვეშ არსებული სიტუაციები, ისე კონკრეტული საქმეები) გაამახვილოს ყურადღება, რომელთა ბოლომდე მიყვანის შანსებიც არის რეალური.<sup>394</sup> ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით, არის ალბათობა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან საქართველოს საკითხზე მიმდინარე გამოძიების შედეგი იყოს არა მართლმსაჯულების ზეიმი, არამედ დაუსჯელობისა და უთანასწორობის განცდის შემდგომი ტალღის გაღვივება.

---

<sup>394</sup> Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Islamic Republic of Afghanistan (ICC-02/17), Pre-Trial Chamber II, ICC, 12 April 2019, § 95.

## 6.2 მოსამართლე კოვაჩის განსხვავებული მოსაზრება და არგუმენტაცია *დე ფაქტო* რეჟიმების მართლმსაჯულების შესახებ

წინასასამართლო პალატისადმი პროკურორის წერილობით მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოსეთისა და საქართველოს შიდა პროცედურების მიღმა არც ერთ სახელმწიფოს არ განუხორციელებია საქართველოს სიტუაციის გარშემო ეროვნული სამართალწარმოება.<sup>395</sup> წინასასამართლო პალატის უმრავლესობა დაეთანხმა პროკურორს, რომ სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* მთავრობის მიერ განხორციელებული რაიმე სამართლებრივი პროცედურა არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში კომპლემენტარობის ანალიზის ჭრილში, რადგან სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული ე.წ. რესპუბლიკა არ წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სუვერენულ სახელმწიფოს.<sup>396</sup> სწორედ აღნიშნულ მსჯელობას აკრიტიკებს მოსამართლე კოვაჩი თავის განსხვავებულ მოსაზრებაში.<sup>397</sup> მისი აზრით ICC-თვის საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს აღიარების ფორმალურ წინაპირობებზე მეტად საყურადღებო უნდა იყოს რეალობა ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა და *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების ირგვლივ არსებული მტკიცებულებების ანალიზი. ტაივანის მაგალითის მოყვანით, კოვაჩი ამტკიცებს, რომ არსებობენ სახელმწიფოები, რომელთა სუვერენიტეტიც სადავოა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ სტაბილური ტერიტორიული კონტროლი და კონტროლირებად ტერიტორიაზე განახორციელონ მართლმსაჯულება. მისი აზრით, „ჩანასახოვანი სახელმწიფო“, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას კანონის უზენაესობის პრინციპი და უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო პროცედურები, უნდა იყოს განხილული იურისდიქციის მქონე ეროვნული სასამართლოს რანგში. კოვაჩის აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულება არ არის შეფარვითი, ხოლო გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სამართალწარმოება არის ჭეშმარიტი და გათვალისწინებულია ბრალდებულის დაცვის უფლებაც, მაშინ

<sup>395</sup> Request for authorisation of an investigation pursuant to article 15 (ICC-01/15-4-Corr), Office of the Prosecutor, ICC, 13 October 2015, § 321-322.

<sup>396</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 39-40.

<sup>397</sup> Separate Opinion of Judge Peter Kovacs, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 63-67.

არასწორი იქნება ფორმალური და წმინდა ტექნიკური საკითხების გამო ICC-იმ მხედველობაში არ მიიღოს მსგავსი მართლმსაჯულება. კერძოდ, მოსამართლე კოვაჩი მიიჩნევს, რომ კომპლემენტარობის მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ანალიზს მოითხოვს *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურების შემთხვევაში და არა ბლანკეტურ გამორიცხვას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საქმე გვაქვს არადიარებულ სახელმწიფოსთან.

შედეგის თვალსაზრისით, კოვაჩი ეთანხმება წინასასამართლო პალატის დანარჩენ ორ მოსამართლეს, რომ საქართველოს კონტექსტში კომპლემენტარობის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული და სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სამართალწარმოება, თუმცა არ ეთანხმება ამ შედეგამდე მისასვლელად დანარჩენი მოსამართლეების მიერ გამოყენებულ გზას (ინტერპრეტაციას). მისი აზრით, სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* სასამართლოს თეორიულად შეეძლო კომპლემენტარობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე პრეტენზიის გამოთქმა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ფაქტობრივი მდგომარეობა და მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რეჟიმის მხრიდან ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელების ნიშნები.<sup>398</sup>

მოსამართლე კოვაჩი საქართველოს სიტუაციაზე მსჯელობის დროს ზედმეტად ფართოდ განმარტავს სასამართლოს წინასასამართლო პალატის დანიშნულებას და შეიძლება ითქვას, რომ ის ნაწილობრივ პროკურორის კომპეტენციაშიც შეიჭრა.<sup>399</sup> ასევე მისი მხრიდან დაშვებულია არაერთი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი უზუსტობა თუ შეცდომა არა მხოლოდ წინამდებარე ნაშრომის თემატიკის ირგვლივ მსჯელობის კუთხიდან, არამედ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის კუთხითაც. მაგალითად, კოვაჩი ამბობს, რომ კონფლიქტის ყველა მხარე შემჩნეული იყო მძევლების აყვანასა და გამოსასყიდის მიღების მიზნით პირების გატაცებაში. მისი არგუმენტი ეფუძნება სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ წარდგენილ სუბიექტურ მტკიცებულებებსა და International Crisis Group-ის მიერ მომზადებულ მოხსენებას, რომელშიც ხაზგასმით არის საუბარი, რომ მძევლების აყვანა

<sup>398</sup> Separate Opinion of Judge Peter Kovacs, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 63-67.

<sup>399</sup> *Ibid.*, § 29-36.

გამოსასყიდის მიღების მიზნით სახეზე იყო მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ძალების მხრიდან და საქართველოს პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ სავარაუდო თვითნებური ან ხანგრძლივი დაკავების ფაქტებს, რასაც ქართული მხარე ხსნის კანონიერი გზების გამოყენებით კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლის არგუმენტით.<sup>400</sup> მოსამართლე კოვაცის აღნიშნული მსჯელობა ზედმეტად ზედაპირულია და არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებით. ანალოგიურად საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან არამყარია კოვაცის არგუმენტი, რომ არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულება ICC-ის მიზნებისთვის უნდა გათანაბრდეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ სამართალწარმოებასთან. სამწუხაროა, რომ გარკვეული ჯგუფები ცდილობენ მსგავსი არაარგუმენტირებული პოზიციების წყალობით საერთაშორისო სამართლებრივი დღის წესრიგის შეცვლას. იგივე Al-Haq-ის მხრიდან პალესტინის სიტუაციაზე წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება უფრო არგუმენტირებული იქნებოდა თუ კოვაცის მოსაზრების ნაცვლად, მეტ აქცენტს გააკეთებდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური გარანტიების ინტერპრეტაციაზე და ICC-ის მხრიდან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული სახელმწიფოებრიობის მახასიათებელი კრიტერიუმების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების საჭიროებაზე.<sup>401</sup> ICC-ს საქართველოსა და პალესტინის სიტუაციის მიღმაც მოუწია არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულების კომპლემენტარობის ჭრილში განხილვა.

ლიბიის კონტექსტში ICC-ის პირველმა წინასასამართლო პალატამ იმსჯელა ზემოთ ნახსენები ალ-ვერფალის საქმის დასაშვებობაზე. მსჯელობის დროს კომპლემენტარობის პრინციპი გავრცელებული იყო გენერალ ჰაფთარის დაქვემდებარებაში მყოფ ლიბიის ეროვნული არმიაზე (LNA). ICC-ის წინასასამართლო პალატამ შეაფასა ტერიტორიული კონტროლის მქონე ამ არასახელმწიფო აქტორის

---

<sup>400</sup> International Crisis Group, South Ossetia: The Burden of Recognition, 7 June 2010, ხელმისაწვდომია <https://d2071andvip0wj.cloudfront.net/205-south-ossetia-the-burden-of-recognition.pdf>, უკანასკნლად იქნა გადამოწმებული 23 ივნისი 2020, გვ. 10; Separate Opinion of Judge Peter Kovacs, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო § 36 და აღნიშნულ პარაგრაფზე თანდართული 69-ე სქოლიო.

<sup>401</sup> Al-Haq, 387-ე *supra* სქოლიო, გვ. 9.



მიერ განხორციელებული შიდა სამართლებრივი პროცედურები.<sup>402</sup> მაჰმუდ ალ-ვერფალი ბრალდებულია *hors de combat* პირების საჯაროდ თვითნებურ მკვლელობასა და ომის სხვა დანაშაულებში. მისი დაკავების ორდერი ICC-იმ პირველად გამოსცა 2017 წლის 15 აგვისტოს. ალ-ვერფალის მფარველმა ჰაფთარის არმიამ გამოაცხადა, რომ 2017 წლის 5 აგვისტოს ბრალდებული თავადვე დააკავეს, რადგან მის წინააღმდეგ შიდა დონეზე მიმდინარეობდა ომის დანაშაულების გამოძიების პროცესი. ჰაფთარის ძალები არ არიან ლიბიის საერთაშორისოდ აღიარებული გარდამავალი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები. გაეროს უშიშროების საბჭომ 2016 წელს ლიბიის ეროვნული თანხმობის საბჭო (GNA) მიიჩნია ქვეყნის ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად.<sup>403</sup> გენერალი ჰაფთარი კი ალტერნატიული მთავრობის უკან მდგომი მთავარი აქტორია.<sup>404</sup>

როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული მასალით დასტურდება, ალ-ვერფალი 2018 წელს არა თუ დაკავებული არ იყო, არამედ ახალ ომის დანაშაულებსაც საჯაროდ სჩადიოდა. სწორედ ამიტომ, ICC-იმ 2018 წლის ივლისში ახალი დანაშაულებრივი ეპიზოდების გათვალისწინებით გამოსცა მისი დაკავების მეორე ორდერი.<sup>405</sup> სწორედ აღნიშნული ორდერის გამოცემის დროს იმსჯელა ჰააგის სასამართლომ კომპლემენტარობის პრინციპის გამოყენებაზე. ICC-ის წინასასამართლო პალატამ თქვა, რომ ცალკე საკითხია რამდენად შეიძლება ლიბიის ეროვნული არმიის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულება ჩაითვალოს რომის სტატუტის მე-17 მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო მართლმსაჯულებად. თუმცა ფაქტია, რომ სახეზეა ეროვნულ დონეზე უმოქმედობა, რადგან ტერიტორიული კონტროლის მქონე არასახელმწიფო აქტორი არ ახორციელებს ხელშესახებ, კონკრეტულ და პროგრესირებად საგამოძიებო მოქმედებებს.<sup>406</sup> წინასასამართლო პალატამ შემდგომ განაგრძო ალ-ვერფალის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებების

---

<sup>402</sup> Prosecutor v. Mahmoud Mustafa Busayaf Al-Werfalli, Second Warrant of Arrest, მე-6 *supra* სქოლიო; Prosecutor v. Mahmoud Mustafa Busayaf Al-Werfalli, Warrant of Arrest (ICC-01/11-01/17), Pre-Trial Chamber I, ICC, 15 August 2017.

<sup>403</sup> UN SC Res. 2259, 23 December 2015.

<sup>404</sup> Amoroso, 157-ე *supra* სქოლიო, გვ. 1065-1067.

<sup>405</sup> Prosecutor v. Mahmoud Mustafa Busayaf Al-Werfalli, Second Warrant of Arrest, მე-6 *supra* სქოლიო, § 24-28.

<sup>406</sup> *Ibid.*, § 27.

პროცედურული და შინაარსობრივი შეფასება და დაასკვნა, რომ ეს მოქმედებები არ უნდა იყოს მიჩნეული ჭეშმარიტ სისხლისსამართლებრივ დევნად.<sup>407</sup> გამოდის, რომ სასამართლოს პალატამ ცალსახად არ უარყო არასახელმწიფო აქტორის მოქმედებების კომპლემენტარობის ჭრილში განხილვის შესაძლებლობა და ამით კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა საქართველოს საქმეზე მოსამართლე კოვაჩის განცალკევებულ მოსაზრებაში განვითარებული მსჯელობა. თუმცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I წინასასამართლო პალატამ საკმაოდ ზედაპირული მიდგომა გამოამჟღავნა ალ-ვერფალის საქმეში, რადგან მართლმსაჯულების არასამართლებრივი ფორმები და ეროვნულ დონეზე კანონიერი სასამართლოს მიღმა განხორციელებული სამართალწარმოება განიხილა კომპლემენტარობის ჭრილში. მან ისიც კი თქვა, რომ ICC-ის მიზნებისთვის უმნიშვნელოა სახელმწიფოს წარმოადგენს თუ არა ტერიტორიული კონტროლის მქონე აქტორი.<sup>408</sup> მოცემული მსჯელობა აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სიტუაციაზე წინასასამართლო პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებასთან, რომლის მიხედვითაც კომპლემენტარობის პრინციპი მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფოს მართლმსაჯულებას უნდა ფარავდეს.<sup>409</sup> ამავდროულად, *დე ფაქტო* რეჟიმს არ აქვს სახელმწიფოს მსგავსი უფლება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე იდავოს საქმის დასაშვებობისა და სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების თაობაზე.<sup>410</sup> რაც კიდევ ერთი არგუმენტია კომპლემენტარობის კლასიკური ინტერპრეტაციის *დე ფაქტო* რეჟიმზე სრულად გავრცელების საწინააღმდეგოდ.

სამართლიანობის აღდგენა როგორც სასჯელის მიზანი ვერ მიიღწევა, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება არ არის განსჯილი მართლმსაჯულების ლეგიტიმური ორგანოს მიერ. საერთაშორისო სამართლისა და აღნიშნულ სამართალთან თანხვედრაში მყოფი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შექმნილი სასამართლო, რომელიც ფუნქციებს სამართლებრივი ძალის არმქონე

---

<sup>407</sup> *Ibid.*, § 28-29.

<sup>408</sup> *Ibid.*, § 27.

<sup>409</sup> Decision on the Prosecutor's Request for authorization of an investigation, Situation in Georgia, მე-4 *supra* სქოლიო, § 40.

<sup>410</sup> Request for authorisation of an investigation pursuant to article 15, Situation in Georgia (ICC-01/15-4-Corr), Office of the Prosecutor, ICC, 13 October 2015, § 322.

კანონმდებლობაზე დაყრდნობით არ უნდა იქნეს მიჩნეული მართლმსაჯულების ლეგიტიმურ ორგანოდ. ICC-ის ერთ-ერთი მიზანი არის დაუსჯელობის სინდრომის გაქრობა. ამ მიზნის მიღწევა და დანაშაულთა მსხვერპლთა თვალში მართლმსაჯულების აღდგენა კი მხოლოდ კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელებული სამართალწარმოებით არის შესაძლებელი. თუკი, ავტომატურად კანონიერი ძალის მქონედ მივიჩნევთ არალეგიტიმური ორგანოს მიერ გამოტანილ განაჩენს, მაშინ კანონიერად უნდა იყოს მიჩნეული იმავე *დე ფაქტო* ხელისუფლების საზღვრებიც, საზღვრის უკანონოდ კვეთის გამო პირების დაკავებაც და არაერთი სხვა ფაქტობრივი მოცემულობაც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ არ უნდა მიიჩნიოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არალიარებული სახელმწიფო კომპლემენტარობის კრიტერიუმის სრული გავრცელების მიზნით შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფოდ. თუმცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის უფლება არ იყოს ორჯერ გასამართლებული. ეს უფლება კი ნამდვილად არ ირღვევა საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა მოქმედი არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებით, რადგან რომის სტატუტისეული ორმაგი დასჯის აკრძალვის ცნების ასამოქმედებლად საჭიროა სახეზე იყოს ეროვნულ დონეზე მიღებული საბოლოო განაჩენი.<sup>411</sup> თუმცა საგამონაკლისო წესით შესაძლოა *დე ფაქტო* რეჟიმი გავუთანაბროთ არა სხვა სახელმწიფოს, არამედ ღიად უარი ვთქვათ სახელმწიფოებრიობის ჭრილში მის განხილვაზე და ვცნოთ ის იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს ლეგიტიმური ფუნქციების გარკვეულ ტერიტორიაზე ფაქტობრივ განმახორციელებლად. კერძოდ, *დე ფაქტო* რეჟიმის თეორიულად „ჭეშმარიტი“ სამართალწარმოება შეიძლება მივიჩნიოთ თავდაპირველი სახელმწიფოს ეროვნული მართლმსაჯულების ნაწილად. სამწუხაროა, რომ საქართველოს სიტუაციისა და ალ-ვერფალის საქმეების განხილვის დროს ICC-ის წინასასამართლო პალატის შესაბამისი მოსამართლეები და თავად პროკურორიც არათანმიმდევრულები გამოდგნენ და ვერ განსაზღვრეს

---

<sup>411</sup> Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi, Judgment on the Appeal regarding the Admissibility Challenge (ICC-01/11-01/11), the Appeals Chamber, ICC, 9 March 2020, § 62-63.

არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულების კვალიფიკაციის ერთიანი სტანდარტი. ეს სტანდარტი იქნებოდა გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევებში *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულების ეროვნული მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილად მიჩნევა. სხვა შემთხვევაში, არასახელმწიფო აქტორის მართლმსაჯულება გაუთანაბრდება უკანონო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, რომელიც არ იქნება საბოლოო და არც *ne bis in idem* პრინციპის მიზნებისთვის ჩაითვლება სამართლებრივი ლეგიტიმაციის მქონედ.

## 7. დასკვნა

ნაშრომში განვითარებული ანალიზის შედეგად, დასკვნითი შეფასებები გამომდინარეობს რომის სტატუტის რამდენიმე საბაზისო კომპონენტიდან. კერძოდ, კომპლემენტარობა „ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის“ შემავსებელ ცნებად განიმარტება და, ამავდროულად, რომის სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან გამოსაყენებელი სამართალი და მისი ინტერპრეტაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. იმ პირობებში, როდესაც *დე ფაქტო* ხელისუფლებასთან ურთიერთმიმართების საკითხზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სასამართლოს ერთიანი პრაქტიკა, რთულია კატეგორიული დასკვნების გაკეთება კომპლემენტარული იურისდიქციის *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულებასთან მისადაგების შესახებ. როგორც ამ ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევით წარმოვაჩინეთ, *დე ფაქტო* რეჟიმების მართლმსაჯულების სამართლებრივი შეფასება თავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვისაც ახალ გამოწვევას წარმოადგენს და ამ პირობებში, კრიტიკულია სამართლებრივი აკადემიური ლიტერატურის ამ მიმართულებით განვითარება. არც ის არის გასაკვირი, რომ საქართველოს, ლიბიისა თუ პალესტინის საკითხებმა აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატის მოსამართლეებს, ისე - ფართოდ, დარგის სპეციალისტებს შორის.

კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული კომპლემენტარობა რთული ფენომენია, რომლის *დე ფაქტო* რეჟიმებთან მიმართებით სავარაუდოდ გამოყენების დაშვებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. რომის სტატუტი ტოვებს კომპლემენტარობის პრინციპის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, თუმცა ინტერპრეტაციის დროს სასამართლო კვლავაც შეზოქილია საერთაშორისო საჯარო სამართლის იმპერატიული ნორმებითა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესით. ამ ნაშრომის ფარგლებში განხილული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის, ჩვეულებით სამართლის ნორმებისა და

შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის ჯერ კიდევ მიმდინარე განვითარების პროცესში, რაც მათ შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის მეშვეობით ხორციელდება, ამ ეტაპისთვის ჩამოყალიბებული არაერთი ორთოდოქსული მიდგომის გადახედვა დადგება დღის წესრიგში. კერძოდ, *დე ფაქტო* რეჟიმების მიერ განხორციელებული სამართლებრივი პროცედურების ავტომატური უგულებელყოფა არც თუ ისე მარტივი იქნება, თუ ეს პროცედურები თეორიულად დააკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტს. თუმცა მიდგომათა გადაფასებამ არ უნდა გამოიწვიოს საერთაშორისო სამართლით დადგენილ მართლწესრიგთან წინააღმდეგობა და *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების ფართო ლეგიტიმაცია.
2. ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი და სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება ერთმანეთის პარალელურად ვითარდება. მუდმივმოქმედი სასამართლო ინსტიტუტების დაარსება საერთაშორისო სამართლის ორივე დარგის ავტონომიურობის განმტკიცებას უწყობს ხელს. თუმცა რიგ შემთხვევებში რომელიმე საერთაშორისო სასამართლოს გადატვირთულობისა თუ კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებით მართლმსაჯულების დაჩქარებულად განხორციელების ინტერესმა არ უნდა გადაწონოს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებითა და თავად სასამართლოების დამფუძნებელი აქტებით დაწესებული შეზღუდვები. აგრესიის აქტის განხორციელებისა თუ სხვა *jus cogens* ნორმის დარღვევის შედეგად წარმოქმნილ რეალობას არ უნდა მიენიჭოს სამართლებრივი ლეგიტიმაცია და არც სახელმწიფოებრიობის ნიშნების გადაფასება უნდა მოახდინოს იმ ორგანომ, რომლის მთავარი დანიშნულება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენაა. სახელმწიფოებრიობის ელემენტზე აქცენტის გარეშეც არის შესაძლებელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან რომის სტატუტის პრინციპების ფართო ინტერპრეტაცია და დაუსჯელობის

სინდრომის დაძლევა. კერძოდ, რომის სტატუტის სულისკვეთება დაცული იქნება თუ *დე ფაქტო* ხელისუფლების მართლმსაჯულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ დროს, როდესაც საერთაშორისო დონეზე განხორციელებული სამართალწარმოებით შეიძლება რისკის ქვეშ დადგეს ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი.

3. რომის სტატუტის თავდაპირველი მიზანი არ იყო არასახელმწიფო აქტორთა მიერ წარმოებულ სასამართლო პროცესებზე კომპლემენტარული იურისდიქციის მიმართება. შესაბამისად, სტატუტში ნახსენები სახელმწიფოს ცნების ზედმეტად ფართო განმარტებამ შესაძლოა, ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მომლაპარაკებელ სახელმწიფოთა თავდაპირველ ნებასთან წინააღმდეგობაში მყოფი რეალობა შექმნას. ათწლეულების მანძილზე ნანატრი დამოუკიდებელი და მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საერთაშორისო ორგანოს დაარსება მხოლოდ კომპრომისებითა და მკაცრად განსაზღვრული შეზღუდვების დაწესების შედეგად გახდა შესაძლებელი. აღნიშნული შეზღუდვების დარღვევა კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთლიან სისტემას.

4. მართალია, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი მხოლოდ ერთი ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მართლმსაჯულებას ეხება, თუმცა კვლევისას წარმოჩინდა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოება, *ne bis in idem* პრინციპის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება გავათანაბროთ ერთ სამართლებრივ სისტემაში განხორციელებულ მართლმსაჯულებასთან, რადგან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის ეროვნული მართლმსაჯულების კომპლემენტარული, ანუ შემავსებელი. ამ დასკვნის ჭრილში მნიშვნელოვანია რომის სტატუტში *ne bis in idem* პრინციპთან მიმართებით დადგენილი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით აღიარებულზე უფრო ლიბერალური სტანდარტი, რომლის შესაბამისად, რომის სტატუტის მე-20 მუხლის საფუძველზე ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპისთვის მინიჭებულია ტრანსნაციონალური მოქმედების ძალა.

5. როგორც ნაშრომში წარმოჩინდა, *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების საფუძველზე განხორციელებული მართლმსაჯულება შეიძლება არ გაუთანაბრდეს რომის სტატუტის მიზნებისთვის განსაზღვრულ სისხლის სამართლის ეროვნულ სისტემას. კერძოდ, წინამდებარე კვლევით ხაზი გაესვა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საკანონმდებლო უფლებამოსილებით არ აღჭურავს არასახელმწიფო აქტორს. *დე ფაქტო* რეჟიმის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების ლეგიტიმაციისთვის აუცილებელია, რომ მართლმსაჯულება ეყრდნობოდეს ან სუვერენული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას ან სამხედრო ოკუპაციის პირობებში ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნათა დაცვით დადგენილ სისხლის სამართლის ნორმებს. აღნიშნული წინაპირობების დაცვის გარეშე არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების წახალისებით, მოსამართლე კოვაჩი თუ საერთაშორისო სამართლის სხვა სპეციალისტები არა თუ ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვის წახალისებას ახდენენ, არამედ შესაძლოა არაპირდაპირ ხელი შეუწყონ ომის დანაშაულის ჩადენას. ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ელემენტების დაკმაყოფილების გარეშე განხორციელებული თვითნებური მართლმსაჯულება, წარმოადგენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დანაშაულის ელემენტების მე-8(2)(გ)(iv) მუხლით მკაფიოდ განსაზღვრული დანაშაულებრივ ქმედებას.
6. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განსაზღვრავს არასახელმწიფო აქტორის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების მინიმალურ სტანდარტს და განამტკიცებს ოკუპანტი ძალის მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის ვალდებულებას. როგორც კვლევით წარმოჩინდა, აღნიშნული მართლმსაჯულების მიზანი უნდა იყოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების



პრევენცია და არა განგრძობადი ტერიტორიული კონტროლის პირობებში მოქმედი სპეციალური წესის ზოგად წესად ქცევა.

7. სახელმწიფოს სუვერენული ინტერესები და არასახელმწიფო აქტორის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები არ გახლავთ. არალეგიტიმური ორგანოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელება, როგორც ფაქტი, შეიძლება მხოლოდ სპეციალური მიზნისთვის იყოს კანონიერად მიჩნეული, თუ ეს სპეციალური მიზანი არის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრა და ადამიანის უფლებათა დაცვა. სხვა შემთხვევაში, მსგავს მართლმსაჯულებას არ უნდა მიეცეს ფართო საერთაშორისო სამართლებრივი ლეგიტიმაცია.
8. როგორც კვლევისას წარმოჩინდა, საერთაშორისო სისხლის სამართალი არ მოითხოვს არაკანონიერი ქმედების დაკანონებას. ამ შემთხვევაში საჭიროა პრაქტიკულ გამოწვევებს მივუსადაგოთ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ინტერპრეტაცია და ამავდროულად კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენოთ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის ცნებები. ნათელია, რომ ტერიტორიული კონტროლის მქონე *დე ფაქტო* რეჟიმს აქვს შესაძლებლობა, გაასამართლოს საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებული პირი. სურვილის შემთხვევაში, მას შეუძლია სამართლიანი სასამართლოს მახასიათებლად დადგენილი მინიმალური სტანდარტის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვაც. *დე ფაქტო* რეჟიმი არის პრაქტიკულად ის ერთადერთი არასახელმწიფო აქტორი, რომელსაც ტერიტორიულ კონტროლთან ერთად აქვს პოლიტიკური მოწყობის სისტემური სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მსგავს მართლმსაჯულების სისტემასაც. ასეთ დროს, სახელმწიფოს მიერ იურისდიქციული კონტროლის დაკარგვამდე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელებული სამართალწარმოება შეიძლება საგამონაკლისო წესით აღვიქვათ რომის სტატუტისეული „ეროვნული“ სამართალწარმოების ნაწილად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ლეგიტიმურ კანონმდებლობას ასევე უთანაბრდება, სამხედრო ოკუპაციის პირობებში,

ოკუპანტის მხრიდან ჰუმანიტარული სამართლით დაშვებული საკანონმდებლო ცვლილებების მიღება.

9. *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულების სახელმწიფოს ეროვნული მართლმსაჯულების ერთგვარ კომპონენტად მიჩნევას აქვს რაციონალური ახსნა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და არაღიარების დოქტრინებზე დაყრდნობით. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ერთგვარი პარალელია გავლებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით, ლეგიტიმურ კანონმდებლობაზე დაფუძნებული არალეგიტიმური მართლმსაჯულების აღიარებასა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციის *დე ფაქტო* რეჟიმზე გავრცელებას შორის. ასეთ დროს, *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს მესამე სახელმწიფოს სამართალწარმოებასთან და უნდა შეფასდეს კონკრეტული სუვერენული სახელმწიფოს შიდა პროცედურების ერთგვარ გამოვლინებად.
10. კომპლემენტარობის პრინციპის ანალიზის დროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ სჭირდება ახალი ველოსიპედის გამოგონება და *დე ფაქტო* რეჟიმის მოქცევა მესამე სახელმწიფოებისთვის განკუთვნილი პრინციპის მოქმედების ქვეშ. *დე ფაქტო* ხელისუფლების მიერ თეორიულად განხორციელებული „ჭეშმარიტი“ მართლმსაჯულების შემთხვევაში, სასამართლომ სიტუაცია უნდა შეაფასოს უპირველესად *ne bis in idem* პრინციპის, და არა - კომპლემენტარობის, ზოგადი მოქმედების ჭრილში, რადგან *დე ფაქტო* რეჟიმის მართლმსაჯულება არ არის ცალკე აღებული ეროვნული სამართალწარმოება. შესაბამისად, *დე ფაქტო* მართლმსაჯულების შემთხვევაში, კომპლემენტარობა უნდა გავრცელდეს არა სიტუაციაზე ანუ მთლიან გამოძიებაზე, არამედ უშუალოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე განსახილველ კონკრეტულ საქმეებზე.

